# კვირის პალიტრა

32 გვ

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 32 (277) ◆ 7 – 13 აგვისტო, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## კონტროლის პალატა არის დამოუკიდებელი პარტნიორი ხელისუფლებისა



– უხეში გაანგარიშებით, საქართველოში შემოსული კრედიტებითა და გრანტებით თითოეული ოჯახი მიიღებდა... 50 ათასი დოლარის ოდენობის დახმარებას... გვ.3

– საქართველოში 100-ზე მეტი მაკონტროლებელი ორგანოა(!)... შეიძლება ერთდროულად ერთ საწარმოს 30-ზე მეტი შემმოწმებელი დაატყდეს თავს?

– ყველა ის უწყება, ვინც სახელმწიფო ბერკეტითაა აღჭურვილი, მეტ-ნაკლებად კორუმპირებულია.

– უნდა დავამკვიდროთ სამართლის უზენაესობა და არა კანონისა...

## რა ხდება კაზრეთში? ანუ... SOS !!!

ინფორმაციები, ფაქტები, დამოუკიდებელ თუ სახელმწიფო ექსპერტთა აზრები და მკითხველის წინაშეა მკაფიო სურათი თეთრი ძაფით ნაკერი ამბისა...



გვ.6

ს.ა. – ბატონო ანზორ, ხომ არ წავვესადილა? გვ.31

ა.ბ. – ვინ გადაიხდის?

ს.ა. – ვისაც ბევრი ფული აქვს.

ა.ბ. – მაშინ არ მინდა.

**ფოტოპალიტრა**

## სამხედრო თემაზე:

– ქართული მიწის დატოვება და მშობლიურ რუსეთში დაბრუნება რუს სამხედროს კი არა, საბრძოლო ტექნიკასაც „არ სურს"...

– ნუ მისტირით დაჟანგებულ რუსულ ტანკებს – განუწყვეტლივ შეახსენებს ვაშინგტონი თბილისს...

– ვაზიანიდან გატანილი ტანკები შეიძლება ჩეჩნეთის ომში ჩართონ...



გვ.9

## „ახალი ქართველები" უქრავ ქონებას აგროვებენ გვ.31

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

## რას წერენ ჩვენზე: გვ.12

აფხაზეთისთვის მისაღებია ანდორას მოდელი – ორი ბატონის მსახური

ანდორა (იგივე – აფხაზეთი) ემორჩილება ორ პროტექტორატს საფრანგეთსა და ესპანეთს (იგივე – საქართველოსა და რუსეთს)...

*„ნეზავისიმაია გაზეტა" №144*

## დაუშვებს ჩვენი პოლიტიკური ელიტა სიტყვის თავისუფლებას?

...კანონი კულტურას უნდა შეესაბამებოდეს, თორემ გაჩნდება აგრესია მის მიმართ

...საზოგადოების აზრი იმას დაუპირისპირდება, ვინც სხვისი ჭუჭყის ქექვას დაიწყებს...

გვ.5 *რამაზ საყვარელიძე*

საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა პატრიოტების დაპატიმრებით დაიწყეს? გვ.12

მკითხველთა თხოვნით – ინფორმაცია ლეიშმანიოზის და მალარიის ინფექციის შესახებ. გვ.23

## ეკრანი: შვილი თვალსა და ხელს შუა, წყნეთიდან მოიტაცეს...

„სანდომიანი სახე ჰქონდა, ეჭვი არ გამჩენია. გავყევი... ავტომაგისტრალზე ტაქსი ელოდა... ჩავჯექი. გზაზე ორი მამაკაცი დაგვხვდა, კარები გამოაღეს, აქეთ-იქიდან მომისხდნენ, ერთ-ერთმა მუცელზე დანა დამადო, მერე მძღოლს რაღაც სითხიანი ბოთლი გამოართვა, დალიეო, მიბრძანა... უარის თქმა ველარ გავბედე და წამში გავითიშე..." გვ.10

## ექსკლუზიური ინტერვიუ „ტყის ძმების" ყოფილ პარტიზანთან...



– 300 კაცი ვიყავით კბილებამდე შეიარაღებული 1700-ის წინააღმდეგ...

– ზუგდიდში დაბრუნებულებმა ჩვენი თვალით ვნახეთ, მატარებლიდან 300 ცინკის კუბო რომ გადმოზიდეს... როგორც ჩანს, ცოცხლებს არავინ გველოდა, ხელისუფლება „კუბოებით დაგვეხმარა".

– იმ ნაომარმა 10-15-მა ბიჭმა ერთდროულად ცუდ გუნებაზე რომ გამოიღვიძოს, დიდი დესტაბილიზაციის გამოწვევა შეუძლიათ... გვ.7

## გვინდა მოსახლეობამ იცოდეს...



...გველები აგვისტოს ბოლომდე ზაფხულის ძილქუშში არიან და 30 გრადუსზე მაღალ ტემპერატურაზე საამკარაოზე არ გამოდიან".

ისინი სექტემბერში მომრავლდებიან. გვ.8

## ეს სოხუმის დაცემის დღეს მოხდა...

...სანაპიროდან ცეცხლი არ წყდებოდა;

...გემი ნაპირს ვერ შორდებოდა; გვ.12

...სიკვდილის მომლოდინენი მშველელს ეძებდნენ;

...ბიჭებმა – „სპილომ" და „მტრედმა" ცეცხლის თავის თავზე აღება გადაწყვიტეს;

...პირველი ტყვია „სპილოს" მოხვდა"

## დიეგო მარადონა – ყველაზე შემოსავლიანი... მწერალი

ავტობიოგრაფიული ნაშრომი ლეგენდარულ არგენტინელს მილიონ დოლარს მოუტანს. გვ.29

## თარგამაძე უფულობას უჩივის, სარიშვილი კომბლებს თლის...

– სარიშვილს საერთოდ არ ვიცნობ... ხელი არ ჩამომირთმევია მისთვის... რაში მაინტერესებს მისი ციხეში ჩასმა, მეტი საქმე არა მაქვს...

– ჩემთვის თარგამაძის ლოგიკა მიუწვდომელია და საერთოდ ასეთი აზროვნების მქონე ადამიანის პროგნოზირება ძალიან გამიჭირდება. გვ.5

## საკვირაო



ტელე-კინოაფიშა 7-13 აგვისტო

გვ. 16-17

მათ ისეთივე მგზნებარებით შეუყვარდათ ერთმანეთი, როგორც კლეოპატრასა და მარკუს ანტონიუსს...



...ლეონორმა ეგვიპტის დედოფალი განასახიერა...

...ბილიმ – მარკუს ანტონიუსი...

(გაგახსენდათ რიჩარდ ბარტონი და ელიზაბეტ ტეილორი?) გვ.20

## ჟურნალი „გზა" თქვენთვის შეიქმნა!

Неделя · КОММАНДОС · ЧАСТНАЯ ЖИЗНЬ · ТЕЛОХРАНИТЕЛЬ · За РУБЕЖОМ · МОСКОВСКИЕ НОВОСТИ · Newsweek · FOCUS · Общая газета · DER SPIEGEL · КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА · stern · СЕГОДНЯ · КАЮКВА · ИЗВЕСТИЯ · ТРУД · СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО · АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ · иностранец · LE FIGARO magazine · MATCH · ТВ ПАРК · ЛИЦА · ОГОНЕК · daily · le nouvel Observateur · Итоги

## ხელისუფლებას „სხვანაირად დაელაპარაკებიან"!

უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში უკვე შევიდა 2001 წლის ბიუჯეტის პარამეტრები და ფრაქცია მოქალაქეთა კავშირი მას უკვე განიხილავს. მომზადებულ დოკუმენტს პარლამენტი მთავრობას შემოდგომაზე მიართმევს და საბოლოო სახით ჩამოყალიბებული 2001 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის განხილვა პარლამენტში ნოემბერ-დეკემბერში გაიმართება. „მოქალაქე" პარლამენტარები ამთავითვე აგრესიულად არიან განწყობილნი და იმუქრებიან, რომ თუ მთავრობა კვლავაც არარეალურ ბიუჯეტს შემოუგდებს პარლამენტს, უმრავლესობა „სხვანაირად დაელაპარაკება" აღმასრულებელ ხელისუფალთ! ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, ზურაბ ნოღაიდელმა პარლამენტის თავმჯდომარეს და ყველა საპარლამენტო კომიტეტს 2001 წლის ბიუჯეტი წარუდგინა, რომლის პარამეტრებიც სავალუტო ფონდთანაა შეთანხმებული: პროექტის თანახმად, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი 793 მლნ ლარია, ხარჯვითი ნაწილი კი 1 მლრდ 247 მლნ ლარი, ბიუჯეტის დეფიციტი 454 ლარითაა განსაზღვრული... მართალია, ეს ჯერ მხოლოდ 2001 წლის ბიუჯეტის პროექტია, მაგრამ ზოგიერთ პარლამენტარს ეს პარამეტრები და პერსპექტივები უკვე მიაჩნია „რევოლუციურ მოვლენად საბიუჯეტო სფეროში"!

## 72 კგ ოქრო სეიფიდან გაიტანეს

როგორც ჩანს, ავსტრალიურ ფირმა „კვარციტსა" და „მადნეულს" შორის მიმდინარე დავა-კამათი მალე ახალ ფაზაში შევა ფრიად „ორიგინალური ფაქტის" გამო. საქმე ის არის, რომ 4 აგვისტოს დილით „კვარციტის" თანამშრომელმა, ვინმე გაგნიძემ „თბილკრედიტბანკის" სეიფიდან გაიტანა... 72 კილოგრამი ოქრო!!! მიუხედავად იმისა, რომ ბოლნისის სასამართლომ აკრძალა ოქროს გატანა ქვეყნის გარეთ მანამ, სანამ „კვარციტსა" და „მადნეულს" შორის არსებულ ფინანსურ პრობლემებს სპეციალური სამთავრობო კომისია არ გაარკვევს, მაინც „კვარციტის" ბუღალტერმა გაგნიძეს გადასცა უფლებამოსილება ოქროს გასატანად! მომხდარი ფაქტის გამო ფეხზე დადგა უშიშროების სამსახური, რომელიც აწარმოებს კიდეც საქმის მოკვლევას! ( იხ. გვ. 6).

## ბათუმის გავლით თბილისში

თბილისში ბათუმის გავლით ჩამოვიდა რუსეთის მილიონერთა კასტის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი, ბორის ბერეზოვსკის უახლოესი მეგობარი და პარტნიორი, ორტ-ს ერთ-ერთი მამა-მარჩენალი ბადრი პატარკაციშვილი. მისი თქმით, იგი მოხარულია აჭარაში მიმდინარე ალმშენებლობითი პროცესით და რომ ასლან აბაშიძესთან შეთანხმდა, სხვადასხვა ფორმით ერთობლივად განავითარონ ადგილობრივი დარგები და მეურნეობები და ამით ხელი შეუწყონ აჭარის კიდევ უფრო აღორძინებას. ბატონ პატარკაციშვილს, ჯერჯერობით, არაფერი უთქვამს, რა სახის თანამშრომლობას აპირებს თბილისთან...

## ბიუჯეტი კონტრაბანდისტებზეა დამოკიდებული?!

ხელისუფლებამ სიამაყით გვაუწყა, ქართულ ეკონომიკაში... უპრეცედენტო მოვლენა მოხდაო! არა, ეს მოვლენა არ უკავშირდება არც ბალცეროვიჩის ჩამოსვლას, არც საქართველოსთვის გამოყოფილი კრედიტების „მიზნობრივად გამოყენებას", არც ქართული ენერგეტიკის „აღორძინებას" და ა.შ. მოხდა კი ის, რომ მიშა მაჭავარიანის შემოსავლების სამინისტრომ ყოველგვარი ჩათვლებისა და სხვა მაქინაციების გარეშე ივნის-ივლისში გადაჭარბებით შეასრულა ბიუჯეტის გეგმა. დიახ, ბიუჯეტში 65 მილიონ 659 ათასი ნაღდი ლარი შევიდა. ამ „ისტორიული" მოვლენის წყალობით, ასევე პირველად, საპენსიო ფონდში დაგეგმილი 12 მილიონ 300 ათასი ლარი მოგროვდა თურმე, რაც პენსიების გაცემის შესაძლებლობას იძლევა(!). მაჭავარიანის თქმით, გეგმის გადაჭარბებით შესრულების საფუძველი ივლისში ერგნეთში კონტრაბანდის მასშტაბის შემცირება იყო. მაგრამ მაჭავარიანი შიშობს, რომ ერგნეთში აგვისტოში ვითარება შეიძლება კვლავ უმართავი გახდეს, რადგან გაიხსნება დღეს დახურული ერგნეთის ბაზრობა და კონტრაბანდისტებიც ძველებურად ამოქმედდებიან... გამოდის, რომ მთელი ჩვენი ბიუჯეტი ამ ყბადაღებული ბაზრობის კონტრაბანდისტებზე ყოფილა დამოკიდებული?!

## პრეზიდენტმა 44 პატიმარი შეიწყალა

საქართველოს პრეზიდენტმა 44 პატიმარი შეიწყალა, რომელთაგან ერთი ქალია. პატიმართა შეწყალების კომისიამ 117 მსჯავრდებულის საქმე განიხილა და შეწყალების რეკომენდაცია მხოლოდ 44 პატიმარს მისცა. შეწყალებულთა შორის 11 ყოფილი გვარდიელია, რომლებიც პრეზიდენტის მიერ 20 აპრილს გამოცემულ შეწყალების აქტში არ მოხვდნენ. ელენე თევდორაძის განცხადებით, შეწყალებული ყოფილი გვარდიელები არ არიან გასამართლებულნი მკვლელობისა და ადამიანთა გატაცებისათვის...

## შეიძლება ახალი პოლიტსამკუთხედი შეიკრას...

მიუხედავად იმისა, რომ წინ არც საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებია, იმერეთის გუბერნატორი ახალი პარტიის შექმნაზე ფიქრობს. აგვისტოში ბატონი შაშიაშვილი თეორიულად საკმაოდ „მომწიფებულ" ნიადაგზე, პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმასა და ხმამაღალი განცხადების გაკეთებას აპირებს.

როგორც ყოველთვის, აღნიშნულ ფაქტსაც აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. განსაკუთრებული რეზონანსი ბოლო ხანს კულუარებში გამოჟონილმა ინფორმაციამ პოვა. კერძოდ, უახლოეს მომავალში შესაძლებელია ახალი პოლიტიკური სამკუთხედი შეიკრას — ვაჟა ლორთქიფანიძის, თემურ შაშიაშვილისა და ქრისტიან-დემოკრატების სახით. ამ პოლიტიკურად საკმაოდ დახვეწილ „ვერნისაჟზე" იმერეთის გუბერნატორის პოზიცია ასეთია:

— ყველას ვთხოვ, დაანებოს ჩემ მაგივრად ფიქრს თავი! ვაჟა ლორთქიფანიძესთან მხოლოდ ხუთწუთიანი შეხვედრა მქონდა და რა პარტიის შექმნაზე უნდა გვესაუბრა, არ ვიცი... ან ქრისტიან-დემოკრატები რა შუაშია?.. აგვისტოში გავიაზრებ ყველაფერს და ისეთ პოლიტიკურ გაერთიანებას შევქმნი, რომელიც სკამის პარტია არ იქნება...

რაც შეეხება კონკრეტულად ლორთქიფანიძე-შაშიაშვილის პოლიტიკურ ტანდემს, — იმერეთის გუბერნატორი ორაზროვან შეფასებას აძლევს: მართალია, ვაჟა ლორთქიფანიძე დღეს სამეცნიერო საქმიანობას ეწევა, მაგრამ ის არ არის ისეთი პოლიტიკოსი, რომ კაცმა ხელი ჰკრას! აქედან გამომდინარე, მოულოდნელი სულაც არ იქნება, თუ მომავალში პოლიტიკურ სცენას ლორთქიფანიძე-შაშიაშვილის დუეტიც შეემატება.

## ინციდენტი პანკისის ხეობაში

სააგენტო „ინტერფაქსის" ინფორმაციით, პანკისის ხეობაში უგზო-უკვლოდ დაიკარგა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო კომიტეტის ორი თანამშრომელი — იტალიელი ნატაშა ზუნინო და ფრანგი სოფია პროკოფიევა. მათთან ერთად დაკარგულია მძღოლი — თბილისელი იური დარჩიევი.

როგორც სააგენტო საქართველოს უშიშროების სამინისტროს პრესცენტრზე დაყრდნობით იუწყება, მუშავდება რამდენიმე ვერსია, თუმცა დაკარგულების მძევლად აყვანაზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

P.S. უკანასკნელ საათს მიღებული ინფორმაციით, ნაპოვნია „ტოიოტას" მარკის ავტომანქანა, რომელშიც აღმოაჩინეს დაკარგულების ხელჩანთები, პირადი ნივთებითურთ. გატაცებულთა ასავალ-დასავალი, ჯერჯერობით, უცნობია.

სამართალდამცავებს თითქმის აღარ ეპარებათ ეჭვი, რომ დაკარგულები გამოსასყიდის მიზნით არიან დაკავებულნი.

## წითელი ჯვარი კომენტარს არ აკეთებს

**(გეა)** წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი კომენტარს არ უკეთებს თავისი ორგანიზაციის 3 წარმომადგენლის პანკისის ხეობაში დაკარგვის ფაქტს. როგორც წითელი ჯვრის კომიტეტში განაცხადეს, მათ არ აქვთ რაიმე ინფორმაციის გაცემის უფლება, თუნდაც ამ ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, თუმცა მომხდართან დაკავშირებით კომიტეტი უკვე დაუკავშირდა საქართველოში ჩეჩნეთის წარმომადგენელს ხიზრი ალდამოვს.

ალდამოვის თქმით, მომხდარის შესახებ ინფორმაცია მან მხოლოდ სხვებისაგან შეიტყო და კომენტარს, ჯერჯერობით, არ აკეთებს. მომხდარზე კომენტარის გაკეთებისაგან თავს იკავებენ, აგრეთვე, კახეთის სამხარეო სამართალდამცავი უწყებების თანამშრომლებიც.

არსებული ინფორმაციით, დაკარგულებს ბოლო კავშირი ცენტრალურ ოფისთან 4 აგვისტოს საღამოს 17 საათზე ჰქონდათ, რის შემდგომაც მათ შესახებ არავითარი ინფორმაცია არ არსებობს.

## შარაძე ივანოვის წინააღმდეგ

ბატონი გურამ შარაძე ვინმე ბორია ივანოვის წინააღმდეგ აპირებს გალაშქრებას. ივანოვმა ზედაზნის მონასტრის ბერებს ტაძართან მისასვლელი გზა, ფაქტობრივად, გადაუკეტა. ივანოვს თანამოაზრეებად ჰყავს საქართველოს საპატრიარქოს მიერ სასჯელდადებული რამდენიმე სასულიერო პირი და მასთან ერთად აშენებენ გაურკვეველი დანიშნულების სექტის ჯვარს კვარცხლბეკითურთ.

უკანასკნელ საათს ცნობილი შეიქნა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა თავის მოადგილეს დაავალა ბორის ივანოვის ვინაობისა და საქართველოში დამკვიდრების მიზნის დადგენა. საქმეში ჩაერთო მცხეთა-თიანეთის სამხარეო ადმინისტრაციაც და იმედია, ბორია ივანოვს, რომელიც თავის დროზე თურმე მიხაილ გორბაჩოვთან ერთად ეწეოდა კომკავშირულ საქმიანობას(!), მალე გუდა-ნაბადს აუკრავენ და მიაბრძანებენ საქართველოს ფარგლებს მიღმა!

## „კოკა-კოლა" 140.000 დოლარს გადაიხდის

უზენაესმა სასამართლომ ჩვენთვის ჯერ კიდევ უჩვეულო ერთი განაჩენი გამოიტანა: მან კომპანია „კოკა-კოლას" 140.000 დოლარის გადახდა დააკისრა მხატვარ ლევან ცუცქირიძის სარჩელის საფუძველზე. საქმე ის არის, რომ 1997 წელს მხატვარს „კოკა-კოლას" 400 კილოგრამიანი სარეკლამო ფარი დაეცა და მეორე ჯგუფის ინვალიდად აქცია. 140 ათასდოლარიანი კომპენსაცია კი ცუცქირიძის მიერ გაფორმებული იმ კონტრაქტების ღირებულებით განისაზღვრა, რომელთა შესრულება მხატვარმა დაინვალიდების გამო ვერ შეძლო. ამის შემდეგ ეს გადაწყვეტილება „კოკა-კოლამ" გაასაჩივრა იმ მოტივით, რომ კონტრაქტები, რომელიც ცუცქირიძემ წარმოადგინა, საგანგებოდ იყო შეთხზული, რათა ფირმისთვის ეს თანხა გადაეხდევინებინათ. უზენაესმა სასამართლომ არ შეცვალა პირველი გადაწყვეტილება და „კოკა-კოლა" დაზარალებულს აღნიშნულ თანხას სექტემბერში გადაუხდის.

## „მოქალაქეები" მრეწველების ლობირებას აპირებენ

მმართველი პარტიის მოღვაწეობით უკმაყოფილო ბიზნესმენები და მეწარმეები, როგორც ჩანს, არანაირ ინტერესს აღარ ამჟღავნებენ მოქალაქეთა კავშირის ინიციატივებისადმი. ამის ნათელ დადასტურებად იქცა მოქალაქეთა კავშირის საპარლამენტო საბჭოს სხდომაზე მიწვეულ წამყვან მეწარმეთა და ბიზნესმენთა გამოუცხადებლობა. არადა, აღნიშნულმა საბჭომ საგადასახადო სტრუქტურის სრულყოფისა და ბიზნესგარემოს გაჯანსაღებისათვის გზების გამოსანახად, საქმიან წრეებთან კონსულტაციები დაიწყო. საბჭოს „მოქალაქე" წევრები უკვე იძულებულნი არიან, აღიარონ, რომ ქართველ ბიზნესმენებს აწუხებენ და „სისხლს სწოვენ" თავაშვებული ჩინოვნიკები და მოხელეები; ხოლო მიშა სააკაშვილი ამ სფეროში შექმნილ ვითარებას უწოდებს ფეოდალიზმს, სადაც ბიზნესმენები დაუცველნი არიან! თავად ბიზნესმენები კი საყვედურობენ ხელისუფლებას, რომ მათი არასწორი მოქმედებებისა და დრაკონული კანონების შედეგად, ქვეყანა დატოვა ქართველ ბიზნესმენთა საკმაოდ აქტიურმა და პერსპექტიულმა ნაწილმა, რომელსაც შეეძლო მცირე და საშუალო ბიზნესის აყვავება საქართველოში... ერთი სიტყვით, ხელისუფლება უკვე ცდილობს შეხვედრისათვის ურთიერთობის ახალი ფორმის დამკვიდრებას და სთავაზობს მათ, რომ მეორე შეხვედრისათვის ბიზნესმენებმა პარლამენტარებს საგადასახადო სისტემის გაუმჯობესების „რეალური წინადადებები" წარუდგინონ (საინტერესო ის არის, რომ ეს „რეალური წინადადებები", ანუ ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი ამას წინათ შეიტანეს პარლამენტში გოგი თოფაძემ და მისმა „მრეწველებმა", რაც უმრავლესობამ განხილვის ღირსადაც არ მიიჩნია...). საბჭოს სხდომაზე ითქვა, რომ ხელისუფლებასა და ბიზნესმენებს შორის ურთიერთობათა ამგვარი ფორმა მისასალმებელია, მაგრამ არ არის სრულყოფილი, რადგან მედიატორის სახით ამ ურთიერთობებში უნდა მონაწილეობდნენ არასამთავრობო, დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომლებიც სათანადო კონსულტაციებს გაუწევენ და რეკომენდაციებს მისცემენ მხარეებს.

როგორც „კვირის პალიტრას" განუცხადა „მოქალაქეთა" ერთ-ერთმა ლიდერმა, „საშემოდგომო სესიაზე უმრავლესობა სერიოზულად აპირებს მეწარმეთა, მრეწველთა და ბიზნესმენთათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საკითხების ლობირებას", რადგან მისივე თქმით, „არსებული საგადასახადო კოდექსი უკვე სანაგვე ყუთშია გადასაგდები..."

## „ყველაზე საშიში ინგლისელი ქალი" 100 წლისაა



დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიაში, კანადასა და ახალ ზელანდიაში მილიონობით ქვეშევრდომმა დიდი ზეიმით აღნიშნა დედა დედოფლის დაბადების 100 წლისთავი. 4 აგვისტოს ბრიტანელები ბევრ ისტორიულ ფაქტს იხსენებდნენ, რომელიც დედა დედოფლის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული. თანამემამულეები განსაკუთრებით აფასებდნენ და აფასებენ დედა დედოფლისა და მისი მეუღლის, მეფე გეორგ V-ის პატრიოტულ და ჭეშმარიტად ზნეობრივ ქმედებას მეორე მსოფლიო ომის წლებში, როცა დაბომბვებითა და სიცივით განამებულ-გათოშილ ლონდონელებს ერთხელაც არ უნახავთ ბუკინგემის სასახლის ბუხრების საკვამურებიდან ამომავალი კვამლი. დიახ, სამეფო ოჯახიც თანამემამულეების მსგავსად ითოშებოდა და ამით უმაღლეს ზნეობრივ მაგალითს აძლევდა ბრიტანელებსაც და მთელ მსოფლიოსაც (რა „მაგალითს" აძლევენ ქართველი ხელისუფალნი წყვდიადითა და სიცივით მოცულ თბილისელებს ზამთარში, ეს ჩვენ კარგად ვიცით უკვე...).

ნიშანდობლივია, რომ ადოლფ ჰიტლერი დედა დედოფალს უწოდებდა „ყველაზე საშიშ ინგლისელ ქალს". დიახ, ინგლისის მტრებისთვის მართლაც საშიშ დედა დედოფალს თანამემამულეებმა ბრწყინვალე დაბადების დღე გადაუხადეს და კიდევ ერთხელ უჩვენეს მსოფლიოს, რომ „ბრიტანელები ყველა საქმეში ბრიტანელებად რჩებიან!"

## პეტერბურგში აფხაზურად იცეკვებენ

**(გეა)** სანქტ-პეტერბურგში აფხაზურ საზოგადოება „აფსნისთან" ჩამოყალიბდა აფხაზური და კავკასიური ცეკვების სტუდია. ცეკვების შესწავლის სურვილი უკვე ოცდაათმა ადამიანმა გამოთქვა. სტუდიის დირექტორის, აფხაზი ქორეოგრაფის ლევან ქეცბაიას თქმით, ინტენსიური რეპეტიციები სექტემბერში დაიწყება.

სტუდიის შექმნის ინიციატივას დიდი მხარდაჭერა ჰქონდა აფხაზეთის თვითმარქვია რესპუბლიკის წარმომადგენლისაგან სანქტ-პეტერბურგში არტურ ეიფენჯიანისა და „აფსნის" თავმჯდომარისაგან რაუფ აიბგასაგან.

რუსეთის მეორე ქალაქში ამ დღეებში აფხაზური კულტურის სხვა დარგსაც დაეთმო ყურადღება — კინოთეატრ „ნევაში" აჩვენეს აფხაზურ კინოსტუდია „აბხაზფილმში" გადაღებული აფხაზი რეჟისორის მ. მარხოლაიას ფილმი „მოწმე".

## პრიმორიეს წყლით დაფარვა ემუქრება

**(რუსული პრესის მიხედვით)** პრიმორიეს მხარის 15 რაიონში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, რომელიც ტაიფუნ „ბოლავენმა" გამოიწვია. დატბორვის ზონაში მოექცა ქალაქები ვლადივოსტოკი, უსურიისკი, არტემი, პარტიზანსკი. დატბორილია 3000-ზე მეტი სახლი, დაზიანდა 600 კმ-მდე გზა და 92 ხიდი, წყლის ქვეშ აღმოჩნდა მხარის 40.000 ჰა-ზე მეტი ტერიტორია. ზარალმა უკვე 102 მლნ რუბლს მიაღწია. არის ადამიანთა მსხვერპლიც. მიუხედავად იმისა, რომ წვიმა ჯერ კიდევ გასული კვირის ორშაბათს შეწყდა, წყლის დონე მაინც მატულობს — 4 მეტრიან ნიშნულს ასცდა. დატბორვის ზონა თანდათან ჩრდილოეთისაკენ მიიწევს. შეიქმნა ვლადივოსტოკ-ხაბაროვსკის ფედერალური ტრასის დატბორვის რეალური საფრთხე. დაზარალებულ რეგიონებში მუშაობენ საჰაერო მაშველები.

ექსპერტების აზრით, წყალმოვარდნის პიკი ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

## სადამ ჰუსეინი ქვეყნის მტრებს ანადგურებს

როგორც ერაყის ოპოზიციური კომპარტიის პრესცენტრი ამტკიცებს, ივლისის შუა რიცხვებში სადამ ჰუსეინის ბრძანებით, ბაღდადში კომპიუტერის 7 მაღალკვალიფიციური სპეციალისტი სიკვდილით დასაჯეს, მათ შორის იყო მთავრობის კომპიუტერული დეპარტამენტის დირექტორი. როგორც იტყობინებიან, მათი დასჯის მიზეზი გახდა საზღვარგარეთ შეძენილ აპარატურაში სპეციალური გადამცემების აღმოჩენა. ერაყელმა ძალოვნებმა, ცხადია, ბრალდებულებს მაშინვე აშშ-ის აგენტობაში დასდეს ბრალი.

## ექსპერტები კატასტროფის მიზეზს იკვლევენ

პარიზის შარლ დე გოლის სახელობის აეროპორტის ასაფრენ ბილიკზე, რომლიდანაც აფრინდა და კატასტროფა განიცადა ავიაკომპანია „ეარ ფრანსის" კუთვნილმა „კონკორდმა", ექსპერტებმა ლითონის თხელი ფირფიტა აღმოაჩინეს. კატასტროფის მიზეზების დამდგენი საგანგებო კომისიის წარმომადგენელთა მტკიცებით, ნაპოვნი ფირფიტა ჩამოვარდნილი „კონკორდის" ნაწილი არ არის და როგორც ჩანს, სწორედ ის იქცა თვითმფრინავის ბორბლის გასკდომის მიზეზად...

ექსპერტთა ვარაუდით, თვითმფრინავში ხანძრის გაჩენა ძრავის გაუმართაობასთან არ ყოფილა დაკავშირებული, მაგრამ ექსპერტები, ჯერჯერობით, მაინც არ ამბობენ, სინამდვილეში რამ გამოიწვია „კონკორდის" კატასტროფა, რამაც 113 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

## მინისტრს კონფლიქტის მოგვარების იმედი აქვს

აგვისტოში ერთმანეთს შეხვდებიან სომხეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები. სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ვართან ოსკანიანის განცხადებით, მას იმედი აქვს, რომ ალიევ-ქოჩარიანის მოლაპარაკება ხელს შეუწყობს მთიანი ყარაბაღის დაკონსერვებული კონფლიქტის მოგვარებას, თუმცა სომეხმა მინისტრმა იქვე დასძინა, რომ არც ის იქნება სწორი, მომავალი მოლაპარაკებისაგან რაიმე მნიშვნელოვან გარდატეხას ველოდოთო(!).

რობერტ ქოჩარიანისა და ჰეიდარ ალიევის შეხვედრა 19 აგვისტოს იალტაში უნდა გაიმართოს და მოელიან, რომ იქ აქტიურად იმუშავებენ რუსეთისა და ეუთოს წარმომადგენლებიც.

## ოპოზიციონერები ბოიკოტით იმუქრებიან

ამასობაში კი აზერბაიჯანში წამყვანი ოპოზიციური პარტიები აპირებენ გაერთიანებასა და მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში საერთო სიით გასვლას. ამასთანავე, აზერბაიჯანის სახალხო ფრონტისა და პარტია „მუსავატის" ლიდერებმა მუქარა შეუთვალეს ალიევის ხელისუფლებას, რომ თუ საარჩევნო კანონში ცვლილებებს არ შეიტანენ, ისინი ბოიკოტს გამოუცხადებენ ნოემბრისთვის დანიშნულ არჩევნებს. ამ მოთხოვნებით ოპოზიცია პერმანენტულ მრავალათასიან მიტინგებს გამართავს ბაქოსა და სუმგაითში.

„საკმარისია თვალი გადავავლოთ სიცილიის ისტორიას, რომ დავინახოთ — მაფიამ აყვავება დაიწყო მას შემდეგ, რაც ფეოდალიზმი დაიმსხვრა. ვიღაცას ხომ უნდა შეევსო ძალაუფლების ვაკუუმი, უნდა გადაეწყვიტა ქონების გაყოფასთან დაკავშირებული ესა თუ ის დავა. კრიმინალურმა ბანდებმა თანდათან დაიწყეს მნიშვნელოვანი როლის შესრულება და ბოლოს გადაიქცნენ „ჩრდილოვან“ მთავრობად... ამგვარი მოდელი ამჟამად მეორდება ყოფილ საბჭოთა სივრცეში, სადაც ადგილობრივი მაფია იმდენად მომძლავრდა, რომ ბევრის აზრით, ამ ქვეყნებში მმართველ კლასად იქცა. შედეგიც ლოგიკურია: მკვლელობები, ტერაქტები, კორუფცია! ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან საქართველოს ყველაზე სუსტი ეკონომიკა აქვს. რა შეიძლება იყოს ამაზე უარესი? მაფიისთვის საქართველოზე კონტროლის დაწესება მეტად ხელსაყრელი იქნება, რადგან ამ ქვეყნის ვრცელი ზღვის სანაპირო და თურქეთთან სახმელეთო საზღვარი კონტრაბანდისტებს მნიშვნელოვნად უადვილებს საქმეს, მაგრამ საზოგადოება, რომელსაც კანონიერების დამყარება შეეძლება, საფრთხეს შეუქმნის მაფიას, რომელსაც ყოველგვარ კრიმინალურ საქმიანობაში ურევია ხელი — ნარკობიზნესით დაწყებული და სახელმწიფო გადასახადებთან დაკავშირებული მაქინაციებით დამთავრებული...“

ეს წერილი ამერიკულმა გაზეთმა „ბალტიმორ სანმა“ ამ ორი წლის წინ გამოაქვეყნა. იგი საქართველოსა და პრეზიდენტ შევარდნაძის კეთილგანწყობითაა გამსჭვალული... მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტია, რომ ამ პერიოდში არათუ რაიმე შეიცვალა სასიკეთოდ, არამედ ქვეყანა უფსკრულის ზღვარს მიუახლოვდა. გაჩნდა ყველა წინაპირობა მაფიის ჩამოსაყალიბებლად. ამიტომ, უპრიანია ამ თემაზე კონტროლის პალატის თავმჯდომარის **სულხან მოლაშვილის** შეფასებების გაცნობა.

— უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციები საქართველოს შესახებ ბოლო წლების მანძილზე გახლდათ უაღრესად კეთილგანწყობილი, მაგრამ, არსებულმა კორუფციულმა სამართალდარღვევებმა და ჩვენი სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოების ინერტულობამ, ბუნებრივია, უარყოფითი რეზონანსი გამოიწვია დასავლეთში... მაგრამ კორუფციასთან ბრძოლასაც აქვს თავისი დრო, ეტაპები და მნიშვნელობა! 20-30-იანი წლების ამერიკის სასამართლო სისტემა მთლიანად კორუმპირებული იყო და ამას აღიარებენ ამერიკელი ექსპერტები. იგივე ხდებოდა საბერძნეთში, იტალიაში, სხვა ქვეყნებში... იქიდან მოყოლებული დღემდე არც ერთ ქვეყანას არ ამოუწურავს შესაძლებლობები კორუფციასთან ბრძოლაში და ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს. დღეს საქართველოში დადგა დრო, როდესაც განწყობა ამ მხრივ უნდა იყოს ოპტიმისტური, რადგან დაიწყო რეალური პროცესი კორუფციასთან გლობალური ბრძოლისა! ეს არ არის „ლამაზი სიტყვები“. საქართველოში მაფიოზურ კლანებს მოესპობათ არსებობის საშუალება!

***— დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ჩვენში მაფია (მისი კლასიკური გაგებით) არ ჩამოყალიბდება?***

— დიახ. თუმცა ცალკეული ლოკალური მაფიოზური ჯგუფები დღესაც ბოგინობენ და ალბათ, მომავალშიც იქნებიან. თუ კორუფციის პრობლემა მთლიანობაში არ გაანალიზდება, ანუ თუ არ დავადგენთ: როგორია კორუფციის წარმოშობის წყაროები, მიზეზები, როგორია მისი ნიშან-თვისებები, როგორ იმოქმედა სამოქალაქო დაპირისპირებამ და ომმა კორუფციის მასშტაბებზე და რა უნდა გაკეთდეს ამ სავალალო შედეგების აღმოსაფხვრელად, არაფერი გამოვა. რაც მთავარია, საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ უნდა ირწმუნოს, რომ ეს პროცესი შეუქცევადი იქნება. ჩვენთან ტრადიციების, ეთნოფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით გაძნელდა და გაჭიანურდა კორუფციასთან ბრძოლა, რასაც ხელი შეუწყო ჩვენდამი არაკეთილმოსურნე შინა და გარეშე ძალების მიერ პროვოცირებულმა კონფლიქტებმა და უამრავმა სხვა ფაქტორმა. ეს კიდევ ერთხელ მარწმუნებს, რომ მანკიერების, გნებავთ, კორუფციის სათავე ადამიანებში კი არ უნდა ვეძებოთ და კონკრეტულ სამართალდარღვევებში (თუმცა, მათზე რეაგირებაც აუცილებელია), არამედ იმ პრობლემებში, რომელიც განაპირობებს კიდეც კორუფციის არსებობას.

*— ფაქტია, რომ კორუფციას ხელისუფლების მაღალ ეშელონებში აქვს ფესვი გამჯდარი, რომლის ამოძირკვაც არცთუ იოლი საქმე იქნება...*

— დიახ, კორუფციის კვალი მიდის ხელისუფლების საკმაოდ მაღალ ეშელონებში. საქართველოში საინტერესო „მოდელია“ კორუფციისა: ძალიან ბევრი პირველი პირი, მინისტრები, დეპარტამენტების თავმჯდომარეები პატიოსანი ადამიანები არიან, თუმცა, თვითონ სისტემაშია მართვის პრობლემები და ჩვენი ჯგუფიც ცდილობს, პროგრამაში ჩადოს მართვის ოპტიმიზაციის საკითხები. პრეზიდენტმა კონტროლის პალატას დაავალა, შეგვემუშავებინა მაკოტროლებელი ორგანოების რაოდენობის საკითხები. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოში ასზე მეტი მაკონტროლებელი ორგანოა(!). მაგალითად, გაირკვა, რომ ამას წინათ, თელავის ერთ-ერთ საწარმოს ერთდროულად ამოწმებდა... 34 მაკონტროლებელი ორგანო(!): შინაგან საქმეთა სამინისტრო, უშიშროება, კონტროლის პალატა, პროკურატურა, ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური, საგადასახადო და ა.შ. თქვენ წარმოგიდგენიათ, რა სიმძლავრის საწარმო უნდა იყოს, რომ ერთდროულად 34 ორგანოს შემოწმებას გაუძლოს?! ამიტომ, საგადასახადოს ის ინსპექტორი, ან კონტროლის პალატის მუშაკი, თუ სხვა ორგანოს შემმოწმებელი კი არ არის დამნაშავე, რომელიც რაღაც გარიგებაზე მიდის საწარმოს ხელმძღვანელთან, არამედ გადასასინჯია საკითხი, თუ რამდენად მართლზომიერია ამდენი მაკონტროლებელი ორგანოს არსებობა. აქედან გამომდინარე, ვიმეორებ, მთლიანობაში უნდა გავიაზროთ კორუფციის პრობლემა! ეს ეხება ყველაფერს — უცხოურ კრედიტებს, სამართალდამცავ ორგანოებს, მართვის ოპტიმიზაციას, მაკონტროლებელ ორგანოებს, საგადასახადო და სამეწარმეო კანონმდებლობას, მთლიანად ანტიკორუფციულ კანონმდებლობას, თორემ მხოლოდ ცალკეული ფაქტების გამოვლენა და მის ირგვლივ აჟიოტაჟის შექმნა, რაც ასე უყვარს ჩვენს მასმედიას და საზოგადოებასაც, კორუფციას ვერ აღმოფხვრის...

*— ცნობილია, თუ რა ფანტასტიკური მასშტაბისა და რაოდენობის კრედიტები, გრანტები, ტექნიკური და ფინანსური დახმარებები მიიღო საქართველომ 1993-2000 წლებში. ისიც ცნობილია, თუ როგორ და ვის მიერ იქნა „ათვისებული“ ასეულ მილიონობით დოლარი... ამ ფონზე, დამეთანხმებით, მარაზმად მოსჩანს საინგილოს ქართული თეატრის ხელმძღვანელის ანზორ დოლენჯაშვილის 3 წლით ციხეში ჩასმა (იხ. გვ. 12), რომელმაც, კი ბატონო, აღიარა თეატრისთვის გამოყოფილი თანხის არამიზნობრივად ხარჯვა (ამ ფულით დედა დაასაფლავა), მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რა რაოდენობის თანხები, კრედიტები და გრანტებია შეჭმული იგივე ენერგეტიკასა და სხვა სფეროებში, აქ კომენტარის გაკეთება ძალიან გაჭირდება...*

— მე სასამართლოს გადაწყვეტილების შეფასების უფლება არა მაქვს, მაგრამ მიმაჩნია, რომ საქართველოში იმდენ და გაცილებით მძიმე დანაშაულობების შემთხვევაშია გამოყენებული თავდებობა, რომ ჩემი ღრმა რწმენით, ეს კაცი არ უნდა იყოს ციხეში მისი დამსახურებების

# საქართველოში იმდენი კრედიტი და გრანტია შეჭმული, რომ თითოეულ ოჯახს 50 ათასი დოლარი უნდა ერგებოდა



გათვალისწინებით. რადგან საქმე ეხება 3.500 ლარის ზარალს, რომლითაც კაცმა დედა დაასაფლავა, მიმაჩნია, რომ სხვანაირად უნდა შეფასდეს... შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსში პირდაპირ წერია, რომ თუ კაცმა უკიდურესი გაჭირვების გამო ჩაიდინა დანაშაული და არა სიზარმაცის, მუქთახორობის გამო, ის უნდა გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან. აქ ლაპარაკია ქონებრივ დანაშაულზე: როდესაც კაცს უნდა შრომა, ითხოვს სამუშაოს, მაგრამ არ ეძლევა ამის საშუალება და იპარავს, ის უნდა გათავისუფლდეს. ჩვენთან, ქუჩაში, ბაზრობაზე მდგომი სიგარეტისა და ფუნთუშის გამყიდველი არჩენს ოჯახს, ეძებს ლუკმაპურს და მათთან სამართლებრივი თუ ფიზიკური ანგარიშსწორება არ არის სწორი. ყველაზე დიდი უბედურება კონტრაბანდა და მათი მფარველებია და უწინარესად, მათ წინააღმდეგაა ბრძოლა საჭირო... ამ გაწამებულ ხალხს კი დაეხმარები იმით, რომ კონტრაბანდის აღკვეთით კუთვნილ პენსიას და ხელფასს მისცემ, შეუქმნი ღირსეულ სამუშაო ადგილს და პირობებს.. რაც შეეხება კრედიტებს, პირდაპირ ვიტყვი: კრედიტებისა და გრანტების განიავება-გაფლანგვა გახლავთ ყველაზე მძიმე დანაშაული, რაც კი საქართველოს წინააღმდეგ ადამიანმა შეიძლება მოიგონოს და ჩაიდინოს! არ ვიცი ზუსტი ციფრი იმ უზარმაზარი თანხისა, რაც საქართველომ მიიღო, მაგრამ ერთ-ერთმა უცხოელმა ექსპერტმა, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა ეს თემა, მითხრა, რომ თუნდაც ერთ სფეროში, ვთქვათ, ენერგეტიკისთვის მიღებული კრედიტები და გრანტები რომ გადანაწილებულიყო საქართველოს მთელ მოსახლეობაზე, გაცილებით უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა ქვეყანაში. მეტიც, ყველასთვის ცნობილია და კონტროლის პალატის დასკვნაშიც ნათქვამია, რომ 120 მილიონი დოლარის დახმარება აქვს მიღებული ენერგეტიკის სისტემას. ახლა წარმოვიდგინოთ, 120 მილიონის ტოლფასი დახმარების გადანაწილება საქართველოს თითოეულ ოჯახზე, დავუმატოთ მას სხვა დარგებსა და სფეროებში მიღებული გრანტები და კრედიტები, საქართველოს თითოეული ოჯახი, უხეში გაანგარიშებით, მიიღებდა... 50 ათასი დოლარის ოდენობის დახმარებას!!! წარმოგიდგენიათ, რამდენი პრობლემა მოეხსნებოდა ჩვენს გაწამებულ მოსახლეობას, მეტიც, ყველა შეძლებდა რაღაც საქმის, მცირე ბიზნესის დაწყებას და დღეს სულ სხვა ვითარება იქნებოდა ქვეყანაში.

*— თქვენ მიერ სწორედ ამ კრედიტების არამიზნობრივ ხარჯვაში მხილებული ათი „ენერგომამის“ დასახელებას სკანდალი მოჰყვა. მართალია, გენპროკურორმა თავდაპირველად განაცხადა, რომ მას სათანადო მტკიცებულებები არ მოეპოვება ამ პირთა მიმართ, მაგრამ, იმავდროულად მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა, როცა კონტროლის პალატის მიერ დამნაშავე თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხის დასმას უკვე მოჰყვა კონკრეტული შედეგი.*

*გასაგებია, რომ ენერგეტიკაში შექმნილ ვითარებაში პასუხისმგებელ პირთა მიმართ და საერთოდ, კორუფციაში გარეულ ჩინოვნიკთა წინააღმდეგ ბრძოლის დაწყების ინიციატორი პრეზიდენტია, მაგრამ, ბატონო სულხან, ისიც ფაქტია, რომ ჩვენი საზოგადოების ნაწილმა თქვენ მიერ წარმოთქმული შეფასება ამ პირთა მიმართ, ვგულისხმობ სიტყვა „გარეწრებს“, მიიჩნია ასევე პრეზიდენტის ინიციატივად, რომელიც თქვენ გაახმოვანეთ...*

— პრეზიდენტს ჩემთვის მსგავსი არაფერი უთქვამს. სხვათა შორის, ეს ფრაზა ბევრმა სხვანაირად გაიგო. რამდენჯერმე დავატრიალე ჩემი გამოსვლის ჩანაწერი და ვნახე, რომ იქ დაახლოებით ასეთ ფრაზას ვამბობ: „ამ ხალხმა, სხვებმა და ასეთმა გარეწრებმა შექმნეს ასეთი პირობები...“ ანუ, კონკრეტულად ის ენერგეტიკოსები არ დამისახელებია. ეს ფრაზა მთლიანობაში სხვა კონტექსტშია ნათქვამი და არა კონკრეტული პირების მიმართ... საერთოდ, შეიძლება შეცდომაც იყო ამის თქმა, შეიძლება არა, მაგრამ თუ გაითვალისწინებთ ენერგეტიკაში შექმნილ მდგომარეობას, აქედან გამომდინარე, დააბრალეთ გნებავთ ჩემს კახურ პირდაპირობას, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ — სწორად ვთქვი, მით უმეტეს, რომ ნათქვამის უკან კონკრეტული მტკიცებულებები იყო... შემდეგ მოხდა ის, რომ დაიწყეს ქილიკი: რომ ეს არის ძველი საქმეები, რომ ისინი მაინც არ წავლენ თანამდებობებიდან, რომ მე პოპულიზმისთვის გავაკეთე ეს განცხადება და ა.შ. მსგავსი განცხადებები გაისმოდა სხვადასხვა დონეზე და ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირისგანაც. ზოგიერთი მათგანი პირდაპირ მოუწოდებდა ენერგეტიკის მინისტრს: „დათო, არ გადააყენო ისინი თანამდებობებიდან, ყურს ნუ უგდებ კონტროლის პალატის თავმჯდომარის ამ ინიციატივას“ და ა.შ. მაგრამ, მათგან განსხვავებით, ძალიან ბევრი დაგვიდგა მხარში, პრესამაც ძლიერი თანადგომა გაგვიწია და ოპტიმისტურად ვართ განწყობილნი. მჯერა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა...

*— და ხომ არ აღმოჩნდება კონტროლის პალატა ამ პროცესში მარტო? მე აქ კვლავ მინდა დავუბრუნდე თქვენსა და გენერალურ პროკურორს შორის მომხდარ დაპირისპირებას...*

— გულწრფელად გეტყვით და მინდა მკაფიოდ გაიჟღეროს, რომ ეს იყო თანამოაზრეთა შორის წარმოქმნილი აზრთა სხვადასხვაობა რამდენიმე კონკრეტულ საკითხზე, მაგრამ ამანაც გარკვეული შედეგი გამოიღო იმ თვალსაზრისით, რომ პროკურატურამ განაახლა რამდენიმე საქმის წარმოება. შექმნილია ერთობლივი ჯგუფი, რომელიც გაძლიერდება უცხოელი ენერგოსფეროს ექსპერტებით და რომლებსაც მოიწვევს ბატონი ანზორ ბალუაშვილი. ვფიქრობ, უცხოელები დაადასტურებენ ქართველი ექსპერტების დასკვნების მართლზომიერებასა და სამართლიანობას! თანამშრომლობის პერსპექტივები სახეზე გვაქვს უკვე, კონტროლის პალატას მხარში უდგას უშიშროებაც, შინაგან საქმეთა სამინისტროც, მაგრამ თუკი ამ მხრივ კონტროლის პალატის მუშაობას პრობლემები შეექმნება, ჩვენ დავაყენებთ პრეზიდენტთან შესაბამის საკითხს, თუმცა არა მგონია საქმე აქამდე მივიდეს...

*— მაგრამ ფაქტია, რომ თუკი კორუფციაზე გვაქვს საუბარი, საყოველთაო აზრით, სწორედ ეს ძალოვანი სტრუქტურები არიან ყველაზე კორუმპირებულნი და თავიდათავი კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისა...*

— მოსამართლეთა გამოცდებისას მე იუსტიციის საბჭოში ვმუშაობდი, პოლიციის ერთ-ერთ თანამშრომელს, რომელიც მოსამართლედ უნდა დანიშნულიყო, შევეკითხე, — თქვენი აზრით, სად უფრო ფესვგამდგარია კორუფცია-მეთქი? კარგი პასუხი გამცა: იქ, სადაც ყველაზე მეტად უწევთ ბრძოლა კორუფციასთანო! არ მინდა ამით ვინმეს ნამუსი მოვწმინდო, მაგრამ, ბუნებრივია, ყველაზე ნაკლებად ეს შეეხება მუსიკის მასწავლებელს, პედაგოგს, მეცნიერს და ა.შ. ამიტომ, ყველა ის უწყება, ვინც სახელისუფლებო ბერკეტითაა აღჭურვილი, ბუნებრივია, მეტ-ნაკლებად კორუმპირებულია... სხვა საკითხია, თუ როგორ მოვაწყობთ მაკონტროლებელ ორგანოთა სისტემას, რაც მინიმუმამდე დაიყვანს კორუფციაში მათ მონაწილეობას...

*— მაგრამ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც ვერ გავამტყუნებთ, მოითხოვს ერთგვარ დაკმაყოფილებას, ანუ კორუმპირებულ პირთა დასჯას, გნებავთ, გარკვეულ რეპრესიებს და დამეთანხმებით როგორც იურისტი, რომ ამან შეიძლება სხვა უკიდურესობაში გადაგვჩეხოს. ამ მხრივ, სად ხედავთ გამოსავალს?*

— მე მჯერა ჩვენი მოსახლეობის სულგრძელობისა. ცივილიზებული სამყარო სცნობს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა კეთილსინდისიერების პრეზუმფცია, რასაც, როგორც იურისტი, უპირობოდ ვაღიარებ, ვიდრე საპირისპირო არ დამტკიცდება კანონით გათვალისწინებული წესით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანა შეიძლება გადაიჩეხოს მეორე უკიდურესობაში: სამართლებრივი იდეებისთვის, ცნობილია, რომ კოცონზე წვავდნენ ადამიანებს, ინკვიზიციის პერიოდში ხდებოდა ამაზრზენი დანაშაულობები ღმერთის სახელით, ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ კანონით დადგენილ ფარგლებში უნდა იყოს გათვალისწინებული დანაშაულზე რეაგირება. მაგრამ, ამასთან, უნდა დავამკვიდროთ არა კანონის უზენაესობა, რადგან თავად კანონიც შეიძლება იყოს უსამართლო, ჰიტლერისა და სტალინის რეჟიმების პერიოდის მსგავსად, არამედ უნდა დავამკვიდროთ სამართლის უზენაესობა, რაც სრულიად განსხვავებული ფენომენია!

*— და მაინც, მოსახლეობას, ქვეყანას უნდა დაუბრუნდეს კუთვნილი თანხა. „კვირის პალიტრის“ წინა ნომერში ბატონმა გია არსენიშვილმა ბრძანა, რომ მარტო ე.წ. სპირტის საქმიდან უკვე ამოღებულია მილიონ ექვსასი ათასი ლარი და კიდევ ამოვიღებთო... კონტროლის პალატის მონაცემებით, რამდენი აქვს დაკარგული სახელმწიფოს ამ პერიოდისთვის?*

— ბატონ რეზო შავიშვილის დამსახურებაა, რომ 1999 წელს ბიუჯეტის სასარგებლოდ სხვადასხვა ორგანიზაციას დაერიცხა 26 მილიონი ლარი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ამოღებული და ამ მხრივ ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობას. აქვე ვიტყვი, რომ რაც უფრო კარგად დაფინანსდება კონტროლის პალატა, მით უფრო ბევრ ფულს ამოვიღებთ სახელმწიფოს სასარგებლოდ. ამით მოიგებს ბიუჯეტი. ახლახან, პრეზიდენტთან გამართულ თათბირზე დასახელდა ციფრი, რომ ბიუჯეტის მიღმა ბოლო ერთი წლის მანძილზე წასულია მილიარდნახევარი ლარი. შეიძლება ეს ფული ვეღარ დავიბრუნოთ, მაგრამ ამთავითვე უნდა მოიძებნოს რეზერვი, რათა მომავალი ბიუჯეტების შედგენისას ამ რაოდენობის ფულის ამოღების წყარო, მექანიზმი იქნეს მოძიებული და დამკვიდრებული...

*— მართალია, პარლამენტმა დაუჭირა მხარი თქვენს კანდიდატურას ამ პოსტზე, მაგრამ ერთია მხარდაჭერა და მეორე ის, თუ რამდენად შეგიწყობთ ხელს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, მით უმეტეს, რომ ბევრი შავი საქმის, თუ ჩრდილოვანი ეკონომიკის „კრიშა“ სწორედ იქ ზის...*

— ვერც ერთი პარლამენტარის „კრიშობა“, თუ სხვა სახის მფარველობა და ძალისხმევა, ვერ შეგვიშლის ხელს და ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევაში ადეკვატური რეაქცია გვექნება, რადგან ჩვენ არაფრით არა ვართ შეზღუდულნი ამ შემთხვევაში და სრული კარტ-ბლანში გვაქვს ასეთ საქმეებზე მუშაობისთვის. კონკრეტულ საკითხებზე შესაბამისი შემოწმებების შემდეგ ვისაუბრებთ, წინასწარ კი გეტყვით, რომ არანაირი მორიდება და შიში ჩვენის მხრივ არ იქნება! ამასთან, ჩვენ ვამოწმებთ თვითონ პარლამენტის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას და ყოველ კონკრეტულ ფაქტზე ვიმსჯელებთ. აქ განსაკუთრებით საინტერესოა პარლამენტის აპარატის საქმიანობის შემოწმება უკვე საკმაოდ სკანდალური ხმები ვრცელდება ამ მხრივ. ალბათ, კონტროლის პალატას აქვს გარკვეული დოკუმენტაცია...

*— ბატონო სულხან, ამ პოსტზე ყოფნის მანძილზე, ალბათ, მომხრეებთან ერთად ბევრი მტერიც შეიძინეთ. კორუფციასთან რეალური ბრძოლის დაწყების შემთხვევაში არაკეთილმოსურნეებიც, ბუნებრივია, მოგიმრავლდებიან... თუ იყო რაიმე მუქარა, ზეწოლა თქვენი მისამართით ამ პერიოდში?*

— რა თქმა უნდა, მაგრამ მე მაინც თავს შევიკავებ და არ ჩამოვთვლი იმათ, ვინც ერთგვარად შეეცადა ჩემზე რაღაც ზეწოლის მოხდენას. მე მხოლოდ დავადასტურებ, რომ რამდენიმე ასეთი ფაქტი იყო, მაგრამ სერიოზულად არ აღმიქვია. თუ კაცს სათქმელი აქვს, მოვიდეს და პირდაპირ დამელაპარაკოს... იყო მცდელობა, მაგრამ რეაგირება არ მომიხდენია. ეს არის შესაბამისი სამსახურების საქმე და თუ რაიმე რეალური საფრთხე იქნება, ჯერ ერთი, მარტო მე ვეყოფი ერთ-ორ კაცს და მეორეც, არის სტრუქტურები, რომლებიც დამეხმარებიან... მაგრამ ეს უფრო გაბრაზებული და შეიძლება დამფრთხალი ადამიანების გამოხდომა იყო.

*— კონფიდენციალური ინფორმაციით ჩემთვის ცნობილი გახდა და არ ვიცი, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს, რომ პრეზიდენტი სულხან მოლაშვილს გენერალური პროკურორის სავარძლისთვის ამზადებსო...*

— პირველად მესმის... პრეზიდენტმა იმდენად დიდი ნდობა გამომიცხადა, როცა ამ პოსტზე წარმადგინა, რომ, ვფიქრობ, ეს არაფრით ჩამოუვარდება გენპროკურორისა და სხვა სფეროების ხელმძღვანელ თანამდებობებს...

*— თქვენ სახელისუფლებო ასპარეზზე საკმაოდ ხმაურით შემოხვედით ამ სიტყვის კარგი გაგებით და დღეს როგორ აჯამებთ, რა გექნებათ სათქმელი საზოგადოებისთვის, ვთქვათ, ერთი წლის შემდეგ როგორც კონტროლის პალატის თავმჯდომარეს...*

— ერთი წელი გავა, თუ ცხრა თვე, მინდა ვიყო პირნათელი საკუთარი თავის, ოჯახისა და ქვეყნის წინაშე და რაც შეიძლება მეტი კონკრეტული სასიკეთო საქმე მქონდეს გაკეთებული... ძალიან მინდა, რომ კონტროლის პალატას ეღირსოს საკუთარი შენობა, უკვე გამოჩნდა ამ მხრივ პერსპექტივა და მეც და ჩემი უწყების 400-ვე თანამშრომელი მზად ვართ, გადავიცვათ სამუშაო კომბინიზონები და თითო აგური დავდოთ მის ასაშენებლად.

მთავარია, ჩვენმა საზოგადოებამ უნდა დაძლიოს ნიჰილიზმი, რომ აი, მაინც არაფერი გამოვა და არაფერი ეშველება ამ ქვეყანასო. ერთი მხრივ გასაგებია ასეთი განწყობა, რადგან ადამიანი, რომელიც პენსიას და ხელფასს ვერ იღებს, შეუძლებელია გულგრილი იყოს მეზობლისადმი, რომელიც სასახლეს, ან რესტორანს აშენებს, შესაბამისად მთელი ხელისუფლებისადმი, მაგრამ საქართველო უკვე სახელმწიფოა. აგერ რუსეთის ჯარები რეალურად ტოვებენ ჩვენს ქვეყანას, დასავლეთის უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში იზრდებიან მომავალი ქართველი ოფიცრები და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს უდიდეს ინტელექტუალურ და სამეწარმეო პოტენციალს მალე მიეცემა გასაქანი ქვეყნის საკეთილდღეოდ...

**ზურაბ მჭედლიშვილი**

# წმ. პანტელეიმონის ხსენების დღე



სამედიცინო დაწესებულებებსა და უძლურ ავადმყოფებთან ხშირად იხილავთ ერთსა და იმავე ხატს, რომელიც ექიმთა და სნეულთა შემწეა. ეს არის წმინდა მკურნალის და ყოველთა მოწყალის წმ. პანტელეიმონის ხატი. წმ. პანტელეიმონი ნიკომიდიის ერთ-ერთ მდიდარ და წარჩინებულ ოჯახში დაიბადა. მამა წარმართი ჰყავდა, დედა ქრისტიანი, მაგრამ იგი მალე გარდაიცვალა და მამა შვილს წარმართული კერპებისადმი სიყვარულით ზრდიდა. როცა წამოიზარდა, სამკურნალო მეცნიერების შესასწავლად სასახლის კარის ექიმს მიაბარეს. იგი იმდენად მოეწონა იმპერატორ მაქსიმიანეს, რომ გადაწყვიტა პირად ექიმად დაედგინა. სასწავლებელში მიმავალ პანტელეიმონს გზაზე ხვდებოდა ერთი პატარა სახლი, რომელშიც ქრისტიანი ხუცები ცხოვრობდნენ. ერთმა მათგანმა იგრძნო, რომ ჭაბუკი ღვთის რჩეული ჭურჭელი გახდებოდა. მან შეაჩერა იგი და ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე ესაუბრა. პანტელეიმონი ხუცესს ყოველდღე აკითხავდა და შინ სიხარულით აღსავსე ბრუნდებოდა.

ერთ დღეს პანტელეიმონი წააწყდა მკვდარ ბავშვს, რომელიც ასპიტს დაეგესლა და თვითონაც იქვე გაწოლილიყო. თავდაპირველად ჭაბუკი შეძრწუნდა, მაგრამ გონს რომ მოეგო, ლოცვით იესო ქრისტეს მიმართა და ყრმის განკურნება სთხოვა. ყრმა თითქოს ძილისაგან გამოფხიზლდა, ფეხზე წამოდგა, გველი კი გასკდა და მოკვდა. მაშინ პანტელეიმონი ხუცესთან გაიქცა და მონათვლა სთხოვა. ამის შემდეგ მადლმოსილი სიტყვებით მამაც მოაქცია და მონათლა. პანტელეიმონი ხშირად დადიოდა საპყრობილეებში, პატიმრებს ანუგეშებდა, სნეულებს კი თავად ემსახურებოდა. ქალაქის მოსახლეობა სამკურნალოდ პანტელეიმონს აკითხავდა. ამ ამბავმა ექიმებში შური გააღვივა და იმპერატორთან აბეზღეს — ქრისტიანიაო. მაქსიმიანემ პანტელეიმონი დაიბარა და უბრძანა ცილისწამება უარეყო, მაგრამ მან დაადასტურა თავისი ქრისტიანობა. იმპერატორმა აწამა, მაგრამ პანტელეიმონს აზრი ვერ შეაცვლევინა. განრისხებულმა მაქსიმიანემ მისი მოკვლა ბრძანა. ჯალათებმა ნეტარი ქალაქიდან გაიყვანეს და ზეთისხილის ხეებქვეშ დააყენეს. ერთმა მხედარმა მახვილი ჩასცა ყელის სათნომყოფელს, მაგრამ მახვილი იარაღი ცვილივით გაილუნა, წმინდანს კი არაფერი დაშავებია. სასწაულით შეძრულმა მეომრებმა ირწმუნეს ქრისტე, მარტვილს სთხოვეს, მათთვის უფლისგან ცოდვათა მიტევება გამოეთხოვა და უარი განაცხადეს სასჯელის აღსრულებაზე. წმინდანმა კი უთხრა: „უკეთუ თქვენ არა ჰყოთ ესა, არა გაქუს ჩემთან ნაწილი". მაშინ მხედრები გამოემშვიდობნენ ნეტარს და თავი მოჰკვეთეს. წმინდანის ცხედარი თოვლივით განბრწყინდა, ჭრილობებიდან სისხლის ნაცვლად რძე გადმოდინდა, ზეთისხილის ხეები კი ნაყოფით დაიხუნძლა. ამ სასწაულის მხილველმა მრავალმა ადამიანმა ადიდა ჭეშმარიტი ღმერთი. დიდმოწამის უხრწნელი ნაწილები მთელ ქრისტიანულ სამყაროშია მიმოფანტული. მისი პატიოსანი თავი ათონზე, წმ. პანტელეიმონის სახელობის რუსულ მონასტერში ინახება.

წმ. პანტელეიმონი აღესრულა 305 წელს, ახალი სტილით 9 აგვისტოს.

*ანა ჩხეიძე*

# წმ. პანტელეიმონის სახელობის ეკლესიები თბილისში

ქრისტიანულ ეკლესია-მონასტრებთან ყოველთვის არსებობდა სამკურნალო დაწესებულებები. ხშირად ეკლესიის მსახურნი თუ მონაზვნები საუკეთესო მკურნალებადაც ითვლებოდნენ, რადგან ისინი განიხილავდნენ ავადმყოფობას როგორც ცოდვის შედეგს და მიაჩნდათ, ექიმთა დახმარებით ავადმყოფი განიკურნებოდა მაშინ, თუ ღმერთიც ინებებდა. „განიკურნის, თუ ღმერთსა უნდეს" ამგვარი აქსიომატური დარწმუნება ლაიტმოტივად გასდევს თან იადიგარ დაუდისა თუ ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის მიერ მოწოდებულ ყოველ წამლის რეცეპტურას. წამლებს ამზადებდნენ ლოცვით, ხოლო სამკურნალო პროცედურის დაწყების წინ წარმოითქმებოდა მავედრებელი ლოცვა წმ. პანტელეიმონის მიმართ. „ღმერთი ყოვლის შემძლეა და ყოვლად მეცნიერი. მას შეუძლია ჩემი განკურნება. მე ჩემი რწმენითა და დამოკიდებულებით ღმერთთან უნდა მოვიპოვო განკურნების უფლება", ამგვარი სარწმუნოებრივი მსჯელობა ხშირად სულიერად ამშვიდებდა და გამოაცოცხლებდა სასიკვდილოდ გადადებულ ავადმყოფსაც კი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ არის შემთხვევითი, რომ ქრისტიანულ ქვეყნებში საკმაოდაა აგებული ტაძრები წმ. მკურნალის პანტელეიმონის სახელზე. თბილისში წმ. პანტელეიმონის სახელობის ორი ტაძარი გვაქვს. მათგან ერთი XIX საუკუნეშია აგებული. იგი მდებარეობს ზემო ვერის სასაფლაოზე. ტაძრის შესასვლელთან წარწერა გვამცნობს, რომ წმ. დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ეკლესია განახლებული და აღდგენილ იქნა უდროოდ გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებლად. ეკლესიის ქვედა ყორესთან განისვენებენ იმერეთის მთავარეპისკოპოსის წმინდა გაბრიელის (ქიქოძე) მეუღლე და შვილები. ტაძარს ჰყავს პროფესიონალ მგალობელთა გუნდი.



წმ. პანტელეიმონის სახელობის მეორე ეკლესია საბურთალოზეა, რესპუბლიკური საავადმყოფოს შენობაში. ტაძარს ამშვენებს შესანიშნავი ქართველი მხატვრის კოკა იგნატოვის მიერ დაწერილი ხატები: მაცხოვრის, ღვთისმშობლისა და წმ. პანტელეიმონის გამოსახულებით.

*ნინო ტარყაშვილი*




# ტფილისი — სეიდაბადი — ხარფუხი

კვლავ ვაგრძელებთ დედათბილისის თემას. ეს თქვენი სურვილის გამოძახილიცაა, რადგან არაერთი თბილი სიტყვა გაიმეტეთ რედაქციისადმი, როცა თქვენ წინაშე წარმოვადგენდით ჩვენს უძველეს ქალაქს თავისი წარსულითა და დღევანდელობით.

ახლაც, თქვენთან ერთად, კიდევ ერთხელ მოვივლით ძველი და ახალი თბილისის უბნებს, ქუჩებს, ბაღებს, ციხეებს, ეკლესიებს, ეზოებს...

ამავდროულად, გაგაცნობთ კოლორიტულ თბილისურ დღესასწაულებს და გიამბობთ, როგორ აღნიშნავდნენ ამ დღესასწაულებს აქ მოსახლე ქართველები და არაქართველები.

ერთი სიტყვით, თქვენთან ერთად გვინდა კიდევ ერთხელ მოვეფეროთ დედათბილისს.

ამჯერად, გავიხსენებთ თბილისის ერთ-ერთ უძველეს უბანს, რომელსაც თავდაპირველად ტფილისი რქმევია, მერე სეიდაბადი და ბოლოს ხარფუხი.

ვახუშტი ბაგრატიონი ძველ თბილისს ასე აღწერს: „ხოლო ტფილისი არს სამი ქალაქი — ტფილისი, კალა და ისანი" და აქვე მოგვითხრობს ქალაქის უძველესი უბნის, საკუთრივ ტფილისის შესახებ: „ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ, არს მით აბანონი ექვსნი. აქ დასხნა შასეფიმ სეიდნი, მის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბადს". ეს ეხება XVII საუკუნეს, როცა ტფილისის შეთხელებულ ტერიტორიაზე მაჰმადიანთა ტომი — სეიდები დასახლდნენ.

ტფილისის უბანი, სავარაუდოდ, მოიცავდა მდინარე წავკისის მარჯვენა ნაპირს, ახლანდელი „თათრების სასაფლაოსა" და აბანოთუბანს მტკვრამდე. ეს ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილია. ვახუშტისავე „თბილისის 1735 წლის გეგმა" სეიდაბადს ასე წარმოგვიდგენს: ჩრდილოეთიდან სამხრეთის ზღუდე და წავკისის ხევი, აღმოსავლეთიდან მტკვარი, სამხრეთიდან — ძველი ზღუდე (განჯისკარი), დასავლეთიდან — თაბორის მთა. ამ უბანს სეიდაბადი ეწოდა პირველი ქართველი მაჰმადიანი მეფის, როსტომის დროს. როსტომი, იგივე ხოსრო-მირზა, სიმონ I-ის ძმის, დავითის უკანონო შვილი იყო. მისი მეფობისას (1632-1658) არაერთი ქართული სამოხელეო სახელი შეიცვალა სპარსულით. უფრო მეტიც, იგი შაჰ-სეფის პირადი გვარდიის უფროსი (ყულარაღასი) და ისპაჰანის მოურავი ყოფილა და შაჰსაც მამას ეძახდა თურმე.

სეიდაბადი დანარჩენ ქალაქს



„აბანოს კარით" უკავშირდებოდა და ამ გზის წარმოდგენა ასე შეიძლება: აბანოების, ახუნდოვის, ტაგი-ზადეს (ადრე სუბ-სარქისის, ახლა ბოლნისის) ქუჩები, სეიდაბადის მოედანი (შემდეგ ვანო ხუციშვილის სახელობის) და ისევ ტაგი-ზადეს ქუჩა. ქალაქის კართან მებაჟე იდგა. გადასახადს იხდიდა ყველა, ვისაც ბაზარზე რაიმე მიჰქონდა გასაყიდად.

„აბანოს კარზედ და განჯის კარზედ, თუ სხვის კარზედ, თუმანზე ხუთი შაური ბაჟი რომ ყოფილა, ოთხი შაური ბატონისა არის და ერთი შაური მოურავისა", — ნათქვამია XVIII საუკუნის დოკუმენტში.

სეიდაბადში ბაღ-ბოსტნები და ვენახებიც ყოფილა, რომლებიც საგანგებოდ გაყვანილი რუებით ირწყვებოდა, აქვე იყო ბაღების მეპატრონეთა საზაფხულო სახლები, დუქნები.

კრწანისის ომის (1795 წ.) შემდეგ სეიდაბადი ადგილის სახელად აღარ იხსენიება. იგი იცვლება ხარფუხით. ხარფუხი, თავდაპირველად, თაბორის მთის აღმოსავლეთ კალთას ეწოდებოდა. მთის ძირში საკულტო ქვა ყოფილა ხატით, სადაც სურდოშეყრილი ბავშვები მიჰყავდათ განსაკურნავად თბილისელ ქრისტიანებს, რომელთაც თან ნაჭრის ხურჯინებით ნაჭრისავე თოჯინები მიჰქონდათ, ხურჯინში შაქრის ნატეხები ელაგა შესაწირად („ხარფუხი" სომხური სიტყვაა და სურდოს ნიშნავს).

ხარფუხელები თავიანთ თავს წყაროსუბნელებსაც უწოდებდნენ, რადგანაც ამ უბნის სამხრეთით მდებარე „ჩანადერის" ხევში ახლაც მოედინება წყარო („ჩანადერი" თურქული სიტყვაა და წყლის ხევს ნიშნავს).

ხარფუხში, ახლანდელ იოსებ გრიშაშვილის ქუჩაზე, სუბ-სარქისის გრიგორიანული ეკლესია იდგა, ეკლესიის რამდენიმე კედელიღა შემორჩენილი, რომელზეც გვიანი ხანის საცხოვრებელი ოთახი დაუშენებიათ. ეკლესიის კედელზე სომხურ-გრიგორიანული წარწერა გვამცნობს, რომ ოთახი სუბ-სარქისის ეკლესიისათვის შეუწირავს თელაველ იაგორ ოსკანოვს.

წმინდა სარქისის დღე მოძრავია და უმეტესწილად თებერვალში დღესასწაულობდნენ. სუბ-სარქისის დადგომამდე ერთი კვირით ადრე ახალგაზრდობა მარხულობდა, ხოლო დღესასწაულის წინა ღამეს გამოაცხობდნენ მლაშე კვერს და ძილის წინ მიირთმევდნენ საბედოს დასიზმრების იმედით.

უცოლოები და გაუთხოვარნი სიზმრით მარტო გულის სწორთან შეხვედრას კი არა, საბედოს ეკონომიური მდგომარეობის დადგენასაც ცდილობდნენ იმის მიხედვით, თუ მლაშე კვერით მოწყურებულს რომელი ჭურჭლიდან დაალევინებდნენ წყალს. ოქრო-ვერცხლის სასმისის პატრონი მდიდარი იყო, სპილენძისა და თიხის — საშუალო შეძლების, ხოლო ხისა — ღარიბი...

ბედის მაძიებელნი სხვა ხერხსაც მიმართავდნენ. ხარშავდნენ სქელ ფაფას, რომელსაც ყვავის ფაფას ეძახდნენ. თეფშით გადგამდნენ გარეთ და ელოდნენ ყვავის მოსვლას. ფაფის შეჭმის შემდეგ ყვავი რომელი სახლის სახურავზეც დაჯდებოდა, იმ სახლიდან მოელოდნენ ბედის ვარსკვლავს.

„თბილისის ყოველი ფოლორცი, თბილისის ყოველი შუკა სავსეა ლეგენდარული სახეებით... თბილისის ყოველი კენჭი, თბილისის ყოველი ხის ფურცელი მეტყველია და მნიშვნელოვანი,"— მართლაც ვერაფერს დაამატებ ძველი თბილისის ტრუბადურის, იოსებ გრიშაშვილის ამ სიტყვებს.

*ელენე სალარიძე*

# ქართული „ფაუსტის" ტრიუმფი ლონდონში

დღეს, როდესაც ქვეყანაში უმძიმესი ვითარებაა და კულტურამ მეორე პლანზე გადაინაცვლა, ძნელია, ხელოვანს მოსთხოვო მოწოდების სიმაღლეზე ყოფნა. განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ ქართულ თეატრს, რომელსაც ყოველთვის დიდი სახელი ჰქონდა სამშობლოშიც და უცხოეთშიც, არანაირი თანადგომა არ გააჩნია.



ამ ფონზე მეტად სასიხარულო იყო თეატრალური სარდაფის გასტროლები ლონდონში, რომელმაც უდიდესი წარმატებით ჩაიარა.

თეატრალური სარდაფი არც ისე დიდი ხნის წინ გაიხსნა და უმალ მოიპოვა აუდიტორიის სიმპათია, მეტიც, იგი ელიტარულ თეატრად ითვლება და შეიძლება ითქვას, ყოველი მისი სპექტაკლის ნახვა ჭეშმარიტად სულიერი კათარზისია.

ინგლისიდან დაბრუნებულმა ამ პატარა კოლექტივმა წარმატება საკუთარ სცენაზე აღნიშნა. იქვე შედგა ჩვენი ინტერვიუც.

— ლონდონში გამგზავრების და იქ ყოფნის ხარჯები ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაიღო, — გვითხრა თეატრის დირექტორმა **ეკა მაზმიშვილმა**, — ფესტივალზე მოსახვედრად ჩატარდა კონკურსი აღმოსავლეთის (ინგლისიდან აღმოსავლეთით) მასშტაბით. 65 სპექტაკლიდან შეირჩა 4, მათ შორის გახლდათ ქართული თოჯინური სპექტაკლი „ფაუსტი". ლონდონში გავგზავნეთ დოკუმენტური მასალა, ვიდეოფირზე ჩაწერილი სპექტაკლი და... გაგვიმართლა!

ფესტივალი დაიწყო 25 ივლისს პრესტიჟულ GATE THEATRE-ში. ხუთი სპექტაკლი ვითამაშეთ. ადგილების უკმარისობის გამო ხალხი გარეთ რჩებოდა.

ეს ფესტივალი 8 წელია, ყოველ წელიწადს ტარდება სახელწოდებით „აღმოსავლეთიდან — დასავლეთამდე". დახვეწილი, მკაცრი ინგლისელი მაყურებლისა ძალიან გვეშინოდა. ჩვენდა სასიხარულოდ, ყოველი წარმოდგენისას აღფრთოვანებული მაყურებელი შუა სპექტაკლზე ტაშს და ფეხზე წამოდგომას არ ერიდებოდა. როგორც თავად ინგლისელებმა გვითხრეს, ეს ძალიან იშვიათი მოვლენაა.

**— ბატონო ლევან, როგორ შეიქმნა „ფაუსტი"?** — ვკითხე რეჟისორ ლევან წულაძეს.

— შარშან ქართულ-გერმანულმა საზოგადოებამ გერმანული საელჩოსგან მიიღო გარკვეული თანხა გოეთეს საიუბილეოდ დიდი მწერლის რომელიმე ნაწარმოების დასადგმელად. ბევრი არ გვიფიქრია. გადავწყვიტეთ, დაგვედგა „ფაუსტი". ახალგაზრდობაში მინდოდა თოჯინური სპექტაკლის დადგმა და ახლაღა შევძელი მისი განხორციელება.

**— როგორ გაკეთდა თოჯინები?**

— თოჯინები შექმნა რეჟისორმა ნუცა დოლაქიძემ. ჩვენ ძალიან ბევრს ვსაუბრობდით თოჯინების ხასიათზე. ნუცა ესკიზს არ აკეთებს. პირდაპირ იწყებს მუშაობას და არავინ იცის, რა გამოვა. სხვათა შორის, მეფისტოფელი იმ მსახიობს ჰგავს, რომელიც მას ახმოვანებს, ზოგი ნუცას მეზობლის ასლია, ზოგი მეგობრისა და ა.შ.

**— ინგლისელებმა მაინცდამაინც „ფაუსტი" რატომ აირჩიეს?**

— GATE THEATRE, თუმცა ჩვენს თეატრზე პატარაა (რამაც ძალიან გაგვახარა), მეტად პრესტიჟულია. სადაზვერვო პუნქტივითაა, აღმოჩენებს აკეთებს ხოლმე. ფესტივალის წარმომადგენელი, ფილიპ ლენუა, ერთი წლით ადრე დადის აღმოსავლეთის ქვეყნებში და ეძებს ღირსეულს. ჩვენ ან გოგოლის „ცხვირი" უნდა წაგვეღო, ან გოეთეს „ფაუსტი". ფილიპმა „ფაუსტი" აირჩია... ინგლისელებმა ძალიან თბილად მიგვიღეს. ქართულ პრესას არ ვუქივართ იმდენი, რამდენიც იქ გვაქეს. გაზეთი „გარდიანი" წერდა, — მთელმა მსოფლიომ უნდა განიცადოს ის, რაც ჩვენ განვიცადეთ. ეს სპექტაკლი რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა უნდა ნახოსო.

როდესაც ვთქვი, სპექტაკლი 17 დღეში მომზადდა-მეთქი, გაოგნდნენ. არც იმას მიჯერებდნენ, რომ თეატრალური სარდაფი თავისი შემოსავლით ირჩენს თავს.

**— ბატონო ლევან, ძალზე მტკივნეულ თემას შევეხეთ. რას იტყვით ქართული თეატრის დღევანდელ პირობებზე?**

— იცით რა? ასე აღარ შეიძლება ცხოვრება. ათი წელია, ქართული თეატრი ვაკუუმშია. მივეჩვიეთ, რომ ხელისუფლებამ თუ ფული მოგვცა, კარგია, თუ არა — ცუდი. ინგლისელებმა იმითაც გაგვაოცეს, რომ შესანიშნავად იციან, რა დღეში ვართ. დაგვპირდნენ, საქართველოს ხელისუფლებასთან საკონსულტაციოდ თეატრალურ ექსპერტს გამოვგზავნითო.

**— მომავალ სეზონზე რას შესთავაზებთ მაყურებელს?**

— სეზონის ბოლოს დავდგით „ET CETERA". ახალ სეზონს ამ სპექტაკლით გავხსნით. ვმუშაობთ ახალ პროექტებზე. ვაპირებთ კიდევ ერთი ანიმაციური სპექტაკლის — „მზესუმზირების" დადგმას.

**— მიწვეული ხომ არა ხართ სადმე, ან გასტროლებს ხომ არ გეგმავთ?**

— მიგვიწვიეს ალბანეთში და ნოვოსიბირსკის ფესტივალზე. იგეგმება ტურნე ინგლისში, რომელიც ედინბურგში დასრულდება.

**— გისურვებთ წარმატებებს.**

*ალექსანდრე ბერიძე*

# საზოგადოების აზრი იმას დაუპირისპირდება, ვინც სხვისი ჭუჭყის ქექვას დაიწყებს...

## რეალურად დაუშვებს ჩვენი პოლიტიკური ელიტა სიტყვის თავისუფლებას?

საშემოდგომო სესიაზე პარლამენტი „სიტყვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მიღებას აპირებს. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, 12 მუხლიანი კანონპროექტის განხილვა პარლამენტში დიდ შეხლა-შემოხლას გამოიწვევს. ეს, რასაკვირველია, მარტო იმით არ იქნება გამოწვეული, რომ პარლამენ-



ტარების ნაწილს მედიის თავისუფლება გულზე არ ეხატება. კანონპროექტი „სიტყვის თავისუფლების შესახებ“ შეიცავს მუხლებს, რომელიც ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს თავიანთი დარდიმანდული ცხოვრების გატარებაში საკმაო პრობლემებს შეუქმნის.

კანონპროექტი შეიცავს ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელების დროს დამატებით დაცვის გარანტიებს ჟურნალისტებისათვის. კერძოდ, კანონპროექტის კანონად ქცევის შემთხვევაში არავინ აგებს პასუხს იმ საიდუმლოს გამჟღავნებისათვის, რომლის დაცვა მას პირდაპირ არ ევალებოდა. სასამართლოს არ ექნება უფლება მიიღოს სარჩელი ცილისწამების შესახებ, თუ ცილისმწამებლური განცხადების გაკეთებიდან გავიდა ერთი წელი. თუ განცხადება წარმოადგენს სხვა პირის მიერ გაკეთებული განცხადების შესახებ რეპორტაჟს... ჟურნალისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება მიეცეს პასუხისგებაში, თუ სასამართლო დაამტკიცებს, რომ მის მიერ გამოქვეყნებული მასალა შეიცავდა მცდარ ფაქტებს და ამის შესახებ ჟურნალისტმა წინასწარ, გამოქვეყნებამდე იცოდა.

კანონის ამოქმედების შემდეგ ჟურნალისტი, გაზეთის რედაქცია თუ სატელევიზიო არხი თავისუფლდება იმ ზეწოლისაგან, რასაც ხშირად აქვს ხოლმე ადგილი იმ პირების მხრიდან, რომლებიც მიიჩნევენ, რომ გამოქვეყნებული მასალა, გაკეთებული რეპორტაჟი ტენდენციურია და თავიანთი საპირისპირო აზრის დაფიქსირებას დაჟინებით ითხოვენ. ამჯერად, ამ პრობლემას მხოლოდ სასამართლო დაარეგულირებს. კიდევ ერთი სიახლე: ჩვენში ჩამოყალიბდება ე.წ. „პაპარაცთა ინსტიტუტი“. „სიტყვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მიხედვით, პიროვნების პირადი ცხოვრებისა თუ მოღვაწეობის ამსახველი ფოტოსურათების გამოქვეყნება მედიის საშუალებებში მათი ყოველგვარი თანხმობის გარეშე იქნება შესაძლებელი.

თუმცა, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, არ არის გამორიცხული, კანონის მიღება კვლავ გაჭიანურდეს. ამის საბაბად „თავისუფლების ინსტიტუტის“ (რომელიც პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძესთან ერთად უშუალოდ მუშაობდა ამ კანონპროექტზე) წარმომადგენელი გივი თარგამაძე საკმაოდ სერიოზულ მიზეზს ასახელებს:

„ამ კანონის მიღება გარკვეულ დისკომფორტს შეუქმნის მოხელეებს. ვფიქრობ, რომ არც პრეზიდენტი უნდა უყურებდეს კეთილად მას. დეკლარაციის დონეზე ჩვენთან პრესა თავისუფალია და ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაციის ბოლო არის ხოლმე ის, რომ პრეზიდენტი გამოდის, იმოწმებს კონსტიტუციას და ამბობს, რომ ეს არის გარანტი თავისუფლებისა. არადა, კანონი „სიტყვის თავისუფლების შესახებ“ ნიუანსების დონეზე მოუხსნიდა ბარიერებს ჟურნალისტებს. თუ იქნება პოლიტიკური ნება, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარემ უნდა გამოხატოს, მაშინ აღარ გაჭიანურდება ამ კანონის მიღება. ჯერჯერობით კი, იმავე პარლამენტის თავმჯდომარისაგან ამ ნებას ვერ ვხედავ“.

თავის მხრივ, პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** კანონის მიღების გაჭიანურების მიზეზად საერთო კონსესუსამდე ვერმისვლას ასახელებს. საქმე ის არის, რომ მასმედიის მუშაობისათვის იურიდიული საკანონმდებლო ბაზის თაობაზე საზოგადოება ორ პოლუსად იყოფა. ერთნი მოითხოვენ — შეიქმნას ერთი მთლიანი კანონი მედიის შესახებ, მეორენი კი მიიჩნევენ, რომ მასმედიის სამართლებრივი გარანტიები უკვე შექმნილია საქართველოს კონსტიტუციით, ადმინისტრაციული თუ სამოქალაქო კოდექსებით. რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ მთელი რიგი საკითხები, რაც ჟურნალისტის მუშაობასთან და მის მიერ შექმნილი პროდუქციის გავრცელებასთან არის დაკავშირებული, სასურველია, ერთ კანონში იქნეს თავმოყრილი. რადგან სხვადასხვა კანონში გაფანტული მუხლების შეცვლა-გადაკეთებას ესა თუ ის უწყება ისე მოახერხებს, როგორც მოესურვება. ეს კი საბოლოო ჯამში თავისუფალი მედიის საწინააღმდეგოდ იქნება მიმართული. გარდა ამისა, იქ, სადაც დასავლეთისაგან განსხვავებით, მასმედიას ეკონომიკური საფუძველი არა აქვს და ეკონომიკა არ იცავს, ასეთ შემთხვევაში სჯობს იურიდიული დაცვის მექანიზმების გაძლიერება.

— **ბატონო რამაზ, შეგიძლიათ კონკრეტულად თქვათ, რომელი ძალა გაილაშქრებს კანონპროექტის წინააღმდეგ?**

— საერთოდ, როდესაც სიტყვის თავისუფლების მაქსიმალიზაცია ხდება, ამ დროს წინააღმდეგნი გამოდიან ისინი, ვინც იცავენ პიროვნების, სახელმწიფოსა თუ სხვადასხვა ინსტიტუტის ინფორმაციულ ხელშეუხებლობას. ანუ პირადი, სახელმწიფო საიდუმლოების ხელშეუხებლობას, ინფორმაციის დახურვას ყოველთვის ის ჯგუფები ცდილობენ, რომლებიც უფრო პოსტსაბჭოთა სივრცის მომხრენი არიან. დღევანდელ პარლამენტში რომელი უფრო მეტია, ვერ გეტყვით. თუმცა ეს საკითხი თავისი პოლიტიკური მნიშვნელობით უფრო დეტალია, რადგან რეალური მნიშვნელობა სიტყვის თავისუფლებას მაშინ მიენიჭება, თუ პოლიტიკური ელიტა უარს იტყვის სახელმწიფო ტელევიზიაზე და ტელევიზიის სახელმწიფო მონოპოლიზაციაზე. როცა პოლიტიკური ელიტა ევროპული ტრადიციისამებრ გადაწყვეტს უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ტელევიზიისა და რადიოს საკითხს, მაშინ იქნება რეალური დამოკიდებულებაა სიტყვის თავისუფლების მიმართ. სამწუხაროდ, ამ მიმართებით სრული სიჩუმეა. სხვათა შორის, მარტო მე არ ვფიქრობ ასე. პოლონელი იურისპრუდენციისა და ჟურნალისტიკის სპეციალისტი იაკუბოვიჩი ამბობს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში სიტყვის თავისუფლების მიმართ პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულებაში არსებითი არის ტელევიზიის დამოუკიდებლობის საკითხი და თუკი ქვეყანა ამ საკითხს წყვეტს დადებითად, ანუ უარს ამბობს სახელმწიფო ტელევიზიაზე, მაშინ არის ეს პოლიტიკური ელიტა ჭეშმარიტი დემოკრატიის მომხრე.

— **დღევანდელ პირობებში ხშირად დარტყმა ჟურნალისტებზე ხდება. ამ კანონპროექტის მიხედვით, პასუხისმგებლობა ინფორმაციის წყაროზე გადავა, რომელსაც სასამართლო დაარეგულირებს. როგორ ფიქრობთ, ასეთი მიდგომა რეალობაში განხორციელდება?**

— ქართულმა სინამდვილემ კანონის მიღებამდე მაინც წყარო გახადა პასუხისმგებელი. მაგალითად, თუ ლეკიშვილის მაგალითს გავიხსენებთ, მან ჟურნალისტს საერთოდ მოუხსნა პასუხისმგებლობა და ინფორმაციის გამავრცელებლისკენ დაიწყო ყურება. მაშასადამე, დამოკიდებულება, რომ ჟურნალისტები არ არიან დამნაშავენი, ეს ფონი მაინც არსებობს.

— **მაგრამ ლეკიშვილის შემთხვევა გამონაკლისია. თუ გავიხსენებთ, რომ ჟურნალისტს გამოქვეყნებული მასალის გამო პოლიციელებმა სცემეს და თითები დაუსერეს...**

— მერედა, რატომ არ დადგა პოლიციელების პასუხისმგებლობის საკითხი?! სხვათა შორის, როდესაც ამ კანონპროექტზე ვმუშაობდით, მაშინ ჟურნალისტები მირჩევდნენ, იგივე დაცვის მექანიზმები შეგვეტანა კანონპროექტში, რაც ჩვეულებრივ მოქალაქეებს გააჩნიათ. მე თუ მკითხავთ, ჟურნალისტის ფიზიკურად შეურაცხმყოფელი უფრო მკაცრი პასუხისმგებლობის მატარებელი უნდა იყოს, ვინაიდან ასეთი ინციდენტები ჟურნალისტის პროფესიასთან არის დაკავშირებული და მოწინააღმდეგე უპირისპირდება არა კონკრეტულად ჟურნალისტს, არამედ სიტყვის თავისუფლებას. როგორც სახელმწიფო დანაშაულზე არის პასუხისმგებლობის საკითხი, ანალოგიური სიმძიმის პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სიტყვის თავისუფლების, ჟურნალისტის მუშაობის ხელის შეშლის ნებისმიერი მცდელობის დროს.

— **ბატონო რამაზ, კანონპროექტის წაკითხვისას თვალში მომხვდა, რომ, ასე ვთქვათ, კანონის მიღების შემდეგ ჩვენში დასავლური ტიპის პაპარაცები გაჩნდებიან. როგორ ფიქრობთ, სად უნდა გაევლოს ზღვარი ინფორმაციის მოპოვება-გავრცელებასა და ადამიანის პირადულ ცხოვრებას შორის?**

— ვფიქრობ, ეს უნდა გადაწყდეს დროისა და კულტურის სპეციფიკური კრიტერიუმების საფუძველზე. არ შეიძლება ჩრდილოურსა და სამხრეთულ კულტურებში ეროტიკული შინაარსის ინფორმაციაზე ერთნაირი კრიტერიუმები დავუშვათ. კანონი, ასე ვთქვათ, ვერ გადააგდებს თავის კულტურას. ამიტომ იმ კულტურის შესაბამისი სტანდარტები, ეს ჩვენი ქცევის ნორმები იქნება თუ ჟურნალისტური, ჩვენი კულტურის დონის შესაბამისად შეიცვლება. გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ უფრო დახურული კულტურის ქვეყანა ვართ, რაც კარგად გამოიხატა პოლიტიკურ საარჩევნო კამპანიებში. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მძაფრი იყო პოლიტიკური დაპირისპირებები, არსად ჩვენი პოლიტიკური კამპანია არ შეჭრილა მოწინააღმდეგის პიროვნულ ცხოვრებაში და არ დაუწყია მისი ჭუჭყისა და ნაგვის ქექვა ისე, როგორც ეს მოხდა რუსეთში, ან იმავე კლინტონის მაგალითი გავიხსენოთ... რატომ? იმიტომ, რომ თვითონვე აღმოაჩინეს, — როგორც კი ამ სიღრმეში შესვლა სცადა ვინმემ, საზოგადოებრივი აზრი დაუპირისპირდა არა იმას, ვისი ბიოგრაფიაც გაიხსნა უფრო ღრმად, არამედ მას, ვინც გახსნა. ანუ კულტურამ არ გაუშვა. ასე რომ, რა კანონიც არ უნდა დაიწეროს, თუ კულტურასთან შეუსაბამო იქნება, კულტურა მას შეაკავებს და მერე კანონის მიმართ გააჩენს აგრესიას.

***მარინა მამისაშვილი***

# საგადასახადო კოდექსის ნაცვლად ზოოპარკის ლაბირინთებში

5-6 აგვისტოს ჩატარდა საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლების ტესტირება. ამით დაიწყო რეფორმა, რომლის წყალობითაც მიხეილ მაჭავარიანი საკუთარ სისტემაში კორუფციის აღმოფხვრას და მაღალპროფესიონალიზმის დამკვიდრებას აპირებს.

ერთი თვის წინ საგადასახადო ინსპექციის ყველა თანამშრომელს, კორუმპირებულს თუ არაკორუმპირებულს, გაჭირვებულს თუ დალხინებულს, ჩინიანს თუ უჩინოს (2.233 კაცს) სამსახურიდან წასვლის განცხადება დააწერინეს. ტესტირების შემდეგ კი, რომელიც თბილისის რაიონულმა ორგანიზაციებმა გაიარეს, მათი რიცხვი 420-მდე უნდა შემცირდეს.

ერთი კვირის შემდეგ კი გამარჯვებულებს კომისიასთან გასაუბრება ელოდებათ. კომისიის მუშაობის გამჭვირვალობისთვის მის შემადგენლობაში საგადასახადო-შემოსავლების მინისტრისა და მისი მოადგილის გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციები და მედიის წარმომადგენლებიც შედიან.

ოქტომბრამდე ტესტირებას გაივლიან რეგიონების, მათ შორის აჭარის საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლები.

ტესტებით, რომლებიც ამერიკელებმა შეადგინეს, უკმაყოფილონი იყვნენ კონკურსის მონაწილენი. 40 საკითხიდან მხოლოდ 10%-ს სჭირდებოდა საგადასახადო კოდექსის ცოდნა, დარჩენილი საკითხებისთვის ლოგიკური აზროვნება იყო საჭირო. ასე რომ, საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლებს ამაოდ მოუწიათ თვეების მანძილზე საგადასახადო კოდექსისა და კანონმდებლობის ზუთხვა. ბარენც-ჯგუფის მიერ შემოთავაზებულ კითხვარებში კანონებში არსებული მუხლების ნაცვლად ზოოპარკი და მისი ბინადარნი ფიგურირებდნენ.

როგორც კონკურსის ერთ-ერთი მონაწილისგან შევიტყვეთ, მას საკმაოდ რთული დავალების შეს-



რულება მოუხდა. ამოცანის პირობა დაახლოებით ასეთი იყო: „წარმოიდგინეთ, შედიხართ ზოოპარკში, შემოგხვდათ ლომი, ვეფხვი, მელა და ბუჩქებიდან გამოვიდა პანდა. შემდეგ ლომი დაიმალა, მას მიჰყვა მელა. პანდა კვლავ ბუჩქებში მიიმალა. რამდენჯერ შეგხვდათ პანდა?“ ასეთი „სირთულის“ ტესტების ამოხსნა თითქმის ყველას გაუჭირდა ისევე, როგორც ელემენტარული არითმეტიკული ამოცანები, რომლებიც სიმარტივით აბნევდნენ კონკურსანტებს.

ასეთი რამ არც თვალით გვინახავს და არც ყურით გაგვიგონიაო, —ამბობდნენ საგადასახადოს თანამშრომლები. ამ ფრაზამ ძალიან გაახარა საგადასახადო-შემოსავლების მინისტრის პირველი მოადგილე დავით მუმლაძე, — ესე იგი, ჩვენი მიზანი, ტესტების შესახებ ინფორმაციას არ გაეჟონა — მიღწეულია. ჩვენ წინა ღამით შევცვალეთ ბევრი რამ, რათა გაყალბების და ჩაწყობის ყოველგვარი საშუალება გამოგვერიცხაო.

გამოცდების მომლოდინე საგადასახადო სამსახურის თანამშრომლები ასე დაზაფრულნი და შეშინებულნი არავის უნახავს. ახლა ისინი თავად ჰგავდნენ მათ, ვისაც ისინი გადასახადების ასაკრეფად მიადგებოდნენ და ხშირად ქრთამსაც ართმევდნენ ხოლმე. მათი მომლოდინე გულშემატკივარნი კი მოუსვენრად ისხდნენ უცხოურ კომფორტულ მანქანებში. თუმცა, კონკურსანტებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც წლების მანძილზე პატიოსნად, ერთგულად მუშაობდნენ, მაგრამ ზოოპარკის ლაბირინთებში დაიკარგნენ.

ამის გამო ჰაერში რჩება წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილება და მათი საარსებო წყარო — სამუშაო ადგილები. თუმცა, ერთი კვირის შემდეგ ზემოაღნიშნული კომისიის წინაშე მათ კიდევ ერთხელ მიეცემათ შანსი, თავისი პროფესიონალიზმი დაამტკიცონ.

სამაგიეროდ კი გვეყოლება მაღალკვალიფიციური, არაკორუმპირებული, მაღალი ანაზღაურების მქონე (400 ლარიანი) საგადასახადოს ინსპექტორები(?!).

საბოლოო შედეგები სამშაბათს გამოქვეყნდება. დადგინდება გამსვლელი ქულაც და „ჩარიცხულთა“ ვინაობაც.

14-15 აგვისტოს თავად საგადასახადო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა და ცენტრალური აპარატი წარსდგება გამოცდებზე.

საინტერესოა, „ბარენც-ჯგუფის“ მორიგი სიურპრიზი კვლავ ზოოპარკი იქნება, თუ ახალი, უფრო ორიგინალური ინტელექტუალური თავსატეხი.

***ნათია გოგსაძე***

# „როცა შსს-ზე ვსაუბრობ, ვლაპარაკობ ყველა უბედურების კერაზე...“

ედპ-ის ლიდერი ირინა სარიშვილი პროკურატურაში ჟურნალისტებთან ერთად შს მინისტრის, კახა თარგამაძის სასარჩელო განცხადების საფუძველზე ახსნა-განმარტების მიცემას აპირებს. თუმცა საეჭვოა, რომ გენერალურმა პროკურატურამ სარიშვილის დაკითხვა ჟურნალისტების თანდასწრებით მოინდომოს. არადა სარიშვილი ადვოკატის აყვანას არ ფიქრობს იმ უბრალო მიზეზით, რომ თავის დაცვას თავადაც კარგად შეძლებს.

თარგამაძე ირინა სარიშვილს შსს მიმართ ცილისმწამებლურ განცხადებებში ადანაშაულებს. ედპ-ის ლიდერმა პროკურატურიდან გასულ კვირას ორი „დეპეშა“ მიიღო. მან №414 ოთახში ჯერჯერობით მისთვის ინკოგნიტო გამომძიებელს ახსნა-განმარტება უნდა მისცეს: 1. რის საფუძველზე დასდო ბრალი შსს და მის ხელმძღვანელობას ელიავას და მისი ჯგუფის გამიზნულ ლიკვიდაციაში; 2. რატომ ადანაშაულებს ჩვენს ძალოვნებს კორუფციაში. „ჩვენ რომ ნორმალური ქვეყანა ვიყოთ, თავს შსს უნდა იცავდეს და არა მე“, — აცხადებს სარიშვილი და ახსნა-განმარტების მიცემისას იმავეს გამეორებას აპირებს, რაც უკვე არაერთხელ უთქვამს, თუმცა შს მინისტრი სხვაგვარად ფიქრობს.

— **ბატონო კახა, რატომ შეიტანეთ განცხადება პროკურატურაში სარიშვილის წინააღმდეგ?**

— სარიშვილმა ბრალი დასდო შსს და მის ხელმძღვანელობას იმაში, რომ მათ დაგეგმეს და განახორციელეს ელიავასა და მისი ჯგუფის ლიკვიდაცია. ეს იყო პირდაპირი ცილისწამება და ამის ასე დატოვება შეუძლებელი იყო. მე ვთხოვე გენერალურ პროკურატურას, რომელიც აწარმოებს გამოძიებას კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, გარკვეულიყვნენ — რას ჰქონდა რეალურად ადგილი. გარდა ამისა, სარიშვილმა უნდა წარმოადგინოს ის დოკუმენტები და ინფორმაცია, რაც აძლევდა ამ განცხადების გაკეთების საფუძველს.

— **სარიშვილის გარდა, ჟურნალისტებმა, ასევე პარლამენტარებმაც კი დააფიქსირეს, რომ ელიავას ოპერაცია წინასწარგამიზნული იყო...**

— ეგ სხვა საკითხია. მაგან კონკრეტულად დაგვდო ბრალი. თქვენ რას წერთ, ის უკვე მეორე საკითხია. ასე არავის დავუდანაშაულებივართ. არ იფიქრებს მთელი საქართველო, შს მინისტრი და სამინისტრო მკვლელები გვყოლიანო?!

— **სარიშვილს წინასწარ თუ უთხარით, რომ განცხადება შეგქონდათ?**

— არ ვიცნობ მე მას საერთოდ.

— **არ დაინტერესდით, ერთხელ მაინც გაგეცნოთ?**

— არა. ფიზიკურადაც არ ვიცნობ. ხელი არ ჩამომირთმევია არასდროს.

— **ბატონო კახა, სარიშვილის ციხეში ჩასმა გინდათ?**

— მისი ციხეში ჩასმა ჩემი მიზანი არასოდეს ყოფილა. ჩემთვის მთავარია, ხალხი და პროკურატურა დარწმუნდეს, რომ იქ არანაირ ელიავას მკვლელობას ადგილი არ ჰქონია. თორემ სარიშვილი ჩემთვის უკვე დიდი ხანია ფიგურა აღარ არის. რაში მაინტერესებს მისი ციხეში ჩასმა, მეტი საქმე არა მაქვს.

— **არაერთხელ უთქვამს სარიშვილს, ასევე სხვებსაც, რომ თქვენს სისტემაში კორუფციაა, ამასაც უარყოფთ?**

— გამოაცხადეს, რომ მთელ საქართველოში არისო კორუფცია და, რა თქმა უნდა, რაღაც მოცულობით ჩვენს სისტემაშიც იქნება, მაგრამ არა ისეთი დოზით, როგორც აცხადებენ.

— **თვეობით რომ არ აუღიათ თქვენს თანამშრომლებს ხელფასი, აბა რითი არსებობენ, კორუფციით, ხომ?**

— მაშინ მე ასე გეტყვით, მასწავლებლებსაც ხომ არ აუღიათ ხელფასი? კიდევ ექიმებსა და სხვა ვილაცებსაც. თქვენ კი არ იფიქროთ, რომ მე ჩემებს ვამართლებ. მე ვამბობ, რომ ხელისუფლებამ არ უნდა უბიძგოს ხალხს კორუფციისკენ-მეთქი.

— **როგორ აპირებთ ამ მანკიერების გამოსწორებას?**

— ეს მარტო ჩემი გამოსასწორებელი რომ იყოს, ძალიან ადვილად გამოვასწორებდი.

— **როგორ?**

— როგორ და, მივცემდი მაღალ ხელფასს, მაგრამ ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის. ეს ფინანსურმა და ეკონომიკურმა ბლოკმა უნდა მოახერხოს საქართველოში ცხოვრების დონის აწევა. მე რომ თანხა მქონდეს გამოყოფილი, 2000 ლარზე მეტს მივცემდი თვეში პოლიციელს... როგორ ფიქრობთ, დამენანება მათთვის ფული? თანაც ახლა, მე ამის თქმა შემეშლება? ხომ ვიცი, რომ გაზეთში უნდა დაწეროთ... ასე დაწერეთ, — თავისი თანამშრომლებისთვის არ ენანება ფული-თქო. მაგრამ რომ არა მაქვს, რა ვქნა!

სანამ თარგამაძე უფულობას უჩივის, სარიშვილი კომბლებს თლის და პროკურატურაში შს მინისტრზე დარტყმისათვის ემზადება.

— **ქალბატონო ირინა, თქვენი და თარგამაძის დაპირისპირება ყველასათვის კარგად ცნობილია. რა გაწყენინათ ამისთანა თარგამაძემ, განა სხვა სამინისტროები წმინდა წყლისანი არიან?**

— მე როცა ამ უწყებაზე ვსაუბრობ, ვლაპარაკობ, როგორც ყველა უბედურების კერაზე. ანუ ვგულისხმობ მთლიანად მთავრობას. მაგრამ კორუფციისა და განუკითხაობის კერა შსს-შია. ამის მიზეზი კი ის არის, რომ რიგითი თანამშრომლიდან დაწყებული მინისტრით დამთავრებული, ყველა ძალიან ლაღად გრძნობს თავს. თუმცა, სილაღე ნაკლები ხარისხით აქვთ რიგით თანამშრომლებს, რომლებიც ქუჩაში საშოვარზე მთელი დღე არიან გაშვებულები.

— **შსს დღეს ხელისუფლების მთავარი დასაყრდენია. რისი იმედი გაქვთ თარგამაძესთან ბრძოლის დროს?**

— ასეთი ლოგიკით თუ ვილაპარაკებთ, მაშინ ყველამ უნდა დავიხუროთ ქუდი და წავიდეთ შინ იმიტომ, რომ კორუფციაც ამ სახელმწიფოს დასაყრდენია. შედეგს ადრე თუ გვიან მაინც მივიღებთ.

— **ქალბატონო ირინა, ჩემი აზრით, არც თქვენი დამჭერია თარგამაძე და არც თარგამაძის მომხსნელი ხართ თქვენ... როგორ ფიქრობთ, რა მიზანს ისახავს თარგამაძის ეს ნაბიჯი? გეკითხებით როგორც პოლიტიკოსს და არა, როგორც სარიშვილს...**

— ისე, მეორე უფრო მგონია, ვიდრე პირველი... რაც შეეხება თარგამაძის ნაბიჯს, ჩემთვის მისი ლოგიკა აბსოლუტურად მიუწვდომელია. ასეთი ფსიქოლოგიური აზროვნების მქონე ადამიანების პროგნოზირება და მათი საქციელის ახსნა, პირადად მე (და მგონი, არა მარტო მე), ძალიან გამიჭირდება.

***მარინა მამისაშვილი***

# რა მოხდა კაზრეთში? ანუ... SOS!!!



*„კვირის პალიტრის“ №30 ნომერში შემოგთავაზეთ წერილი, რომელიც ქართველ მეწარმეთა და უცხოელ ინვესტორთა დამოკიდებულებას და შექმნილ სადავო გარემოებებს შეეხებოდა. დღევანდელი წერილი, რომელიც კაზრეთის ოქროს მომპოვებელ საწარმოსა და მადნეულის კომბინატში არსებულ ვითარებას ასახავს, წამოჭრილი თემის გაგრძელება გახლავთ.*

## ნაწილი პირველი: „კვარციტმა“ კაზრეთში ოქროს მოპოვება დაიწყო

დაბა კაზრეთში ოქროს მომპოვებელ ქართულ-ავსტრალიურ საწარმო „კვარციტისა“ და „მადნეულის“ კომბინატის გარშემო ატეხილი დავა, დღემდე ერთ-ერთ ყველაზე რთულ რებუსად ითვლება. მოვლენებისა და ფაქტების ქაოსური მდგომარეობა მოხერხებულად ხლართავს ეჭვის გორგალს მტყუან-მართალს შორის, მაგრამ საკმარისია მოთმინებით მიჰყვე ამ გორგალის სათავეს, რომ ხსენებული ქაოსი საკმაოდ შთამბეჭდავ მოზაიკად იქცეს და მეტად მკაფიო სურათი მივიღოთ, სადაც ინტერესები შესაბამის ფერებად იქნება გამოხატული.

თუმცა, სჯობს ყველაფერი თანმიმდევრობით გიამბოთ:

დაბა კაზრეთში არსებული კომბინატი „მადნეული“ სააქციო საზოგადოება გახლავთ, რომლის აქციათა 97%-ის მფლობელი სახელმწიფოა. კომბინატი ათეული წლებია, სპილენძის მადანსა და პოლიმეტალებს ამუშავებს. სპილენძის შემცველ ქანებს შორის ოქროს შემცველი ქანებიც გვხვდება. წლების მანძილზე ამ ქანებს იღებდნენ და გადასამუშავებლად რუსეთში გაჰქონდათ. შემდეგ პოლიტიკური ვითარება შეიცვალა. აფხაზეთის ომის დროს რკინიგზაც ჩაიკეტა და ჩვენი ოქრონარევი ქანებიც კაზრეთში დარჩა.

გადაწყდა, რომ ოქრო აქ, საქართველოში გადამუშავებულიყო. ეს პატივი წილად ხვდა ოქროს მომპოვებელ და გადამამუშავებელ ტრანსკონტინენტურ ავსტრალიურ კორპორაციას. ხსენებული კორპორაცია მსოფლიოში ოქროს მომპოვებელ საწარმოთა შორის ლიდერად ითვლება. საქართველოში ამ საქმიანობის წარმართვისათვის კორპორაციამ ავსტრალიაში დააფუძნა სააქციო საზოგადოება „ბოლნისი-მაინინგი“. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჩვენთვის უჩვეულო ოპერაცია მსოფლიოში მიღებული და აპრობირებული გახლავთ და ინფრასტრუქტურების განვითარებასაც უწყობს ხელს. „ბოლნისი-მაინინგმა“ იურიდიული თუ სხვა წინასწარი საკითხების მოგვარება-შეთანხმებისთვის, იურიდიული ფირმა „კროპვუდი“ დაიქირავა (ესეც მომსახურების ჩვეული ფორმა გახლავთ). „კროპვუდი“ საქართველოში „ბოლნისი-მაინინგის“ სახელით ჩამოვიდა და მოლაპარაკება გამართა ქონების მართვის სამინისტროსა და „მადნეულთან“. შეთანხმდნენ, რომ ერთობლივ საწარმოს, რომელსაც „მადნეული“ და ავსტრალიური „ბოლნისი-მაინინგი“ დააფუძნებდნენ, „კვარციტი“ დაერქმეოდა, მოგებას კი ქართული და ავსტრალიური მხარეები თანაბრად გაინაწილებდნენ. ბუნებრივია, დაფუძნებას რეგისტრაცია ესაჭიროებოდა და ამ ოპერაციის ჩასატარებლად მხარეთა წარმომადგენლებმა ბოლნისის სასამართლოს მიაშურეს. „კროპვუდს“, როგორც ვთქვით, ხელი „ბოლნისი-მაინინგის“ სახელით უნდა მოეწერა და ამის სრული იურიდიული უფლებაც ჰქონდა. მსგავს პრეტენდენტს ბოლნისის სასამართლოში არავინ იცნობდა და რეგისტრაციის ამგვარად გატარება შეუძლებლად მიიჩნიეს. „კროპვუდს“ მიმართეს — ჩვენ ჩვენი კანონები გვაქვს, თქვენი შეთანხმებისა არაფერი ვიცით და ხელი, თუ შეიძლება, თქვენი სახელით მოაწერეთ და არა „ბოლნისი-მაინინგისო“. „კროპვუდი“ ასეც მოიქცა.

ამ ფაქტს მოგვიანებით კიდევ დავუბრუნდებით. ახლა კი განვაგრძოთ: „კვარციტს“ 6 დირექტორი მართავდა. აქედან, შეთანხმებისამებრ, სამს ქართული მხარე ნიშნავდა და სამს — ავსტრალიური. პარტნიორები შეთანხმდნენ იმაზეც, რომ ოპერატიულ მართვას ავსტრალიელები განახორციელებდნენ.

„ბოლნისი-მაინინგმა“ დაახლოებით 13 მლნ დოლარის ოდენობის ინვესტიცია განახორციელა, ძირითადად ტექნოლოგიების სახით.

ჯერ ექსპერიმენტული საწარმო ააშენა იმის გასარკვევად, თუ რა რაოდენობით ოქროს მიღება შეიძლებოდა და რომელი მეთოდის გამოყენება სჯობდა. ოქროს შემცველობა ქანებში მოსალოდნელზე მეტი აღმოჩნდა. ახლა უნდა დაედგინათ, თუ როგორ შეიძლებოდა მაქსიმალური რაოდენობის ყვითელი ლითონის გამოდნობა. თავდაპირველად, ე.წ. ციანიდური გამოტუტვის ერთ მეთოდს მიმართეს. შედეგით დიდად კმაყოფილნი არ დარჩენილან. შემდეგ მეორე, „დაწვიმების“ მეთოდი გამოიყენეს და მაჩვენებელი გაცილებით უკეთესი აღმოჩნდა.

ამის შემდგომ ექსპერიმენტული საწარმოს გვერდით სერიოზული საწარმო ააშენეს. ამ ყოველივეს, ცხადია, არც ისე ცოტა დრო დასჭირდა. „კვარციტმა“ პირველი მოგება 1999 წლის ბოლოს და 2000 წლის დასაწყისში მიიღო. ეს მაჩვენებელი წლის განმავლობაში საკმაოდ მაღალი გახლდათ. 6 მლნ ლარი, გადასახადების სახით, სახელმწიფო ბიუჯეტმა უკვე მიიღო.

„კვარციტს“ საპროექტო სიმძლავრით ფუნქციონირებისათვის 5 მლნ აშშ დოლარი ესაჭიროებოდა. კრედიტისათვის უმსხვილეს ავსტრალიურ ბანკს — „მაქვორი ბანკს“ მიმართეს. ბანკმა პრინციპული თანხმობა განაცხადა ორი პირობით: 1. უნდა გაფორმებულიყო სამმხრივი ხელშეკრულება, 2. ფინანსური და წარმოების მართვის ბერკეტები ავსტრალიურ მხარეს უნდა ჰქონოდა. ქართული მხარე შემოთავაზებულ პირობას ასევე ერთი პირობით დათანხმდა, რომელიც შემდგომში მდგომარეობდა: ისინი თავიანთ წილს არ დააგირავებდნენ.

პირობა მიღებული იქნა. ქართულ-ავსტრალიურმა საწარმომ კრედიტი აიღო, გირაოდ კი მხოლოდ ავსტრალიური მხარის წილი ჩაიდო.

შესაბამისად გაფორმდა ამ შეთანხმების ამსახველი ხელშეკრულება ქონების მართვის სამინისტროსა და „მადნეულთან“.

„ბოლნისი-მაინინგი“, რომლის საწესდებო კაპიტალი დაახლოებით 100 მლნ დოლარს შეადგენს და მისი აქციებით უკვე ინგლისის და ნიუიორკის ბირჟებზე ვაჭრობენ, ავსტრალიაში აფუძნებს კომპანია „კვიტიზეტს“, რომლის წარმომადგენლობა საქართველოში ახორციელებს „კვარციტის“ საბუღალტრო და საკანცელარიო, ანუ ოპერატიულ მართვას. პარალელურად გაფორმდა ხელშეკრულება სადაზღვევო კომპანიასთან, რომელმაც თავის თავზე აიღო ოქროს გატანა და საბაჟო პროცედურები.

შემოსული თანხა ერთ-ერთ უცხოურ ბანკში „კვარციტის“ ანგარიშზე ირიცხება. ხელშეკრულების მიხედვით საწარმოს ამის სრული უფლება აქვს, ქართულ ბანკებს კი, მათი აზრით — არასანდო იმიჯი გააჩნიათ.

## ნაწილი მეორე: „მადნეულში“ საინტერესო ამბები ხდება

მოგეხსენებათ, „მადნეული“ სააქციო საზოგადოებაა და აქციათა 97% სახელმწიფოს ეკუთვნის. უფლება-მოვალეობებს კი ქონების მართვის, გარემოს დაცვისა და ეკონომიკისა და მრეწველობის სამინისტროები ინაწილებენ. მათი ინიციატივით, რეალურად კი, როგორც ამბობენ, ქვემო ქართლის გუბერნატორის, ლევან მამალაძის ლობირებით, „მადნეულის“ დირექტორად დაინიშნა ზურაბ ლობჟანიძე. იგი ლევან მამალაძის თანაკლასელი გახლავთ და „მადნეულის“ დირექტორობამდე „ქიმბოჭკოსა“ და „აზოტის“ ხელმძღვანელობა მოასწრო.

ლობჟანიძის დანიშვნას კოლექტივის დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა. შემდეგ ახალდანიშნული დირექტორი რის ვაი-ვაგლახით შეიყვანეს კაბინეტში და დაცვა დაუყენეს.

ლობჟანიძე ახალ პოსტზე დიდ შემოქმედებით უნარს ავლენს და „მადნეულის“ მმართველობით სტრუქტურას ცვლის — იგი დირექტორთა საბჭოს აარსებს. აღნიშვნად ნამდვილად ღირს ის ფაქტი, რომ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში ამგვარი ცნება საერთოდ არ ფიგურირებს. კანონის მიხედვით არსებობს სამეთვალყურეო საბჭო. თუმცა, ამას ლობჟანიძისათვის ხელი ნამდვილად არ შეუშლია. მეტიც — მან თავი „მადნეულის“ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ ერთადერთ დირექტორად გამოაცხადა — ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი თავისი შეხედულებებისამებრ იყენებს ბეჭედს, დებს ხელშეკრულებებს და ა.შ. თავისთავად ამგვარ უფლებამოსილებათა მინიჭება აკრძალული არ გახლავთ. უბრალოდ, მისი უფლებები პარტნიორთა, ამ შემთხვევაში კი, სახელმწიფოს გადასაწყვეტი იყო და არა ზურაბ ლობჟანიძისა.

ამის შემდეგ „მადნეულის“ ახალმა დირექტორმა ერთობლივი საწარმოს „კვარციტის“ პარტნიორთა კრება მოიწვია.

აქ უნდა აღვნიშნოთ რომ „კვარციტში“ დირექტორებს უფლება ჰქონდათ პარტნიორის სახელით საუბრისა, ამიტომ დირექტორთა კრება, ფაქტობრივად იმავე პარტნიორთა კრებას წარმოადგენდა. რიგი ოქმებისა შედგენილია როგორც დირექტორთა კრებისა, რიგი — როგორც პარტნიორთა კრების.

ლობჟანიძემ მოწვეულ კრებაზე ავსტრალიელებს დირექტორთა საბჭოს შექმნა შესთავაზა. თავმჯდომარე თავად ლობჟანიძე უნდა ყოფილიყო. ავსტრალიელებს ეს სახელის უბრალო შეცვლა ეგონათ და დათანხმდნენ.

ამის შემდეგ ლობჟანიძე თამამად გაემართა „კვარციტის“ ოფისისაკენ და ბეჭედი და კაბინეტი მოითხოვა. ის ოპერატიული მართვის სადავეების გადაცემას ითხოვდა.

ავსტრალიელთა რეაქცია ადვილი წარმოსადგენი გახლავთ. ლობჟანიძის მოთხოვნა, ყველაფერი რომ იქით იყოს, წესდებასთანაც სრულ შეუსაბამობაში მოდიოდა.

ამბობენ, სტივენ ლეიმ, რომელიც მაშინ ოპერატიულ მართვას ხელმძღვანელობდა, საკმაოდ არასიმპათიური ოთახი დაუთმო ლობჟანიძეს. ის კი, ამ ოთახიდან პირდაპირ სასამართლოში გაიქცა და ლეის უჩივლა.

ავსტრალიელებმა ლეი დატუქსეს პარტნიორის უპატივცემულობისათვის და თანამდებობიდან გადააყენეს, სამაგიეროდ, ჯორჯ კურტისი მოავლინეს.

ლობჟანიძემ ახალჩამოსული პარტნიორის „პატივსაცემად“ კიდევ ერთი კრება მოიწვია. კრებაზე კურტისი იმ უწყებითურთ გამოცხადდა, რომელიც მას პარტნიორის სახელით საუბრის უფლებას ანიჭებდა. უწყება, ცხადია, ავსტრალიის კანონების შესაბამისად იყო გაცემული. ლობჟანიძემ მხოლოდ ეს ფაქტი დაუწუნა კურტისს — ქართულ კანონებთან ვერაა მთლად შესაბამისობაში ეგ უსტარიო! ამ მიზეზით ჯორჯ კურტისს კრებაში მონაწილეობის უფლება არ მისცა... არადა კრება სულ ორკაციანი გახლდათ. მოგეხსენებათ, ლობჟანიძემ მანამდე უკვე მოახერხა მთელი ძალაუფლების ამა თუ იმ მეთოდებით ხელში ჩაგდება და ახლა ეს ერთი დირექტორი-ილა ჰყავდა მოსაშორებელი.

ლობჟანიძის თქმით, დოკუმენტს, რომელიც კურტისს გააჩნდა, ლეგალიზება სჭირდებოდა. როგორც აღმოჩნდა, ლეგალიზება ეწოდება უცხოეთში გაცემული დოკუმენტის ქართული მხარის მიერ აღიარებას; მაგრამ, საუბედუროდ, ლეგალიზაციის შესახებ კანონი ჩვენთან არ მოქმედებს — უბრალოდ, არ გაგვაჩნია! გაირკვა ისიც, რომ ეს რაღაც „ლეგალიზება“ მხოლოდ სახელმწიფო უწყებათაგან გაცემულ დოკუმენტებს ესაჭიროება. აქედან გამომდინარე, კურტისს ამ პროცედურის გავლა არ უნდა დასჭირვებოდა.

კრება ხელახლა დაინიშნა. ამ ახალ კრებაზე ძველი უწყებით გამოცხადებულ კურტისს ლობჟანიძემ იგივე პრეტენზია წაუყენა და ის „არგამოცხადებულად“ ჩათვალა. ეს უკვე მეორედ! არადა თუკი პარტნიორი კრებაზე ორჯერ არ მივიდა, შეგიძლია მის გარეშე მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, ანდა სულაც გარიცხო ის!

მიხვდით ალბათ, რომ ლობჟანიძემ, როგორც იქნა, მიაღწია სასურველ მიზანს, უფრო ზუსტად კი, პირველ საფეხურს. ის პირდაპირ „მადნეულისაკენ“ გაემართა, კრების ოქმი შეადგინა, შეცვალა წესდება — დააფიქსირა დირექტორთა საბჭო, ხოლო თავისი თავი — დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ, აიღო ხელში ოპერატიული მართვა და აქაც, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ერთადერთი დირექტორი გახდა!

კომენტარები ალბათ ზედმეტია. საკითხავია, ვისი ძალით ხნავს ლობჟანიძე აღმართს?!

თუმცა, ამ კითხვას მოგვიანებით დავსვამთ.

წესდების შეცვლის ოქმი გენერალურმა დირექტორმა ბოლნისის რაიონულ სასამართლოში მიაბრძანა და სასამართლომ ოპერატიულად ცნო წესდების შეცვლა.

მეორე დღეს ავსტრალიელებს მოძრაობის და მეტყველების უნარი ნაწილობრივ აღუდგათ, მათაც იმავე სასამართლოს მიაშურეს და სასამართლო დადგენილების შეჩერება მოითხოვეს. სასამართლომ, როგორც მოსალოდნელი იყო, უარი უთხრა.

## ნაწილი მესამე: გაიცანით „გლენკორი“

აქ კიდევ ერთი გადახვევა უნდა გავაკეთოთ და „მადნეულის“ „ინვესტორის“ შესახებ გიამბოთ. ქონების მართვის სამინისტრომ თავის დროზე, 1997 წელს, კომბინატის ამუშავებაზე ტენდერი გამოაცხადა. ტენდერში შვეიცარიულმა კომპანია „გლენკორმა“ გაიმარჯვა. „გლენკორი“ ტრანსკონტინენტალური კომპანია გახლავთ. როგორც მის მიერ მსოფლიო მასშტაბით, განსაკუთრებით კი, „მესამე“ ქვეყნებში განხორციელებული ოპერაციები მოწმობს, „გლენკორი“ ძირითადად ხელშეკრულებას სახელმწიფო საწარმოებთან აფორმებს, შემდეგ კი ამ საწარმოს მის მიმართ არსებული დავალიანებების სანაცვლოდ ადვილად იგდებს ხელში. მკაცრ სატენდერო პირობებზე „გლენკორი“ არ თანხმდება. სწორედ ამას უნდა მივაწეროთ წერილი, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ. თუმცა, სატენდერო პირობები მათ სასარგებლოდ საკმაოდ მარტივად შეიცვალა. მისი მეპატრონე მარკ რიჩი — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა „პერსონა ნონ გრატად“ გამოაცხადა. „გლენკორს“ არა ერთი კომპანია ჩაუყლაპავს მოხერხებული ინტრიგების შედეგად. თუმცა, რაც უნდა უცნაურად გეჩვენოთ, ეს კომპანია ტენდერის მონაწილედ და გამარჯვებულად „შემთხვევით“ ან ვიღაცის მოწვევით აღმოჩნდა.

1999 წლის ნოემბერში კომპანია „გლენკორის“ წარმომადგენელი მრეწველობის მაშინდელ მინისტრს, ბადრი შოშიტაიშვილს წერს, რომ თავადაც გაოცებული აღმოჩნდა, როცა ტენდერში გაიმარჯვა. „მადნეული“, რომ იტყვიან, ძალით შეაჩეჩეს. ისინი ამ ვალდებულებების აღებას არ აპირებდნენ, რადგან ხელს არ აძლევდათ. ქონების მართვის მინისტრმა მიხეილ უკლებამ და მისმა მოადგილემ პირობა მისცეს, რომ არანაირი ვალდებულებები არ დაეკისრებოდათ. ჩადებულ ფულს კი ისინი არავის აპატიებენ.

წერილის შინაარსი დაახლოებით ამგვარი გახლდათ.

მოკლედ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ „გლენკორის“ მონაწილეობა ვიღაცას ძალიან აძლევდა ხელს. ამ ვიღაცამ კი ისიც უწყოდა, რომ უკვე თამაშში ჩაბმული ეს კომპანია თავს აღარავის დააჩაგვრინებდა. უფრო მეტიც — პირიქით.

ასე თუ ისე, ტენდერში გამარჯვების შემდეგ „გლენკორი“ ინვესტორის ამპლუაში წარმოდგა და გარკვეული უფლებებიც დაეკისრა. ამის შემდეგ სიუჟეტი კიდევ უფრო საინტერესოდ ვითარდება.

„მადნეულის“ ერთ-ერთი დირექტორი ქონების მართვის მაშინდელ მინისტრთან, ავთანდილ სილაგაძესთან შედის და ითხოვს, რომ სატენდერო პირობები, რომლის მიხედვითაც უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება „გლენკორთან“, უნდა შეიცვალოს (ხელშეკრულება ამ დროისთვის გაფორმებული ჯერ კიდევ არ გახლდათ), რადგან „მადნეულს“ „გლენკორის“ საკმაო ვალი გააჩნდა (დაახლოებით 3 მლნ დოლარი).

სილაგაძე ამ რისკიანი გადაწყვეტილების მიღებისაგან თავს იკავებს. სამაგიეროდ, შვებულებაში გადის და „მადნეულთან“ დაკავშირებულ უფლებამოსილებებს სწორედ ამ დირექტორს გადასცემს. ცხადია, სილაგაძეს ამის უფლება არ ჰქონდა...

1998 წლის 8 მარტის ხელშეკრულება გაფორმდა. ცხადია, „მადნეულისთვის“ წამგებიანი პირობებით.

„მადნეულის“ აქციების მთავარი მფლობელი, როგორც არაერთხელ გაუწყეთ, სახელმწიფო გახლავთ და სწორედ ეს სახელმწიფო, ბოლოს და ბოლოს, ამ უცნაური და საინტერესო ამბებით დაინტერესდა. სწორედ ამიტომ აუდიტი მიავლინა. როგორც აღმოჩნდა, „გლენკორმა“ „მადნეულთან“ ერთად დააარსა ფირმა „მადნეულ-ინვესტი“. ჩარიცხული ფული სწორედ „მადნეულ-ინვესტის“ ანგარიშზე მიდიოდა, „მადნეულამდე“ კი თანხის მცირე ნაწილი თუ აღწევდა.

„მადნეულში“ კი უკვე მოხდენილი იყო ქონების გადაფასება, ანუ „მადნეულის“ აუდიტური შეფასება — „მადნეული“, ქართული წარმოების გიგანტი, შეფასდა... დაახლოებით იმ თანხად, რამდენიც მას „გლენკორისა“ ემართა (დაახლოებით 3 მლნ აშშ დოლარი).

ეს კიდევ ერთი საფეხური გახლავთ დასახული გეგმისა...

„გლენკორს“ კი სარჩელი შეაქვს „მადნეულის“ წინააღმდეგ ბოლნისის სასამართლოში გაკოტრების მოთხოვნით.

ამის შემდგომ „მადნეულმა“ სასამართლოში სანაციის (აღდგენის) გეგმა წარადგინა, მაგრამ ამ გეგმას სასამართლო არ მიიღებს, თუ ვინმე გარანტად არ დაუდგა...

აი, მივედით ისევ „კვარციტამდე“. ლობჟანიძე „კვარციტის“ ერთპიროვნული მმართველიცაა „მადნეულთან“ ერთად და გარანტადაც ქართულ-ავსტრალიურ საწარმოს აყენებს.

თუ სანაციის გეგმა ვერ განხორციელდა, „გლენკორი“ „მადნეულსაც“ წაიღებს და „კვარციტსაც“ თან მიაყოლებს. ანუ დაახლოებით 3 მილიონ დოლარად 150 მლნ დოლარამდე ქონებას ჩაიგდებს ხელში. (დამოუკიდებელ ექსპერტთა აზრით, „მადნეულის“ და „კვარციტის“ ქონება ერთად დაახლოებით ამდენი ღირს).

აი, აქ ყველამ ერთად უნდა ვიყვიროთ SOS!

საგარანტიო წერილისათვის ავსტრალიურმა მხარემ ლობჟანიძეს ვაკის სასამართლოში უჩივლა და დახეთ საოცრებას — სასამართლომ ლობჟანიძეს უფლებამოსილება შეუჩერა!

მაგრამ ერთი ასეთი საოცრება „ბოლნისი-მაინინგსაც“ შეემთხვა.

გახსოვთ, „კროპვუდი“?

სწორედ ის, ხელი „მაინინგის“ მაგივრად რომ მოაწერა? სწორედ ამის საფუძველზე ბოლნისის რაიონში კვლავ უჩივლეს და უფლებამოსილება „ბოლნისი-მაინინგსაც“ შეუჩერეს... ცხადია, მანამდე, სანამ ავსტრალიიდან „კროპვუდის“ უფლებამოსილების დასტურს არ გამოგზავნიან და ყველაფერს არ გაარკვევენ.

ამ ზედმეტად თეთრი ძაფით ნაკერმა ამბავმა ხელისუფლებშიც კი მოსჭრა ზოგიერთებს თვალი. სახელმწიფო მინისტრთან სახელმწიფო კომისია შეიქმნა, რომელმაც თავისი დასკვნა უკვე გააკეთა. დასკვნა, როგორც შევიტყვეთ, სხვა ღონისძიებებთან ერთად „მადნეულში“ საერთაშორისო აუდიტის ჩატარებას გულისხმობს, ამის შედეგად უნდა დადაგინდეს, თუ რამდენად კანონიერია „გლენკორის“ პრეტენზია „მადნეულისადმი“ და ამ უკანასკნელისა — „კვარციტის“ მიმართ.

ამ ყველაფრის უკან კი ქართული ინტერესი იკვეთება. ლობჟანიძე, რომელმაც დიდი როლი ითამაშა არსებული ვითარების შექმნაში, ლევან მამალაძის კაცად მოიაზრება. მამალაძე კი, როგორც ბევრი ფიქრობს, პრეზიდენტის მძახლის, გურამ ახვლედიანის ინტერესის გამტარებელია.

**P.S. და კიდევ...**

**გვსურს მკითხველი დავარწმუნოთ, რომ წინამდებარე წერილი მხოლოდ ერთი მიზნით დაიწერა, და ეს „ერთი“ — ჩვენი ქვეყნის, საქართველოს ინტერესების დაცვა გახლავთ. მოყვანილი ინფორმაციები კი ფაქტებსა და დამოუკიდებელ თუ სახელმწიფო კომისიის ექსპერტთა აზრს ეყრდნობა.**

**სამწუხაროდ, ბატონ ზურაბ ლობჟანიძესთან დაკავშირება, მიუხედავად მცდელობისა, ვერ მოვახერხეთ.**

***მაია გაბუნია***

# ქართველ პარტიზანს აფხაზი სეპარატისტი პროკურორი გაასამართლებს?!

## „ხელისუფლებამ 300 „ცინკის“ კუბო მოგვიმზადა“(!)

***ამ რამდენიმე დღის წინ „კვირის პალიტრას“ „ტყის ძმების“ ყოფილი პარტიზანი, ინვალიდ-მეომართა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ლაშა ჭიქაბერიძე დაუკავშირდა და მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „კარტის გახსნის“ სურვილი გამოთქვა. მართალია, აფხაზეთზე, გალზე და ჩვენს ხელისუფლებაზე ბევრი თქმულა, მაგრამ ცნობისმოყვარე მკითხველი მისთვის საინტერესოს ქვემორე დიალოგში მაინც ამოიკითხავს:***

— პარტიზანული მოძრაობა დღეს, ფაქტობრივად, მკვდარია. სიცრუეა, ვინც იტყვის, ასე არ არისო. ამაში დიდი წვლილი ხელისუფლებას მიუძღვის. „ტყის ძმებს“ მაშინ დაედო ხელ-ფეხზე ბორკილი, როცა შინაგან ჯარებს შეუერთეს. „ტყის ძმებში“ 350 კაცი ვიყავით გაერთიანებული. სამი ბაზა გვქონდა — თორსაში, ნარაზენსა და ტყიბულში. პარტიზანისთვის მოქმედების შეზღუდვა ძნელი ასატანია. თავიდან დახმარებას გვპირდებოდნენ, თუმცა თავისუფლების ფასი გვესმოდა; მაგრამ ფასი იარაღისაც ვიცით. ახლა ერთიც და მეორეც სანატრელი გახდა. ისე, ყველაზე კურიოზული მაინც ის არის, რომ ზოგი მეორედ გახდა ჯარისკაცი.

**— სამუშიასა და შენგელიას პარტიზანულ დაჯგუფებებზე რას გვეტყვით?**

— რა უნდა გითხრათ?! შენგელია „ტყის ძმების“ ერთ-ერთი ბელადი იყო. მან ჭკუა იხმარა და შინაგან ჯარში არ გაერთიანდა, ცალკე წავიდა თავისი ბიჭებით. ის პარტიზანად დარჩა დღემდე. მიხვდა შენგელია, რომ გაოფიციოზებით და გაწითლებით (როგორც ბიჭები ვეძახით) თავისი ხელით დაიდებდა ბორკილებს.

**— გაწითლებაში რას გულისხმობთ?**

— ჯერ ერთი, სისტემის საბჭოურობას და მეორეც, ეს სირცხვილის სიწითლეა, საკუთარი ხელით რომ მოჭრი იმ ტოტს, რომელზეც ზიხარ. მე როცა ამ ყველაფერს მივხვდი, წამოვედი კიდეც. შენგელიას ბიჭები კი ამ სირცხვილს გადაურჩნენ. სხვათა შორის, მასთან ყველაზე გამოცდილი და კარგად მომზადებული პარტიზანები არიან.

**— „თეთრ ლეგიონზე“ რას გვეტყვით, როგორ გადაურჩა გაწითლებას?**

— იმედია, ისინი არ მიწყენენ რასაც ვიტყვი — „თეთრი ლეგიონი“ ანგარიშგასაწევი ძალა ხელისუფლებისათვის არ იყო. პარტიზანული „პარადი“ „ტყის ძმებს“ მიჰყავდათ. ამდენად, მათთვის ოფიციალური სტატუსის მიცემას სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

**— როგორც ცნობილია, თქვენ (იგულისხმება პარტიზანები და ინვალიდ-მეომართა კავშირი) ელიავას მოძრაობის მომხრე არ ყოფილხართ, მაგრამ უფრო ადრე აფხაზეთში ერთად იბრძოდით. როგორ გაიხსენებდით იმ დროს?**

— ელიავას მომხრე გარკვეულ ნაწილში მართლაც არ ვყოფილვართ — ეს დღეს, თორემ აფხაზეთის ომის დროს ერთი აზრი გვაერთიანებდა. ელიავა ლოთის თანამებრძოლი და თანათავმჯდომარე იყო. ომი რომ დამთავრდა, მერე ერთხანს ელიავაც პარტიზანულ მოძრაობაში იყო. „ტყის ძმებთან“ ერთად ახორციელებდა ოპერაციებს. საერთოდ, თავმდაბალი კაცი იყო, არ უყვარდა თავის გამოჩენა. ამიტომაც არ ჟღერდა მისი სახელი არც ომის დროს და არც მერე, სანამ სენაკის ამბები არ განვითარდა. ბოლოს, თითქოს დამეგობრდა მთავრობასთან, მაგრამ მისი მონა მაინც არ გახდა. არც მთავრობა ენდობოდა დიდად. ამიტომაც გასწირეს. მისი ლიკვიდაციის სცენარი ადრე იყო ჩაფიქრებული. ხელისუფლებისთვის ელიავა დენთით სავსე კასრს წარმოადგენდა. ის დიდი სპექტაკლის ყველაზე ტრაგიკული გმირი აღმოჩნდა.

**— რატომ უნდა მორიდებოდა ხელისუფლება ელიავას ლიკვიდაციას სენაკის ამბოხის დროს?**

— კარგად დაფიქრდით და გაიხსენეთ: სენაკის ამბები იმ დროს მოხდა, როცა დღე-დღეზე სუფსის ტერმინალი უნდა გახსნილიყო. ჩვენ ელიავას არცერთ პროცესში არ ვმონაწილეობდით, მაგრამ ვვარაუდობ, რომ მან ტერმინალის გახსნას იმიტომ დაამთხვია ეს ამბავი, რომ მსოფლიოს ყურადღება მიექცია. სწორედ ამ ყურადღების წყალობით არ განხორციელდა მისი ლიკვიდაცია. აბა, წარმოიდგინეთ, როგორ გამოიყურება ერთად — ტერმინალი და არასტაბილური პოლიტიკური გარემო. მაღალჩინოსანი ძალოვნების სიცოცხლე მაშინ ძვირფასი არ აღმოჩნდა მთავრობისთვის, ახლა კი, რატომღაც, რიგითი პოლიციელის ტყავს გაუფრთხილდნენ?!

**— დავუბრუნდეთ აფხაზეთის ომს... დღევანდელი გადმოსახედიდან როგორია თქვენი შეხედულება ამ ომზე და რას გაიხსენებდით ისეთს, რომელიც, როგორც გვითხარით, „კარტს გახსნის“?**

— ამ ომის პოლიტიკური შეფასება ჩემი საქმე არ არის, ამისთვის არაკომპეტენტური ვარ. კონკრეტული ფაქტებიდან გამომდინარე, ჩემს შემთხვევაში, სულ ცოტა, ათჯერ მაინც, ბრძოლითა და სისხლით აღებული ტერიტორიები გაურკვეველი მიზეზების გამო დავტოვეთ. მებრძოლის კითხვაზე — თუ რატომ? გვპასუხობდნენ — გვიბრძანესო! მიზეზი ან არ სახელდებოდა, ან აბსურდული იყო. ჩემთვის ყველაზე მტკივნეული სოფელ შრომის დაცემა იყო. ამ სირცხვილის დროს მე ტყვედ ჩავვარდი. არ მინდა ისე გამიგოთ, რომ გულისტკივილს ჩემი ტყვეობა განაპირობებს. ამ ფაქტის მოყოლას ცოტა შორიდან დავიწყებ: აფხაზები განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდნენ „თეთრი არწივის“, „მხედრიონისა“ და სამხედრო პოლიციის მებრძოლთა მიმართ. მათ „ჩორნიე დიავოლებს“ ეძახდნენ. მე სამხედრო პოლიციაში ვიყავი. ცხონებული შოთა ლეჟავა იყო სამხედრო პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმის მეთაური. ლეჟავა სწორედ შრომის დაცემის დღეს დაიღუპა — 9 სექტემბერს. ყველა მებრძოლს ისე გვიფრთხილდებოდა, თითქოს მისი ძმა, ან შვილები ვყოფილიყავით. გვეუბნებოდა, თუ ტყვედ ჩავარდით, თქვით, რომ ვითომ სანიტარულ პოლკს წარმოადგენთო. მკლავზე „სპ“ გვეწერა და აფხაზების შეცდომაში შეყვანა ადვილი იყო. შემდგომში ეს დარიგება მართლა ძალიან გამომადგა. აფხაზებმა დამიჯერეს, რომ სანიტარულ პოლკს წარმოვადგენდი; სხვანაირად სიკვდილს ვერ გადავურჩებოდი. ჩვენ შრომაში წინა ხაზზე ვიდექით, გარე შტაბის ხელმძღვანელი კი შოთა კვარაცხელია იყო (შემდგომში,




როგორც გავიგე, ის დააწინაურეს). არ ვიცი, რა დავარქვა, მაგრამ მისი შეგნებული თუ შეუგნებელი მოქმედების გამო დაეცა შრომა. გარე შტაბს უნდა გადაეკეტა ტყე, რომ აფხაზები არ შემოსულიყვნენ და წინა ხაზს ზურგში არ ჩასდგომოდნენ. შტაბის ხელმძღვანელმა კი იქ ხალხი არ ჩააყენა და ალყაში მოვექეცით. პოზიციები ისე დატოვეს, რომ ერთი ტყვიაც არ გაუსვრიათ. არადა, ჩვენს შორის მანძილი 250 მეტრი თუ იქნებოდა. სროლის ხმას აუცილებლად გავიგებდით. მე უფროსის დავალებით მათკენ წავედი, ინფორმაცია უნდა გაგვეცვალა. იმ დროს ამიყვანეს აფხაზებმა. ჩემი დაჭერით გაიგეს ბიჭებმა, რომ ალყაში ვიყავით. ერთი გასროლა მოვახერხე და ხმა მივაწვდინე. წინა პოზიციაზე მდგარმა 23-მა კაცმა ბრძოლა მაინც გააჩაღა, 9 კაცი დაიღუპა, დაუჭრელი კი არავინ გადარჩენილა. სამაგიეროდ, დატოვებული პოზიციის სანაცვლოდ ხელისუფლება იმდენ ვარსკვლავს არიგებდა, რამდენიც სოკო არ ამოსულა ტყეში. ტყვეობიდან ოთხი თვის შემდეგ ბარამიძის ჩარევით გავთავისუფლდი. სოხუმის აეროდრომზე დავინახე კვარაცხელია, თვალებს არ ვუჯერებდი, რომ ის იყო. ვერ ვიტყვი, რომ მას თავად სურდა შრომის დათმობა... ის კი ფაქტია, რომ შრომა-ახალშენის ნაწილზე პასუხისმგებელი იყო და ბრძოლა წააგო. ვერც იმას ვიტყვი, კვარაცხელია რომ არა, შრომა დღეს ჩვენი იქნებოდამეთქი, მაგრამ სწორედ ამგვარი პატარ-პატარა დათმობებით დაიკარგა მთელი აფხაზეთი. მე კი გუდაუთის ციხეში ამომაყოფინეს თავი.

**— როგორც ვიცი, თქვენ გალის ტრაგედიის მონაწილეც იყავით. ეს ამბები დღემდე არანაკლებ ბურუსითაა მოცული.**

— დიახ, და ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დამიდასტურა, რომ აფხაზეთის ტრაგედიით ვიღაც მანიპულირებს. გალის ამბები 18-19 მაისს განვითარდა. შინაგან ჯარებში ჯერ არ ვიყავით გაერთიანებული. ჩვენმა 300 კაციანმა შემადგენლობამ გალის 80% დაიკავა. ამას თან ახლდა ჩვენი პარლამენტარების დოლი და შავ ზღვაში ჭყუმპალაობა — შეხედეთ აფხაზებო, ეს ჩვენი ტერიტორიააო. სამი დღის შემდეგ აფხაზებმა აქტიური მოქმედება დაიწყეს. ყელამდე შეიარაღებული 1700 კაცი 300-ს დაგვიპირისპირდა. მათ მხარეს იბრძოდნენ ჩეჩნები, სომხები, კაზაკები. ეს ბრძოლა არ ჰგავდა მანამდე აფხაზების მიერ წარმოებულ არც ერთ ომს. აშკარად იგრძნობოდა, რომ რუსეთის ხელი ერია. „მინამიოტებს“ ისე ისროდნენ, რომ უკან დასახევი გზა არ ყოფილიყო, ჩვენს უკან ბომბები სკდებოდა, წინიდან ავტომატებს გვიშენდნენ. ჩვენ კი არავინ დაგვხმარებია იარაღით. ჩვენი ბიჭებიდან ოთხი კაცი დაიღუპა. ეს იყო წარმოუდგენლად მცირე მსხვერპლი უთანასწორო ბრძოლაში. გვამები ორი კვირის შემდეგ გამოვიტანეთ. მე მთელ ამ ტრაგედიაში ბრალს შინაგანი ჯარების მაშინდელ სარდალს ვდებ. თუმცა ბუნებრივია, მას შს მინისტრი და პრეზიდენტიც ბრძანებლობდნენ. ყველაფერი ისე იყო მოფიქრებული თუ მოუფიქრებელი, რომ აფხაზებს ეს 300 კაცი უნდა გადავეყლაპეთ. ზუგდიდში დაბრუნებულს უშიშროების ერთმა თანამშრომელმა მითხრა, როგორ, ცოცხლები ხართ და ოთხი კაცის მეტი არ დაგლუპვიათო? როგორც ჩანს, ცოცხლებს მართლა არავინ გველოდა: ზუგდიდში ყოფნისას ჩვენი თვალით ვნახეთ, 300 ცინკის კუბო როგორ გადმოზიდეს მატარებლიდან. როგორ გგონიათ, რას უნდა ნიშნავდეს ეს დამთხვევა? მე მგონი იმას, რომ თითოეული პარტიზანისთვის თითოეული კუბო იყო გამზადებული. ხელისუფლების დახმარება იმაში გამოიხატა, რომ ჭირისუფალი ჩვენი ჩასასვენებლით უზრუნველეყო.

**— ტყვეობიდან თქვენი გამოსხნა როგორ მოხდა?**

— ჩემთან ერთად გუდაუთაში 40-მდე ტყვე იჯდა. როგორი სოციალური პირობები გვქონდა, არ მოგიყვებით. წარმოდგენისთვის ისიც საკმარისია გითხრათ, რომ საჭმელ-სასმელი აფხაზებს თავისთვისაც ძალიან უჭირდათ. დღეს რომ სალსალამათი ვარ, ბარამიძეს უნდა ვუმადლოდე. მან საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად გამოგვიხსნა. აფხაზები უარზე იყვნენ, მან კი გუდაუთიდან ფეხი არ მოიცვალა. ჩვენთანაც მოახერხა საპყრობილეში შემოსვლა. რამდენიმე კვირიანი მოლაპარაკების შემდეგ გაგვიშვეს. მოგვიანებით ითქვა, რომ ბარამიძემ თითო ტყვე თითო ტომარა პურის ფქვილში გადაცვალა. მართალია, ბარამიძეს ეს არ დაუდასტურებია, მაგრამ შეიძლება იმიტომ, რომ ჩვენს თავმოყვარეობას გაუფრთხილდა. მე არ გამოვრიცხავ, რომ ასეც იყო — აფხაზებს პურის შოვნა ძალიან უჭირდათ. თბილისში რომ დავბრუნდით, ისევ ბარამიძემ მოგვხედა, ტანსაცმელი მოგვცა და მოგვასულიერა. სახლში მოულოდნელად დავბრუნდი. ქუჩაში მეზობლებმა რომ დამინახეს, პირჯვარს იწერდნენ, ცოცხალი არავის ვეგონე. ჩემი სურათი დაჭრილი პარტიზანებისთვის თურმე სათითაოდ უჩვენებიათ საავადმყოფოში, ერთს უთქვამს — მგონი, ეს იყო, ჩემი ხელით რომ დავმარხეო.

**— რას იტყოდით ყარყარაშვილზე, როგორც მებრძოლზე, ყოფილ თავდაცვის მინისტრზე და ამჟამად დეპუტატზე?**

— ყარყარაშვილს, როგორც მებრძოლს უდიდეს პატივს ვცემ. საერთოდ, „თეთრ არწივში“ კარგად მომზადებული ბიჭები იყვნენ. მათი ჩვენს გვერდით გამოჩენა გვიხაროდა ხოლმე. ყარყარაშვილის მინისტრად დანიშვნის შემდეგ „თეთრი არწივი“ შესამჩნევად დასუსტდა. შეიძლება გია ფიქრობდა, თუ მინისტრი ვიქნები, უფრო მეტის გაკეთებას შევძლებო. მაგრამ არ გამოუვიდა. და როცა რაღაცის რეალურად გაკეთება მაინც მოისურვა, მოსკოვში თავდასხმაც მოუწყვეს. ბიჭებს ძალიან გვიკვირს, დეპუტატი რომ გახდა. მასზე კარგი შთაბეჭდილების ვარ, ცუდის სათქმელად გული არ მიშვებს, მაგრამ ვერაფრით ვერ ვხსნი, როგორ და რატომ მოხვდა პარლამენტში. იმის იმედი მაქვს და სულ ველოდები, რომ რაღაცას იტყვის აფხაზეთზე, ნაღდს და აუცილებელს.

**— საუბრისას ერთხელ ახსენეთ, რომ ენგურიდან შემოსული კონტრაბანდა თქვენს თვალწინ მიდიოდა. იქნებ უფრო დაგვიკონკრეტოთ.**

— შარშან შინაგანი ჯარების ჩვენი ნაწილი ლიაში იდგა. ეს არის შემოვლითი გზა, საიდანაც ძირითადად ხე-ტყე მოედინება, მომავალში თურქეთში გასატანად. ჩვენ იქ ვიდექით, როგორც კონტრაბანდის წინააღმდეგ მებრძოლი ნაწილი, მაგრამ ჩვენს იქ დგომას აზრი არ ჰქონია. კონტრაბანდაში დიდი ხალხი იყო ჩარეული, ყველა მანქანა რამდენიმე წუთიან მოლაპარაკებას აწარმოებდა პოლიციასთან. ისინიც, უპრობლემოდ ატარებდნენ. ჩვენ კონტროლში არ და ვერ ვერეოდით. იყვნენ წვრილმანი კონტრაბანდისტებიც, რომლებიც, საგზაო პოლიციას ფულს უხდიდნენ, ბობოლები კი ხშირ შემთხვევაში არაფერს იხდიდნენ. გვარები — იცოცხლე, საკმაოდ ცნობილი, სახელდებოდა. მართალია ჩვენს ნაწილთან ამის გახმაურებას ერიდებოდნენ, მაგრამ მაინც ვგებულობდით.

**— რატომ წამოხვედით შინაგანი ჯარიდან და რატომ შეაჩერეთ თქვენი არჩევანი საზოგადოებრივ საქმიანობაზე?**

— ყოველივე იმის შემდეგ, რაც გითხარით, შინაგან ჯარში ყოფნის აზრს ვერ ვხედავ. წამოვედი კიდეც. რაც შეეხება ინვალიდ-მეომართა კავშირს, ასეთი საქართველოში დღეს ათობითაა, მაგრამ ხელისუფლების ყურადღების მიქცევას მაინც ვერ ვახერხებთ. ჩვენი ორგანიზაცია „ერის ტკივილი“ საქველმოქმედოა და შემოწირულობებით არსებობს. გვინდა გავილაშქროთ ვეტერანთა კანონის თაობაზე. მას ჩვენ „დაჩის ზღაპრებს“ ვეძახით. მისი ერთი პუნქტიც კი არ სრულდება. მე კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ვარ იმერეთის რეგიონში და კარგად ვიცი რა უჭირთ აქ მცხოვრებ 8000-მდე მებრძოლს. მათთვის არც შემწეობაა, არც დახმარება და არც სამედიცინო მომსახურება. მათ იმდენი უნახავთ და დღესაც იმდენს იტანენ, რომ 10-15-მა ბიჭმა ერთდროულად ცუდ გუნებაზე რომ გამოიღვიძოს, დიდი დესტაბილიზაციის გამოწვევა შეუძლიათ. და ეჭვიც არ შეგეპაროთ, რომ 8000 მომხრე მარტო იმერეთში ეყოლებათ.

**— და ბოლოს, კონკრეტულად რამ გამოიწვია თქვენი ჩვენთან დაკავშირება?**

— საუბრისას მრავალჯერ ვახსენე პირობის დარღვევა და კიდევ დავუმატებ: ჯერ იყო და, საპარლამენტო არჩევნების დროს რეკლამას და იმიჯს ყველა აფხაზეთის ტრაგედიაზე სპეკულირებით იკეთებდა; მერე იყო საპრეზიდენტო არჩევნები და აფხაზეთის თემა იქაც მუსირებდა — ორივეჯერ, სულ ტყუილად. ახლახანს კი, არსენიშვილი ესტუმრა არძინბას და მხარეებმა ძალის გამოუყენებლობაზე მოაწერეს ხელი. და თუ ვინმე ამას გაბედავს, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა. ე.ი. ხელისუფლებამ აღიარა აფხაზეთის სამართალდამცავი სისტემა! ხოლო ჩვენი პარტიზანი, რომელიც სეპარატისტებს ებრძვის, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება აფხაზმა პროკურორმა გაასამართლოს. ყველაფერი ყველაფერი და, ასეთ თავხედურ შეთანხმებას აფხაზებსა და ჩვენს ხელისუფლებას შორის არ ველოდი.

***ქეთი ბერეკაშვილი***

# აფერა სასაფლაოზე...

ახლა ხშირად ამბობენ, ჩვენ ისეთ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, უკვე აღარაფერი გვიკვირსო. ამ ნათქვამს მეც დავთანხმებივარ, მაგრამ მომხდარა ისეთი რამ, რასაც არათუ გავუკვირვებივარ, არამედ გავუოგნებივარ კიდეც. და ახლაც სწორედ ასეთ შემთხვევასთან მაქვს საქმე. დარწმუნებული ვარ, საზოგადოებამ არაფერი იცის ე.წ. დამნაშავეთა ახალი ფენის არსებობის შესახებ — ბატონებო! ისინი თაღლითები არიან, სასაფლაოებზე დაძრწიან და ხალხს თავს ხან მესაფლავეებად, ხანაც კი ადმინისტრატორებად აცნობენ... დაკრძალვის და შემდგომ ხარჯებს თავის თავზე „იღებენ“, ჭირისუფალს მიცვალებულის დასაკრძალავ საჭირო თანხას დასტყუებენ და მორჩა, მათ კვალს ვეღარავინ მიაგნებს, მიიმალებიან. ასეთი ფაქტები იმდენად გახშირდა, რომ მუხათგვერდის სასაფლაოს ადმინისტრაციამ აბრაც კი გამოაკრა შესაბამისი წარწერით — „ჭირისუფალთა საყურადღებოდ...“




ავდექით და ჩვენც მივმართეთ, მაგრამ სამწუხაროდ, ადმინისტრაცია რამდენჯერმე ადგილზე არ დაგვხვდა (მოგეხსენებათ, რა ძნელია მუხათგვერდში ყოველდღე ასვლა) ამიტომ საუბარი ისევ მესაფლავეებთან ვამჯობინეთ. აღმოჩნდა, რომ ასეთი ბიზნესი ნამდვილად არსებობს და საკმაოდ სარფიანია, რადგან ჭირისუფალი ამ დროს დაბნეულია და მისი მოტყუება, თუ იკადრე, რა თქმა უნდა, ძალზე იოლია. თაღლითებს მესაფლავეები შეძლებისდაგვარად ებრძვიან, რადგან ისედაც ანაზღაურების გარეშე დარჩენილებს, მათი გამოისობით უფრო მოეცარათ ხელი. მესაფლავეებმა შემომჩივლეს, ხშირად ხალხს გადახდის საშუალება არ აქვს ან იმაზე გაცილებით ნაკლებს გვიხდიან, რაც შესრულებული სამუშაო ღირს, ხოლო 50 ლარი, რაც სახელმწიფოსგან გვეკუთვნის რამდენიმე თვეა არ მიგვიღიაო. სამაგიეროდ, მათივე თქმით, ყოველ კვირას მოჰყავთ უპატრონო მიცვალებულები, რომლებსაც საფლავის გათხრა სჭირდებათ, ამიტომ მესაფლავეებს იოლი ხერხი მოუფიქრებიათ და უპატრონო მიცვალებულებს, უმეტესად ციხიდან, ფსიქიატრიულიდან, მორგიდან მისვენებულებს, ე.წ. არხებში (საგანგებოდ ასეთი შემთხვევებისთვის გათხრილი ადგილები) ასაფლავებენ. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, როგორც შინაურულად გვითხრეს, თურმე ყოფილა შემთხვევები, როცა უცნობ პირებს მიცვალებული სუდარაში გახვეული მიუყვანიათ და სასაფლაოზე დაუტოვებიათ. გამოძიებით დადგენილა, რომ გარდაცვლილი არც მოკლულია და არც კრიმინალი. უბრალოდ, მოსახლეობის ნაწილს დასაფლავების საშუალება არ აქვს, ამიტომ მიცვალებულს სახელმწიფოს იმედად ტოვებს. სახელმწიფოს ერთი მიცვალებულის დასაფლავება 93 ლარი უჯდება. მუხათგვერდის ადმინისტრაციის მონაცემებით, მიმდინარე წელს დაკრძალულია 63 მიცვალებული. როგორც მესაფლავეებმა გვითხრეს, რეალურად, ეს ციფრი გაცილებით მეტია და დაახლოებით, 200 კაცამდე ადის.

აქედან გამომდინარე, სასაფლაოც კატეგორიებად იყოფა, პირველი — უპატრონო მიცვალებულებისათვის, მეორე — სრული ფასის გადახდისუუნარო და მესამე — ე. წ. „პრესტიჟული“ ადგილები. გარდა ამისა, სასაფლაოზე სხვა შემზარავი ფაქტებიც ხდება — იპარავენ სასაფლაოს ალუმინის ღობეებს, ამუშავებენ და შემდეგ ყიდიან, ხშირად ქრება წარწერიანი, მოხატული ქვებიც და ა.შ. დანამდვილებით ვერ ვიტყვი, მაგრამ ამბობენ, ძველი სასაფლაოებიც ხელახლა იყიდებაო.

ერთი სიტყვით, სასაფლაოებზე სრული განუკითხაობა ბატონობს. ჭირისუფალი ყველაფრისთვის უნდა იყოს მზად — შეიძლება თაღლითი შეხვდეს და ისედაც დამწუხრებულს, ფული დასტყუოს, ან კიდევ გაკეთებული სასაფლაო ერთ დღეს გაძარცული დახვდეს. გამორიცხული არც ის არის, რომ ახლობლის საფლავზე მიმავალი, გზად სუდარაში გახვეულ უპატრონო მიცვალებულს წააწყდეს. ვინ არის ყოველივე ამაში დამნაშავე?! ერთ მოაზროვნეს უთქვამს — ძალადობის ყველაზე საშინელი ფორმა გაჭირვებაა, რომლის დროსაც ადამიანი მგელს ემსგავსებაო, ანუ ყველაფერს კადრულობს.

აქამდე კი ვისი ან რისი წყალობით მივედით, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ჩვენო მკითხველო!

***თამაზ ხაბეიშვილი***

# „აფხაზეთი არც მოგვეცემა, არც დაგვეკარგება“

მართალია, ჩვენი ხელისუფლება გულზე ხელის დადებით იფიცება, აფხაზეთს მალე დავიბრუნებთო, მაგრამ რეალობიდან გამომდინარე, ამ პრობლემას კიდევ კარგა ხანს არ დაადგება საშველი. საკითხს განსაკუთრებულად სკეპტიკურად თავად დევნილები უყურებენ. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა კი მთლად გადაუწურა მათ იმედი.



ჯერ არსენიშვილისეული ხელმოწერა გახდა ერთი გნიასისა და შეხლა-შემოხლის საგანი. საზოგადოებამ თითქმის ცალსახად და უარყოფითად შეაფასა ეს მოვლენა და აღნიშნულ დოკუმენტს „აფხაზეთის ოფიციალური ჩაბარების“ დოკუმენტი უწოდა. თუმცა თავად ხელისუფალნი და „ქვემორე ხელისმომწერნი“ აცხადებენ, რომ ეს იყო წმინდა პოლიტიკური დიპლომატიის გამოვლინება და კონფლიქტის ზონაში მხოლოდ და მხოლოდ კრიმინალური(!) ქმედებების ოფიციალური ალკვეთის ღონისძიება.

ბოლო დღეებში კი მასმედიისა და საზოგადოების ყურადღება არანაკლებ სკანდალურმა განცხადებამ მიიპყრო. კერძოდ, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის რწმუნებულმა ბონდო ჯიქიამ მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე საქართველოს მხრიდან აფხაზეთისთვის ბლოკადის გაუქმების წინადადება წამოაყენა. მოტივად კი დაასახელა ბიზნესმენთა და კონტრაბანდისტთა(?!) მოთხოვნა აფხაზეთთან ვაჭრობის ლეგალიზაციის თაობაზე. თუმცა პრობლემა მხოლოდ იდეა არ გახლავთ, რადგანაც ნებისმიერი იდეა მკვდარია, თუკი მას მხარდამჭერები არ გამოუჩნდება. ამ შემთხვევაში კი, როგორც „ბოროტი ენები“ ამბობენ, აღნიშნულ მოსაზრებას, მოთხოვნას თუ წინადადებას თავად ქვეყნის პრეზიდენტმა მისცა გზა. გარდა ამისა, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, არცთუ დიდი ხნის წინ რუსეთის უშუალო ჩარევით განახლდა აფხაზეთთან დამაკავშირებელი სარკინიგზო მიმოსვლა და რამდენიმე რეისი სოჭიდან ტყვარჩელის მიმართულებით უკვე შესრულდა კიდეც. ამ ფაქტს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა რიგი პოლიტიკური პარტიებისა და განგაში ატეხეს — როგორ თუ აფხაზეთს ბლოკადა უნდა მოვუხსნათ და მათთან ვაჭრობა გავაჩაღოთო. თავისუფლებისა და დემოკრატიის ეროვნული ცენტრის განცხადებაში წერია: „დღევანდელ პირობებში თვითმარქვია დანაშაულებრივი რეჟიმის კონტროლის ქვეშ მყოფ სივრცესთან ვაჭრობის ლეგალიზაციისკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი ამ რეჟიმის აღიარებისკენ გადადგმული ნაბიჯია... რკინიგზის ლეგალური ამოქმედება რეალურ საშუალებას მისცემს სეპარატისტებს და რუსულ კომპანიებს, რათა აფხაზეთის ტერიტორია უმოკლეს ვადაში ჩართონ მსოფლიო ეკონომიკურ პროცესთა სფეროში, ამით მოახდინონ მისი სრული ათვისება საქართველოს მონაწილეობის გარეშე და მოიპოვონ დიდი სახსრები თავის პოლიტიკურ მიზანთა მისაღწევად. ტყვარჩელის რკინიგზის უკანონო ამოქმედებაზე საქართველოს ხელისუფლების დუმილი ამ გეგმის განხორციელების ერთ-ერთი ელემენტია“.

ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ თავისუფლებისა და დემოკრატიის ეროვნული ცენტრის ერთ-ერთ ლიდერს **ნოდარ ნათაძეს**, რომელმაც ამ ფაქტის გამო ხელისუფლება და პრეზიდენტი საქართველოს სახელმწიფო ინტერესების ღალატში ამხილა:

— ღალატია, აბა, რა არის? სხვა რა შეიძლება, რომ ამას ეწოდოს? ფაქტობრივად, ერთ-ერთი რეალური ბერკეტი, რომლითაც საქართველოს რუსეთის აგრესიული პოლიტიკის მოგერიება შეუძლია, არის მისთვის აფხაზეთის რკინიგზით სარგებლობის უფლების ალკვეთა. ხოლო როდესაც შენ ამ ძლიერ ბერკეტს აცლი სახელმწიფოს და ტყვარჩელის რკინიგზის უკანონო ამოქმედებაზე სიტყვასაც არ ძრავ, არანაირ პროტესტს არ გამოთქვამ, პირიქით, მხარსაც კი უჭერ, ეს ღალატია, აბა,. რა არის? ხუთი — ვითომ ტურისტული — რეისი უკვე განხორციელდა კიდეც. მარტო ეს რომ იყოს, კიდევ რა უჭირს. აგერ, ხელთ მაქვს დოკუმენტი, რომელიც გაეროს გაუგზავნეს. ეს არის საქართველოს წინადადებები აფხაზეთის სტატუსის შესახებ. ეს არის საქართველოს მტრების მიერ შეთითხნილი წინადადებები.

**— მაინც რა წერია ამ დოკუმენტში?**

— ორ მაგალითს მოგიყვანთ: ჯერ ერთი, წერია, რომ აფხაზეთი და დანარჩენი საქართველო ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან ხელშეკრულებითი წესით. ეს არის კონფედერაციაზე უფრო სუსტი კავშირი და მეორე, ასევე ამ დოკუმენტში შავით თეთრზე წერია, რომ აფხაზეთის ხელისუფლების ექსკლუზიურ კომპეტენციაში შედის მოქალაქეობის საკითხთა გადაწყვეტა, ანუ დემოგრაფიული პროცესების რეგულირება. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთ წელიწადში აფხაზეთში ჩაასახლებენ 300 ათას თურქს, მილიონნახევარ რუსს და კაზაკს და ქართველს საერთოდ არ გააჭაჭანებენ. ახლა ზის გაეროში რამდენიმე უმეცარი და მოღალატე ჩვენი წარმომადგენელი და ლაპარაკობენ აფხაზეთის სტატუსზე. ხომ წარმოგიდგენიათ, რასაც ილაპარაკებენ?



**ირაკლი წერეთელი,** — ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე:

— შევარდნაძე და მისი გუნდი ერთ-ერთ მორიგ მავნებლობაში გამოვიჭირეთ. სხვათა შორის, ჩვენი პრეზიდენტი ამ ბოლო დროს ძალიან გაეშმაკდა და ბევრ მავნებლობას თავისი ხელქვეითების ხელით სჩადის. ამას წინათ იყო და, „დასაკლავად“ ეს პატიოსანი ადამიანი — გია არსენიშვილი — გაიმეტა. რას ერჩოდა, ვერ გავიგე. ახლა კიდევ ის უბედური ბონდო ჯიქია გაწირა, რომელიც, სხვათა შორის, არ არის ცუდი კაცი, მაგრამ რა ქნას — აცდუნა.

**— ტყვარჩელის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის თაობაზე ოფიციალური დოკუმენტი არსებობს?**

— ვერ გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ სიტყვა ითქვა და საქმეც მოჰყვა. ამის გაკეთება შეიძლებოდა? ეს ხომ აფხაზეთის საბოლოოდ დაკარგვას ნიშნავს! ამ და სხვა დანაშაულობების გამო შევარდნაძეს პატიმრობა ელოდება. მას დააპატიმრებენ, გაასამართლებენ და შემდგომ შეიწყალებენ — მაინც საქართველოს პრეზიდენტია და ციხეში ჩასასმელად ვერ გავიმეტებთ. გაერო რომ გაეროა, ისიც კი შეცდომაში შეიყვანა ჩვენმა ხელისუფლებამ. ერთ მაგალითს მოგიყვანთ: გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის ერთ-ერთ მოხსენებაში გაიჟღერა მკრეხელურმა ფრაზამ — აფხაზეთში გაიხსნა ქართული სკოლები, სადაც მეგრელი ბავშვები ისწავლიანო. კი მაგრამ, რას ნიშნავს „მეგრელი ბავშვი“? არსებობს მხოლოდ ქართველი ბავშვი, მაგრამ ეს კოფი ანანის ბრალი კი არ არის! იმან რა იცის, მეგრელი უნდა თქვას, ქართველი თუ სვანი? ამათ უთხრეს და იმანაც გაიმეორა.

**— შეცდომაში ვინ შეიყვანა — ჩვენმა მთავრობამ თუ აფხაზეთის თვითმარქვია ხელისუფლებამ?**

— ორივემ. ეს ერთი და იგივე ძალაა. უფრო სწორად, ერთი ძალის სხვადასხვა განშტოებაა — ერთი თბილისში ზის, მეორე — სოხუმში.

არცთუ დიდი ხნის წინ „კვირის პალიტრასთან“ საუბარში პარლამენტის ვიცე-სპიკერი **ვახტანგ ყოლბაია** ზოგადად შეეხო აფხაზეთის ბლოკადის დადებით და უარყოფით მხარეებს. მისი თქმით, კონტრაბანდული გზით აფხაზეთში მაინც შედის და გამოდის საქონელი არა მხოლოდ რუსეთიდან, არამედ საქართველოდანაც. ვაჭრობის ლეგალიზების შემთხვევაში კი ქვეყნის ბიუჯეტი მოგებას, შემოსავლებს მიიღებს. გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც ცალკეული ორგანიზაციები არსებული ბლოკადის პირობებშიც კი უპრობლემოდ ახორციელებენ იქ თავიანთ სავაჭრო ოპერაციებს. ასე რომ, ასეთ სიტუაციაში აფხაზებისთვის დიდი მნიშვნელობა არც უნდა ჰქონდეს, ბლოკადა მოიხსნება თუ არა.

აფხაზეთისთვის ბლოკადის მოხსნის თაობაზე დავუკავშირდით სახელმწიფო კანცელარიის მთავარ კონსულტანტს ბატონ **ლევან ალექსიძეს,** რომელმაც ჩვენთან საუბარში ალტერნატიული აზრი დააფიქსირა:

— საქართველოსა და აფხაზეთს შორის ვაჭრობის ლეგალიზებაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ ეს უნდა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საქართველო ამ პროცესის აქტიური მონაწილე იქნება. ამისათვის აუცილებლად უნდა მოვითხოვოთ კონტროლი ფსოუზე, რადგანაც ადვილი შესაძლებელია, იქიდან შევიდეს იარაღი, რაც აფხაზებს ჩვენს ძლიერ სამხედრო მოწინააღმდეგეებად აქცევს. არძინბას ხელისუფლება უნდა წავიდეს გარკვეულ დათმობებზე და აღიაროს საერთაშორისო თანამეგობრობის პრინციპები, რასაც ის ჯერჯერობით არ აკეთებს, თორემ აფხაზ ხალხთან ურთიერთობის მოწინააღმდეგენი არასოდეს ვყოფილვართ.

**— რამდენად დასაშვებად მიგაჩნიათ დღეს ამ ბლოკადის გაუქმება?**

— კიდევ ვიმეორებ, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ ამ ეტაპზე ამაზე საუბარი მაინც ნაადრევად მიმაჩნია.

P.S. მოეხსნება თუ არა აფხაზეთს ეკონომიკური ბლოკადა — ამას ალბათ მომავალი გვიჩვენებს. სამწუხარო ის არის, რომ ამ ურთულესი და უპირველესი პრობლემის — აფხაზეთის — საკითხის გადასაწყვეტად ერთი პოზიცია და ერთი აზრი არ არსებობს. დღემდე იმაზეც კი ვერ შევთანხმდით, რა ფორმით და მეთოდებით უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი. ეს პროცესი ზოგს ომით წარმოუდგენია, ზოგს — მშვიდობით და რეალურ ღონისძიებათა დასახვის ნაცვლად ფაქტობრივად ბრძოლა მიმდინარეობს მხოლოდ ამ ორ იდეას შორის. აფხაზეთის პრობლემის „არც მოგეცემა, არც დაგეკარგებას“ პრინციპი კი აგერ უკვე 9 წელია, გრძელდება და გვირაბის ბოლოს შუქი ჯერ კიდევ არ მოჩანს.

***ხათუნა ყვირალაშვილი***

# მოხდება პრივატიზაციის შედეგების გადახედვა?

ჩვენი ქვეყანა სავალალო ფაქტის წინაშე დადგა. ცნება — „კორუფცია“ და „ხელისუფლება“, ტყუპისცალებად გადაიქცნენ, მოხდა მათი თვისებრივად შერწყმა და კარგა ხნის წინ დაწყებული ერთმანეთის მასაზრდოებელი ფუნქციის შეთვისების პროცესი, ჩამოყალიბებულ მძლავრ სისტემად გადაიქცა. მიუხედავად იმისა, რომ სახელისუფლებო დონეზე, როგორც იქნა, ოფიციალურად მოხდა ქვეყანაში მძვინვარე კორუფციის აღიარება, ვერავინ ბედავს შექმნილი მდგომარეობის პირდაპირ ფორმულირებას, რომ ხელისუფლება ტანდემშია კორუფციასთან. ერთი რამ ცხადია: კორუფციული სისტემის წინააღმდეგ ბრძოლის იმ სახეობებს, რასაც წლების მანძილზე მიმართავს ჩვენი ხელისუფლება, მხოლოდ ერთი სახელი შეიძლება ეწოდოს, — ფიქცია. მძლავრი სისტემის წინააღმდეგ მხოლოდ მძლავრმა სისტემამ უნდა იბრძოლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებთ დაუსრულებელ ციკლს, კორუფციასთან ბრძოლის დაწყების სახელწოდებით. მაგალითისთვის, არცთუ ისე შორეული წარსული შეიძლება გავიხსენოთ, როცა კორუფციულმა სისტემამ ნიშანდობლივი რეაქცია და საკუთარი ძალების დემონსტრირება მოახდინა გია ბარამიძის ანტიკორუფციულ კომისიასთან დაკავშირებით. კომისიის მუშაობას შედეგად მხოლოდ ის მოჰყვა, რომ ბატონი ბარამიძე, რომელმაც ანტიკორუფციული კომისიის შექმნა პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო და სერიოზული მუშაობაც გააჩაღა, ახალგაზრდული შემართებისა და გზნების დასაცხრობად ოკეანის გაღმა გაამგზავრეს.

ახლა, რაც შეეხება ბოლოდროინდელ გამოცოცხლებას კორუფციასთან ბრძოლის დაწყების თვალსაზრისით, რაც სპეციალური კომისიის შექმნით გამოიხატა და რომელმაც სექტემბრისთვის კორუფციასთან ბრძოლის სრულყოფილი პროგრამა უნდა წარუდგინოს პრეზიდენტს. ამ პროცესს, ზოგადად, სახელისუფლო მოძრაობას ვერ დავარქმევთ, რადგან იგი უშუალოდ პრეზიდენტის ინიციატივით შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი უმაღლეს ხელისუფლებას წარმოადგენს, მისი გამიჯვნა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, სხვადასხვა გარემოების გამო, ზოგადად ხელისუფლებისა და თუნდაც მმართველი უმრავლესობისგან მაინც უნდა მოხდეს. ამ გარემოებებიდან ერთ-ერთი უმთავრესი — მისი ბოლო საპრეზიდენტო ვადაა. განსხვავებით მოქალაქეთა კავშირისაგან, რომელსაც შეუძლია საპარლამენტო არჩევნების გზით კვლავ მოგვევლინოს მმართველ ძალად, ბატონი შევარდნაძე კონსტიტუციის ძალითაა მოკლებული კიდევ ერთხელ გაპრეზიდენტების სიამოვნებას. ამიტომ სახელისუფლებო ტანდემი კორუფციულ სისტემასთან მას ხელს არ აძლევს. სხვათა შორის, ამ მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რაც იქნა გადადგმული, — საშემოდგომოდ, პარლამენტში, მერებისა და გამგებლების არჩევითობის კანონის განხილვაა. ამ კანონის მიღება, ფაქტობრივად, წყვეტს იმ დამოკიდებულებას, რაც დამნიშნავის წინაშე დანიშნული მერისა თუ გამგებლის ვალდებულებებით გამოიხატება; ხოლო თუ როგორი წვლილი შეიტანეს გამგებლებმა საპარლამენტო თუ საპრეზიდეტო არჩევნებში, რომელსაც თვით უცხოელმა ექსპერტებმაც კი სამარცხვინო შეფასება მისცეს, ყველასათვის ნათელია.

*(გაგრძელება იხ. გვ. 27)*

# სექტემბრიდან თბილისში გველები უფრო მომრავლდებიან

ამ რამდენიმე დღის წინ რედაქციაში ხევძმრის ქუჩის მცხოვრებლებმა დარეკეს. ქვეწარმავლებისაგან დაშინებულ მოსახლეობაში პანიკა კვლავაც არ წყდება. ჩვენ, ბუნებრივია, დაუყოვნებლივ გამოვეხმაურეთ მკითხველს და შინაც ვეწვიეთ. ზუსტად იმ დროს სახლის მიმდებარე ხევში, ჰერპეტოლოგთა ჯგუფი მუშაობდა.

„კვირის პალიტრამ“ ერთხელ უკვე შემოგთავაზათ სტატია ქვეწარმავლების მომრავლებასთან დაკავშირებით. ასევე მოგაწოდათ პრაქტიკული რჩევები, როგორ უნდა მოიქცეთ კრიტიკულ სიტუაციაში. მაშინ ჩვენ არაფერი გვითქვამს, თუ როგორ ფინანსდებოდა ჰერპეტოლოგთა ჯგუფი. ისინი მუშაობდნენ, „მებაღე“ კი უბრალოდ, „ჩრდილში“ დარჩა. თუმცა, ამ საქმეს ახლა შეიძლება სულ სხვაგვარი ჩრდილი მიადგეს — კორუფციის. მთავარი თემის პარალელურად ახალი, მაგრამ კარგად ნაცნობი პრობლემა გამოიკვეთა.

**ნაზი ხეცურიანი**, ხევძმრის ქუჩის მცხოვრები: „თითქმის 50 წელია ამ ქუჩაზე ვცხოვრობ. გველები ამ ტერიტორიაზე ჩემს ბავშვობაშიც იყვნენ, მაგრამ ამდენი არასოდეს ყოფილა. შიშით კარ-ფანჯრები ვერ გამიღია, შინ არ შემოვიდეს-მეთქი. ამ რამდენიმე დღის წინ, სამზარეულოში, კომპოტს ვაკეთებდი. მაგიდის ქვემოდან ქილა გამოვიღე და რას ვხედავ?! შიგ გველი არ ჩამძვრალა? შიშით კინაღამ მოვკვდი. ჩვენი სახლის უკან, ახლა რომ ხევია, ადრე მდინარე ხევძმარა ჩამოდიოდა. ახლა დაშრა და დაჭაობებულია, შიგ ფეკალური მასა ჩაედინება. აღარაფერს ვამბობ კოღოებზე, ბუზებსა და ხვლიკებზე. გამგეობა გვპირდება, ხევს ამოვავსებთ და გავასუფთავებთო. შედეგი ჯერ არ ჩანს. საპრეზიდენტო არჩევნები რომ იყო, სამი დღით ადრე მოვიდნენ, მოიყვანეს ბულდოზერი, გვეგონა, რაღაცას გააკეთებდნენ, მერე ჩაიარა არჩევნებმა და მათთვის თვალი აღარ მოგვიკრავს.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს, **ვიქტორ მოსიძეს** შევხვდით და გვითხრა, — მაგ საქმისთვის 50 ათასი ლარია გამოყოფილიო. მაგრამ ამაზე არც ერთი თეთრი არ დახარჯულა... ეტყობა, ის ფული ვიღაცებმა ჩაიჯიბეს. ისე, ისიც საინტერესოა, რად უნდა 50 ათასი ლარი ამ პატარა ხევის ამოვსებას. ვართ ასე გაბითურებულნი. ხან ვის მივმართავთ, ხან ვის. ახლა თქვენთანაც დავრეკეთ, იქნებ გვეშველოს, მოგვხედონ.“

**ჰამლეტ ხეცურიანი:** „ამხელა კაცი ვარ და უხსენებლის დანახვაზე სულ ელეთმელეთი მომდის. თანაც განა პატარები არიან — მეტრი და უფრო მეტიც იქნება ზოგიერთი. რამდენჯერმე წითელი ფერის გველი ვნახე. ამ სპეციალისტებმა მითხრეს, შხამიანი არ არის, მაგრამ აგრესიულიაო. ჩემი თავი ჯანდაბას, მაგრამ აქ სულ ბავშვები თამაშობენ. რამდენიმე დღის წინ ქვეწარმავალთა სპეციალისტების სხვა ჯგუფი იყო მოსული, გველი ვერ დაიჭირეს, მაგრამ დაგვაიმედეს, აქ შხამიანის არსებობა გამორიცხულიაო. დღეს რომ მოვიდნენ — ისინი ამბობენ, ამის გარანტიას ვერ მოგცემთო... სანამ ეს ჭაობი არ ამოშრება და არ ამოივსება, უხსენებელი სულ იქნება. ალბათ, მალე იძულებული გავხდებით, საპროტესტო აქცია მოვაწყოთ და გზა გადავკეტოთ.“

**თინიკო ბექაური,** 8 წლის: „მე და ჩემი მეგობრები ხშირად ჩავდიოდით ხევში სათამაშოდ. ახლა გვეშინია... ერთხელ გოგირდი დავწვით, გვეგონა, აღარ იქნებოდნენ, მაგრამ იმ დღესვე ვნახეთ. წითელი ფერის იყო, გავიქეცით და უფროსებს ვუთხარით. იმათ კი ჩვენზე მეტად ეშინიათ.“

**ვახტანგ ფიცხელაური,** ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ჰერპეტოლოგი: „უკვე ორი დღეა, ადგილს ვათვალიერებთ. ჯერ მარტო იმდენი ხვლიკებია, რომ დათვლა ჭირს. მოსახლეობა ამბობს, მღრღნელებიც ბლომადააო. აქ ქვეწარმავალს სარჩო უხვად აქვს და სხვაგან რატომ წავა? დარჩება და გამრავლდება. პირველ დღეს ანკარა დავიჭირეთ, არაჩვეულებრივად ლამაზი იყო, ზრდასრული და კარგად მოსუქებულიც. ზოოპარკს ჩავაბარეთ. ასევე ვიპოვეთ გველების ბუდეც, თუნუქის ნაჭრების ქვეშ. მე და ჯგუფის ხელმძღვანელმა თუნუქის რამდენიმე ნაჭერი ძლივს გადავაგორეთ. ანკარაც მაშინ ვიპოვეთ, მეორისას მხოლოდ კუდს მოვკარით თვალი. იქ სხვებიც იქნებოდნენ, მაგრამ ორ კაცს გაგვიჭირდა თუნუქის აწევა. მოსახლეობა კი შიშით არ მოგვეკარა მოსახმარებლად. არ მინდა ხალხი დავაშინო, მაგრამ თავს ვალდებულად ვთვლი, განვაცხადო: ასეთ ადგილებში შხამიანი გველის ყოფნა გამორიცხული არ არის. ხომ ხედავთ, რა სიბინძურეა... თანაც უნდა გვახსოვდეს, რომ თბილისში გიურზა დაფიქსირებულია. აქაურებს თავის დამშვიდების საბაბი ნამდვილად არა აქვთ.

**მამუკა მამათელაშვილი,** ქვეწარმავლების წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფის უფროსი, რესპუბლიკის მთავარი ექსპერტი-ჰერპეტოლოგი: „ბუნებაში არ არსებობს ისეთი გოგირდი, რომელსაც დაწვავ და იმ ტერიტორიას გველი აღარ გაეკარება. მინდა, მოსახლეობას განვუმარტო, სექტემბერში გველის წიწილები იჩეკებიან. ისინი ერთი-ათად მომრავლდებიან. აგვისტოს ბოლომდე კი ზაფხულის ძილქუშში არიან და 30 გრადუსზე მაღალ ტემპერატურაზე საამკარაოზე არ გამოდიან; თუ, რა თქმა უნდა, მსხვერპლს არ მისდევენ, ან საჭმლის მონელების პროცესში არ არიან. როგორც იცით, გველი ცივსისხლიანია და მას საკვების მოსანელებლად მაღალი სითბური ენერგია ესაჭიროება. შემოდგომიდან, როცა აგრილდება, გველები უკვე ეძებენ თბილ ადგილებს, გამოდიან სამალავებიდან და უფრო ხშირად თვალშისაცემ ადგილებში გვხვდებიან. ხშირად გვეკითხებიან: როდემდე იქნებიან გველები? დროის კონკრეტულ მონაკვეთს ვერ დავასახელებთ. გველების საშიშროება მოისპობა, როცა ჰაერის ტემპერატურა მუდმივად 12 გრადუსზე და უფრო დაბალი იქნება.“



ჰერპეტოლოგებმა ხევძმარში ანკარა დაიჭირეს.

ფინანსები რომ ძალიან ბევრ პრობლემას წყვეტს, ამას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება. ხევძმრის ქუჩის მცხოვრებთა გასაჭირსაც მხოლოდ ფინანსები უშველის. ჯერჯერობით, ხალხი ამაოდ ელოდება დაჭაობებული ხევის ამოვსებას, ზემოხსენებული ჰერპეტოლოგები კი — კუთვნილ ხელფასებს. ამ უკანასკნელ პრობლემას ქალაქის ვიცე-მერი მუხრან მდივანი კურირებს. ჩვენი დიდი მცდელობის მიუხედავად, მასთან შეხვედრა ვერ მოხერხდა. თანაშემწის საშუალებით კი ბატონმა მუხრანმა საკითხის გასარკვევად ქალაქის ჯანდაცვის განყოფილების გამგესთან დავით პავლიაშვილთან გაგვგზავნა. ბატონი დავითის თქმით, ფინანსების მიზანმიმართულ მოძრაობას ამ კვირაში შეისწავლის და გაარკვევს, იხარჯება თუ არა ფული მოსახლეობის ინტერესების დასაცავად. ამ კვირაშივე გაირკვევა ისიც, რამდენად კომპეტენტური ხალხი ემსახურება ამ საქმეს. სამწუხაროდ, მთელ ამ პროცესში ის ფაქტიც გამოიკვეთა, რომ ქვეწარმავლებს ხშირად არაპროფესიონალებიც ებრძვიან. ე. წ. ჰერპეტოლოგთა ჯგუფი, რომელიც ხევძმრის ქუჩას ესტუმრა, ჰერპეტოლოგები სულაც არ ყოფილან, თუმცა ოფიციალურ ორგანოებთან ქვეწარმავალთა სპეციალისტის სტატუსით თანამშრომლობენ. რატომ და როგორ? — ამას თავისი ახსნა ალბათ ექნება. გამორიცხული არ არის, რომ კორუფციის ერთ-ერთი კვალი აქაც მიდიოდეს.

***ქეთი ბერეკაშვილი***

# „გაიტანეთ გრენლანდია!“

## ანუ ვაშინგტონი არაფერს დაიშურებს, ოღონდ რუსულმა ბაზებმა სასწრაფოდ დატოვონ საქართველო

ის, რომ რუს სამხედროებს სულაც არ ახარებთ საქართველოდან გასვლა, ახალი ამბავი არ არის, მაგრამ თუკი ჯავშანმანქანასაც არ „სურდა“ ბარაქიანი ქართული მიწის დატოვება, ამას ვერავინ წარმოიდგენდა. თავად განსაჯეთ — 4 აგვისტოს დილას, ეშელონში ჩატვირთვისას ერთ-ერთი ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-2 მოულოდნელად ღია სარკინიგზო პლატფორმიდან ძირს გადაეკიდა, თითქოს არ სურდა უკან, მის „გამომშვებ“ სამშობლოში — რუსეთში დაბრუნება.



მანამდე, ათიოდ წუთით ადრე კი ერთმა T-72 ტანკმა „თავი ვერ შეიკავა“ და წინა თანამოძმეს „შეაჯდა“, — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

ხუმრობა იქით იყოს და, БМП-ის „ნოსტალგიასა“ და T-72 -ების „სექსუალურ სატანკო ურთიერთობას“ თავისი მიზეზი ჰქონდა. ქართველი ტანკისტებისა არ იყოს, მათი რუსი კოლეგებიც თვეობით არ გაკარებიან ვაზიანის სამხედრო ბაზის საბრძოლო ტექნიკას, ძირითადად, უსაწვავობისა და აკუმულიატორების უქონლობის გამო. სწორედ ამით აიხსნება, რომ იმ დღეს ვაზიანში რუსული ტანკები „მთვრალებივით“ ბარბაცებდნენ.

მაგრამ ეს ყველაფერი წვრილმანია მთავარ მოვლენასთან შედარებით — სწორედ 2000 წლის 4 აგვისტოს დაიწყო საქართველოდან ზედმეტი რუსული მძიმე საბრძოლო ტექნიკის გატანა და ვაზიანის სამხედრო ბაზის საბოლოო ლიკვიდაციის პროცესი.

ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ ვენის დოკუმენტი და 1999 წლის სტამბულის სამიტის შეთანხმება ითვალისწინებს, რომ რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება დროებით დატოვოს არა უმეტეს 153 ტანკის, 241 საბრძოლო ჯავშანმანქანისა და 140 ცალი 100 მმ-ზე მსხვილი კალიბრის საარტილერიო სისტემისა.

**ჩვენი ცნობა:**

***ბოლო დრომდე ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის — ГРВЗ-ს შეიარაღებაში 141 T-72 ტიპის ტანკი, 165 ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП და ჯავშანტრანსპორტიორი БТР, 272 სხვადასხვა დანიშნულების ჯავშანმანქანა და 155 ერთეული 100 მმ-ზე მსხვილი კალიბრის საარტილერიო სისტემა იყო.***

როგორც თავად მკითხველი მიხვდება, რუსები კვოტებს ყველაზე ხშირად სწორედ ჯავშანმანქანების მხრივ არღვევდნენ, ხოლო ტანკები, პირიქით, ნაკლები ჰყავდათ.

მიუხედავად ამისა, გადაწყდა ვაზიანის 137-ე რუსული სამხედრო ბაზის შეიარაღების ამ წლის ბოლომდე სრული გატანა, ხოლო თავად ბაზის ლიკვიდირება დასრულდება არა უგვიანეს 2001 წლის 1 ივლისისა.

ვაზიანის სამხედრო ბაზაში განთავსებული 405-ე მოტომსროლელი პოლკი თავის დროზე ახალციხეში იყო დისლოცირებული, მაგრამ 1992 წლის ზაფხულში მისი შედარებით თანამედროვე შეიარაღების გადმოცემა ახალციხის მე-10 კადრირებულ დივიზიასთან ერთად, მოსკოვმა არ ისურვა და ეს პოლკი ვაზიანში გადმოისროლა.

**ჩვენი ცნობა:**

***დღევანდელ დღემდე 405-ე მოტომსროლელი პოლკის შეიარაღებაში იყო 31 ერთეული T-72 ტიპის ტანკი, 48 ცალი БМП-2, 2 საბრძოლო-სადაზვერვო მანქანა БРМ-1К, 4 ჯავშანტრანსპორტიორი БТР-80, ერთი ხიდისგამშლელი — МТ-55, 12 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი 2С1 და 4 ცალი 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნი М38. პოლკის პირადი შემადგენლობა 773 კაცს აღწევდა.***

4 აგვისტოს სარკინიგზო ეშელონში საბრძოლო ტექნიკის 49 ერთეული ჩაიტვირთა — 10 ტანკი, 13 ქვეითთა საბრძოლო მანქანა და 26 სპეცტექნიკა (საბარგო და დამხმარე მანქანები). ეშელონი ბათუმში უკვე 4 რუსულ დიდ სადესანტო გემზე გადაიტვირთა და შავი ზღვით ნოვოროსიისკის სამხედრო პორტში გადაიზიდა. საქართველოდან გასატან ტექნიკას ბათუმის მე-12 სამხედრო ბაზიდან 19 БМП-ც დაემატა.



რუსი სამხედროები უკმაყოფილონი არიან, მშვიდობიან საქართველოში ორმაგ ხელფასს ღებულობდნენ, ახლა კი ჩეჩნების სამიზნეებად შეიძლება იქცნენ...

ვაზიანიდან საბრძოლო ტექნიკის გატანას კიდევ ორი სარკინიგზო ეშელონი დასჭირდება და ეს სექტემბრის შუა რიცხვებისთვის არის დაგეგმილი.

თავის მხრივ, თბილისში მდებარე 142-ე რუსული ტანკშემკეთებელი ქარხანა 24 ცალ T-72 ტანკს და 67 ჯავშანმანქანას უტილიზაციას ჩაუტარებს, ხოლო 4 ტანკი და 28 ჯავშანმანქანა განადგურებას გადაურჩება, ისინი ვაზიანში გადაიზიდება და იქიდან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას დატოვებენ. ამასთან, ეს ქარხანა 7 ჯავშანტრანსპორტიორს ახალქალაქის 62-ე რუსულ სამხედრო ბაზას დაუბრუნებს.

ციფრების ამ ორომტრიალში ჩვენი მკითხველი საბოლოოდ რომ არ დაიბნეს, განვმარტავთ, რომ 2001 წლის 1 იანვრამდე საქართველოს ტერიტორია უნდა დატოვოს რუსეთის 35-მა ტანკმა და 313-მა ჯავშანმანქანამ, ხოლო ადგილზე განადგურდება 24 ტანკი და 90 ჯავშანმანქანა.

ყურადსაღებია, რომ რუსეთის მხარეს თავისი სამშვიდობო ძალების საბრძოლო ტექნიკის (38 ერთეული ცხინვალის რეგიონსა და არანაკლებ 100 ცალი აფხაზეთში) საქართველოსთვის გამოყოფილ კვოტებში მოქცევა სურდა. რამდენად გასაკვირი არ უნდა იყოს, ამჯერად ქართულმა მხარემ იმარჯვა და რუსი „ცისფერჩაფხუტიანების“ ჯავშანმანქანები ისევ რუსების კვოტაში დარჩა. აქედან გამომდინარე, მოსკოვი იძულებული შეიქნა, კიდევ 138 ერთეულით შეემცირებინა თავისი ტექნიკის რაოდენობა ГРВЗ-ის შეიარაღებაში.

თუკი ვაზიანის სამხედრო ბაზის სამომავლო პერსპექტივები უკვე გამოკვეთილია (თუ არ ჩავთვლით ვაზიანის აეროდრომის შემდგომ ბედს, რომელიც საქართველო-რუსეთის მოლაპარაკების მეოთხე რაუნდმა უნდა გადაწყვიტოს), სრული გაუგებრობაა გუდაუთის 50-ე სამხედრო ბაზასთან დაკავშირებით.

სტამბულის სამიტის თანახმად, ეს ბაზაც ლიკვიდირებულ უნდა იქნეს, თუმცა ამის კატეგორიული წინააღმდეგია სეპარატისტული სოხუმი — აფხაზებმა და რუსებმა ამას წინათ გუდაუთის ბაზაზე საერთოდ არ გააჭაჭანეს თურქი სამხედროები, რომლებსაც გეგმური ინსპექცია უნდა ჩაეტარებინათ იქ. ამიტომაც გასაკვირი არ იქნება, თუკი ქართველი სამხედრო დამკვირვებლები ისე ვერ გააკონტროლებენ გუდაუთის ბაზიდან საბრძოლო ტექნიკის გატანას, როგორც ეს მათ ვაზიანში გააკეთეს.

ჩვენთან ჯერ კიდევ ბევრმა არ იცის, რომ გუდაუთის 50-ე რუსული სამხედრო ბაზა თბილისში განთავსებულ ГРВЗ-ს კი არა, უშუალოდ ჯერ რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების, ხოლო შემდეგ გენერალური შტაბის სარდლობას ემორჩილება, ამიტომაც გუდაუთის ბაზის გაკონტროლება ГРВЗ-ის დახმარებით ალბათ გამორიცხულია.

**ჩვენი ცნობა:**

***გუდაუთის სამხედრო ბაზაში დისლოცირებულია რუსეთის ВДВ-ის მე-10 ცალკეული საპარაშუტო-სადესანტო პოლკი, რომლის შეიარაღებაშია 112 ერთეულამდე ჯავშანტექნიკა (ძირითადად, მედესანტეთა საბრძოლო მანქანები БМД-1 და БМД-2), მათგან 78 ერთეული ექვემდებარება ჩვენი ტერიტორიიდან გაყვანას, ხოლო 34 აფხაზეთში დისლოცირებულ სამშვიდობო ძალებს გადაეცემა.***

რუსული საბრძოლო ტექნიკის გატანის პროცესს თვალყურს ადევნებდნენ სამი უცხო ქვეყნის ვერიფიკატორები — 6 ამერიკელი, 2 ბრიტანელი და 2 ნორვეგიელი სამხედრო, რომლებიც არა მარტო გასატანი ტანკების ნომრებს აღნუსხავდნენ, არამედ ზედმიწევნით აფიქსირებდენ რუსი სამხედროების მიერ ჩატარებულ ყველა სამუშაოს და დაწვრილებით ოქმებს ადგენდნენ.

ეს ოქმები მომავალში მნიშვნელოვანი დოკუმენტი იქნება, რადგან ყველა ჩატარებული სამუშაოს ხარჯთაღრიცხვებს რუსეთის მხარე ამერიკელებს გადასცემს, რაც ამ უკანასკნელებმა იმ 10 მილიონი დოლარიდან უნდა აანაზღაურონ, რომელიც პენტაგონმა საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისთვის გამოყო. რუსი სამხედროები ალბათ ძალზე გაბერილ ანგარიშებს წარუდგენენ ამერიკელებს, რათა რაც შეიძლება მეტი თანხა დასცინცლონ მათ.

დაბოლოს — საქართველოში სულ უფრო ხშირად გაისმის — რატომ ვატანთ რუსებს ტანკებსა და ჯავშანმანქანებს, მათ ხომ სხვა პოსტსაბჭოური რესპუბლიკებისაგან განსხვავებით, ჩვენ არაფერი დაგვიტოვესო?

სავსებით ლოგიკური კითხვაა — რატომ ვითხოვთ 1991-93 წლებში გატანილი სამხედრო აღჭურვილობის ღირებულების ანაზღაურებას, თუკი დღეს არანაკლები რაოდენობის საბრძოლო ტექნიკა გადის ჩვენი ტერიტორიიდან, ხომ შეიძლება ამ ტანკების საფასურად ის დიდი ფინანსური დავალიანება მაინც შეგვეთხელებინა, რაც პატარა საქართველოს დიდი რუსეთისა მართებს? სწორედ რომ ასე „შეასაღა“ უკრაინამ სტრატეგიული ბომბდამშენები მოსკოვს და სამაგიეროდ, მილიონობით დოლარის გაზის ვალი ჩამოიჭრა.

მაგრამ საქმე ის არის, რომ თავიდანვე, მოლაპარაკებების დაწყებისთანავე, ქართულმა მხარემ თავის მთავარ მიზნად რუსული სამხედრო ტექნიკის სასწრაფოდ გაყვანა დაისახა. მათი დატოვების სურვილი ახალი ვაჭრობის თემას წამოჭრიდა უშუალოდ მოსკოვთან. ოფიციალურ თბილისს კი, სავარაუდოა, ამერიკის „თეთრი სახლის“ უხილავი ზეწოლით, მოქმედების მხოლოდ ერთი მიმართულება ჰქონდა — რაც შეიძლება სწრაფად დაეტოვებინათ რუსულ სამხედრო ბაზებს საქართველოს ტერიტორია.

— მილიონობით დოლარს არ დავიშურებთ, ოღონდ, რაც შეიძლება სწრაფად დატოვონ რუსულმა სამხედრო ბაზებმა თქვენი ქვეყანა, თქვენ კი რაღაც დაჟანგულ რუსულ ტანკებს მისტირით — განუწყვეტლივ შეახსენებს ვაშინგტონი თბილისს.

P.S. უკანასკნელი ინფორმაციის თანახმად, ნოვოროსიისკის სამხედრო პორტში ჩატანილი სამხედრო ტექნიკა გულდასმით შემოწმდება და მათგან საუკეთესო, გაიგზავნება ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქში — СКВО-ში. ეს შემთხვევითი სულაც არ არის რადგან, 6 აგვისტოს შემდეგ რუსეთის ფედერალური ნაწილები მოელიან ჩეჩენი პარტიზანების მასობრივ ამოქმედებას. ნუ დაგვავიწყდება, რომ სწორედ 1996 წლის 6 აგვისტოს ჩეჩნებმა გროზნოზე მოულოდნელი იერიშით დაიწყეს ჩეჩნეთიდან რუსი სამხედროების განდევნა. ასე დამთავრდა ჩეჩნეთის პირველი ომი. თუ რა მოხდება ახლანდელ ომში, ამას ახლო მომავალი გვაჩვენებს და სულაც არა არის გამორიცხული, რომ ვაზიანიდან გაზიდული ტანკები ჩეჩნების შეტევებს დაუპირისპირონ.

# ნარკობარონებს ციდან ქართული მოიერიშეები დაემუქრებიან

რამდენიმე დღეა, სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ ქვეყანაში, პერუში, ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლები მიმდინარეობს.

პერუს მესამედ არჩეულ, იაპონური წარმოშობის პრეზიდენტს ალბერტო ფუხიმორის მოსახლეობის უმეტესობა საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებაში, ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაში, კორუფციასა და ნარკობიზნესის აყვავებაში ადანაშაულებს. დაახლოებით ანალოგიური პოზიცია უკავია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს, რომელმაც დროებით შეაჩერა პერუსთვის 42 მილიონი დოლარის ეკონომიკური დახმარების გამოყოფა.



პერუში Су-25-ებით ნარკოპლანტაციების განადგურებას აპირებენ

პრეზიდენტ ფუხიმორის, საკუთარი კოზირის გათამაშების გარდა აღარაფერი დარჩენია. — თუკი აშშ შეგვიწყვეტს დახმარებას, ჩვენი ძალებით განვაგრძობთ ბრძოლას ნარკომაფიასთან, დავბომბავთ მათ კოკაინის პლანტაციებს და ჩამოვაგდებთ ნარკოტიკების გადამტან თვითმფრინავებს, რისთვისაც გამოვიყენებთ საუკეთესო რუსულ Су-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავებსო, — ამ სიტყვებით მიმართა მან პერუს მოსახლეობას.

საინტერესოა, იცის თუ არა პერუს პრეზიდენტმა, რომ ის 18 ერთეული Су-25 მოიერიშე, რომელიც მისმა სამხედროებმა ოთხიოდე წლის წინ ბელორუსიაში შეიძინეს, რუსეთში კი არა, სინამდვილეში, თბილისის საავიაციო ქარხანაში არის აწყობილი ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისში.

Су-25-ები პერუს სასწრაფოდ დასჭირდა, როდესაც საბრძოლო მოქმედებების წარმოება მოუხდა მეზობელ ეკვადორთან. 1995 წლის იანვარ-თებერვალში პერუს სამხედრო-საჰაერო ძალები ინტენსიურად ბომბავდნენ ეკვადორის ტერიტორიას, რისთვისაც ძირითადად მოძველებულ საბჭოთა წარმოების Су-22М (Су-17М3-ის საექსპორტო ვარიანტი) გამანადგურებელ ბომბდამშენებს იყენებდნენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ეკვადორელმა ჯარისკაცებმა ასევე საბჭოთა წარმოების გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით „Игла“-ებით ზედიზედ ჩამოაგდეს პერუს კუთვნილი ორი Су-22М, ოფიციალურმა ლიმამ სასწრაფოდ დაიწყო უფრო ეფექტური საბრძოლო თვითმფრინავების ძებნა.

ამ დროს პერუელებს დაუკავშირდნენ ყოფილი საბჭოელი იარაღით მოვაჭრენი და 18 ცალი Су-25 შეასაღეს (მკითხველს შევახსენებთ, რომ საბრძოლო Су-25-ებს მხოლოდ თბილისში აწყობდნენ) შეასაღესო, — იმიტომ ვამბობთ, რომ ეს თვითმფრინავები ბელორუსიაში, თვითმფრინავთშემკეთებელ ქარხანაში იდგა შესაკეთებლად და როგორც შემდეგ გაირკვა, ყოველგვარი რემონტის გარეშე გაიყიდა. ატყდა დიდი სკანდალი, რომლის ჩაფარცხვა საბოლოოდ მაინც მოახერხეს რუსმა და ბელორუსმა იარაღით მოვაჭრე აფერისტებმა Су-25-ები პერუელებს ადგილზე შეუკეთეს. თავის დროზე პერუელი სამხედროები უშუალოდ Су-25-ების მთავარ და ერთადერთ მწარმოებელს — საქართველოს რომ დაკავშირებოდნენ, იმავე ფასად სულ ახალთახალ მოიერიშეებს შეიძენდნენ. თუმცა 1995-96 წლებში საქართველოში ხელისუფლების მორიგი გადანაწილება მიმდინარეობდა და თვითმფრინავების ექსპორტისთვის ალბათ არავის ეცლებოდა.

მოგვიანებით მოსინჯეს ნიადაგი, რომ პერუში მოხვედრილი Су- 25-ებისთვის ქართველ სპეციალისტებს მიეხედათ, მაგრამ ამ ურთიერთობის დამყარების ერთ-ერთ ეტაპზე აქტიურად ჩაებნენ მოსკოველი იარაღით მოვაჭრენი, რომლებმაც საკმაოდ ნათლად აგრძნობინეს ქართულ მხარეს, რომ ამ უკანასკნელებს ძალზე სერიოზული უსიამოვნებები (ფიზიკური განადგურებაც კი) არ ასცდებოდათ, თუკი პერუში „ცხვირს შეყოფდნენ“.

ასეა თუ ისე, დღეს პერუს 18 ერთეული Су-25 ჰყავს, რომლებითაც მისი ხელისუფლება კოკაინის პლანტაციების განადგურებას აპირებს. ბუნებრივია, ბევრი იკითხავს — სად საბრძოლო მოიერიშე თვითმფრინავი და სად პლანტაციების დაბომბვაო? მაგრამ მოიერიშე თვითმფრინავების დამნაშავეთა წინააღმდეგ გამოყენების იდეა ახალი სულაც არ არის. ამერიკელებიც კი სერიოზულად ფიქრობენ, რომ თავიანთი მოიერიშე თვითმფრინავი A-10A „ტანდერბოლტ “ პოლიტიკურ თვითმფრინავად გადააკეთონ. საქმე ის გახლავთ, რომ თანამედროვე დამნაშავეები განსაკუთრებით კი ნარკობარონები, დღეს მარტო პისტოლეტებით კი არ არიან აღჭურვილნი, აქვთ ყუმბარსატყორცნებიც, მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებიც და თვით საზენიტო რაკეტებიც. მათ წინააღმდეგ ბევრად უფრო ეფექტიანად იმოქმედებენ იმგვარად შეიარაღებული და შეჯავშნული თვითმფრინავები, როგორებიცაა Су-25 და A-10A.

ამ მისიის შესასრულებლად ქართულ Су-25-ს ყველა საშუალება აქვს. მას შეუძლია 8 ცალი 500კგ ცეცხლგამჩენი, ჩამოსადგები ავზის ЗБ-500-ის წაღება, რომლებიც, თავის მხრივ, კოკის პლანტაციების სრული გადაწვის გარანტიას იძლევა. ნარკოტიკების გადასატანად სამხრეთ ამერიკაში ნარკობარონები ძირითადად მსუბუქ ან სპორტულ თვითმფრინავებსა და შვეულმფრენებს იყენებენ, რომელთა ჰაერში განადგურება ქართულ Су-ს თავისი 30 მმ-იანი საავიაციო ქვემეხით (250 ჭურვის მარაგით და წუთში 3000 გასროლის ტემპით) და „ჰაერი-ჰაერი“ კლასის ორი სითბური დამიზნების Р-60 ტიპის რაკეტით, ნამდვილად არ გაუჭირდება.

თუკი პერუს ექსპერიმენტმა გაამართლა, მაშინ თბილისის საავიაციო ქარხანას საუკეთესო უფასო რეკლამა ექნება, მისი Су-25-ების სხვა ქვეყნებშიც გასაყიდად.

***გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# ადამიანთა გამტაცებლები ოპერატიულად დააკავეს

***უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოში, ფულის გამოძალვის მიზნით, ადამიანთა გატაცების ასობით შემთხვევაა დაფიქსირებული და ამგვარი ფაქტებით დღეს უკვე ვერავის გააკვირვებ, „უძრაობის ხანაში“ კი მსგავსი დანაშაული სენსაციად აღიქმებოდა, თუმცა საარქივო დოკუმენტები მოწმობენ, რომ ადამიანებს მაშინაც საკმაოდ ხშირად იტაცებდნენ. უბრალოდ, იმდროინდელი ხელისუფლება ცდილობდა ასეთი შემთხვევები მაინცდამაინც არ გახმაურებულიყო.***

დაზარალებული რევაზ გაიოზის ძე ჩხიკვაძე: „ეს ამბავი 70-იან წლებში მოხდა. მთელი აგვისტო მეუღლესა და ცამეტი წლის ვაჟთან — გიორგისთან ერთად წყნეთში, ჩემი სამსახურის აგარაკზე გავატარე. 29 აგვისტოს, დაახლოებით 20 საათზე, გიორგიმ საზაფხულო კინოთეატრში წასვლა მთხოვა, — ახალ ფრანგულ ფილმს უჩვენებენ და მეზობლის ბიჭებს გავყვებიო. გავუშვი, მე კი ტელევიზორს მივუჯექი, ფეხბურთის მატჩს გადმოსცემდნენ.

23 საათსა და 20 წუთზე ბინაში თოთხმეტი წლის შალვა მაისურაძემ, ჩემი ვაჟის მეგობარმა მოგვაკითხა, გიორგის ეძებდა. ვკითხე, კინოში ერთად არ იყავით-მეთქი? მე, გიორგიმ და ზაზა ჭანტურიამ (ისიც მათი ამხანაგი იყო) ბილეთები მართლაც ერთად ვიყიდეთ, მაგრამ სანამ კინოთეატრში შევიდოდით, გიორგიმ გვითხრა, ერთი საათით თბილისში უნდა ჩავიდე, მერე ამოვბრუნდები და აგარაკზე ვიქნებიო.

გავბრაზდი, ამ სიშორეზე ჩემს დაუკითხავად რომ წავიდა, მაგრამ დიდად არ ავღელვებულვარ. მანამდეც რამდენჯერმე გაქცეულა ასე — თბილისში შეყვარებული ჰყავდა, თანაკლასელი თინიკო და ალბათ, კვლავ მას ჩააკითხა-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ ღამის პირველი საათი გახდა, ბიჭი კი არსად ჩანდა.“

ზაზა ჭანტურიას დაკითხვის ოქმიდან: „ფილმის დაწყებას ორი-სამი წუთი აკლდა და უცებ, გიორგი მეუბნება, დარბაზში უჩემოდ შედით, სასწრაფო საქმე მაქვს თბილისში, ერთ საათში დავბრუნდები და მერე აგიხსნით ყველაფერსო. ამის შემდეგ ტაქსის ფული, 8 მანეთი გამომართვა და წავიდა. მე და შალვა მაისურაძემ ერთმანეთს გადავულაპარაკეთ, ალბათ, თინიკო მონატრა-თქო. ფილმის დასრულებისთანავე ბიძაჩემის აგარაკს მივაშურე, ვივახშმე და დასაძინებლად დავწექი. დაახლოებით ღამის 2-ის ნახევარზე ჩვენთან გიორგი ჩხიკვაძის მამა, რეზო ბიძია მოვიდა და მკითხა, ხომ არაფერი ვიცოდი გიორგის შესახებ. რაც ვიცოდი, მოვახსენე. ამ დროს ბიძაჩემმა რეზო ბიძიას დაუძახა, მგონი, შენი მძღოლი გეძებსო.“

გრიგოლ ავაქოვი (რევაზ ჩხიკვაძის მძღოლი): „სამსახურის მანქანას ჩემს ეზოში ვაყენებ-ხოლმე. ავტოფარეხი შორსაა და ასე მირჩევნია. 29 აგვისტოს, საღამოს ბატონი რევაზ ჩხიკვაძე სამსახურიდან წყნეთში ავიყვანე, შემდეგ თბილისში დავბრუნდი და შინ მივედი. ღამის 2 საათზე ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. უცნობმა მამაკაცმა განმიცხადა, ეზოში გადი, შენი მანქანის წინა მინაზე წერილი დაგხვდებაო. თავიდან ვიფიქრე, ვიღაც მაშაყირებს-მეთქი, მაგრამ შემდეგ მაინც გავედი და მითითებულ ადგილას მართლაც დამხვდა კონვერტი. ზედ ეწერა: „პირადად და სასწრაფოდ რეზო ჩხიკვაძეს.“ კონვერტი დაწებებული არ იყო. წერილი ამოვიღე და წავიკითხე: „გიორგი ჩვენთან არის. 50 ათასი გაამზადე. თუ მიჰქარავ, ბიჭი მოკვდება.“ ბატონი რევაზის აგარაკის ტელეფონის ნომერი არ მახსოვდა, ამიტომ სასწრაფოდ ჩავჯექი მანქაში და წყნეთში ავედი“.

რევაზ ჩხიკვაძე: „ასოები უცნაურად იყო გამოყვანილი, ადამიანი, ჩვეულებრივ, ასე არ წერს. როგორც ჩანს, წერილის ავტორს ეშინოდა, ხელნაწერით არ მიპოვონო და ასოებიც ამიტომ დაამახინჯა. წერილის წაკითხვისთანავე ჩემს მეუღლეს ისტერიკა დაემართა, წივილკივილი ატეხა. ძლივს დავამშვიდე, შემდეგ მძღოლთან ერთად გიორგის თანაკლასელ თინიკოსკენ გავსწიეთ, მაგრამ გოგონამ გაგვიცხადა, თქვენი ვაჟი რამდენიმე დღეა არ მინახავსო. კიდევ მქონდა იმედი, რომ რაღაც გაუგებრობაში მოვხვდი და ხუთის ნახევარზე მეუღლეს თბილისიდან დავურეკე, გიორგი ხომ არ გამოჩენილა-მეთქი. არაო, — მიპასუხა“.

დილის 6 საათია. აღელვებული მამა და მისი ერთ-ერთი მეგობარი, რომელიც ჩხიკვაძემ ლოგინიდან დილაუთენია წამოაგდო, თბილისში მეტად პოპულარულ კანონიერ ქურდთან, ვინმე გრიგორიჩთან მიდიან. ჩხიკვაძე ამბობს, რომ მზადაა, ყაჩაღებს ხვალვე გადაუხადოს 50 ათასი მანეთი, ოღონდ შვილი არ მოუკლან. გრიგორიჩს საქმეში ჩარევას სთხოვს, გამტაცებლებმა რამე არ მომატყუონო და ამისთვის უხვ გასამრჯელოს, 10 ათას მანეთს ჰპირდება. კანონიერი ქურდის თქმით, ის შეეცდება დაადგინოს გამტაცებელთა ვინაობა და მათთან კონტაქტიც დაამყაროს. სამაგიეროდ, დაზარალებულმა მხარემ ბიჭის გაუჩინარების თაობაზე არანაირი აჟიოტაჟი არ უნდა ატეხოს. „მილიციაში გაცხადებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. უბედურება მოხდება — შესაძლოა, ვაჟი მართლაც მოგიკლან! ერთი სიტყვით, საღამოს მომაკითხეთ“, — ამბობს გრიგორიჩი.

რევაზ ჩხიკვაძე: „დიდი იმედი მქონდა ამ კაცის. ვიცოდი, რომ მსგავსი ამბები არაერთხელ ჰქონდა მოგვარებული. ოდნავ დამშვიდებული შინ მივედი და მეუღლეს აგარაკზე დავურეკე: „ყველაფერი კარგად არის. სალსალამათ გიორგის ორ დღეში მოგვიყვანენ. შენ კი დილით მეზობლებს უთხარი, ვითომ გიორგი ავარიაში მოხვდა, ტვინის მსუბუქი შერყევა აქვს და თბილისში, ბებიამისთან დავაწვინეთთქო. იცოდე, არავისთან წამოგცდეს, რომ მოიტაცეს!“ ამის შემდეგ რამდენიმე ნაცნობს დავურეკე, სასწრაფოდ კარგი ბინა იყიდება და ფული მასესხეთ-მეთქი. შუადღისთვის საჭირო თანხა უკვე თან მქონდა. გამტაცებლები, ჯერჯერობით, არ ჩანდნენ. საღამოს მძღოლთან ერთად გრიგორიჩისკენ გავეშურე“.

გრიგოლ ავაქოვი: „60 ათასი მანეთი ექვს შეკვრად იყო გაზეთში გახვეული და ცელოფანის პარკში ჩაყრილი. გრიგორიჩთან რომ მივედით, ეს პარკი მე მეკავა. ბატონმა რევაზმა ერთი შეკვრა გამომართვა და მასპინძელს გაუწოდა, თქვენი წილიაო. იმან თავი გაიქნია, ვერ გამოგართმევ, რადგან გამტაცებლებს ვერსად მივაგენიო. ეტყობა, ამ საქმეში ახალბედა ხალხია, მათი ვინაობა კაციშვილმა არ იცისო. მერე ჩემს უფროსს უთხრა, ვერაფერს გირჩევ, თავად იცი, როგორც უნდა მოიქცეო. წამოვედით. გზაში ბატონმა რევაზმა ჩაილაპარაკა, ხვალ დილამდე თუ არ შემეხმიანებიან, იძულებული ვიქნები, მილიციას მივაკითხოო. იმ ღამით, ასე, პირველ საათზე კვლავ დამირეკეს. უცნობმა მამაკაცმა მიბრძანა, შენს „ხაზეინს“ გადაეცი, დილის 10 საათზე მუხათგვერდში პატარა ტბა რომაა, იქ ავიდესო. მერე დააყოლა, მარტო იყოს, ფული თან ჰქონდეს და „ძაღლები“ არ ამომიყვანოს, თორემ იმ ლაწირაკს თავს მოვაჭრიო“.

31 აგვისტო, 9 საათი და 45 წუთი. მუხათგვერდის ტბის მახლობლად, გზაზე შავი „ვოლგა“ ჩერდება. ჩხიკვაძე მანქანიდან გადმოდის და ტბისკენ მიემართება. ხელში ფულით სავსე პარკი უჭირავს. ტბას სამი მხრიდან ხშირი ბუჩქნარი აკრავს. მახლობლად ორი მამაკაცი თევზაობს. მოსულს ყურადღებას არ აქცევენ. ისიც იქვე, მეთევზეებისგან მოშორებით, ოციოდ ნაბიჯში ჩერდება და მამაკაცებს აკვირდება. ორივე ხანში შესულია, დაახლოებით 60-65 წლისანი. ჩხიკვაძეს ერთი შეხედეს, შემდეგ ანკესები აკეცეს და ტბის მოპირდაპირე მხარეს გადაინაცვლეს. „ისინი არ უნდა იყვნენ,“ — ფიქრობს მოტაცებულის მამა. ირგვლივ სხვა არავინაა. გახდა 10 საათი. არავინ ჩანს. გავიდა 10 წუთი, 20 წუთი... ჩხიკვაძე მოუთმენლად სცემს ბოლთას. „ეგებ, მაინც ის მეთევზეებია?“ და მათკენ მიემართება, მაგრამ ახლოს მისული რწმუნდება, რომ ეს მამაკაცები არაფერ შუაში არიან. მეთევზეებს წითელი, დასივებული სახეები აქვთ. — ნამდვილად ლოთები იქნებიან. ყაჩაღებისა არაფერი სცხიათო, — გაიფიქრა. უხერხული მდგომარეობის განსამუხტად საათს ეკითხება. ერთ-ერთი პასუხობს, თერთმეტი სრულდებაო. ცდას აზრი აღარ აქვს. მანქანაში ჯდება და შინ ბრუნდება.

***დილის 6 საათზე თბილისში მეტად პოპულარულ კანონიერ ქურდთან, ვინმე გრიგორიჩთან მიდიან... ჩხიკვაძე ამბობს, რომ მზადაა, ყაჩაღებს ხვალვე გადაუხადოს 50 ათასი მანეთი, ოღონდ, შვილი არ მოუკლან. გრიგორიჩს საქმეში ჩარევას სთხოვს, გამტაცებლებმა რამე არ მომატყუონო და ამისთვის უხვ გასამრჯელოს, 10 ათას მანეთს ჰპირდება...***

მძღოლი გრიგოლ ავაქოვი ამ დროს ჩხიკვაძის ბინაში იმყოფებოდა: „ბატონმა რევაზმა თავისთან დამტოვა, თვითონ კი ფულის გადასაცემად მარტო გაემართა. დაახლოებით თორმეტის ნახევარზე უკან დაბრუნდა. ტიროდა, არავინ შემხვდა, შენ ხომ არ შეგეშალა რამეო. არა, სიტყვასიტყვით გადმოგეცით-მეთქი მათი ბრძანება. უცებ, მხრებში ხელი ჩამავლო და უცნაურად ჩამაშტერდა, ბიჭო, შენზე მაქვს ეჭვიო. უკიდურესად შეურაცხყოფილი ვიყავი. ხმა არ ამომიღია. მოვბრუნდი და კარისკენ გავემართე. დამეწია და მომიბოდიშა, ხომ იცი, რა დღეშიც ვარ, თავში ათასი სისულელე მიტრიალებსო. რამდენიმე წუთში წყნეთიდან მეუღლემ დაურეკა“.

ჩხიკვაძის მეუღლე, დოდო გაგნიძე: „31 აგვისტოს, დაახლოებით თორმეტ საათზე, ტელეფონით უცნობმა მამაკაცმა დარეკა და რეზო იკითხა. არ არის-მეთქი სახლში, ვუპასუხე. შენ ცოლი ხარ? ჰოდა, შენს ქმარს გადაეცი, დღეს საღამოს, ზუსტად ათ საათზე ფული ისევ იმ ადგილას მიიტანოსო. სანამ რაღაცის თქმას მოვახერხებდი, ყურმილი დაკიდა“.

გიორგი ჩხიკვაძე (2 სექტემბერს მილიციისთვის მიცემული ახსნა-განმარტებიდან): „კინოთეატრში შესვლამდე ჩემთვის უცნობი, 16-17 წლის ბიჭი მომიახლოვდა და ჩამჩურჩულა: შენი თინიკოს ახლობელი ვარ, მთელი დღეა გეძებო. რაშია-მეთქი საქმე? თინიკომ მთხოვა, სასწრაფოდ მნახოს, რაღაც ცუდი ამბავიაო. გამიკვირდა, ტელეფონით რატომ არ შემატყობინა-მეთქი, მაგრამ არაფერი მითქვამს. ის ბიჭი მეუბნება, არავის არაფერი უთხრა, ტაქსით წავიდეთ და მალევე დაბრუნდებიო. სანდომიანი სახე ჰქონდა. ეჭვი არ გამჩენია, რომ მატყუებდა, მეგობარს ფული გამოვართვი



და უცნობს გავყევი. ავტომაგისტრალზე ტაქსი ელოდებოდა, ის მძღოლის გვერდით დაჯდა, მე — უკან და თბილისის მიმართულებით დავიძარით. წყნეთს რომ გავცდით, გზის მარჯვენა მხარეს ორ მამაკაცს მოვკარი თვალი. გავუსწორდით თუ არა, მძღოლმა მანქანა გააჩერა. მამაკაცებმა უკანა კარები გამოაღეს და ორივე მხრიდან მომისხდნენ. ხმა არ ამოიღოო, დამემუქრა ერთ-ერთი და მუცელზე დანა დამადო. შემდეგ მძღოლს რაღაც სითხით სავსე ბორჯომის ბოთლი გამოართვა და მიბრძანა, დალიეო. უარის თქმა ველარ გავუბედე, რამდენიმე წამში გრძნობა დავკარგე.

გონს რომ მოვედი, უკვე სადღაც, ბნელ ოთახში ვიყავი. იატაკზე დაგდებულ ნესტიან ლეიბზე ვიწექი და თავი საშინლად მტკიოდა. განძრევისა მეშინოდა, მაგრამ მერე მაინც წამოვდექი და ხელის ცეცებით ოთახი დავათვალიერე. ჩემი ვარაუდით, სარდაფი იყო, დაახლოებით 9-10 კვ. მეტრი ფართის. ფანჯრები არ ჰქონდა, რკინის კარი გარედან იყო ჩაკეტილი. დავაბრახუნე. ნაბიჯების ხმა მომესმა, ოთახში შუქი აინთო, კარი გაიღო და ორი კაცი შემოვიდა. ტაქსიში რომ ჩაგვისხდნენ, ისინი იყვნენ. ლეიბზე დაეგდე და არ შემოგვხედოო, დამიყვირეს. პირქვე დავწექი. ხვალ შენი მამიკო ფულს მოგვიტანს და გაგიშვებთ, შენ კი, თუ ყოჩაღად იქნები, არაფერს დაგიშავებთო, მეუბნებიან. სანამ გავიდოდნენ და გარედან კვლავ ჩააქრობდნენ შუქს, მომაძახეს, საჭმელს მოგიტანთ და ტუალეტი თუ მოგინდა, მანდვე, კუთხეში ჰქენიო. კარი ჩაკეტეს და წავიდნენ. ცოტა ხანში თეფშით თევზის კონსერვი და პური მომიტანეს. გული ამერია და იქაურობა დავსვარე“.

დოდო გაგნიძე: „რეზოს თბილისში დავურეკე და უცნობის სიტყვები გადავეცი, შემდეგ ტაქსით მეც ქალაქში ჩავედი. ჩვენს ბინაში მეუღლე და მძღოლი დამხვდნენ. რეზომ მითხრა, მილიციაში ვაპირებდი მისვლას, მაგრამ გადავიფიქრე, საღამოსაც ავალ მუხათგვერდში, ეტყობა, ამ დილას შემამოწმესო. ნერვიულობისგან სახე გამწვანებოდა. დასაწყნარებელი აბი დავალევინე“.

გიორგი ჩხიკვაძე: „ზუსტად არ ვიცი, რამდენ ხანს ვიჯექი სარდაფში. ალბათ, ორი დღე-ღამე, შესაძლოა, მეტიც. ამ ხნის მანძილზე კიდევ სამჯერ შემოვიდნენ. წყალი და ძეხვი მომიტანეს, მაგრამ საჭმლისთვის პირი არ დამიკარებია. ოთახში ისე ბნელოდა, რომ ვერ გაიგებდი, დღე იყო თუ ღამე. შემდეგ კვლავ მოვიდნენ, თვალები ამიხვიეს, კიბით სადღაც ზევით ამიყვანეს და მანქანაში ჩამაგდეს. დაახლოებით თხუთმეტი წუთი სადღაც მივდიოდით. ჩემ გარდა მანქანაში, მგონი, კიდევ სამი ადამიანი იჯდა. ჩუმად იყვნენ. შევჩერდით. გადმოეთრიე და ჭკუით იყავიო. ფეხით, თუ არ ვცდები, ტყეში მატარეს — სხეულზე ზოგჯერ ხის ტოტები მედებოდა. მერე თხრილში ჩამსვეს, სადაც რამდენიმე საათს დავყავი. სახვევი ოდნავ შემეხსნა და დავინახე, რომ თავს ორნი მადგნენ. სახეები ვერ გავარჩიე, მაგრამ ხმაზე ვიცანი, ისევ ის კაცები იყვნენ, საჭმელი რომ შემოჰქონდათ-ხოლმე. ჩემგან რამდენიმე ნაბიჯში იდგნენ და შიგადაშიგ ჩურჩულებდნენ, სიტყვებს ვერ ვარჩევდი. უცებ, ნაბიჯების ხმა შემომესმა. ვიღაც მოგვიახლოვდა და იმ ორს უთხრა, ყველაფერი რიგზეაო. მერე სამივე სადღაც წავიდა. კარგა ხანს გაუნძრევლად ვიჯექი. ვგრძნობდი, რომ მახლობლად არავინ იყო, მაგრამ მაინც ვიკითხე, ტუალეტში თუ შეიძლება-მეთქი. ხმა არავინ გამცა. სახვევი მოვიხსენი და დაბუჟებული თვალები მოვისრისე. თვალი სიბნელეს რომ შეეჩვია, ხის სილუეტები გავარჩიე. მახსოვდა, რომელ მხარესაც წავიდნენ. წამოვდექი და ნელი ნაბიჯით საწინააღმდეგო მიმართულებით გავუყევი. შორს ქალაქი გამოჩნდა“.

რევაზ ჩხიკვაძე: „ტბასთან ზუსტად ათზე მივედი. სიბნელე იყო და რამდენჯერმე სანთებელა ავანთე — დამინახონ-მეთქი. ტყიდან ვიღაცამ დამიყვირა, ფული მანდ დატოვე და სახლში დაბრუნდიო. ასეც მოვიქეცი. დიღმის გზაზე ავტოინსპექტორებმა გამაჩერეს. პირადობის მოწმობა გავუწოდე. ერთმა მილიციელმა მკითხა, ისეთი სისწრაფით მოჰქროდით, ხომ მშვიდობააო? შინ დოდო და გრიშა, ჩემი მძღოლი მელოდნენ. მეუღლე დავამშვიდე, გიორგი საცაა გამოჩნდება-მეთქი. ღამის 4 საათზე, როცა უკვე მილიციაში მივდიოდი, სადარბაზოში ჩემი ვაჟი დავინახე“.

სისხლის სამართლის საქმე 2 სექტემბერს აღიძრა — მოქალაქე რევაზ ჩხიკვაძის განცხადების საფუძველზე, 8 სექტემბერს კი გამტაცებელთა ექვსკაციანი ბანდა დააკავეს.

როგორც ძიების მასალებიდან ირკვევა, ჯგუფს ხელმძღვანელობდა ვინმე აკაკი ოსიპოვი, ოთხჯერ ნასამართლევი რეციდივისტი. მის გარდა ბანდაში იყვნენ: 37 წლის ზაურ ბელქანია (ტაქსის მძღოლი), 41 წლის ჯონი ვარსიმაშვილი, 26 წლის ავთანდილ ტყებუჩავა, 29 წლის კარენ ბატოიანი და 17 წლის ხვიჩა ხომერიკი. ე.წ. საქმის მიმცემი გახლდათ ტყებუჩავა, რომელიც რევაზ ჩხიკვაძის სამმართველოში ექსპედიტორად მუშაობდა.

მას შემდეგ, რაც ტყებუჩავამ ბანდიტებს საჭირო ინფორმაცია შეუგროვა, შემუშავდა გიორგი ჩხიკვაძის გატაცების დეტალური გეგმა. საქმეში პირველი ხომერიკი ჩაერთო, რომელსაც მსხვერპლი ბელქანიას მანქანაში უნდა შეეტყუებინა. გზაში მათ ოსიპოვი და ვარსიმაშვილი შეუერთდნენ.

კარენ ბატოიანის დაკითხვის ოქმიდან: „მე და ტყებუჩავა ოქტომბრის რაიონში მდებარე ოსიპოვის ბინაში ვიმყოფებოდით. საღამოს 9 საათისთვის ტყებუჩავამ ჭიშკარი გააღო და ეზოში ბელქანიას ტაქსი შემოვიდა. უკანა სავარძელზე გრძნობადაკარგული ბიჭი იწვა. ვიცოდი, რომ ეს გატაცებული გიორგი ჩხიკვაძე იყო, რომლის მშობლებისთვისაც 50 ათასი მანეთი უნდა გამოგვეძალა. გზაში მას რაღაც „რასტვორი“ დაალევინეს და გათიშეს. წინასწარი შეთანხმებისამებრ, მე და ვარსიმაშვილმა გიორგი მანქანიდან გადმოვიყვანეთ და სარდაფში ჩავკეტეთ. შემდეგ ყველანი ერთად მეორე სართულზე ავედით და საქმის მშვიდობიანად დასრულების სადღეგრძელო შევსვით“.

ჩხიკვაძის მძღოლის მანქანასთან მუქარის წერილი ოსიპოვმა მიიტანა. ქუჩაში მდებარე ტელეფონ-ავტომატიდან მანვე დაურეკა ჯერ ავაქოვს, შემდეგ კი დოდო გაგნიძეს. კითხვაზე, რატომ არ გამოართვით მოტაცებულის მამას გამოსასყიდი თანხა პირველივე შესაძლებლობისთანავე? ოსიპოვი პასუხობს: „მისი შემოწმება მსურდა. მე და ვარსიმაშვილი ტბის მახლობლად, კლდეზე ვიყავით ჩასაფრებულები და მიდამოს ბინოკლით ვათვალიერებდით. არ იყო გამორიცხული, მილიცია დაეყენებინა თავზე.

... მეორე დღეს კალათა ავიღე, ვითომ სოკოს საკრეფად ვიყავი მისული და საღამოს შვიდიდან ცხრა საათამდე ტბის მიმდებარე ტერიტორია საგულდაგულოდ დავათვალიერე. შემდეგ ბუჩქებში ჩავიმალე. ათ საათზე მოტაცებულის მამაც გამოჩნდა. დავუყვირე, ფული დატოვე და წადი-მეთქი. ბრძანება რომ შეასრულა, ტბასთან მივირბინე, პარკი ავიღე და სოფელ დიღმის მიმართულებით გავიქეცი“.

ბატოიანს და ხომერიკს ამ დროს გიორგი თბილისის ზღვის მახლობლად, ტყეში ჰყავდათ დატყვევებული. ღამის პირველ საათზე მათთან ბელქანია მივიდა და აუწყა, ოსიპოვმა ფული აიღო, ახლა უკვე თავის სახლშია და გელითო. გიორგი მიატოვეს და წავიდნენ.

იმ ღამით აკაკი ოსიპოვის ბინაში სუფრა გააწყვეს და იქეიფეს. მაგიდაზე ოცდახუთმანეთიანების დიდი გროვაც ეყარათ.

სამართალდამცავებმა პირველად ჩხიკვაძის თანამშრომელი, ტყებუჩავა დააპატიმრეს — ეჭვი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ეს უკანასკნელი ერთი თვის მანძილზე ექსპედიტორი თავისი უფროსის ოჯახის შესახებ თანამშრომლებში ცნობებს აგროვებდა. როგორც ჩანს, ამას კონსპირაციულად ვერ აკეთებდა...

ეჭვმიტანილმა ტყებუჩავამ ყველაფერი დაფქვა და თანამოსაქმეთა ვინაობაც მალევე დაასახელა... სასამართლომ ბანდის წევრებს 8-დან 12 წლამდე პატიმრობა შეუფარდა.

***გვერდი მოამზადა მიხეილ ჩერქეზიამ***

# ცხოვრებისეული კურიოზები

## „მატარებელში“

არქიტექტორი ერასტი მივლინებით სენაკში გაგზავნეს. „თბილისი-ფოთის“ მატარებელზე ერთი ბილეთი შეიძინა და „დიპლომატით“ აღჭურვილი სასურველი ვაგონის ძებნას შეუდგა. კუპეში სამი მგზავრი დახვდა, რომლებმაც ერასტის მისალმებას თავის დაკვრით უპასუხეს. კუპირებულ ვაგონში საშინლად ცხელოდა. არქიტექტორმა თავისი ჩემოდანი დააბინავა და ტამბურში, ღია ფანჯარასთან სიგარეტი გააბოლა. ბაქანზე ნაცნობი შეამჩნია, რომელიც ფოთში მიემგზავრებოდა. ნაცნობმა ერასტის ცივი ლუდი შესთავაზა და გვერდითა ვაგონში მიიპატიჟა. ერასტიმ გააფრთხილა თანამგზავრები, მეგობართან გადავდივარ მეზობელ ვაგონში და ორ საათში დავბრუნდებიო. კუპის მეზობლებმა (შუახნის ქალებმა) უსიტყვოდ დაუქნიეს თავები. ამასობაში მატარებელიც დაიძრა და მეგობრებმა სმა გააჩაღეს. ლუდს და ტარანს ერთი ბოთლი არაყიც დაუმატეს. ერასტიმ სენაკამდე მეგობართან დარჩენა და ქეიფი გადაწყვიტა — სმასა და საუბარში დრომ შეუმჩნევლად გაირბინა. აბაშაში შესვლისთანავე ერასტი მეგობარს დაემშვიდობა. დაბრუნდა თავის ვაგონში და ჩაკეტილი კუპის კარებზე დააბრახუნა. არავინ უპასუხა. გამწარებულმა ბრახუნს უმატა და აყვირდა, კარი გამიღეთ, სენაკში ჩავდივარო. კვლავ სიჩუმე. ხმაურზე გამცილებელიც მოვიდა, რომელმაც სცადა, კუპის კარი გაეღო, მაგრამ უშედეგოდ. ეტყობოდა, ქალებს თოკით გაემაგრებინათ საკეტი. ამასობაში მატარებელი სენაკში ჩამოდგა. ჭკუაზე გადასული არქიტექტორი პლატფორმაზე ჩავიდა და ფანჯრებზე იწყო ბრახუნი. ფარდებჩამოფარებული ფანჯარა სიცოცხლის ნიშანწყალს არ ამჟღავნებდა. უეცრად გამცილებელმა თავში შემოირტყა ხელი და ერასტის აუხსნა, მგზავრები ყრუ-მუნჯები არიანო. ყრუ-მუნჯი ქალები, გამცილებლის თქმით, ფოთამდე მიდიოდნენ. კინაღამ გადაირია კაცი. ამ დროს მატარებელიც დაიძრა და... ფოთამდე ერასტი სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა. ფოთის მისადგომებთან კუპის კარი, როგორც იქნა, გაიღო და გაღიმებული მუნჯი ქალები გამოვიდნენ. გადარეული ერასტი კუპეში შევარდა, ხელი დასტაცა პიჯაკს და „დიპლომატს“, ერთი ავად შეათვალიერა ქალები და უსიტყვოდ დატოვა იქაურობა.



*მიშიკო კვანტალიანი*

## – რა დრო გვაქვს ნატარები?!



ჩემი მეგობრის მამა ცივის სანატორიუმში მკურნალობდა, იქ მასავით ხანდაზმულ გალელ კაცს დაუმეგობრდა, ისინი ერთად ცხოვრობდნენ სანატორიუმის ოთახში. მკურნალობის დამთავრების შემდეგ მისამართები გაცვალეს და დაშორდნენ. რამდენიმე ხანში ოჯახმა გალელის გარდაცვალების დეპეშა მიიღო, ჩემი მეგობრის მამა ძალიან დამწუხრდა და წასვლა მოინდომა — ჩავსვით მანქანაში და დასაფლავებაზე წავიყვანეთ. ქალაქის შესასვლელთან ვიკითხეთ, სად ცხოვრობდა ის კაცი, მიგვასწავლეს: ქუჩის მარჯვენა მხარეს ხალხი იქნება შეგროვილი და იქ შედითო. გამოჩნდა ერთ ადგილას ხალხი, ღია კარებიც შევამჩნიეთ და შევედით. შუა ეზოში სეფა იყო მოწყობილი. იმ ოთახში, სადაც მიცვალებული ესვენა, შევედით თუ არა, ჩემი მეგობრის მამამ ხმამაღალი ღრიალი მორთო, რა კარგი დრო გვაქვს გატარებული, ერთ ოთახში რომ ვიწექითო. ფანჩატურის შესასვლელთან 3 თუ 4 ორმეტრიანი მამაკაცი იდგა და ისე შემოგვხედეს, ტანში გაგვცრა. მთავარი წინ გვქონდა — მიცვალებულს დავხედეთ და ელდა გვეცა, კუბოში ქალბატონი იწვა. ჩვენი მოხუცი მაშინვე მობრუნდა, შუა ეზოში დადგა და ყველას გააგებინა მომხდარი. ჭირისუფლებს ბოდიში მოვუხადეთ. ჩვენ ვისაც ვეძებდით, მეზობელი ყოფილა და იმ დღეს მასაც ასაფლავებდნენ.

*გივი გეზათელი*

## ეზოში ვერ შეუცვალა?



ჭიათურის სოფელ რგანის თავმჯდომარედ კაცური კაცი თერეფონ ბრეგვაძე მუშაობდა. მძღოლად ზუბიკა ხვედელიძე ჰყავდა. ზუბიკას ერთი ძველი, დანჯღრეული ორხიდიანი „გაზ-63“ ჰყავდა. გაუფუჭდებოდა და თვეობით არემონტებდა, ერთხელაც სამი თვე არემონტა, როგორც იქნა, დაადგა საშველი და გამოიყვანა სამუშაოდ.

განანია თივის აღების დროა. მოგეხსენებათ, რა ამბავი იყო გეგმის შესრულებაზე მაშინ, კომუნისტების დროს. თერეფონმა ზუბიკას მანქანაზე თითქმის მთელი სოფელი დასვა — ზოგი ძარაზე, ზოგი კაბინაში და ასე გასწიეს მთაში, თერეფონი ძარაზე იჯდა. ის იყო, ციცაბო აღმართს შეუყვნენ (იმერეთში ჭენჭეხს ეძახიან), ზუბიკამ სიჩქარე შეუცვალა მანქანას. მანქანა მაგრად შეჯანჯღლარდა:

— რას შვრება, ეს შობელძაღლი, — ჰკითხა შეშინებულმა თერეფონმა ჯუმბერა ყიფშიძეს.

— სიჩქარე შეუცვალა, სერგეევიჩ, — უპასუხა ჯუმბერამ.

— მე მაგის პატრონი დედა... სამი თვე ეყენა ეზოში და იქ ვერ შეუცვალა, ამ სასიკვდილო ადგილზე რომ უცვლის? — ძლივს ამოღერღა გაფითრებულმა თერეფონმა.

*პაატა ყიფშიძე, ჭიათურა*

## მეგობართან ჩაიზე



სომეხი მეგობარი მყავს. მარზპედ ოგანეზოვიჩ ჩომოდვიანი, ქუთაისში ცნობილი იუველირი, რომელსაც ქალაქში იური ივანიჩად იცნობენ.

მე და ჩემი მეგობარი თემურ ლორთქიფანიძე იური ივანიჩმა ვახშამზე მიგვიწვია. ჩვენს მასპინძელს ძალიან უყვარს სტუმარი, განსაკუთრებით ჩვენი მისვლა უხარია. გადატენა სუფრა ძვირფასი სასმელებითა და დელიკატესებით. პურობის ბოლოს მოგვართვა შესანიშნავად დაყენებული ცეილონის ჩაი, ძვირფასი სერვიზით. შეგვივსო ფინჯნები და წავიდა ნამცხვრის მოსატანად. ჩვენც დავშაქრეთ ჩაი, შემოვიდა იური და რატომღაც თემურის ფინჯანს მიაჩერდა. თემურმა უთხრა, — რას მიჩერებიხარ ჩემს ფინჯანს, ვფიცავარ, თუ ორ კოვზზე მეტი შაქარი ჩამეყაროს.

— ვიცი, — უთხრა იური ივანიჩმა, მე იმ დონეზე ჩავასხი ფინჯანში წყალი, სამი კოვზი შაქარი, რომ ჩაგეყარა, აუცილებლად გადმოიღვრებოდა.

— მართლა სომეხი ხარ, რავა ყველაფერი აწონილი გაქვს, — უთხრა თემურმა.

— რა ვქნა ძმაო, საბაზრო ეკონომიკის ბრალია და თანაც პროფესიით იუველირი ვარ.

ძალიან ბევრი ვიცინეთ.

*ვაჟა ჭყონია, ქუთაისი*

## –ორივე რომ ვითხოვო?!

კლიმენტი ახალაძეს ორი ქალიშვილი ჰყავდა, სვეტლანა და მადლენა.

მადლენას მალე გამოუჩნდა მთხოვნელი, გოჩა აბზიანიძე, რომელიც დიდი ყოყმანის შემდეგ წარუდგა სასიმამროს.

— თქვენი ქალიშვილი მიყვარს, იმასაც ქე ვუყვარვარ, კირილიჩ, და მის ხელს გთხოვთ.

— მარტო ხელს? — ჩაიცინა სასიმამრომ.

— უპ, სულ მთლიანად გთხოვთ, თავის ხელიანად, კირილიჩ.



— რომელია, შვილო, შენი რჩეული?

— მადლენიე, კირილიჩ.

— ძალიან კარგი, კაი ბიჭი ჩანხარ, თანახმა ვარ. ოღონდ ნათქვამი მაქვს, მადლენას ქმარს მაშინას ვაჩუქებ და სვეტლანას ქმარს უმაღლესში მოვაწყობ.

სასიძოს თვალები აუციმციმდა.

— ორივე რო ვითხოვო, კირილიჩ?!!!

*მურმან მერკვილიშვილი*

## ერთმა გაყიდა, მეორემ იყიდა...

ერთხელ ვალუტის გადამცვლელ პუნქტში (სადაც ჩემი ნათესავები მუშაობდნენ), ორი სვანი (ერთმანეთის ნაცნობები, ან ნათესავები) შევიდა. ერთს დოლარი უნდა ეყიდა, მეორეს — გაეყიდა, თანაც ერთი და იმავე რაოდენობის. იმის მაგივრად, რომ ერთმანეთში გაეცვალათ (რა თქმა უნდა, კურსს პუნქტში გაიგებდნენ), ერთმა პუნქტში გაყიდა, მეორემ პუნქტიდან იყიდა. ვალუტის გადამცვლელებმა ორმაგი მოგება ნახეს.

*დათო კ-ი. 14 წლის, ქუთაისი*




## — ერთს სახეზე ვცნობ!!



ერთ-ერთი რაიონის პირველი პარტიული პირი სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს თათბირზე „უტევს“.

— ცუდად მუშაობთ, ამხანაგო! სოფელში მოშლილია შრომის დისციპლინა. საბჭოს ეზოში მთელი დღე ღორები დახეტიალობენ. მათ შორის ერთ-ერთს სახეზეც კი ვცნობ...

*მიშა ნიკოლეიშვილი, სამტრედია*

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

სვანმა ცოლს „ოლვეისის“ პაკეტები მიუტანა და შეჰპირდა:

— შეინახე და მერე ლურჯ სითხესაც მოგიტან.

*ლერი გოგლიძე*





ცოლი ქმარს:

— წარმომიდგენია, რა კოშმარული ეჭვები გაგიჩნდა, როცა ორი დღით გავუჩინარდი.

— ნამდვილად ეგრე იყო, მაშინვე დავეჭვდი, რომ 2-3 დღეში უკან მობრუნდებოდი.

*ნინო მელაშვილი, ხაშური*



ოსი ექიმთან მივიდა და შესჩივლა:

— ცოლი მღალატობს, სენი წირიმე, რომ წავასწრებ, მოკვლა მინდა, მარა კოფეს მომაწვდიან და ვმშვიდდები-ხოლმე.

— მერე ჩემთან რას მოდიხარ? — ჰკითხა ექიმმა.

— რა და, სენი წირიმე, ამდენი კოფე ხომ არ მაწყენს?

*ჯანო ონიანი, ქუთაისი*

მიხო სასკოლო მაღაზიაში შევიდა, ვიღაცამ III კლასის „არითმეტიკა“ იკითხა, ვიღაცამ V კლასის ისტორია, ერთმა კიდევ IX კლასის ინგლისური. მიხოს რიგიც დადგა:

— ერთი შენა, VII კლასის მელანი მამე — უთხრა გამყიდველს.

*ჯანო ონიანი, ქუთაისი*



**ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე**

# მოდელი ცხელი წერტილებისთვის

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი თანდათან ჩიხში შედის. ორივე მხარეს მხოლოდ „ტერიტორიული მთლიანობა“ და „დამოუკიდებლობა“ აქვს ამოჩემებული. არც შუამავლები თამაშობენ სასიკეთო როლს — მათი მიზანია, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, „დააბრუნონ უძღები შვილი შინ“. აფხაზეთისთვის ეს მიუღებელია. საკმარისია ერთი შეიარაღებული კონფლიქტი და აფხაზეთის ხალხს სილარიბე ემუქრება; საქართველო კი, როგორც გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა დიტერ ბოდენმა განაცხადა, აფხაზეთს სამუდამოდ დაკარგავს. არის ამ სიტუაციიდან გამოსავალი? როგორ წყვეტდნენ ადრე ამგვარ კონფლიქტებს?

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირების ერთ-ერთი აპრობირებული მოდელია — კონდომინიუმის მოდელი (ერთობლივი მმართველობა). კლასიკურ მაგალითად გამოდგება ანდორა, რომელიც ორ პროტექტორატს — საფრანგეთისა და ესპანეთის მმართველობას — ემორჩილებოდა. ჩვენს შემთხვევაში მოქმედი პირები არიან აფხაზეთი, საქართველო და რუსეთი. ამასთან, საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხარდაჭერაც გარანტირებულია. გეოპოლიტიკურად აფხაზეთი ოდითგან დაკავშირებულია როგორც საქართველოსთან, ისე რუსეთთან. თანაც ამ უკანასკნელთან იგი ერთ სახელმწიფოს წარმოადგენდა 200 წლის მანძილზე. რუსეთი დაინტერესებულია კონფლიქტის მოწესრიგებით ისე, რომ არც აფხაზეთისა და არც საქართველოს ინტერესები არ შეილახოს, რასაც რუსეთის პრესტიჟისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს (განსაკუთრებით, მცირერიცხოვანი ჩრდილოკავკასიელ ხალხებში). საქართველოსთვისაც, რომელიც დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის გზას ადგას, კონფლიქტის მოწესრიგების დაჩქარება აუცილებელია. აფხაზეთთან მშვიდობა და ურთიერთგაგება თბილისისთვის ნიშნავს პოლიტიკურ სტაბილურობას, ლტოლვილების თანდათანობით დაბრუნებას და, რაც მთავარია, წამოვა დასავლეთის ინვესტიციები, გაიხსნება რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი გზა და ა.შ. აფხაზეთისთვის კი, რომლის ტერიტორიაზე ომი მიმდინარეობდა — დიდი მატერიალური ზიანი და მძიმე დანაკარგი განიცადა, გაალატაკა ეკონომიკურმა ბლოკადამ, — კონფლიქტის დარეგულირება სასიცოცხლო საკითხია. როგორც ვხედავთ, სამივე მხარისათვის ძალზე მნიშვნელოვანია საკითხის სასწრაფოდ გადაწყვეტა. რჩება მთავარი — მხარეების კეთილი ნება. რით გამოიხატება იგი?

1. პოლიტიკურ დარგში: აფხაზეთი, საქართველო და რუსეთი ქმნიან კოორდინაციულ საბჭოს, რომლის ხელშეკრულება გაითვალისწინებს სამივე ქვეყნის თანაბარ მონაწილეობას აფხაზეთის საშინაო და საგარეო ცხოვრებაში. შესაბამისად, შემუშავდება ახალი კონსტიტუცია. 1994 წლის 4 აპრილის ოთხმხრივი მოლაპარაკების თანახმად, აფხაზეთში დაბრუნდებიან ლტოლვილები და მათი უსაფრთხოება გარანტირებული იქნება. აფხაზეთი დემილიტარიზებულ და ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოცხადდება. საქართველო და რუსეთი ხელს აწერენ ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების განლაგება აკრძალულია და აგრეთვე დაუშვებელია იქ თავიანთი სამხედრო ფორმირებების დისლოცირება. აფხაზეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო ორმაგ ქვეშევრდომობას დაექვემდებარება ყველა თავისი ატრიბუტით — ჰიმნი, დროშა, გერბი და ა.შ.

2. ეკონომიკის დარგში: ომისშემდგომი აფხაზეთის აღდგენის საკითხებსაც სამივე სახელმწიფოს წარმომადგენლისაგან შემდგარი კომისია გადაწყვეტს საერთაშორისო ორგანიზაციების ინვესტიციების დახმარებით. აფხაზეთის მოსახლეობაში თავდაპირველად მიმოქცევაში იქნება რუსეთის რუბლი. შემდეგ სამმხრივი შეთანხმებით დადგინდება ყველაზე უფრო მისაღები ვალუტა.

3. ყველაზე რთულ და ხანგრძლივ ამოცანას წარმოადგენს ხალხის ეროვნული ტოლერანტობისა და პოლიტიკური კულტურის ფორმირება. ურთიერთნდობასა და კეთილგანწყობაზე დაფუძნებული ახალი სახელმწიფოებრივი მოდელი უნდა შეიქმნას სპეციალურად დამუშავებული პროგრამის მიხედვით, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ გამოცდილი ეთნოფსიქოლოგები, პოლიტიკოსები, მეცნიერები და პრაქტიკოსები. აფხაზეთის ოფიციალური ენები იქნება ყველა მრავალრიცხოვანი ეთნოსის ენა: აფხაზური, რუსული, სომხური, ქართული, ბერძნული და სხვ. აფხაზეთის მცხოვრებნი მიიღებენ ახალ, რუსეთისა და საქართველოს მიერ აღიარებულ პასპორტებს.

ამ ურთიერთობათა წარმატების ფორმულა დამოკიდებულია სახელმწიფოთა პირველ პირებსა და პოლიტიკურ ელიტაზე. საჭირო შემთხვევაში არბიტრის როლში უნდა იყოს არა გაერო და ეუთო, არამედ ფრანგი, ესპანელი, შვედი და ფინელი წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისია. არბიტრობა შეიძლება დაეკისროს კანადას, დიდ ბრიტანეთს, ბელგიას და სხვას. ამ მოდელის ჩვენს სინამდვილეში განხორციელება სხვა ცხელ წერტილებში პრეცედენტი გახდება. ყველა მატერიალური დანახარჯი თუ პირადი ამბიცია რეგიონში მშვიდობითა და სტაბილურობით გამოისყიდება.

***ნეზავისიმაია გაზეტა №144***

## ქართულ თეატრზე

ინგილო ქართველები თანამედროვეთაგან ბევრს ვერავის ჩამოგითვლიან, მათი გაუსაძლისი ყოფაცხოვრების გალამაზება რომ შეძლო. საინგილოში ეროვნული სულის გადამრჩენელთაგან კი პირველად საინგილოს თეატრის ყოფილ ხელმძღვანელს ანზორ დოლენჯაშვილს დაგისახელებენ. ბატონი ანზორი ინსტიტუტის დამთავრების შემდგომ გაემგზავრა საინგილოში და დააარსა იქ ქართული თეატრი, რომელმაც სამშობლოს მოწყვეტილ ჰერეთის მიწაზე კულტურული ცენტრის ფუნქცია იტვირთა. ცოტა ხნის უკან კი თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ანზორ დოლენჯაშვილს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მას ბრალად ედება თეატრის კუთვნილი თექვსმეტი ათასი ლარის უკანონოდ მითვისება. საქმის არსი იმაშია, რომ კულტურის სამინისტროს მიერ საინგილოს თეატრისათვის გაცემული თანხა ბატონმა ანზორმა

# სამართალი თუ ზნეობრივი სირცხვილი?



(მისივე თქმით) უკან დააბრუნა სამინისტროს ბუღალტერთან. ბუღალტერი კი ამ ფაქტს უარყოფს. ეროვნული შემოქმედისთვის თავისუფლების აღკვეთის განაჩენის გამოტანის ფაქტმა აღაშფოთა კულტურის მოღვაწენი. ისინი კულტურის სამინისტროში შეიკრიბნენ, რათა გამოეხატათ თავიანთი უკმაყოფილება. პრესკონფერენცია თავად კულტურის მინისტრს სესილი გოგიბერიძესა და პოეტ რეზო ამაშუკელს მიჰყავდათ. ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ ანზორ დოლენჯაშვილის დაპატიმრებას ზნეობრივად სამარცხვინო უწოდა. რადგან ეს თანხა არაფერია იმ ამაგთან, რაც ბატონმა ანზორმა საინგილოში ქართული თეატრისათვის გაიღო. „დაირაზმებიან აქლემის ქურდები და ყველაფერს ნემსის ქურდებს დააბრალებენ... ეს ყველა ჩვენგანისათვის ზურგში დანის ჩაცემაა“ — ბრძანა თეატრმცოდნე ვასო კიკნაძემ. თეატრმცოდნე ნათელა არველაძემ კი ეს საკითხი განიხილა, როგორც ხელოვანის დაუცველობის პრობლემა მთელ საქართველოში. პრესკონფერენციაზე აგრეთვე გამოითქვა ეჭვი იმის თაობაზე, რომ ანზორ დოლენჯაშვილი „რეფორმაგავლილი“ მოსამართლეების მსხვერპლია. რადგან ამ უკანასკნელებს ეროვნულობისა არაფერი სცხიათ. საბოლოოდ კულტურის მოღვაწეთა გადაწყვეტილებით შეიქმნა კომისია ალეკო შალუტაშვილის, გია ცქიტიშვილის და სხვათა შემადგენლობით, რომელიც უხელმძღვანელებს ხელმოწერებს და თანხის შეგროვებას ანზორ დოლენჯაშვილის მხარდასაჭერად.

ხელოვნების მოღვაწეები მზად არიან ჩაატარონ დამატებითი კონცერტები, სპექტაკლები და შემოსული თანხა ბიუჯეტში გადარიცხონ, რათა დაიფაროს ღმერთმა იცის ვის მიერ და როგორ გამქრალი ფული (16.000 ლარი). კულტურის მოღვაწეთა თქმით, სამწუხაროა, რომ საქართველო ის ქვეყანა აღმოჩნდა, სადაც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა პატრიოტების დაპატიმრებით დაიწყეს.

***ნინო ტარყაშვილი***

## რწმენა, რომელსაც



გია ქარდავა

# ადამიანები ფანატიზმამდე მიჰყავს

სისხლის გადასხმის უარყოფას შეიძლება კიდევ ერთი იეღოველის სიცოცხლე შეეწიროს. ამ მოძღვრების მიმდევართა ახირების მსხვერპლი პირველად ექვსი წლის სოფიკო ჩხიკვაძე, მოგვიანებით ლია ჯანქაიძე გახდა. გარდა ამისა, ცნობილია კიდევ 2 შემთხვევა, როდესაც იეღოვას — ჩვენთვის დაუდგენელი ვინაობის — მოწმეები დაიღუპნენ. ერთი მათგანი 21 წლის ბიჭი იყო. ამჯერად კი 44 წლის გივი ქარდავას სიცოცხლე გახლავთ საფრთხეში. უკვე ერთი კვირაა იგი კუჭის სერიოზული დაავადების გამო ონკოლოგიურ საავადმყოფოში წევს. ქარდავას სასწრაფოდ ესაჭიროება ოპერაცია, რომლის დროსაც შესაძლებელია სისხლის გადასხმა აუცილებელი გახდეს. თუმცა, მისი ოჯახი (მეუღლე — მადონა კაცია) ამის კატეგორიული წინააღმდეგია, რადგან არსებობს სისხლის შემცვლელი პრეპარატები. ქალბატონი მადონა ირწმუნება, რომ მიუხედავად სიძვირისა, მან შეძლო ამ მედიკამენტების შეძენა და ოპერაციის დროს მის მეუღლეს საფრთხე არ შეექმნება. იეღოვას მოწმეებს, მიაჩნიათ, რომ სისხლის გადასხმა ისეთივე დიდი ცოდვაა, როგორიც ათი მცნების დარღვევა. იმისათვის, რომ მათ არ შესცოდონ, ღვთისგან ბოძებულ სიცოცხლეზეც კი ამბობენ უარს.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ავადმყოფს პროფესორ ბიჭიკო ცალუღელაშვილის იმედი აქვს, რომელიც ონკოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი გახლავთ. როგორც მადონა კაცია ამბობს, ისინი ცალუღელაშვილთან იმიტომ მოვიდნენ, რომ პროფესორი „უსისხლო ოპერაციას“ შეჰპირდა. ხოლო თუკი იგი ვერ შეძლებდა ამ პირობის დაკმაყოფილებას, მაშინ სხვა ექიმებს მიმართავდნენ. და თუ მაინც მოხდა და გივი ქარდავას რამე შეემთხვა, მისი მეუღლე პასუხისმგებლობას მხოლოდ ექიმს აკისრებს. არადა, ოპერაცია გარდაუვალია, მის გარეშე ავადმყოფს არაფერი ეშველება. ქირურგიულ ჩარევას მუდმივად თან ახლავს მოულოდნელობები და თვით სისხლის შემცვლელი პრეპარატების გამოყენების შემთხვევაშიც არ არის გამორიცხული, რომ პაციენტს სისხლის გადასხმა მაინც დასჭირდეს, ქარდავა სისხლის გადასხმას, სიცოცხლის ფასადაც რომ დაუჯდეს, მაინც არ აპირებს. არადა, მის მდგომარეობაში თვით „ყოვლისშემძლე“ უცხოური პრეპარატებიც გამოუსადეგარია. რაც შეეხება ექიმის გადაწყვეტილებას, იგი ნამდვილად არ აპირებს თავის თავზე აიღოს პაციენტის სიცოცხლე. ის დაჟინებით თხოვდა ქარდავას მისივე სისხლის წინასწარ ამოღებას და აუცილებლობის შემთხვევაში ოპერაციისას გადასხმას, მაგრამ ავადმყოფი არც ამ წინადადებას დათანხმდა. სისხლის აღება მას დასაშვებად მიაჩნია, ხოლო გადასხმა, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, მოუნანიებელ ცოდვად.

გივი ქარდავა 5 შვილის მამაა. ოჯახში მხოლოდ ორი ადამიანი არ არის იეღოვას მიმდევარი. ქალბატონი მადონა სინანულით აღნიშნავს, რომ საკუთარი შვილები (ორი ბიჭი) ვერა და ვერ მოაქცია თავის რჯულზე. ისინი დაოჯახებულები არიან, მაგრამ დედამთილს იმედი აქვს, რომ რძლებს მაინც შეასმენს რამეს და ღვთის წყალობით, ისინიც შეუდგებიან იეღოვას აღმსარებლობას.

საგულისხმოა ისიც, რომ მადონა კაცია მართლმადიდებელთა ოჯახში დაიბადა. ოჯახში, სადაც კომუნისტების დროსაც კვირაში სამჯერ დადიოდნენ ეკლესიაში, ლოცულობდნენ, სანთლებს ანთებდნენ, საკუთარი მოძღვარი ჰყავდათ. ერთხელაც, სწორედ ეკლესიაში მიმავალ „მორწმუნეს“ გზად მქადაგებელი შეხვდა და იეღოვას არსებობა აუწყა... მათი საუბრები სხვა დროსაც გაგრძელდა და ახალმა მოძღვარმა „ჭეშმარიტი“ სარწმუნოება აპოვნინა მართლმადიდებლური სამწყსოს გზააბნეულ ცხვარს. მის შემდეგ 18 წელიწადი გავიდა და ოჯახიც „დედისეულ სარწმუნოებას შეუდგა“. „სამწუხაროდ“, ნათესავთა წრე მათ რელიგიურ აღმსარებლობას არ იზიარებს.

ბოლო პერიოდში იეღოვას მოწმეები განსაკუთრებით გააქტიურდნენ და გარდაბნის რაიონში მრავალრიცხოვანი შეკრებაც (კონგრესი) მოაწყვეს. მათ სულიერ ბელადს არნოლდ ტუნგლერს კი, პარლამენტარი გურამ შარაძე სერიოზულ ბრალდებებს უყენებს. მისი მტკიცებით, უცხოელი საქართველოში არალეგალურად შემოვიდა, დიდძალი ქრთამის საფუძველზე ისინის სასამართლოში რეგისტრაციაში გაატარა საკუთარი ორგანიზაცია, მაშინ, როდესაც იურიდიულად გაფორმებული თვით ქართული მართლმადიდებელი ეკლესიაც არ გახლავთ. შარაძის აზრით, ბატონ ტუნგლერსა და მის ქართველ პარტნიორს, ბადრი კოპალიანს ეს ორგანიზაცია ბეჭდის, საბანკო ანგარიშისა და შესაბამისად გასამდიდრებლად სჭირდებოდათ. ცნობილია, რომ TBC ბანკში გახსნილ ანგარიშზე მათ 700 ათასი დოლარი მიიღეს ფინეთის, გერმანიის და ამერიკის ანალოგიური ორგანიზაციებისგან. ეს თანხა საკუთარ „მოძმეებზე“ უნდა განაწილებულიყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იეღოველთა ბელადები ფორდებითა და მერსედესებით დაგრიალებენ, აეროპორტის დასახლებაში 10 ათას დოლარად შეფასებულ სახლს ვითომ 140 ათასად ყიდულობენ, ხოლო გასაცოდავებული ქართველი იეღოველები კი სულიერი ძმების დასახმარებლად ოქროს ბეჭდებსა და ძვირფასეულობასაც ყიდიან, — აცხადებს პარლამენტარი.

ყოველივე ამის თავიდათავი რელიგიის კანონის არარსებობა გახლავთ. კარგა ხანია მართლმადიდებლური ეკლესია ამ საკითხს აყენებს, მაგრამ ჯერჯერობით ამაზე საუბარი პარლამენტში ნაადრევად მიაჩნიათ. თუმცა, გივი ქარდავას (ანუ უკვე მესამე ოფიციალური პრეცედენტის) მდგომარეობამ თვით მმართველი ფრაქციის ლიდერის მიხეილ სააკაშვილის აღშფოთება გამოიწვია. მისი განცხადებით, საჭიროა გარკვეული ბარიერი შეექმნას ისეთ ფანატიკურ აღმსარებლობებს, რომლებიც ადამიანის სიცოცხლეს უქმნის საფრთხეს.

სააკაშვილი შორს არის იმ აზრისაგან, რომ სექტების არსებობა საერთოდ აიკრძალოს, რადგან ეს მათ იატაკქვეშეთში გადაიყვანს და საზოგადოების წინაშე წამებულის როლში წარმოაჩენს. ამიტომ საჭიროა შეიქმნას კომისია, რომელიც საშემოდგომო სესიაზე პარლამენტს წარუდგენს გეგმას, თუ როგორი აკრძალვები შეიძლება გამოიყენონ ფანატიკოსი სექტანტების საწინააღმდეგოდ. რაღა თქმა უნდა, ღონისძიებებმა არ უნდა შეზღუდოს რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ისეთ დემოკრატიულ ქვეყნებში, როგორიცაა საფრანგეთი და გერმანია სიენტოლოგიის სექტა საერთოდ აკრძალულია. აქედან გამომდინარე, გარკვეული აკრძალვების დაწესება საერთაშორისო ნორმების დარღვევად არ იქნება მიჩნეული.

სააკაშვილმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა: „ტრადიციულ რელიგიებს და უპირველეს ყოვლისა, მართლმადიდებელ ეკლესიას უნდა აუნაზღაურდეს ის ზარალი, რომელიც ათეული წლების მანძილზე განიცადა. უნდა გავაძლიეროთ ჩვენი ეკლესია, რომელიც დაგვიცავს ასეთი ფანატიზმისაგან.

ამ საკითხზე უკვე სახელმწიფომ ნამდვილად უნდა გამოხატოს თავისი ნება“.

რაც შეეხება ავადმყოფს, ექიმები ალბათ სამშაბათს კონსილიუმს მოიწვევენ და საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ. ღმერთმა ქნას და ეს შემთხვევა სისხლის გადაუსხმელობით გარდაცვლილ იეღოველთა სტატისტიკაში არ მოხვდეს.

***ნათია გოგსაძე***

## რას გვეტყვი, მამაო?

**— როდესაც ეკლესიაში მიგვაქვს საკურთხი მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად, აუცილებელია თუ არა, ის ნაკურთხი მარილით იყოს დამზადებული?**

— არ არის აუცილებელი. შეგიძლიათ ნებისმიერი (მარხვისა და ხსნილის პერიოდების გათვალისწინებით) საზრდო მიიტანოთ ეკლესიაში და იქვე ეკურთხება.

**— გავრცელებულია ჩვეულება, რომ დაბადების დღის გადახდა 40 წლისთავზე არ შეიძლება. რამდენად სწორია ეკლესიურად ეს ჩვეულება?**

— ჩვენ უკვე გპასუხობდით ერთ-ერთ წინა კითხვაზე 1 წლის ასაკთან დაკავშირებით — აქაც იგივე პასუხია: ასეთ შეზღუდვებსა და აკრძალვებს საეკლესიო დოგმატთან არავითარი კავშირი არა აქვს — ეს ხალხური ჩვეულებაა.

**— სახლში გვაქვს შანდალი ჯვარცმის გამოსახულებით. შეიძლება თუ არა მის წინაშე დავანთო სანთელი დღესასწაულებზე, თუ მხოლოდ მიცვალებულთა სულების მოსახსენიებლად ანთებენ სანთლებს?**

— ჯვარცმის წინაშე ნებისმიერ დროს შეიძლება სანთლის დანთება. რატომღაც მიაჩნიათ, რომ ჯვარცმა ეკუთვნის მხოლოდ მიცვალებულთა ხსოვნას. ჯვარცმით არა მხოლოდ მიცვალებულთა სულები იყვნენ დახსნილი ჯოჯოხეთისაგან, არამედ ცოცხლებიც სასოებენ ხსნას უფლისაგან!

**— მყავს ორი დაქორწინებული ვაჟი. რომელიც ჩემთან ცხოვრობს, ერთი კარგადაა, მეორეს უჭირს. როდესაც გვაქვს კარგი საჭმელი და უხვად, მე ჩუმად მიმაქვს ნაწილი მეორესთან. გვეთვლება თუ არა ეს ცოდვად?**

— შვილისადმი ზრუნვა დედას არ შეიძლება ჩაეთვალოს ცოდვად, თუ მას სხვა შვილთან ურთიერთობაში დაძაბულობა არ მოჰყვება. ამიტომ თქვენი შემდგომი ქმედება, სჯობს, ნებართვით მოხდეს.

**— ახლობელთან მომივიდა უსიამოვნება ქონების გაყოფის თაობაზე. მე აღვუთქვი ღმერთს, ოღონდ შევრიგებულიყავით და მათ ოქროს ნივთს ვაჩუქებდი. შევრიგდით, მაგრამ ისინი არ მიმაჩნია საჩუქრის ღირსად. რა ვუყო ამ ნივთს, ვის შევწირო?**

— თქვენ შინაგანად კიდევ არა ხართ სრულად შერიგებული მომდურავთან, ამიტომაცაა, რომ აღუთქვით უფალს და არ შეასრულეთ. აჩუქეთ ის ნივთი თქვენს ახლობელს და თქვენი სულიერი ფორიაქიც დაწყნარდება.

**— როდესაც „ფსალმუნებს“ ვკითხულობთ, იქ იხსენიებიან მტრები, ვინ იგულისხმება მათში?**

— უნდა ვიგულისხმოთ უხილავი მტრები — მზაკვარი, ბოროტი სულები, რომელნიც გვიბიძგებენ ცოდვებისაკენ.

**— აქვს თუ არა მნიშვნელობა მარხვის შენახვას მოძღვართან ზიარების გარეშე, ხომ არ ითვლება ეს დიეტად?**

— ქრისტიანი მარხვას უნდა ინახავდეს, უნდა ამბობდეს აღსარებას, უნდა ეზიარებოდეს, უნდა ჰყავდეს მოძღვარი — ყოველივე ეს ერთმანეთთან არის ურღვევ კავშირში!

**— როდის არ უნდა დაფაროს ქრისტიანმა ჭეშმარიტება?**

— ქრისტიანმა არ უნდა დაფაროს ჭეშმარიტება იმ პირთა მიმართ, რომლებიც ეძიებენ დამნაშავეს, მშობლების წინაშე, ვისაც შვილის გამოსწორებისათვის უხდება ზრუნვა, მოძღვრის წინაშე, აღსარების დროს, მეგობრის წინაშე, რომელიც სულიერ თანადგომას გვიწევს; ჭეშმარიტი ქრისტიანი არ უმალავს მორწმუნე ქრისტიანს ავადმყოფობის სასიკვდილო გამოსავლის შესაძლებლობას, რათა დროულად მოამზადოს აღსარებისა და ზიარებისათვის მარადიულ ცხოვრებასთან მიახლოებამდე.

**— რომელია ჩვენს წვლილთაგან უმთავრესი გარდაცვლილთა მოსახსენიებლად?**

— საუკეთესო მაგალითი გარდაცვლილთა მოხსენიებისა დაგვიტოვა ღირსმა დედამ იულიანიამ. როდესაც გარდაიცვალნენ ბასილი და ევდოკია, მათი სულების მოსახსენებლად მან გასცა უხვი მოწყალება, ეკლესიებს შეუკვეთა ორმოცდღიანი მოსახსენებლები, ორმოცი დღის მანძილზე აწყობდა მოსახსენებელ სუფრებს ბერებისათვის, მღვდელმსახურებისათვის, ქვრივებისათვის, ობლებისა და უპოვართათვის, აგრეთვე დიდ მოსაკითხებს აგზანიდა საპატრიარქოში (არსებობს კიდევ სულიერი მოწყალებაც: გარდაცვლილთა სახელზე სასულიერო წიგნების დარიგება).

**— ჩემს ვაჟს ნათლიამ მოუტანა ჯვარი, რომელმაც ერთ კვირაში ფერი იცვალა. რაიმე ცუდს ხომ არ მოასწავებს ეს ფაქტი?**

— ეს ფაქტი ცუდს არაფერს მოასწავებს — შეცვლილი ფერი თვით ლითონის ხარისხის ბრალი შეიძლება იყოს. შეგიძლიათ ის ჯვარი შეინახოთ და სატარებლად სხვა ჯვარი აკურთხებინოთ.

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 28***

***თქვენს შეკითხვებს პასუხობენ მართლმადიდებელი მამები***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. მადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.

## პატარები ბრძნობენ



**4 წლის აჩო** გაოცებული კითხულობს: ზღაპრებში რომ წერია — ქატო იქაო, ბაბუამ რატომ თქვა, — ფქვილიც აქ მოიტანეთ და ქატოც, ძროხას უნდა ვაჭამოო?

* * *

**6 წლის მარიამ ლვინიაშვილი** გააბრაზა მისმა 2 წლის ძმამ, ილიამ. მარიამმა უთხრა ილიას: გაჩერდი, თორემ ისევე გაგინდომებ, როგორც მოგინდომეო.

* * *

**5 წლის თამუნა ძათამაძემ** (ქობულეთი) ტელევიზორში ნახა მანტიებში გამოწყობილი მოსამართლეები და დაიძახა, — ბებო, ბებო, მოდი, ტელევიზორში მღვდლების პარლამენტიაო.

* * *

**6 წლის ეთუნა ირემაშვილი** ისვენებდა აგარაკზე, მათ მეზობლად ვირი ჰყავდათ. ერთხელ მეზობლის გოგონას ეკითხება, — თამუნა, შენი პაპას ვირი რამდენი წლისაა?

— არ ვიცი.

— როგორ, დაბადების დღეს არ უხდით ხოლმე? ვირები არ მოდიან?

* * *

**2 წლის ნინიკო ხუციშვილს** მამა ასეირნებდა ეზოში. ბავშვი მიწიდან კრეფდა კენჭებს და ათას სხვა ნაგავს. მამამ რამდენჯერმე მისცა შენიშვნა, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს იძულებული გახდა ხელში აეყვანა.

— მამიკო, თავში რომ არაფერი შემდის, იმიტომ ამიყვანე? — ჰკითხა ნინიკომ მთელი სერიოზულობით.

* * *

**პატარა თინიკოს** მამამ შინ შოკოლადი მიიტანა, დედამ მაშინვე დამალა, მაგრამ თინიკომ მაინც მოჰკრა თვალი ბრჭყვიალა ქაღალდებს.

— დედიკო, მამიკომ შოკოლადები მომიტანა?

— არა შვილო, ის წამალია, მამიკოს გული სტკივა და უნდა დალიოს.

ცოტა ხნის შემდეგ, ანცი თინიკო მოწყენილი იჯდა.

— შვილო, რა მოგივიდა?

— დედიკო, ცუდად ვარ, გული მტკივა. მამიკომ რომ წამალი მოიტანა, ის დამალევინე.

## I კროსვორდი



შვეულად: 1. ადამიანი, რომელსაც ლაპარაკი არ შეუძლია; 2. სიცხის მოსაგერიებელი გასაშლელ-დასაკეცი საშუალება ქალბატონებისათვის; 3. „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი ...“; 4. თაფლის მოყვარული ბაჯ-ბაჯა ცხოველი; 5. ბურატინოს მამობილი; 6. გლობუსი, ატლასი, ...; 8. მიხოსა და კატოს საყვარელი სახედარი; 10. ... ააგდო და თავი შეუშვირა (ანდ.); 13. ლორის საყვარელი მუხის ნაყოფი.

თარაზულად: 4. „რასაცა გასცემ შენია, რაც არა ...;“ 7. სწრაფად მორბენალი ფრინველი, რომელსაც მიწაში თავის ჩაყოფა უყვარს; 9. ფიფქია და შვიდი ...; 10. ჭური ანუ ...; 11. მთის წვერზე მიწის წიაღიდან ამოფრქვეული ფერფლი, ცეცხლი და გავარვარებული ლავა; 12. ზღაპრების პერსონაჟი ბოროტი ქალი; 14. განთიადი, აისი, ....

## II დაამთავრეთ რებუსი




## ტესტი აბრაზებ თუ არა დედას?

**1) თამაშის შემდეგ სათამაშოს თავის ადგილზე აბრუნებ?**

ა) არასოდეს — 0 ქულა.

ბ) ყოველთვის ადგილზე ვდებ — 1 ქულა.

**2) საჭმლის მიმართ პრეტენზიებს ხშირად გამოთქვამ?**

ა) კი — 1 ქულა.

ბ) არ ვარ პრეტენზიული — 2 ქულა.

**3) ძილის წინ ერთი ზღაპრის მოყოლით კმაყოფილდები?**

ა) არა — 0 ქულა.

ბ) კი — 1 ქულა.

**4) ხშირად ტირიხარ უმიზეზოდ?**

ა) არასოდეს — 1 ქულა.

ბ) ტირილის მიზეზი ყოველთვის მაქვს — 0 ქულა.

**5) როდესაც გიჯავრდება, დედას ენას უბრუნებ?**

ა) ყოველთვის — 0 ქულა.

ბ) არასოდეს — 1 ქულა.

**დაითვალე ქულები:**

**2-4 ქულა: ხშირად აბრაზებ დედას. გირჩევ დაუჯერო, თორემ როცა ცემით ერთ ადგილს აგიწითლებს, მაშინ ველარავინ გიშველის.**

**5-7 ქულა: ნუ გეშინია. ცემით ერთ ადგილს არ აგიწითლებენ.**

*ტესტი მოგვაწოდა 15 წლის ნინო ტომარაძემ, რომელსაც დიდ მადლობას ვუხდით აქტიური თანამშრომლობისათვის*

## III გამოიცანით გამოტოვებული ასოები და წაიკითხეთ ისრის მიმართულებით




## იპოვეთ 14 განსხვავება









## რაში იყო შეცდომა?

გიორგის მამა მივლინებით საზღვარგარეთ მიდიოდა. მოუცლელობის გამო შვილს ტელეფონით დაურეკა და სთხოვა, — საწერ მაგიდაზე კონვერტით ფული დევს, აიღე და მიყიდე ჩემოდანი, ქუდი, მოსასხამიო და კიდევ რამდენიმე ნივთი დაუსახელა.

გიორგიმ დახედა კონვერტს. მასზე ეწერა ციფრი 98. ფული ამოიღო, დაუთვლელად ჯიბეში ჩაიდო და მაღაზიისკენ გაემართა. აირჩია 90 ლარის ღირებულების საგნები და როცა საფასურს იხდიდა, გამოირკვა, რომ ნაცვლად იმისა, 8 ლარი დარჩენოდა, 4 ლარი აკლდა.

შინ დაბრუნებულმა მამას ჰკითხა, — ფულის დათვლა ხომ არ შეგეშალაო. მამას გაეღიმა, — მე კი არა, შენ შეცდიო.

რაში იყო გიორგის შეცდომა? (პასუხი გამოგვიგზავნეთ წერილობით.)

**წინა ნომერში შემოთავაზებულ მოთხრობა-გამოცანის სწორი პასუხები გამოგვიგზავნეს:** მარიამ ბოჭორიშვილმა, ნინო ტომარაძემ, ნინო და ალეკო უშარაულებმა, ეკატერინე შამათავამ, თამაზ და ნინო დევიძეებმა, ნათია ჭუმბურიძემ, დავით ახვლედიანმა, ნინო ორდენიძემ, ვანო სახიაშვილმა, ლუკა ფერაძემ, დათო მზექალაშვილმა, ნათია ბეკურაშვილმა, ნატო ნატრიაშვილმა, ნატა ხვადაგიანმა, მერი ვარამაშვილმა, მაია, ნინო და გვანცა თოდუებმა.

**სწორი პასუხი კი ასეთი გახლავთ:** როსტომი ბარათში წერდა, რომ ბელადის მსახურები ბედაურის წასაყვანად მისულიყვნენ ნებისმიერ დღეს, გარდა ორშაბათისა, სამშაბათისა, ოთხშაბათისა, ხუთშაბათისა, პარასკევისა, შაბათისა და კვირისა.

## გამაფერადე ფერადი ფანქრებით



ძია მიხოსა და დეიდა ნინოს დაეხმარეთ, აარჩიონ მანქანის საბურავის შესაკეთებლად საჭირო ინსტრუმენტები.

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*




პასუხები იხილეთ 25-ე გვერდზე

# სამშვიდობოს გასულ გემს ანძაზე ორი მტრედი შემოაჯდა...

1992 წლის 27 სექტემბერი... სოხუმის დაცემის დღე... აგუძერიდან გემებით მშვიდობიანი მოსახლეობის გაყვანას ცდილობდნენ, მაგრამ აფხაზები გემს ზღვაში გასვლის საშუალებას არ აძლევდნენ. ხალხი პანიკამ მოიცვა. დამხმარე არავინ იყო, მებრძოლებიდან ვინც დარჩა, პოზიციებზე იდგნენ. სხვებს კი, შეშინებულებსა და დაბნეულებს, პოზიციაც მიტოვებული ჰქონდათ და სამშვიდობოსაც გასულიყვნენ. ირგვლივ ქაოსი და არეულობა იყო — ვინ სად გარბოდა, ვინ შველას ითხოვდა, ვერ გაარკვევდით. ზოგი, შიშისაგან თავზარდაცემული, ადგილიდან ვერ იძროდა და გაურკვევლობისა და უმწეობისაგან მწარედ ტიროდა. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ შუაგულ ომზე ნაკლები საშინელი სანახაობა არც აქ იყო. მებრძოლ მხარეებს შორის წინააღმდეგობა უფრო და უფრო მძაფრდებოდა, უკან დახევა არავის უნდოდა... თუმცა ქართველებს სხვა გზა აღარც რჩებოდათ, რადგან აფხაზებს სულ ცოტა, 62 ერთეული ტანკი ჰქონდათ შეიარაღებაში. კონფედერანტები ავტომატების ნაცვლად, „მუხებსა“ და ხელყუმბარებს ისროდნენ...

ქართული პოზიციიდან ორი მებრძოლი მოიხსნა — მეტსახელად „სპილო“ და „მტრედი“. სამწუხაროდ, უცნობი დარჩა, რა დავალება ჰქონდათ შესასრულებელი. მეტსახელები იმდენად ზუსტად იყო შერჩეული, რომ მათთვის ნამდვილი სახელი და გვარი არავის უკითხავს. „სპილო“ და „მტრედი“ ომის დაწყების დღიდან სულ ერთად იყვნენ. „სპილო“ ზორბა, შავგვრემანი იყო, „მტრედი“, პირიქით, კაფანდარა და ქერა. „სპილო“ ერთთავად ბუზღუნებდა, სულ უკმაყოფილო იყო, „მტრედს“ კი მშვიდი, დამყოლი ხასიათი ჰქონდა.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, აგუძერიდან გემი ზღვაში ვერ გადიოდა, ჩანს, აფხაზებს გემის დაზიანება ხელს არ აძლევდათ — უფრო მის ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ, ამიტომ საჰაერო შეტევასთან ერთად, სანაპიროდან განუწყვეტელი სროლით უახლოვდებოდნენ იმ ადგილს, სადაც გემი იდგა. მშვიდობიანი მოსახლეობა ვერც უკან გარბოდა და ვერც წინ მიდიოდა. სიკვდილის მოლოდინში ნებისმიერ ადამიანში მხსნელს ეძებდნენ, მაგრამ ვერავის პოულობდნენ. ამ დროს დავალებაზე გამოსულ „სპილოსა“ და „მტრედს“ მოწინააღმდეგის ცეცხლის თავის თავზე აღება გადაუწყვეტიათ. როგორც ჩანს, იფიქრეს, გემს გავუშვებთ და პოზიციაზე დავბრუნდებითო. გემის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებულან, ხალხსაც ასვლა დაუწყია, მაგრამ არც მოწინააღმდეგეს დაუყოვნებია — მაშინვე ცეცხლი გაუხსნია... სწორედ ამით დაუფიქსირებიათ ბიჭებს ის ადგილი, საიდანაც აფხაზები ისროდნენ. საპირისპირო ცეცხლის გახსნა თავიდან იოლი აღმოჩნდა, რადგან მტერს ყურადღება გემისკენ ჰქონდა მიპყრობილი, მდგომარეობა მოგვიანებით გართულებულა, როცა აფხაზებმა ბიჭები შენიშნეს და ცეცხლი ახლა უკვე მათკენ მიმართეს. თვითმხილველთა გადმოცემით, ორმხრივი ცეცხლი კარგა ხანს გაგრძელებულა. პოზიციის დათმობა არ შეიძლებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც გემი გავიდოდა ნაპირიდან და ვერც ბიჭები გადარჩებოდნენ. აფხაზებს კონფედერანტებიც მიხმარებიან, ამასობაში გემიც შევსებულა, მაგრამ „სპილო“ და „მტრედი“ უკვე გაურღვეველ ალყაში მოქცეულან. ბიჭები ფეხზე წამომდგარან, ზურგებით აკვრიან ერთმანეთს და წრიული სროლა გაუგრძელებიათ. საშინელი და ამავე დროს, საოცრად ლამაზი სანახავი ყოფილა, ქართველი მებრძოლების ამგვარი ვაჟკაცური თავდადება.

პირველად „სპილოს“ მოხვედრია მტრის ტყვიები და უსულოდ ჩაკეცილა, მერე კეფაგახვრეტილი „მტრედიც“ ზედ დაკვდომია განუყრელ ძმაკაცს. გემი კი გავიდა, სამშვიდობოს გააღწია...

გავიდა წლები... ამ ამბის მთხრობელს, „თეთრი არწივის“ სატანკო ნაწილის მაიორ გელა გუგეშაშვილს მოგვიანებით ქალბატონი იზოლდა გაბისკირია შეხვედრია, რომელიც მაშინ იმ გემზე იყო. თურმე უკვე სამშვიდობოს გასული გემის ანძას ორი მტრედი შემოჯდომია, ერთი შავი და მეორე — თეთრი. მტრედები ჯერ თითქოს ჩხუბობდნენ, მერე ერთხანს მშვიდად მსხდარან, ცოტა ხნის შემდეგ კი აფრენილან — შავი ერთ მხარეს, თეთრი კი მეორე მხარეს წასულა... ცაში აფრენილ თეთრ მტრედს უეცრად მიმართულება შეუცვლია და ისევ შავისკენ აუღია გეზი...

**თამაზ ხაბეიშვილი**

# 800 წლის ჭადარს გული გადაუნერგეს

თელავში ჩასული სტუმარი ქალაქის აღმოსავლეთ კარიბჭესთან მდგარი მრავალსაუკუნოვანი ჭადრის ხის უნახავად უკან არ გაბრუნდება. ხუმრობა ხომ არ არის, ლამის მარადისობაში გადასულ 800 წლის სიცოცხლეს მიეახლო, ხელი შეახო, ყური მიუგდო სიოს წამოქროლებაზე აჩურჩულებულ მის ფოთლებს... ისტორიის მსახვრალ ხელს მისთვის თითქოს ნირიც ვერ შეუცვლია.

თელაველები ამბობენ — მასთან სიახლოვე საოცარ სულიერ სიმშვიდეს და მხნეობას გვმატებსო. ამასთან, სხვადასხვა სნეულებისაგან გვკურნავსო.



46 მეტრი სიმაღლის, 12 მეტრი გარსშემოწერილობის ვარჯზე საიმედოდ დაყრდნობილი ფიქრიანი მზერით გადაჰყურებს მრავლისმნახველ ალაზნის ველს, თელავის ერთ-ერთ სიმბოლოდ ქცეული ჭადარი. საღამოს, როცა ადამიანთა ჭაჭანება მიწყდება, სიბერედაუჯერებელი კაცის ომახით გადმოსძახებს-ხოლმე კავკასიონი ალაზანს, ალაზანი — ცივგომბორის კალთებზე შეფენილ კახეთის სატახტო ქალაქს — „გახსოვს?“ და ერთმანეთს ეცილებიან მეხსიერებიდან ამოკრეფილი მარგალიტებისაგან ისტორიული კრიალოსნის აკინძვას.

რა აღარ ახსოვთ!... მაგრამ ჭადრის მონაყოლზე მაინც ინუსხებიან მხცოვანი და მრავლისმნახველი მეგობრები, რადგან მისი თხრობა უფრო ინტიმურია და იმ ადამიანთა სიცოცხლის მელოდრამებით არის აღსავსე, ვისთანაც ყველას, ასე უბრალოდ ხელი არ მიუწვდება. ამიტომაც ჭადარი, ცოტა არ იყოს ამაყობს ხანდახან. თუმცა როგორ არ იამაყოს თუნდაც იმით, რომ მის მკლავებქვეშ მცხუნვარე მზისგან შეფარებული ომში მიმავალი ლაშქარი ყოველთვის მას უმხელდა გულის ხვაშიადს. რამდენი შეყვარებულის ფიქრისა და ალერსის უტყვი მოწმეა?! რამდენის კიდევ — განშორების.

იყალთოს აკადემიიდან მომავალი ყრმა — რუსთაველიც რამდენჯერ ჩამომჯდარა მის ჩრდილქვეშ და სევდიან ფიქრებს მისცემია უიმედოდ შეყვარებული. მის ნატერფალებს, ისტორიის მტვრის სქელი ფენის ქვეშაც დღევანდლამდე სათუთად ინახავს...

მარტო ნატერფალებს? დუელიანტთა რამდენი ტყვია და მტრისათვის მოქნეული ხმალი ატყვია მის სხეულს უკვე შეხორცებულ ჭრილობად?! შეუხორცებელ ჭრილობათაგან კი დიდი ერეკლეს მოღალატეთა მიერ დაკოდილი სული სტკივა ყველაზე მეტად.

კრწანისის ომის წინა ღამეს ხლებია მხცოვანი მეფეთ-მეფე ჭადარს. ფიქრებით უთქვამს, ამ ომსაც ღალატის სუნი უდის, ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობიო, მაგრამ უომრად მამულის დათმობას, ისევ ამ ომში სიკვდილი მიჯობს და ამადაც წავალო. ისიც უთქვამს, ეს ომი არაგველების სწორუპოვარ გმირობას წარმოაჩენს და მარტო ამისთვისაც ღირს ჩემი მსხვერპლად შეწირვაო.

76 წლის მეფე თურმე თავგანწირვისთვის ემზადებოდა. სამი წლის შემდეგ კი, როცა უბადრუკ დიდებულთა ამალა და ოცი ათასი აბჯროსანი მიაცილებდა მის ცხედარს, მოურჩენელი ბზარი გასჩენია ჭადარს გულში.

საამოდ გასახსენებელიც, რა თქმა უნდა, ბევრი აქვს ბებერ ქალბატონს: მის სამფლობელოში გაუშლიათ სუფრა კახელებს ასპინძის ომში გამარჯვების აღსანიშნავად; არსენ იყალთოელს მის ჩრდილში უსადილებია მასთან სტუმრად მყოფი იოანე პეტრიწი; აქ უნადირიათ ილიას და აკაკის (ეს ფოტო დღესაც ინახება თელავის მუზეუმში), მაგრამ ტკივილი ხანდაზმულობაშიც მრავლად იგემა. ყოველდღიურად სვეს უმწარებს ზედ თავზე წამომდგარ მრავალსართულიან სასტუმროში დაბინავებული აფხაზეთიდან დევნილების გოდება, იქვეა განაწამები პანკისი, შატილი და ომალოც სტკივა, ისევე, როგორც მთელი საქართველო... ყოველივე ამან მძიმე დაღი დაასვა მის ჯანმრთელობას. ძალა გამოელია, ტოტები დაემტვრა, გულმა ხმობა დაუწყო. სწორედ ბეწვზე მიუსწრეს. სამხარეო ადმინისტრაციისგან მოწვეულმა ქართველმა და უცხოელმა ბიოლოგებმა, მკურნალებმა. ტოტები ტროსით შეუკრეს, გაუმაგრეს. დაფუღუროებული გული საგულდაგულოდ ამოუწმინდეს. 800 წლის პაციენტს „გული გადაუნერგეს“ — სიცარიელე ცემენტის ხსნარის ამოავსეს.

ამასთან, მის სიახლოვეს მოიჭრება ყველა ხე და ბუჩქი, რომელიც ბოლო წლებში წამოიზარდა და მიკროკლიმატი შეუცვალა მიდამოს.

ამის შემდეგაც მუდმივად გააკონტროლებენ მის სიცოცხლეს, წყალს საჭიროებისთანავე მიაწვდიან. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ასე, კიდევ რამდენიმე წლით გაუხანგრძლივებენ ხეს სიცოცხლეს.

ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, ოღონდ...

ხემ ქვის გულით როგორ უნდა იცოცხლოს, ღმერთო, მაცოდინე!

**ფირუზ ფურცელაძე**

მართალია, თქვენს გაზეთში ბევრი საინტერესო გვერდია, მაგრამ გთხოვთ დაბეჭდოთ ერთი გვერდი, რომლის წაკითხვის შემდეგ ქართველს ქართველობა საამაყო გვექნება...

**დღევანდელი თაობა**

# მეფემ აჩუქა მდინარეს სახელი

ბახმაროს მთების კალთებზე იღებს სათავეს მდინარე გუბაზეული. გიჟმაჟ ტალღებს მოაგელვებს გურიის მთების ხეობებში და გავაკებულზე მდინარე სუფსასაც ისეთი ხმაურით უერთდება, თითქოს არ უნდა თავისი ბობოქარი ცხოვრების გაცვლა უფრო დიდი მდინარის მდორე სვლაზე.

„გუბაზეულო, მითხარი
შენი სათავე სად არის!
მეფე გუბაზის რაშივით
რომ გაგიშლია ფაფარი.“



მაინც ვინ იყო მეფე გუბაზი?

რა განსაკუთრებული დამსახურებისათვის უკვდავყო ხალხმა 14 საუკუნის წინ მოღვაწე, სხვა სახელმწიფოს ვასალი ქვეყნის მეფე?

ან რა მერანი ჰყავდა, რომ მის ფაფარსაა შედარებული მთის გადარეული მდინარე?

532 წელს ირანსა და ბიზანტიას შორის ხანგრძლივი ომის შემდეგ „საუკუნო ზავი“ დაიდო. ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე -მა ეგრისში, შავი ზღვის პირას ააგო ციხე-ქალაქი პეტრა, იგი თავის ადმინისტრაციულ ცენტრად აქცია შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და ეგრისის ყველა ციხეში — ტოლებში, ქუთათისში, სკანდაში, ტრაქვაში, ტელეფისში და სხვებში ბიზანტიური გარნიზონები ჩააყენა. ცხადია, ეგრისელი მმართველებისათვის არაფერი უკითხავთ ბერძნებს და 541 წელს ხალხის რისხვა საყოველთაო აჯანყებაში გადაიზარდა, რომელსაც ეგრისის მეფე გუბაზ ჩაუდგა სათავეში. „საუკუნო ზავის“ პირობებით უკმაყოფილო ირანმა მაშინვე თავისი „უანგარო დახმარება“ შესთავაზა გუბაზს და თანხმობაც მიიღო. ირანის ჯარები მერმეროეს სარდლობით ეგრისში შემოვიდნენ და გუბაზის ლაშქართან ერთად ბიზანტიელთა მთავარი ბასტიონი — პეტრა აიღეს. ზავი დაირღვა და ისევ დაიწყო ოცწლიანი ომი (542-562) ბიზანტიასა და ირანს შორის. ბიზანტიური უღელი გადაგდებულ იქნა და ქვეყანაში აღმშენებლობასაც შეუდგა გუბაზი, მაგრამ ირანელთა ზრახვები მალე გამომჟღავნდა: გუბაზის მოშურნე ეგრისელმა დიდებულმა ფარსმანმა აღიარა, რომ მას ირანის მეფე ხოსრო -მა გუბაზის მოკვლა დაავალა. ირანელები ისედაც დამპყრობლებივით იქცეოდნენ და მარად მოჯანყე მეფე ახლა ირანელთა წინააღმდეგ ამბოხებას ჩაუდგა სათავეში. ეს 548 წელს მოხდა. გახარებულმა იმპერატორმა იუსტინიანე -მა ეგრისის მეფეს რვა ათასი მეომარი გამოუგზავნა დაგისთეს სარდლობით (აქედან ათასი მებრძოლი ეგრისელთა მონათესავე ჭანები იყვნენ), თან სარდალს დააბარა, — არა როგორც ვასალს, არამედ როგორც ურჯულო ირანელებთან ბრძოლაში მოკავშირეს გეხმარებიო. მაგრამ უნდილმა დაგისთემ ვერც პეტრა აიღო და მერეც რამდენჯერმე დამარცხდა ირანელებთან. სპარსელთა სარდალმა მერმეროემ, მას შემდეგ, რაც შეშინებულმა დაგისთემ ალყა მოხსნა პეტრას და გაიქცა, სამი ათასი კაცი იქ ჩააყენა, ხოლო ხუთი ათასი მეომარი ქვეყნის სარბევად გაუშვა. ეს ლაშქარი გუბაზმა გაანადგურა 550 წელს. ამის შემდეგ ახალი სარდალი — ხურიანე შემოიჭრა ირანელთა ახალი ლაშქრით. გუბაზმა ისიც დაამარცხა ცხენისწყლის პირას და ბიზანტიის იმპერატორს უნიჭო დაგისთეს შეცვლა მოსთხოვა. დაგისთეს ნაცვლად იუსტინიანემ ბესა გამოაგზავნა, მაგრამ გუბაზსა და ეგრისელებს ამან ვერ შეუმსუბუქა მდგომარეობა — ისინი, ფაქტობრივად, მაინც მარტო იბრძოდნენ.

553 წელი იდგა. მერმეროე ახალი მრავალრიცხოვანი ჯარით მოადგა ეგრისს. გადამწყვეტი ბრძოლა ტელეფისის ციხესთან მოხდა. ბესას უნიჭობამ და სილაჩრემ განაპირობა ეგრის-ბიზანტიელთა მარცხი. გუბაზმა იუსტინიანეს ბესას გაწვევა და დასჯა მოსთხოვა. ამით განაწყენებულმა ბესამ სხვა სარდლებთან — მარტინესა და რუსტიკესთან ერთად — სწორედ გუბაზეულის ხეობაში დაუთქვა შეხვედრა ეგრისის მეფეს (მდინარის მაშინდელი სახელი არ შემონახულა: „მთის ერთი მდინარის ხეობაში“ — ასე წერია ბერძნულ წყაროებში).

გუბაზი უბელო ცხენზე ფეხმორთხმით ამხედრებული (ბერძენი ისტორიკოსები წერენ, რომ სწორედ ასე დააგელვებდა უებრო მხედარი თავის რაშს), უიარაღოდ და უმხლებლოდ მივიდა დათქმულ ადგილას. ცხადია, ზუსტად ვერავინ იტყვის, რაზე ლაპარაკობდნენ მომავალში თავისი „სახელობის“ მდინარის პირას გუბაზი და სირცხვილნაჭამი ბიზანტიელი სარდლები, მაგრამ ცნობილია, რომ ეგრისის გმირმა მეფემ მიუკიბ-მოუკიბავად მიახალა სიმართლე ლაჩრებს და დამარცხებაშიც მათ დასდო ბრალი... ზურგში ნაძგერები შუბით განგმირული ხელმწიფე მეორე დღეს იპოვეს ეგრისელებმა...

...მდინარეს გუბაზეული ეწოდა და როგორც ხალხი ამბობს, მანამდე მდორე და წყნარი — აბობოქრდა და დღესაც ვერ დაწყნარებულა.

განრისხებულმა ხალხმა სახალხო კრება მოიწვია და მოღალატეთა დასჯა მოსთხოვა იმპერატორს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბერძენთა საბოლოო განდევნით დაიმუქრნენ. იუსტინიანე ტირანი კი იყო, მაგრამ ვაჟკაცობის დაფასება და სიმხდალისადმი ზიზღი არ ესწავლებოდა — განრისხებულმა სამივე სარდლის სიკვდილით დასჯა ბრძანა...

# „ველური“

დიდი ხნის წინ, ზუგდიდში, დადიანების სასახლეში ყოფნისას, მუზეუმის თანამშრომელმა მიამბო ეს ისტორია, რომელიც, ვფიქრობ, ძალზე კარგად აჩვენებს ქართული ხასიათის თვისებებს და თანაც თვით ამბის ორიგინალურობიდან გამომდინარე, ალბათ ღირს, მკითხველსაც გავაცნო.

კონსტანტინე შარვაშიძე, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის — მიხეილის ძმა, შესანიშნავი მხატვრის ალექსანდრე შარვაშიძის მამა და ცნობილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი შარვაშიძის ბიძა გახლდათ. იგი თავისი გვარისა და წარმომავლობის შესაფერისი განათლებით, გარეგნობითა და დარდიმანდობით გამოირჩეოდა თურმე. ევროპაც მოვლილი ჰქონია და ფრანგულ ენასაც ბრწყინვალედ ფლობდა. მე-19 საუკუნის დასაწყისში დიდი ნაპოლეონის დისშვილი, აშილ მიურატი ზუგდიდში გადმოსახლდა და სასახლე და მისი შემოგარენი „ფრანგულად გააწყო“. სხვა მოსამსახურეებთან ერთად, აშილ მიურატს მებაღეებიც „გამოუწერია“ საფრანგეთიდან, რომლებმაც წალკოტს დაამსგავსეს თურმე დადიანების სასახლის ბაღი. მათი ოსტატობის ნაკვალევი დღესაც ეტყობა იქაურობას.

თავისთვის გააკეთა, საკუთარი პერსონალისთვის თუ ზუგდიდის „გაევროპიელების“ მიზნით, — არავინ იცის, მაგრამ მიურატმა სასახლესთან ახლოს, ქალაქში, ფრანგული ტავერნის მაგვარი დუქანიც გაახსნევინა თურმე, სადაც შესანიშნავი ფრანგული კონიაკით მასპინძლობდნენ სტუმრებს. ფრანგი მოსამსახურეებიც თავისუფალ დროს ამ ტავერნაში იყრიდნენ თავს. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, ორი ფრანგი მებაღე მჯდარა ტავერნაში, თითო ჭიქა კონიაკს წრუპავდნენ თურმე ნებანება, დაგემოვნებით — „ფრანგულად“. ამ დროს ცხენი მიაგდო ვიღაცამ კარებთან. ცოტა ხნის შემდეგ აშკარად შორიდან მომავალი, დამტვერილ ჩოხა-ახალუხსა და ნაბადში გამოწყობილი კაცი შემოსულა და მედუქნისთვის საჭმელი და ჭიქა კონიაკი მოუთხოვია.

მგზავრს, ეტყობოდა, ეჩქარებოდა — ნაჩქარევად წაუხემსებია და კონიაკიც ერთბაშად, არაყივით გადაუკრავს.

— ნახე, როგორ გადახუხა. ამ ველურმა რა იცის, რა არის კონიაკი, — გადაულაპარაკა ერთმა ფრანგმა მეორეს.



დადიანების სასახლე

— ოთხი ბოთლი კონიაკის ფულს მთელი მაგისი ველური ტომი ვერ შეკრებს, თორემ ეგ კაციჭამია ფეხებს დაიბანდა კონიაკით, — გაეპასუხა თანამეინახეს პირველი.

ამის თქმა იყო და, უცნობს უეცრად ისევ მოუხმია მედუქნე და ოთხი ბოთლი კონიაკი მოუთხოვია ტაშტითურთ. გაოცებულ მასპინძელს, ბრძანების შესრულების შემდეგ, ხელზე გადაკიდებული ხელსახოციც გამოართვა და ბოთლები გახსნა. ფრანგები პირდაღებულნი უყურებდნენ, როგორ ასხამდა უცნობი „ველური“ მაგიდაზე შემოდგმულ ტაშტში „ღვთიურ სითხეს“. მთლიანად სამი ბოთლი და მეოთხის ნახევარი ჩავიდა ტაშტში. უცნობმა კონიაკით სავსე ტაშტი იატაკზე ჩამოდგა, „აზიაცკები“ და წინდები გაიხადა, შარვლის ტოტები აიკაპიწა და ფეხები კონიაკში ჩააწყო. „აბაზანას“ რომ მორჩა, ფეხები დაიფერთხა, მედუქნის ხელსახოცით შეიწმინდა, ფეხთ ჩაიცვა და კონიაკის საფასური — ოქროს თუმნიანი დააგდო მაგიდაზე.

თვალებგაფართოებული მებაღეები ფრანგულად ლუღლუღებდნენ — „მხეცი, ველური...“

უცნობი მშვიდად ადგა, დარჩენილი ნახევარი ბოთლი კონიაკი აიღო, მათ მაგიდასთან მივიდა, დაიხარა და გარკვევით, წმინდა ფრანგულით გამოსცრა:

— კონიაკი ბებერებს უხდება!

პირდაღებულ ფრანგებს „აბაზანას“ გადარჩენილი, ნახევარი ბოთლი კონიაკი დაუტოვა და დინჯად გავიდა გარეთ.

ეს კაცი კონსტანტინე შარვაშიძე იყო... იგი სოხუმიდან თბილისს მიიჩქაროდა... ქართველი პატრიოტები 1832 წლის აჯანყებისათვის ემზადებოდნენ!

**ზვიად გურული**

## ფრაგმენტებიანი კროსვორდი



### თარაზულად:

7



მგზავრთა გადასაყვანი საშუალებების ერთობლიობა

8



ქსოვილი, რომელიც ფარავს სხეულის ზედაპირს და შინაგანი ღრუ ორგანოების კედლებს

10

მათემატიკის ნაწილი

11



შარვალი, რომლის ტოტები მჭიდროდ ეკვრის ფეხებს

12



სპილენძის შენადნობი კალასთან და ტყვიასთან

16



აირებისა და თხევად ნივთიერებათა გარკვეულ მანძილზე ტრანსპორტირების საშუალება

18



ჰაერის ტალღისებრი რხევა, რომელსაც ყური აღიქვამს

19



ცალკეული გამოსახულება ფირზე

20



ეთიოპიის უწინდელი სახელწოდება

21




სეროტონინის წყარო




ჭურჭელი

26



ცვილისებრი სურნელოვანი ნივთიერება, რომელსაც კაშალოტი გამოჰყოფს

27



სახეობა, გავრცელებული ჩინეთსა და ჩრდილო ამერიკაში

30



მსხვილი კაპიტალისტი (ზოგადად)

31



ბალკონის ზედა იარუსი იაფფასიანი ადგილებით

34



ქაღალდის ფულის ნომინალური ღირებულება

35



ბანქოს ინტელექტუალური თამაში

36




ზედაპირი, რომელზედაც ისრები მოძრაობს

### შვეულად:

1



ერთმანეთთან ახლოს მდებარე კუნძულების ჯგუფი

2



ტვინის ზედა დანამატი, გირჩისებრი ჯირკვალი

3



ჩაცმულობის მანერა

4



მუსიკალურ-დრამატული ნაწარმოები

5



ორთქმავლის მეორე ვაგონი

6



მონარქის უმაღლესი ტიტული

9



მუსიკის მოყვარული

13



მამულის ადგილსამყოფელი

14



იშვიათი, ძველებური ნივთების გამყიდველი

15



(ჯიში)

17



წონაში დაკლება

22



გოლების გამტანი

23




სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში

24

სისხლის წითელი ბურთულა

28



თბილისის მთავარი არტერია

29



სასიგნალო მოწყობილობა

32



სისხლძარღვთა კედლების ძგერა, რომელსაც იყენებდა დროის საზომად გალილეი კოშკზე ცდების ჩატარებისას.

33



დიონისეს (ბახუსის) დღესასწაული

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

„კვირის პალიტრა" №31 კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 7. სამრეცხაო; 8. შევარდენი; 10. ფელინოლოგია; 13. კენკრა; 16. იულისი; 17. თითა; 8. ბოსტნეული; 19. მანე; 20. პიმალაი; 21. დელფინი; 25. ბუდა; 26. ფიცარნაგი; 27. ტართ; 28. ეგრისი; 30. ვირთხა; 31. აბსტრაქტული; 34. მევზულება; 35. ძირტკბილა.

შვეულად: 1. კავალერია; 2. მცხეთა; 3. ვანი; 4. დუმი; 5. ბალიში; 6. ანდერსენი; 9. ბოცმანი; 11. ეკრანიზაცია; 12. ილუმინატორი; 14. დისტანცია; 15. ფიუზელაჟი; 22. ბულგაკოვი; 23. ტრამვაი; 24. ორცხობილა; 29. იუბილე; 30. ვოლუტა; 32. ტაბუ; 33. ტრიო.

## ბინები

დიღუბეში 2 ოთახიანი ბინა 30 კვ მიშენებით (I სართულზე), სარდაფებით, გისოსებით, ორმაგი კარებით, აივნებით, ა/მანქანის სადგომი ადგილით, ბუნებრივი აირით, ცხელი წყლით. ფასი 14.000$. მის: წყალტუბოს ქ. მე-4 კორპ. მე-3 სად. ტელ: 34-52-34

3 ოთახიანი, არასტანდარტული ბინა, ვაჟა-ფშაველას ძეგლთან, სველი წერტილებით ცალ-ცალკე. საწყისი ფასი 20.000$. ტელ: 32-08-90; 32-69-64

მიცკევიჩის ქუჩაზე №6-ში 4 ოთახიანი (3+1), არასტანდარტული, მაღალჭერიანი, კუთხის ბინა ტელეფონით, ლოჯიით, გისოსებით, რკინის კარით, ოთხი სარდაფით, მანქანის დასაყენებელი ადგილით, 5-სართულიანი სახლის მაღალ ბელეტაჟზე. გამოდგება საოფისედაც. საწყისი ფასი 42.000$. ტელ: 37-22-19; 38-24-11

მთაწმინდის რაიონში, ოქროყანაში 2.000 კვმ მიწა. ტელ: 98-36-43. სოსო

აგარაკი საგურამოდან 6 კმ-ში, სოფელ ბურიანში, სახლის დაწყებული მშენებლობით. I სართული ამოყვანილია კაპიტალურად, II-ზე იატაკი დასხმულია და დაწყებული. მიწის ფართი 800კვმ. ფასი 500$. ტ: 23-07-65; 877 43-32-33

## მილოცვა



**მიშიკო შენგელიას!**

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერ ცხოვრებას და სწავლაში წარმატებებს. გვცხოვრობ გაბრწყინებულ, აყვავებულ საქართველოში, გეშრომოს მის საკეთილდღეოდ, მშობლებისა და კეთილისმსურველების გასახარად.

*მამიდა ლენიკო, ბიძები მიშიკო და რევაზი*

**ქალბატონო ზინა!**

გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ ბედნიერებას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ყოველგვარ სიკეთეს.

*მანანა და ირინა მჭედლიშვილები*

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 17-25 წლამდე გოგონებს და ვაჟებს გამგზავრებას საფრანგეთსა და გერმანიაში, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 96-07-81

## მომსახურება

ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ — 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასაჟის თანხლებით). ვასწავლი კოსმეტიკასა და ეპილაციას. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნატო ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი", არამიანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია — 1სთ — 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები". ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ — 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა — 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 877 44-97-46. ნინო ჭელიძე

სილამაზის სალონი „სტილი": თმის მოცილება სახესა და ტანზე მცენარეული დეპილატორით (თმა მცირდება და ქრება), ეპილაცია ინდივიდუალური ვოლფრამის ნემსით, ანესთეზიით (გაღიზიანების გარეშე); სახის გაწმენდა, ლაქების მოცილება; თმის მოდელური შეჭრა-დავარცხნა, კატალოგების მიხედვით — 6 ლარი; დეკორატიული მელირება — 15-20 ლარი; შეღებვა WELLA - KOLESTON-2000 — 15-17 ლარი; ქიმიური დახვევა, გასწორება — 15-20 ლარი; საბანკეტო ვარცხნილობა — 15-20 ლარი. აგრეთვე სასწავლო ცენტრი „თემსი" აცხადებს მიღებას კოსმეტიკის, მაკიაჟის, და საპარიკმახერო კურსებზე. გაიცემა სერტიფიკატი. მის: აღმაშენებლის გამზ. №115. კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 96-22-89; 899 58-77-09. საერთაშორისო კატეგორიის კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია და სტილისტი ლალი.

სს „მშვილდოსანი" აწარმოებს სახლებისმშენებლობას, მიწისა და მიწისქვეშა სამუშაოებს, კეთილმოწყობას. ამზადებს საკედლე ქვებს, ზეძირკვლისა და სხვა კონსტრუქციებს მაღალი ხარისხით, შეღავათიან ფასად. მის: წერეთლის გამზ. №57. ტ: 34-82-30; 34-14-81

COMPUTER COMPANY "PULSAR" — კომპიუტერები და ორგტექნიკა; კომპიუტერების ყიდვა-გაყიდვა; სათადარიგო ნაწილები; კომპიუტერების, ორგტექნიკის შეკეთება, მომსახურება; კარტრიჯებში ტონერის ჩაყრა; უფასო კონსულტაციები. დაგეხმარებით კომპიუტერის გაყიდვაში. ტელ: 33-08-71. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №16 შპს „პულსარი"

სწრაფად აგიკრეფთ ნებისმიერი მოცულობის ტექსტს ქართულად, ინგლისურად. 1 გვერდის ფასი: 80 თეთრი — 1 ლარი. ტელ: 34-32-79; 877 44-95-48

აგიკრეფთ და დაგიკაბადონებთ წიგნებს, ბუკლეტებს, გაზეთს და ა.შ. ტელ: 61-51-17; 95-46-79

ვაკეთებ რბილი და მყარი ავეჯის რესტავრაციას. სამეულებზე, არაბულ ტახტებსა და სკამებზე ზამბარიანი მატრასების დარბილება-გადაკვრას, განახლებას. აგრეთვე ვამზადებ ახალ სამეულებს. ტელ: 95-72-98

## მკურნალობა

ვმკურნალობ ოპერაციის გარეშე ცხვირის პოლიპებს, გლანდებს, ბავშვებში ადენოიდებს, ქრონიკულ სურდოს, ჰაიმორიტს, ალერგიულ დაავადებებს. მკურნალობას ატარებს პროფესორი. ლტოლვილებს და ხელმოკლე ოჯახებს ვმკურნალობ შეღავათიან ფასად. მის: ამბროლაურის ქ. №166. XI კორპ. IV სად. ბინა 46. (რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ). ტელ: 37-42-17; 53-60-06

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უხეშული მასაჟებისა და ნემსების გარეშე, ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. შედეგი და ანონიმურობა გარანტირებულია. ტელ: 96-62-58; 97-47-24

მეჭეჭებისა და სხვა ხორცმეტების მოცილება სახესა და ტანზე უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. მიღება ექიმ რუსუდან საყვარელიძესთან, სამკურნალო ცენტრში. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №115 (პოლიციის შენობის უკან, ეზოში). ტელ: 95-83-54

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## ვასწავლი

სწრაფი, დაჩქარებული კურსით შეგასწავლით პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობას ინდივიდუალურად, ხარისხიანად (MS DOC, NC, WINDOWS-98, WORD, EXCEL, PAGE MAKER). ტელ: 34-32-79; 877 44-95-48

მიღება კოსმეტიკის კურსებზე. შეისწავლება: კანის დეფექტები, მკურნალობა, მალამოების დამზადება (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), ლოსიონები, საპნები, რძეები, სახის კანის გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ნაძალადევი, დადიანის ქ. №26. ტელ: 66-53-56

## სხვადასხვა

თბილისის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე:

1. სამართალმცოდნეობა (იურისტ-ეკონომისტი);
2. ეკონომიკური (ეკონომისტ-იურისტი);
3. უცხო ენები.

უმაღლესდამთავრებულები მიიღებიან III კურსზე. ფასი 200-250 ლარი.

მის: თოფურიას ქ. №12, ვაჟა-ფშაველას მე-4 კვარტალი, 128-ე საშ. სკოლა. ტელ: 32-82-60; 32-06-97 (საღამოს)

## იყიდება

ბენზინგასამართი სადგური, მაღაზია და ავტოტექმომსახურების სამი ბოქსი. შეიძლება ცალ-ცალკე გაყიდვაც. ტელ: 899 51-07-36; 877 43-67-90; 70-05-50 (23 სთ-ის შემდეგ)

დიდუბეში, გამოფენის უკან, ხე-მასალის ბაზრობაზე ცეხი, სამი დაზგითა და მასალის დასაწყობი ხუთი დიდი ადგილით, მსურველებმა დარეკეთ: 899 56-72-86; 71-74-46 (საღამოს)

ნიჟარების („რაკუშკების") ფარდა (1.20X2.00). ფასი 130 ლარი; თეთრი, ფაიფურის 5 სანთლიანი ჭაღი ჭრელი ნაჭრის აბაჟურებით. ფასი 100 ლარი ტელ: 23-07-65

ბალზაკი, 15 ტომი — 40 ლარი (რუსულად); ლეო ტაქსილი (წმინდა ბუნაგი, სახალისო ბიბლია და სახარება), 3 წიგნი — 10 ლარი; ათას ერთი ღამე, 3 ტომი (რუსულად) — 5 ლარი; ორტომეულები (ცვაიგი, ჰიუგო, მერიმე), რუსულად, 2 ტომი — 5 ლარი; პუშკინი (1899 წ.), რუსულად — 15 ლარი. ტელ: 23-07-65 (დილით, საღამოს)

## შევიძენ

შევისყიდით გრძელ თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას.

## ხსოვნა



**ოთარ კუბლაშვილის გახსენება**

15 აგვისტოს შენი დაბადების დღეა. შენი გარდაცვალებით უდიდესი ტკივილი და უსაზღვრო მონატრება დაგვიტოვე.

არაჩვეულებრივი მეუღლე, დიდი, ლამაზი ოჯახის მამა და ბაბუა იყავი.

წმინდა სანთლებით მოვალთ შენს საფლავზე, მოგილოცავთ დაბადების დღეს და ვილოცებთ შენი ლამაზი სულისათვის.

*ოჯახი*

## ნეკროლოგი

გამომცემლობა „განათლების" თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ეთერ ჭელიძის მეუღლის

**ვახტანგ კუპრაძის**

გარდაცვალების გამო

## კითხვა-პასუხი

**გარდაიცვალა სახლის პატრონი (დედამთილი), რომელსაც ჰყავს სამი დაოჯახებული შვილი. ბინაში ჩაწერილია მხოლოდ რძალი (ერთ-ერთი ვაჟის მეუღლე). შეიძლება თუ არა რძალმა გადაიფორმოს ბინა თავის სახელზე?**

*ნ. რაზმაძე*

ბინას რძალი ვერ გადაიფორმებს, რადგან I რიგის მემკვიდრეები, ამ შემთხვევაში, ვაჟიშვილები არიან და, მათი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, საჭიროა მათი თანხმობა.

*ადვოკატთა კოლეგია*

**ომის მონაწილე ინვალიდ პენსიონერს არ აუღია 1998-99 წლების გარკვეული თვეების პენსია. მაქვს თუ არა უფლება, აუღებელი პენსია გადავურიცხო ნათესავს საოპერაციოდ?**

*ვ. მჭედლიძე, თბილისი*

პენსიების სხვაზე გადაცემა ან თუნდაც სხვისთვის გადარიცხვა არ შეიძლება, რადგან მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, აუღებელი პენსია პიროვნებამ უნდა მიიღოს თვითონ.

*ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური პოლიტიკის დეპარტამენტის საპენსიო პოლიტიკის სამმართველო*

**უმორჩილესად გთხოვთ, გვაცნობოთ, შიდსის გამოკვლევა-დიაგნოსტიკა ფასიანია თუ უფასო?**

*ზ. ჯანაშია, ზუგდიდი*

ინფექციური საავადმყოფოს შიდსის ცენტრში დიაგნოსტიკა მაღალი რისკის ჯგუფის პირებზე, რომელთაც მიეკუთვნებიან ინტრავენული ნარკომანები, მეძავები, კლინიკური ნიშნის მქონე პირები და სხვა, უფასოა, დანარჩენი კატეგორიის პირთა გამოკვლევა კი ფასიანია და 12 ლარით განისაზღვრება.

*მაია ცინცაძე, შიდსის ცენტრის პროფილაქტიკის განყოფილების ექიმი*

**საკუთარი სახლის წინ, ეზოში, სადაც მოთავსებულია ელექტრობოძი, გადის ელექტროენერგიის ხაზების ღია გაყვანილობა, რომელიც შეხებაშია მსხმოიარე ხეხილთან, რაც გარკვეულწილად წვიმიან ამინდში საშიშია სიცოცხლისათვის. მაქვს თუ არა უფლება, ელექტროგაყვანილობის მესვეურებს მოვთხოვო ელექტრობოძის აღება და სხვა ადგილას გადატანა ან გარკვეული კომპენსაციის გადახდა, რადგან ელექტრობოძი ჩემს საკუთარ მიწაზეა?**

*ერთგული მკითხველი ტყიბულიდან*

უსაფრთხოების მოქმედი წესების თანახმად, ელექტროდანადგარებით ექსპლოატაციის დროს საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების დაშორება მიწის ნაკვეთთან უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: 1 კილოვოლტი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზისთვის მიწის ნაკვეთთან დაშორება უნდა იყოს 2 მეტრი, 1-დან 20 კილოვოლტამდე საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზისთვის — 10 მეტრი, 35 კილოვოლტი ხაზისთვის — 20 მეტრი და ა.შ. ამ მანძილზე ახლოს დაუშვებელია მიწის ნაკვეთის დამუშავება, ნარგავის დარგვა და შენობის აშენება. თუ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების (სეგხი) დაპროექტებისას შეიქმნა აუცილებლობა, რომ ხაზმა გაიაროს საკუთარი ეზოს ნაკვეთზე, აღნიშნული მშენებლობის შესახებ სამშენებლო ორგანიზაციამ უნდა შეუთანხმოს მიწის ნაკვეთის მფლობელს, რომლის დროსაც შეიძლება მფლობელმა მიიღოს კომპენსაცია შეთანხმების საფუძველზე. ხოლო, თუ ნაკვეთი მფლობელის მიერ შემოერთებულია სეგხის აშენების შემდეგ, მფლობელმა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზები უნდა გადაიტანოს საკუთარი ხარჯით სეგხის მომსახურე ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

*ჯ. ლონლაძე, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მთავარი სპეციალისტი*

**პრივატიზებული ბინა გავაფორმე შვილზე, მაგრამ იგი ცხოვრობს უცხოეთში. მაინტერესებს, ჩემი გარდაცვალების შემდეგ ხომ არ დაიკარგება ბინა?**

*ი. ქარცივაძე*

რაკი ბინა პრივატიზებულია და თანაც შვილზეა გაფორმებული, შვილის საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, ბინა მას დარჩება, რადგან მესაკუთრის უფლება შეუვალია.

*ადვოკატთა კოლეგია*

**რა იწვევს ფრიგიდულობას ქალებში და როგორ იკურნება ეს დაავადება?**

*ტაბატაძე*

ბუნებაში ფრიგიდული ქალი არ არსებობს. უბრალოდ, ასეთად მიჩნეულ ქალებთან მისასვლელი გზა არ იციან მამაკაცებმა და მათთან სათანადო მიდგომისა და დამოკიდებულების უნარი არ შესწევთ. ქალი მარტო სექსუალურ ობიექტად არ უნდა აღიქმებოდეს, იგი უფრო ამაღლებულია და მეტი სულიერი მოთხოვნილება გააჩნია, ამიტომ მამაკაცებმა უნდა მონახონ ე.წ. ფრიგიდულ ქალებთან კონტაქტის დასამყარებელი გზები.

*რ. ფხაკაძე, ფსიქოლოგი, საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელი*

**ხუთი წლის წინ ვიყიდე ბინა იტალიურ ეზოში, სადაც სანიტარული კვანძი განთავსებულია მეზობლის ოთახის გვერდით. მეზობელი კატეგორიულად მოითხოვს სანიტარული კვანძის მოშლას იმ მოტივით, რომ მის გამო უსველდება კედელი. აქვს თუ არა უფლება გამიუქმოს სანიტარული კვანძი?**

*თბილისი*

მეზობელს არსებული სანიტარული კვანძის გაუქმების უფლება არა აქვს, ისევე როგორც თქვენც არა გაქვთ უფლება, დააზიანოთ ვინმეს საცხოვრებელი ბინა. ამიტომ ვალდებული ხართ სანიტარული კვანძი ტექნიკურად შეამოწმოთ და დაზიანების შემთხვევაში შეაკეთოთ.

*შ.პ.ს. თბილისის საქალაქო მეურნეობის საბურთალოს სამსახური*

**ვარ 50 წლის, მაქვს შაქრიანი დიაბეტი და უკვე სამი წელია ვმკურნალობ ინსულინით. ბოლო ხანს აღმენიშნება გამონაყარი მხრებზე, ზურგსა და კიდურებზე. გამონაყარი სითხიანია და ძირში ცხიმგროვა შეინიშნება, მორჩენის შემდეგ კი ლაქები რჩება. რით არის ეს განპირობებული და როგორ ავიცილო თავიდან?**

*ნ., კასპი*

გამონაყარი განპირობებულია დაავადების არასწორი მკურნალობით. მიმართეთ კვალიფიცირებულ ექიმს.

*ენდოკრინოლოგია-მეტაბოლოგია-დიეტოლოგიის რესპუბლიკური ცენტრის დირექტორი, პროფესორი დ. მეტრეველი*







*ფასები მოყვანილია ეროვნულ ვალუტაში (ლარი) დღგ-ს ჩათვლით.

თბილისი: ბაქოს ქ. 2; კოსტავას ქ. 35. საინფორმაციო ცენტრი 928.

CMYK

## ბიორკი: „მე მსოფლიოში ყველაზე მზრუნველი დედა ვარ“

ბავშვობაში ბიორკ ჰუდმუნდსდოტირმა დაიფიცა, ცნობილი მომღერალი გავხდები, კინოშიც ვითამაშებ და, რაც მთავარია, ისე განვასახიერებ როლს, რომ აუცილებლად ავივლი კანის სახელგანთქმულ კიბესო. ოცნება აუსრულდა — ბიორკის სიმღერებს მთელი მსოფლიო იცნობს, ხოლო ფილმი მისი მონაწილეობით — „სიბნელეში მოცეკვავე“ კანის ფესტივალის მთავარი პრიზიორი გახდა.

ბიორკისათვის თურმე სახელი და წარმატება კი არ არის მთავარი, არამედ მისი 14 წლის ვაჟი სინდრი.

რეიკიავიკში, ზღვის პირას მდგარი პატარა სახლი მხოლოდ გარეგნულად ჩანს მოსაწყენი, შიგნით კი... ზღვის ტალღის ფერი კედლები ფერად-ფერადი პეპლებით არის მოხატული, ოთახებში ავეჯის ნაცვლად ცერცვის ტომრები აწყვია... სამზარეულოში 7 წლის ბიორკი ასუფთავებს ვირთევზას, თან დაჩხვლეტილ თითებს ილოკავს და ყვირის: „ვის გინდათ შემწვარი თევზი?“ პასუხად — მხოლოდ მშვიდი ხვრინვა ესმის. ნასაუზმევს ბიორკი ავტობუსის გაჩერებაზე მირბის. ის მიეჩვია, რომ არავინ არასოდეს არ აცილებს. 5 წლიდან მარტო დადის ყველგან — თავიდან საბავშვო ბაღში, მოგვიანებით სკოლაში... 8 წლისა კი (მას შემდეგ, რაც დედა მამას გაშორდა) ბიორკი ოჯახში თავს ყველაზე უფროსად გრძნობს. „შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ბავშვობა იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ვერ იტანენ ვერანაირ შრომას? როგორ მომაბეზრეს მაშინ თავი ჩემი ოჯახის წევრებმა... რომ არა ჩემი ბიჭი, მეც ალბათ იქ დავრჩებოდი საცხოვრებლად,“ — ამბობს დღეს 34 წლის ბიორკი. „მე შვილის მომავალზე ვფიქრობ, ოღონდ ისე არა, როგორც ჩემი ძვირფასი დედიკო, რომელიც 2 წლის წინ ინდიელებს ესტუმრა და ტომის ბელადი შეუყვარდა“...

ერთ მშვენიერ დღეს 11 წლის ბიორკიმ საბავშვო კონკურსში მიიღო მონაწილეობა. დებიუტმა წარმატებით ჩაიარა: რადიოში მიიწვიეს — გოგონა ძალიან თავისებურ არანჟირებას უკეთებდა ცნობილ ირლანდიელ კომპოზიტორთა სიმღერებს... ერთ მშვენიერ დღეს ბიორკმა დედას და ახლობლებს შეუტია, — უსაქმურებო, ხომ ყველა ნიჭიერი ხართ, დამეხმარეთ, ფირფიტა ჩავწეროო. რადიოდან ერთი ტიპი დაფინანსებას შემპირდაო. დედამ ძალიან თანამედროვე ყდა დახატა. მამინაცვალმა ბიორკს გიტარით გაუკეთა აკომპანიმენტი. დანარჩენები ბექ-ვოკალისტების როლში გამოვიდნენ... მთელი ამ კომპანიის გასაკვირად, ფირფიტა ნამდვილ ჰიტად იქცა და ბიორკს კარგი შემოსავალიც მოუტანა. წარმატებამ ახალგამოჩეკილი მომღერალი პირველი სხივით გაათბო, მაგრამ, ეს სხივი დროებითი აღმოჩნდა. მეორე ფირფიტის ჩაწერა ველარ მოხერხდა და ახალბედა მომღერალი მალე დაივიწყეს, მაგრამ ცოტა ხნით...

...მალე ბიორკი დედა გახდა. სინდრის მამა მუსიკოსი ტორ ეოდონი იყო, ისეთივე ანარქისტი და ხულიგანი, როგორც თავად 20 წლის ბიორკი... თანაც ტორი ბევრს სვამდა და არც ქალებს იკლებდა. ბიორკი ტორთან ძალიან მხიარულად გრძნობდა თავს. მათ ოფიციალურად მხოლოდ იმიტომ იქორწინეს, რომ ახალგაზრდა ოჯახებს სახელმწიფო სოლიდურ დახმარებას აძლევდა. ამ ფულით უზარმაზარი ბინა აიღეს ოჯარით. ახალ ბინაში მათთან ერთად ყველა მათი მეგობარიც გადაბარგდა.. რამდენი ადამიანი ცხოვრობდა, ზუსტად არავინ იცოდა... საქმეები შესანიშნავად მიდიოდა... მაგრამ, ერთხელ ბიორკმა დაიჭირა თავისი ექვსი წლის ვაჟის სერიოზული მზერა და შეცბა. მიხვდა, რომ სულაც არ უნდოდა, სინდრის ბავშვობა მისი ნინველობისნაირი ყოფილიყო. ბავშვის მომავალზე უნდა ეფიქრა. ბიორკი გასცილდა ქმარს და ბიჭი ინგლისში წაიყვანა.



ბიორკის სახლი ლონდონის ერთ-ერთ რესპექტაბელურ რაიონშია, სინდრი პრესტიჟულ სკოლაში დადის, საღამოობით დედა ეხმარება გაკვეთილების მომზადებაში. ახლა ბიჭი 14 წლისაა, ლიტერატურითა და კომპიუტერით არის გატაცებული. „მგონი, ჩემს შვილს აქვს შანსი, გახდეს დიდი მეცნიერი ან მწერალი, — ოცნებობს მომღერალი, — ვეცდები, მაქსიმალურად დავეხმარო... იცით, ვინ არის ყველაზე მზრუნველი დედა მსოფლიოში? მე! — ამაყად ამბობს ბიორკი. ერთხელ მომღერალმა ჟურნალისტი მიტყიპა, რადგან მან გაბედა და სინდრის ჰკითხა, — ალბათ არ არის ადვილი, ასეთი უცნაური დედის შვილობაო.

რამდენიმე ხნის წინ ბიორკი აპირებდა ცოლად გაჰყოლოდა შავკანიან მომღერალს, მაგრამ ერთმა თაყვანისმცემელმა, პროტესტის ნიშნად, ამანათით ასაფეთქებელი მასალა გაუგზავნა. ამანათი პოლიციას ჩაუვარდა ხელში...

იმის გაფიქრებისაც კი მეშინია, რა მოხდებოდა. ეს ამანათი სინდრის რომ გაეხსნა, ჩემი შვილის სიცოცხლე ჩემთვის მსოფლიოს ყველა მამაკაცზე ძვირფასია, — ამბობს ბიორკი.

*7 დღე №31*

## სიყვარულით განებივრებული

რუსეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რუდოლფ ფურმანოვი ამჟამად ანდრეი მირონოვის სახელობის თეატრის „რუსული ანტრეპრიზა“ მხატვრული ხელმძღვანელი, თავის დროზე ბევრს და ნაყოფიერად მუშაობდა საბჭოთა კინოს უამრავ ვარსკვლავთან. ევგენი ლეონოვთან მას არა მარტო შემოქმედებითი, არამედ ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. გთავაზობთ მის მოგონებას ევგენი ლეონოვზე.



ევგენი ლეონოვი შესანიშნავი მსახიობი და პიროვნება იყო. შემოქმედებით საღამოებზე ხალხი ბავშვივით ანებივრებდა, თავს ევლებოდა: ჩვენო საყვარელო, ბუთხუზა, ჩვენო ვინი პუჰო, თავს მოუარეთ, ძალიან გვიყვარხართო, ეუბნებოდნენ.

მაშინ ერთი ჩამორჩენილი ქვეყანა ვიყავით — ცოცხალი მსახიობის დანახვა ველურებივით გვახარებდა. ლეონოვი ყველას გულიანად ხვდებოდა, საათობით არიგებდა ავტოგრაფებს. პოპულარობა რომ მძიმე ტვირთად არ დასწოლოდა, ცდილობდა, ასე ვთქვათ, „მშვიდ“ კალაპოტში მოექცია. მაშინდელი დეფიციტის პირობებში მის წინ ყველა კარი იღებოდა და იგიც მუდამ ვიღაცას ეხმარებოდა, რაღაცას შოულობდა, ყიდულობდა. ფილმ „აფონიას“ სცენარისტი ბოროდიანსკი უბინაო იყო. ევგენი პავლოვიჩი მოსსოვეტში წავიდა და მოხდა სასწაული — ლოდინით გაწამებულ ბოროდიანსკის ერთ კვირაში ბინა მისცეს. თავად კი წლების მანძილზე კომუნალურ ბინაში ცხოვრობდა, აგარაკს 10 წელიწადს იშენებდა. ისე გარდაიცვალა, დაუმთავრებელი დარჩა შენობა, ვერც კი მოესწრო იქ დასვენებას.

ყური მოვკარი, — ევგენი ლეონოვი ძუნწი იყოო. პირიქით, ხელგაშლილი, პურადი მასპინძელი გახლდათ. სიძუნწე არა, მაგრამ რაღაც სუპერმეოჯახე კი იყო, ნამდვილი ოჯახის თავკაცი — ყველაფერი შინ მიჰქონდა, ზოგჯერ ისეთი რამ, რაც საერთოდ არ გამოადგებოდა. ერთხელ ციმბირში გახლდით საგასტროლოდ. მადლიერმა მაყურებელმა ლეონოვს კიტრის მწნილიანი ქილა მიართვა. გადავწყვიტეთ, საღამოს მოგველხინა — მართლაც, კარტოფილი მოვხარშეთ, ერთი სული გვქონდა, კიტრს როდის მივაყოლებდით. მაგრამ ჩვენდა გასაოცრად, ლეონოვმა ქილა ღიპზე მიიკრა (როგორც ვინი პუჰმა თაფლიანი ქოთანი) და წაიბუზღუნა: ამ ქილას მოსკოვში წავიღებ, ანდრიუშკას (ვაჟიშვილი) კიტრის მწნილი ძალიან უყვარსო.

მთვრალი არასოდეს გვინახავს, მაგრამ წვეულებებზე, მეგობრების თავყრილობებზე გულით მოილხენდა. ცოლი, თავისი ვანდა, სიგიჟემდე უყვარდა. გასტროლებზე, როცა გოგოებში გასეირნებას დავაპირებდით, ხუმრობით, მაგრამ კატეგორიულად უარს გვეტყოდა, არა, არა, სამაგისოდ არ ვარგივარ, უჩემოდ წადით, ბიჭებოო. ბედნიერი ცხოვრება ჰქონდა, როგორც აქტიორული, ისე პირადი. პატარ-პატარა უსიამოვნებები სხვასავით მასაც ჰქონდა. სხვანაირად მსახიობის ცხოვრება შეუძლებელია. როცა ერთიმეორეს მიჰყვა კომედიური როლები, უკმარისობის გრძნობა გაუჩნდა. გრძნობდა, რომ უფრო მეტის გაკეთება შეეძლო და მართლაც, ბედმა გლობალური როლები არგუნა — ამას მისი ფილმოგრაფიაც ადასტურებს.

ევგენი პავლოვიჩის ვაჟი, ანდრეი ლეონოვი, იმავე თეატრში მუშაობს, რომელშიც მამამისი მოღვაწეობდა. უზომოდ უყვარდა შვილი — თითოეულ მის ნაბიჯს განიცდიდა, გულშემატკივრობდა. ანდრეის მამის ჩრდილიდან გამოსვლა სურდა, ყოველმხრივ არიდებდა თავს მის მფარველობას. დამეთანხმებით, ვაჟკაცური საქციელია და ლეონოვს მართლაც შეეძლო ეამაყა შვილით.

ევგენი ლეონოვი ჭკვიანი კაცი და მსახიობი იყო. რეჟისორებს ეკამათებოდა, როლს ფილიგრანულად ხვეწდა, ყოველდღე „იტანჯებოდა“, თავისი გმირების ცხოვრობითცხოვრობდა. სამაგიეროდ, თავად სპექტაკლები არასოდეს დაუდგამს, რეჟისორობა არ დაუწყია.

ყველაფერი შეეძლო, სიმღერის გარდა. გასტროლებზე ყოფნისას, როცა ლეონოვი „ბელორუსიის ვაგზალზე“ იწყებდა ლაპარაკს, სცენაზე პიანისტი გამოდიოდა და ფილმიდან პოპურის უკრავდა, მერე რომელიმე მომღერალი იმღერებდა... ასე გადიოდა იოლას.

ორი ინფარქტი გადაიტანა. მეორე ჰამბურგში, გასტროლებისას, დაემართა. გერმანელმა ექიმებმა სასწაული მოახდინეს — ურთულესი ოპერაცია გაკეთდა. 3-4 თვეში მუშაობას შეუდგა. კიდევ 3 წელიწადს იცოცხლა ძველებური რიტმითა და დატვირთვით. სიცოცხლის ბოლოს მოასწრო და თავისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ფილმში „მოსახსენიებელი ლოცვა“.

*კალეიდოსკოპი №29*

## ბილი ზეინი თავს იმიტომ იხოტრავს, რომ სხვას არ ჰგავდეს



ჰოლივუდში ყველამ იცის — თუ რომელიმე რეჟისორს ბოროტის, მანიაკის ან მკვლელის როლის შემსრულებელი დასჭირდება, ბილი ზეინზე უკეთესს ვერავის ნახავს. ამგვარი როლები უკვე დამღად ექცა მსახიობს. სწორედ მანიაკის როლმა ფილმში, „მკვდარი ამინდი“, გახადა ცნობილი. ამ სურათის გადაღების შემდეგ დამეგობრდნენ ბილი და რეჟისორი ფილიპ ნოისი.

ზეინი ალმაცერად უყურებს თავის „ბოროტების როლებს“, სამაგიეროდ, ძალიან უყვარს მის მიერ განსახიერებული კომედიური გმირები. სამწუხაროდ, ზეინისა და მაყურებლის, განსაკუთრებით კი, რეჟისორებისა თუ პროდიუსერების შეხედულებები ჯერჯერობით, არ ემთხვევა ერთმანეთს. ისინი უპირატესობას ანიჭებენ ბილი-ბოროტს. თანაც გარეგნობითაც შეეფერება ასეთ როლებს. შავგვრემანია, ლამაზი, აქვს მგრძნობიარე, მსხვილი ტუჩები, სევდიანი გამოხედვა და მჩქეფარე ტემპერამენტი. კანით ვგრძნობთ მის დაუოკებელ ენერგიასო, — ამბობენ მისი ახლობლები. შეიძლება ამის მიზეზი ბენის წარმომავლობაში იმალება — მისი მშობლები ბერძენი ემიგრანტები არიან.

როცა ჯეიმს კემერონს „ტიტანიკში“ ქეით უინსლეტის ბოროტი საქმროს როლისთვის მსახიობი დასჭირდა, მაშინვე ზეინს უხმო. ბილი უარს ეუბნებოდა, — მომბეზრდა ცუდი ბიჭების თამაშიო. დიდი თხოვნის შემდეგ დაიყოლია და არც უნანია, ამ როლმა მთელ ქვეყანაზე გაუთქვა სახელი, კინოვარსკვლავად აქცია.

უჟმური, ბოროტი ზეინი სინამდვილეში სულ სხვანაირია. თუმცა პრესაში წარამარა იწერება — ერთობ ბევრი უცნაურობები სჭირსო. მუდამ თავგადახოტრილი დადის, — იმიტომ, რომ არ მინდა სხვებს ვგავდეო (სიყმაწვილეში, ქოჩრიანი ბილი თურმე, ძალიან ჰგავდა ახალგაზრდა მარლონ ბრანდოს), გვერდს არ აუვლის არანაირ ფათერაკს, კინოში ყველა რთულ ტრიუკს თვითონვე ასრულებს, ცდუნებას ვერ უძლებს ძვირფასი მანქანების დანახვისას, უყვარს წითელი და შავი ფერები. ერთ-ერთ ინტერვიუში ისიც კი თქვა, ექვსი წლისა ქუჩის ბანდის წევრი ვიყავი ჩიკაგოშიო. მხოლოდ ერთი ცოლი ჰყავდა — ავსტრიელი ლიზ კოლინზი, მასთან განშორების შემდეგ ჰქონდა რომანი მოდელ ქეით მოსთან და მადონასთან, ძალიან თბილი ურთიერთობა — ნიკოლ ქიდმანთან, ხანგრძლივი ბობოქარი რომანი — ახალზელანდიელ ჯესიკა მერფთან. ახლა ზეინი ცოლის შერთვას აპირებს. მისი რჩეულია მშვენიერი ჩილელი მსახიობი ლეონორ ვარელა. მათ ერთმანეთი ფილმ „კლეოპატრას“ გადაღებისას გაიცნეს. ლეონორი ეგვიპტის დედოფალს თამაშობდა, ბილი — მარკუს ანტონიუსს. ბილის თქმით, მათ დანახვისთანავე შეუყვარდათ ერთმანეთი.

საგულისხმოა, რომ მრავალი წლის წინ სწორედ „კლეოპატრას“ გადაღების დროს შეუყვარდათ ერთმანეთი ამავე როლების შემსრულებლებს — ელიზაბეტ ტეილორსა და რიჩარდ ბარტონს.

თურმე, ცეცხლოვანი, შავტუხა ლეონორი ხასიათით ძალიან ჰგავს თავის ზეპურ გმირს. ჭკვიანია, ძლიერი, განათლებული და უაღრესად ნაზი.

ზეინი თავდაჯერებული ყმაწვილია. შეიძლება ითქვას, კინოში საკმაოდ თავხედურად მოხვდა. ჩიკაგოდან უგროშკაპიკოდ ჩამოსულმა პირდაპირ ჰოლივუდს მიაშურა. რეჟისორი რობერტ ზემეკისი აპირებდა ფილმის, „უკან, მომავალში“, გადაღებას და მთავარი როლის შემსრულებელს ეძებდა. სწორედ იმ დროს გამოეცხადა ბილი და შესთავაზა — მე ვითამაშებო. რეჟისორს ისე მოეწონა ჭაბუკის სითამამე, გასინჯა როლზე და ათამაშა კიდეც. ბილს პირდაპირ გადასაღებ მოედანზე უხდებოდა სამსახიობო ხელოვნების შესწავლა. მხოლოდ პირველი როლის შემდეგ დაამთავრა შვეიცარიაში სამსახიობო ხელოვნების ამერიკული კოლეჯი.

ზეინს ძალიან უნდა ჯეიმს ბონდის თამაში. ამ როლზე ოცნება ჯერ კიდევ ცხრა წლისას დაუწყია, რაც უჩვეულო არაა ამერიკელი ბიჭისთვის. მით უმეტეს, ბილისთანა თეატრალურ ოჯახში აღზრდილისთვის — მისი მშობლები მსახიობები იყვნენ, ხოლო უფროსი და ლიზა ზეინი სახელგანთქმული მსახიობია. ბილი ამაყობს დის წარმატებებით.

ბილი ზეინი სულაც არ გახლავთ ექსცენტრიკული სუპერმენი, არც უხეშია, პირიქით, ძალიან თბილი და კარგი საურთიერთობოა, აქვს არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა, თავისუფალია ვარსკვლავური ავადმყოფობისგან, საოცრად ზრდილობიანი და, რაც მთავარია, განათლებული კაცია. თაყვანს სცემს ძველ კინოს და ოქროს ხანის მსახიობებს: ჯინ კელის, კერი გრანტს, კლარკ გეიბლს. ამბობს, საუკუნის დასაწყისში რომ მეცხოვრა, უთუოდ მუნჯი კინოს არტისტი ვიქნებოდიო. ბილს უყვარს ყოველგვარი ოფიციალობის გარეშე მხიარული დროსტარება, სეირნობა...

*ტვ-პარკი №39*



# გამაგრდით და მოემზადეთ ტექდათვალიერებისთვის

**„კვირის პალიტრის“ რედაქტორს**

**ვერ დავადგინე ავტომანქანის ტექდათვალიერების ღირებულება. გთხოვთ, დამეხმაროთ, რადგან ქალაქის სხვადასხვა რაიონში სხვადასხვაა.**

***მ. ჭავჭანიძე***



„მაგრად უნდა დაუდგეთ!“ — ასე გვირჩია ერთმა მაღალჩინოსანმა საგზაო პოლიციიდან, როდესაც მას ვთხოვეთ გაემხილა ის საშუალება, რომლის ძალითაც ავტომანქანის ტექნიკური დათვალიერებისას ზედმეტი თანხის გამოძალვას ავიცილებთ თავიდან.

დიახ, მაგრად უნდა დაუდგეთ, მოიმარჯვოთ სხვადასხვა გაზეთში გამოქვეყნებული ტექდათვალიერების წესები და თუ მაინც შეგეპარათ ეჭვი, რომ გატყუებენ და საჭიროზე მეტ ფულს გახდევინებენ, ამ ფულის მიზნობრივი დანიშნულებისა და რაოდენობის დამადასტურებელი ქვითარი უნდა მოითხოვოთ. როგორც გვითხრეს, ქვითარი მაინც დოკუმენტია და მასში ზედმეტის ჩაწერას ვერავინ გაბედავსო.

იცით, რა თანხას იხდის ტექდათვალიერებაში ყოველწლიურად საქართველოს ყველა ავტომფლობელი ერთად? უხეშად რომ ვიანგარიშოთ, დღეს საქართველოში 300 ათასზე მეტი ავტომანქანაა და თითოეულ მათგანზე საშუალოდ 70 ლარი გაიცემა. მოკლედ, ჯამში მეტად შთამბეჭდავ რიცხვს — 21 მლნ-ს ვიღებთ. ვინმე იფიქრებს, აშენებულა ჩვენი პენსიებისა და ხელფასების ვერ- გამცემი ხაზინაო და არ იქნება მართალი. ტექ-დათვალიერებაში შემავალი ღონისძიებების უმეტესობას სხვადასხვა კერძო ფირმები და ორგანიზაციები ატარებენ, რომლებსაც ამ საქმიანობის წარმოების უფლებას მეტად მრავალრიცხოვანი და წარმომადგენლობითი სალიცენზიო კომისია ანიჭებთ. როგორც საგზაო პოლიციის პრეს-ცენტრიდან შევიტყვეთ, სწორედ ფირმების მიერ ფასების უმნიშვნელო ზრდა იწვევს ხოლმე სხვადასხვა რაიონის დიაგნოსტიკურ ცენტრებში გადასახადების ოდენობის ცვლილებას, რომელთა ჩამონათვალიც საქართველოს საგზაო პოლიციის პრესცენტრმა მოგვაწოდა.

მაგალითად, დიაგნოსტიკურ ცენტრში ავტომანქანის გამონაბოლქვში მავნე აირებისა და ხმაურის შემოწმება, ყველა შემთხვევაში, 6 ლარი დაგიჯდებათ, ოღონდ ამას ანთებისა და კვების სისტემის გამართვა-რეგულირების 3 ლარიც ემატება და თუ გამმართავ-მარეგულირებელი ფიქრობს, რომ ამ საქმეს სხვაზე უკეთ აკეთებს, 1-2 ლარი შეიძლება კიდეც მოგიმატოთ.

ცალკეა დიაგნოსტიკური შემოწმება — 10,6 ლარი. თუ ამ დროს თქვენს მანქანას რაიმე ტექნიკური ნაკლი აღმოაჩნდა, მას იქვე, დიაგნოსტიკურ ცენტრში გამოგისწორებენ, რა თქმა უნდა, დამატებითი საფასურის ხარჯზე. თუ მათი ფასი არ გაწყობთ, მანქანა შეგიძლიათ სხვაგანაც შეაკეთებინოთ, თუმცა, ვინ იცის, იმავე დიაგნოსტიკურ ცენტრში იმ სხვას შეიძლება პროფესიონალიზმი დაუწუნონ. კიდევ ერთი დეტალი — თუ დიაგნოსტიკურ ცენტრში მოწონებადამსახურებული და, შესაბამისად, ტექდათვალიერებაგავლილი მანქანა ავტოავარიაში მოყვა ტექნიკური გაუმართაობის გამო, დიაგნოსტიკური ცენტრი ამისათვის სისხლის სამართლის კანონმდებლობით აგებს პასუხს.

ტექდათვალიერებასთან ერთად ავტომფლობელი სავალდებულო დაზღვევას, ე.წ. მესამე პირის დაზღვევასაც იხდის. რას ნიშნავს ეს? ჩვენი კანონმდებლობის თანახმად, ავტოავარიის შედეგად დაღუპულის ოჯახს ან სამუდამოდ დაინვალიდებულ პირს გადაეცემა 3.750 ლარი. შესაბამისად, თითოეული ავტომფლობელი, რომელიც, (მოსწონს ეს თუ არ მოსწონს), ფაქტობრივად, განიხილება როგორც ავტოავარიის პოტენციური მიზეზი, ყოველწლიურად იხდის გარკვეულ თანხას ამ ავარიის პოტენციური მსხვერპლის დაზღვევის მიზნით. დაზღვევის თანხა უცვლელია, ჯერ ერთი, რომ დამზღვევი ყველა რაიონში ერთი და იგივე კომპანიაა და მეორეც — დაზღვევის თანხას პროცენტულად განსაზღვრავს მანქანის ძრავის მოცულობა: 1200 სმ³-მდე ძრავის მქონე ავტომანქანის მფლობელები იხდიან დაზღვევის მთელი თანხის — ანუ 3.750 ლარის 0,6 %-ს, ანუ 22,6 ლარს, 1201 სმ³-დან 1800 სმ³-მდე — 0,8 %-ს (30 ლარს), 1801 სმ³-დან 2200 სმ³-მდე — 1 %-ს (37,5 ლარს), 2201 სმ³-დან 2500 სმ³-მდე — 1,2% -ს (45 ლარს), 2501 სმ³-დან — 1,4%-ს (52,5 ლარი).

დაზღვევის ამ, არცთუ იაფფასიან ფორმასთან დაკავშირებით ასეთი შეკითხვაც გაჩნდა: თუ მძღოლი თავისი პრაქტიკის მანძილზე არათუ არავის იმსხვერპლებს, საერთოდაც არ მოახდენს ავტოავარიას, დაუბრუნებს თუ არა მას სადაზღვევო კომპანია მესამე პირის დაზღვევისთვის გადახდილ თანხას? — არავითარ შემთხვევაში. აქ, თურმე, მძღოლთა ერთგვარ სოლიდარობას უნდა ჰქონდეს ადგილი — შენ არა, სხვას მოუვა უბედური შემთხვევა და ფული გადასახდელია.

ცალკეა საგზაო ფონდისათვის გასაღები გადასახადი, რომელიც მსუბუქ ავტომანქანაზე ასე გამოიანგარიშება: ცხენის ძალებში გამოხატული ძრავის სიმძლავრე გამრავლებული 0,25 ლარზე. ამ მაჩვენებლის შეცვლა-მომატება ან დაკლება არავის ძალუძს, თუ, რა თქმა უნდა, რომელიმე წვრილი ჩინოვნიკი თავზე ხელს არ აიღებს, როგორც ეს ერთ ჩვენთვის ცნობილ შემთხვევაში მოხდა: ერთ ჩემს ნაცნობს საგზაო ფონდის ანგარიშში 20 ლარის ნაცვლად 45-ს სთხოვდნენ, თუმცა, მისდა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ „მაგრად დაუდგა“. მოკლედ, საგზაო ფონდის გადასახადი საშუალოდ 15-30 ლარი გამოდის — ზუსტად რამდენი, ეს თქვენი მანქანის ძრავზეა დამოკიდებული. სხვათა შორის, ამ ფონდში საბოლოოდ ისეთი თანხები იყრის თავს, რომელთაც წესისა და დანიშნულებისამებრ რომ იყენებდნენ, საქართველოს გზატკეცილები მართლაც გზატკეცილებს დაემსგავსებოდა და არა ორღობეებს.

ტექდათვალიერების ბოლო ეტაპი კი თქვენი მანქანის მინაზე ტექდათვალიერების ფირნიშის დაკვრაა. ეს 4,7 ლარი ჯდება და ერთადერთი გადასახადია, რომელსაც თქვენ საგზაო პოლიციისათვის გაიღებთ. სხვა ყველა დანარჩენი, როგორც მოგახსენეთ, კერძო ორგანიზაციების ჯიბეში მიდის და, ვინ უწყის, რა ხვდება აქედან სახელმწიფოს.

***სალომე ბადრიძე***

P.S. ზემოთ მოყვანილ გადასახადებს იხდის ის, ვინც „მაგრად დგას“. თუ ოდნავ მაინც სისუსტე შეგნიშნეს, გაფრთხილებთ, ბევრად მეტის გადახდა მოგიწევთ.

# „ციურიხელი გნომები“

ერთხელ ვოლტერს უთქვამს — თუ დაინახეთ შვეიცარიელი ბანკირი ფანჯრიდან ხტება, დაუფიქრებლად მიჰყევით უკან. მიწაზე დაცემული აუცილებლად იშოვით ფულსო. „ციურიხელმა გნომებმა“ როგორც ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში უწოდეს ინგლისელებმა ალპების რესპუბლიკის ბანკირებს (თავად სიტყვა „გნომი“ ნიშნავს პატარა კაცუნას, რომელიც მიწისქვეშეთში ცხოვრობს და „ოქროს აკეთებს“) ფულის შოვნის საქმეში მართლაც დიდად გამოიჩინეს თავი. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ შვეიცარიული ბანკები ყველაზე ხანდაზმულები არიან მსოფლიოში. ისინი საბოლოოდ გასული საუკუნის დასასრულს ჩამოყალიბდნენ. არც იმის თქმა შეიძლება, რომ შვეიცარიელები განსაკუთრებული ფინანსური გენიალურობით გამოირჩევიან. კაპიტალს აქ უპირველეს ყოვლისა, თავად ქვეყნის საიმედოობა იზიდავს, რომელიც თავისი ტრადიციული ნეიტრალიტეტითა და პოლიტიკური სტაბილურობით დიდი ხანია სიმშვიდის სავანედ მიიჩნევა კონტინენტზე, რომელზეც ომები, პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური კრიზისები მძვინვარებს. გარდა ამისა, შვეიცარიაში საბანკო ანგარიშები საიდუმლო კანონის რანგშია. რა თქმა უნდა, ეს სხვა ქვეყნებშიც არის, მაგრამ მხოლოდ საზოგადოების თვალის ასახვევად. დასავლეთში, ყველგან, ხელისუფლებას შეუძლია მოითხოვოს ანგარიშებზე ინფორმაცია ამა თუ იმ ბანკისგან, ეს კი დაუშვებელია. შვეიცარიაში არც ერთი ბანკი ხელისუფლების მსგავს მოთხოვნას არ დაემორჩილება.

შვეიცარიაში უამრავი ბანკია. ყველა ფინანსური ინსტიტუტისა და მათი განყოფილებების გათვალისწინებით, აქ მოსახლეობის ყოველ 1,6 ათას კაცზე ერთი ბანკი მოდის. შვეიცარიელები ხუმრობენ ხოლმე — ჩვენთან სტომატოლოგები უფრო ნაკლებია, ვიდრე ბანკებიო. ამასთან, აქაური ბანკები არ ეწევიან „პირადი მომსახურების“ ოპერაციებს (კომუნალური და სხვა გადასახადები). ამისათვის ქვეყანაში არსებობს ფოსტა, რომელიც შესანიშნავად მუშაობს. ბანკები წმინდა საბანკო საქმიანობით არიან დაკავებულნი: ფასიანი ქაღალდების ოპერაციებით, საბროკერო მომსახურებით, უცხოურ ვალუტასთან, სესხებთან და კრედიტებთან დაკავშირებული ოპერაციებით.

ამერიკული ფინანსურ-ბროკერული კომპანიების შეფასებით, შეძლებულ პირთა უცხოეთში განთავსებული თანხების 30-40% შვეიცარიის ბანკებში უნდა იყოს, ეს კი 3.000 მლრდ შვეიცარიულ ფრანკზე მეტია (დაახლოებით 2.000 მლრდ დოლარი).

***ეხო პლანეტი №28***

# კოვბოი „მალბორო“ ნამცხვარზე გადაჯდა

ამერიკულმა კომპანია Philip Morris-მა განაცხადა, რომ შეიძინა კრეკერებისა და ნამცხვრის კორპორაცია Nabisco Holdings-ი. სიგარეტების წარმოების მსოფლიო ლიდერი შესაძლოა კვების პროდუქტების მსხვილი მწარმოებელიც გახდეს.

Nabisco-ს 18,9 მლრდ დოლარად შეძენა უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში Philip Morris-ის მნიშვნელოვანი მეორე გარიგებაა. 1987 წელს თამბაქოს კომპანიამ შეიძინა ყავა Jacobs-ის მწარმოებელი კორპორაცია krapt-ი. მალბორო მალე თავისი სახელით გაყიდის კრეკერებს Ritz და ნამცხვარ Oreo-ს. კომპანიის ინტერესი, რომელმაც სახელი სიგარეტებით გაითქვა, სავსებით გასაგებია, Philip Morris-ის აქციები მსოფლიო საფონდო ბაზარზე ამჟამად დაცემულია. Nabisco-ს და krapt-ის ერთობლივი შემოსავალი კი შარშან 34,9 მლრდ დოლარი იყო, რაც თითქმის ემთხვევა კვების პროდუქტების უმსხვილესი მწარმოებლის, შვეიცარული კომპანია Nestle-ს მაჩვენებლებს. კომპანია Philip Morris-ი ფიქრობს, რომ ფირმა Nabisco Krept Food-ს შეუერთოს, მერე კი ღია ბაზარზე გაყიდოს ახალი ფირმის 20%. კომპანიის ერთ ხელში მოქცევა, დასავლელი ანალიტიკოსების აზრით, შეაჩერებს Philip Morris-ის აქციების ღირებულების დაცემას.

Nabisco-ს მყიდველები სხვებიც ჰყავდა — ბრიტანული Cadbury Schweppes-ი და ფრანგული Croype danone, მაგრამ Philip Morris-მა ყველაზე დიდი ფასი გადაიხადა — Nabisco Holdings-ის თითოეული აქცია — 55 დოლარი, აგრეთვე კომპანიის ვალის — 4 მლრდ დოლარის გადახდაც იკისრა.

***იზვესტია №146***

# დოლარი მსოფლიოში მოგზაურობს

აშშ-ის სენატის საბანკო მუშაობის კომიტეტმა მიიღო კანონპროექტი, რომლის მიხედვით, მესამე ხარისხის ქვეყნებს უფლება ეძლევათ, თავიანთ ეროვნულ ვალუტად აშშ-ის დოლარი გამოიყენონ. კანონპროექტი აგრეთვე ითვალისწინებს იმას, რომ აშშ-ის ფინანსთა სამინისტრო დამატებით შემოსავალს ჰპირდება იმ ქვეყნებს, რომლებიც ამერიკულ ვალუტას გამოიყენებენ ქვეყნის საშინაო საქმეებში. გამოდის, რომ ამერიკელი კანონმდებლები სთავაზობენ თავისებურ „მწვანე“ პრემიას.

ფლორიდის შტატის სენატორის აზრით, სხვა ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის „დოლარიზაცია“ საერთაშორისო ფინანსურ სტაბილურობას და ამერიკული ექსპორტის ზრდას გამოიწვევს.

ამჟამად აშშ-ის დოლარი ეროვნულ ვალუტად გამოიყენება მარშლისა და ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე, პალაუს რესპუბლიკაში, პანამასა და მიკრონეზიაში. სენატორებს დოლარის „კლუბის“ შესაძლო კანდიდატად მიაჩნიათ რუსეთი(!), ინდონეზია, ბრაზილია, ეკვადორი და სამხრეთ ამერიკის სხვა ქვეყნები. აქ ლაპარაკია ე.წ. სავალუტო მმართველობის მოდელის შესახებ, რომელიც რუსეთში 1998 წელს აქტიურად განიხილებოდა. გამორიცხული არ არის, რომ ამერიკელი სენატორების გადაწყვეტილება ხელახლა გამოიწვევს დისკუსიას რუსეთში.

ეს, რასაკვირველია, იმიტომ ხდება, რომ დოლარს გამოუჩნდა კონკურენტი ევროპის ერთიანი ვალუტის (ევროს) სახით. რაც შეეხება „სავალუტო მმართველობას“, ეს აშშ-ის ეკონომიკაზე სრულ დამოკიდებულებას ნიშნავს.

***იზვესტია №130***

# „იცნობდე შენს კლიენტს“

ბანკების ლიხტენშტეინის ასოციაციის წევრები მოითხოვენ, რომ ტრასტ-აგენტებმა და ადვოკატებმა გაამჟღავნონ თავიანთი კლიენტების გვარები. ასოციაცია ლიხტენშტეინის სამთავროში რეგისტრირებული 15 ბანკიდან ათს აერთიანებს. საუბარია იმ წესის შემოღებაზე, რომელიც მსოფლიო პრაქტიკაში Know Your Customer — „იცნობდე შენს კლიენტს“ სახელითაა ცნობილი. აქამდე ბანკებს და ფინანსურ შუაკაცებს უფლება ჰქონდათ, საქმიანი ურთიერთობა ჰქონოდათ ანონიმურ კლიენტებთან. ბანკებმა თავისუფალ რეჟიმზე ინდუსტრიული ქვეყნების ზეწოლით უარი თქვეს, რომლებიც შეწუხებულნი არიან იმით, რომ ალპებში მდებარე ციცქნა სამთავრო ფულის ბინძურ ჩამოსარეცხ ადგილად იქცა. რამდენიმე თვეა, ავსტრიიდან წარგზავნილი პროკურორი ლიხტენშტეინში იძიებს ავსტრიის სამი მაღალჩინოსნისა და ტრასტ-აგენტის საქმეს. ლიხტენშტეინის ბანკების (მისი კაპიტალი 6,85 მლრდ დოლარია) ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ „იცნობდე შენს კლიენტს“ წესის შემოღება მნიშვნელოვანი პროფილაქტიკური საშუალება გახდება ფულის ჩამორეცხვასთან ბრძოლაში. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ლიხტენშტეინი აპირებს გამოეთხოვოს თავის სტატუსს — „საგადასახადო სამოთხე“. ქვეყნის მთავარმა ჰანს ადამ -მ განაცხადა — „საგადასახადო სამოთხე“ თუნდაც იმის გამო უნდა არსებობდეს, რომ სადღაც „საგადასახადო ჯოჯოხეთიც“ არსებობსო.

***სეგოდნია №160***

# საუკეთესო ადგილი მზის ქვეშ

ნათქვამია, კარგია იქ, სადაც ჩვენ არ ვართო, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით — შესანიშნავად ცხოვრობენ 61-ე სახელმწიფოში, რადგან სწორედ 62-ე ადგილი მიუჩინეს გაეროს ექსპერტებმა რუსეთს, როდესაც მორიგი ანგარიში გამოაქვეყნეს მსოფლიოს 174 ქვეყანაში ცხოვრების დონის შესახებ.

აგერ უკვე მე-7 წელია, ცხოვრების დონის საუკეთესო მაჩვენებლების მქონე ქვეყნად კანადას აღიარებენ. მეორე ადგილზე ნორვეგიაა, მას აშშ, ავსტრალია, ირლანდია, შვეცია, ბელგია, ნიდერლანდები, იაპონია და დიდი ბრიტანეთი მოსდევს. ამ ქვეყნებში, სპეციალისტების აზრით, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, ასევე მაღალ დონეზეა აქ ჯანდაცვისა და განათლების სისტემა, სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალო მაჩვენებლითურთ.

რეიტინგის მეორე ათეულში შევიდა ფინეთი, საფრანგეთი, შვეიცარია, გერმანია, ავსტრია, დანია, ლუქსემბურგი, ირლანდია, იტალია და ახალი ზელანდია. დსთ-ის ქვეყნების სიაში ლიდერობს ბელორუსია, რომელიც ლუკაშენკოს წყალობით 57-ე ადგილზეა. რუსეთმა უკან ჩამოიტოვა საქართველო (70), ყაზახეთი (73), უკრაინა (78), აზერბაიჯანი (90), სომხეთი (93), ყირგიზეთი (98), თურქმენეთი (100), მოლდოვა (102), უზბეკეთი (106) და ტაჯიკეთი (110).

ცხოვრების ყველაზე დაბალი დონე ექსპერტებმა დააფიქსირეს აფრიკის ქვეყნებში, რომელთა უმრავლესობაში შეიარაღებული კონფლიქტები მძვინვარებს.

აღსანიშნავია, რომ ასეთი სიების შედგენისას, მიუხედავად სპეციალისტების დიდი გულმოდგინებისა, სრულყოფილების მიღწევა ძალზე ძნელია. ეს პირველ რიგში განპირობებულია იმით, რომ ძალზე ძნელია იმ ყველა კრიტერიუმის განსაზღვრა, რომელთა მიხედვითაც შეფასდება „საუკეთესო ადგილი მზის ქვეშ“. ამას თვით ავტორებიც აღიარებენ. მაგალითად, თუ შედარების საფუძვლად მამაკაცებისა და ქალების ცხოვრების დონეს ავიღებთ, მაშინ სურათი რადიკალურად შეიცვლება. ქალები გაცილებით კარგად ცხოვრობენ სკანდინავიაში. ნორვეგია კი, თუ გავითვალისწინებთ ქალების რაოდნობას მთავრობაში, პარლამენტში, ასევე შევადარებთ მშვენიერი სქესისა და მამაკაცების შემოსავლებს, პირველ ადგილზე გამოდის.

საერთო რეიტინგში, თუ ზემოთ ნათქვამ მაჩვენებლებს გავითვალისწინებთ, პირველი ექვსი ადგილი ევროპის ქვეყნებს უჭირავთ. ლიდერის შემდეგ ადგილები ასე ნაწილდება: ისლანდია, შვეცია, დანია, ფინეთი, გერმანია და ნიდერლანდები. და მხოლოდ შემდეგ „საპატიო“ მე-8 ადგილზე დგას კანადა, რომ არაფერი ვთქვათ, აშშ-ზე, რომელმაც მე-13 პოზიციაზე გადაინაცვლა.

***ეხო პლანეტი №28***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 5 აგვისტოდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| **აშშ დოლარი** | | 1,9600 |
| **გერმანული მარკა** | | 0,9060 |
| **ინგლ. გირვანქა სტერლინგი** | | 2.9298 |
| **ევრო** | | 1,7720 |
| **რუსული რუბლი** | | 0,0707 |
| **თურქული ლირა** | **(10.000)** | 0,0305 |


და შტამპების
ფირმების
რეგისტრაცია
აუდიტი
რუსთაველის 22
☎99-86-09;
38-37-89

ფირმა «გარანტი»
აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით.
გარანტია — 10 წელი
მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78
☎ 34-05-52; 63-05-26;
877-43-85-69



ფირმების რეგისტრაცია
თარგმნა და ბეჭდვა
სწრაფად, იაფად
თავისუფლების მოედანი 7, ცეკავშირის შენობა, VI სართ, ოთ. 639
☎99-02-80; 899-53-91-91

ქაღალდი პოლიგრაფიისთვის
ადგილზე მიტანით



ფურცლებში და რულონებში
ტელეფონი: 71-04-14
877-43-28-62
სხვადასხვა ფორმატი
A1; A2; A3

# ბერეზოვსკის დიდი გეგმები აქვს

გოსდუმაში ახალი ინტრიგა იხლართება — არავინ იცის, ვის დარჩება ბორის ბერეზოვსკის კაბინეტი, ვის დარჩება მემკვიდრეობად მისი მაგიდა, სამსახურებრივი სავარძელი. კაცმა რომ თქვას, მოულოდნელად გათავისუფლებული ფართი ვინმეს უკვე შეეძლო მიესაკუთრებინა — ოლიგარქმა დეპუტატის უფლებამოსილება მოიხსნა, მაგრამ მეორე მხრივ, ჯერჯერობით, გაურკვეველია — იქნებ ბერეზოვსკი კიდევ მობრუნდეს რაიმეს, მაგალითად საკანცელარიო სამაგრების წასაღებად.

სხვათა შორის, ამბობენ, რომ ბერეზოვსკის ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის პირველი პირის სავარძელზე აქვს პრეტენზია. მას შემდეგ, რაც მან გოსდუმის დეპუტატის უფლებამოსილება მოიხსნა, მისი რეიტინგი მკვეთრად ამაღლდა. ახლა მას სურს ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის მეთაურის პოსტზე იყაროს კენჭი. საამისო მიზეზი არსებობს — შემოდგომაზე რესპუბლიკაში ჩატარდება რეფერენდუმი რესპუბლიკის ახლანდელი მეთაურის ვლ. სემიონოვის მოღვაწეობის შედეგების შესაჯამებლად.

*იტოგი №34*

# ეთიოპიელები იმპერატორს 25 წლის შემდეგ კრძალავენ



ეთიოპიაში გამოცხადდა, რომ 2 ნოემბერს ხელახლა მიაბარებენ მიწას 25 წლის წინ გარდაცვლილი იმპერატორის ჰაილე სელასიე -ის ნეშტს. იმპერატორმა რუსეთის უკანასკნელი მონარქის ბედი გაიზიარა — იგი კომუნისტური რეჟიმის ლიდერის ბრძანებით მოკლეს და მისი დაკრძალვის ადგილი გასაიდუმლოებული იყო. ჰაილე სელასიე იმპერატორ მენელიკის ძმისწული გახლდათ, რომელმაც 1896 წელს გაანადგურა დამპყრობელი იტალიელები და ეთიოპიის დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. ხელისუფლების სათავეში ჩადგომისთანავე ჰაილე სელასიემ დაიწყო გზების, საავადმყოფოების, სკოლების აგება, დაამტკიცა კონსტიტუცია, შექმნა პარლამენტი. მის მიერ დაწყებული რეფორმები 1935 წლის 2 ოქტომბერს იტალიის ჯარის ეთიოპიაში (მაშინ აბისინიას უწოდებდნენ) შეჭრამ შეაჩერა. შვიდთვიანი უთანასწორო ბრძოლის შემდეგ ეთიოპიის არმია გაანადგურეს, ქვეყანა ოკუპაციაში მოექცა. იმპერატორი დიდ ბრიტანეთში გაიქცა.

1940 წელს ლონდონმა იმპერატორი ჰაილე ოფიციალურად აღიარა თავის მოკავშირედ. იგი სასწრაფოდ გაემგზავრა სუდანში და ინგლისელების დახმარებით აღადგინა ეთიოპიის ჯარი. 1941 წელს ეთიოპია-ბრიტანეთის ჯარი, იმპერატორის მეთაურობით, ადის-აბებაში შევიდა. ომის შემდეგ იმპერატორმა რეფორმები განაგრძო. იგი მკაცრი მმართველი იყო, სასტიკად ახშობდა ანტიმონარქიულ და სეპარატისტულ გამოსვლებს, 1974 წელს ჰაილე სელასიე დაამხეს, დამყარდა საბჭოთა კავშირის დიდი მეგობრის მენგისტუ მარიამის კომუნისტური რეჟიმი. მარიამმა 1975 წელს გამოაცხადა, — იმპერატორი მოკვდაო, თუმცა სინამდვილეში ის მოკლეს და მიწაში ჩაფლეს. მისი ნეშტი 1992 წელს იპოვეს და ადის-აბებაში, იმპერატორთა საძვალეს მიაბარეს. იმპერატორის ხელახლა დაკრძალვას 1 მლნ დოლარი დასჭირდება, ამ თანხას მხოლოდ ეთიოპიელთა მიერ გაღებული შესაწირავებით შეაგროვებენ.

*კომერსანტი №215*

# მონარქია თუ დემოკრატია

დამასკოში მამიდან შვილზე ხელისუფლების გადაცემამ ბევრი ეგვიპტელი შეაშფოთა — ვაითუ არაბული ქვეყნებისთვის პრეცედენტი შეიქმნას და ეს დემოკრატიაზე დარტყმად იქცესო. ფაქტობრივად, მთავრობისა თუ ოპოზიციის ყველა გაზეთმა გააკრიტიკა სირიაში ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის ფაქტი. რადიკალურად განწყობილი ეგვიპტელები ფიქრობენ, რომ „სირიული მორალი“ შეიძლება მათ ქვეყანაზეც გავრცელდეს. მიაჩნიათ, რომ 72 წლის პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი თავის 38 წლის ვაჟს — ჰამალს ამზადებს მემკვიდრედ. მუბარაქი იძულებული შეიქნა განეცხადებინა, რომ ეგვიპტე მონარქიული ქვეყანა არ არის და გთხოვთ მას ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებს ნუ შეადარებთო. ეგვიპტის პოპულარულმა ჟურნალმა არაბებს მოუწოდა, წინ აღუდექით არაბულ სამყაროში ხელისუფლების მემკვიდრეობით გადაცემის ტენდენციასო. ჟურნალის თქმით, სირიული მოდელი, პირველ რიგში, შეიძლება ერაყში, იემენსა და ლიბანში განმეორდეს.

ბაღდადში ერაყის ლიდერის ორი ვაჟი — უდეი და კუსეი უკვე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურები არიან. იემენში პოზიციებს იმაგრებს პრეზიდენტ ალი აბდალა სალეჰის ვაჟი აჰმედი, ლიმანში კადაფის ორი ვაჟი — საადი და სეიფულ-ისლამი.

ეგვიპტის მემარცხენე ოპოზიცია გონივრულად არ მიიჩნევს არც იმას, რომ არაბული ქვეყნების მეთაურები პოსტზე სიკვდილამდე ან გადატრიალების შედეგად დამხობამდე რჩებიან.

მართალია, მუბარაქი უარყოფს, რომ თავის ვაჟს მემკვიდრედ ამზადებს, მაგრამ ჰამალი მუბარაქმა უკვე დაიწყო პოლიტიკური კარიერა. წარმატებული ბიზნესმენი წელს უკვე გახდა ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის გენერალური სამდივნოს წევრი. პარტიას სათავეში უდგას პრეზიდენტი მუბარაქი.

*ეხო პლანეტი 29*

# ისრაელში ახალი პრეზიდენტია

კემპ-დევიდში მარცხის შემდეგ ოპოზიციას გაუადვილდა თავისი კაცის ქვეყნის სათავეში დაყენება.

ისრაელის ქნესეთში ახალი პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა. არჩევნებში ოპოზიციური მემარჯვენე ბლოკის „ლიკუდის“ წარმომადგენელმა, მოშე კაცავმა გაიმარჯვა (მან 63 ხმა მიიღო შიმონ პერესის — 57 ხმის წინააღმდეგ, რომელიც ხელისუფლების ბლოკმა „ერთიანმა ისრაელმა“ წარმოადგინა). ეს გახლდათ ისრაელის არჩევნებში დიდი სენსაცია: სახელმწიფოს მეთაურად არჩეულ იქნა ნაკლებად ცნობილი, 54 წლის კაცავი. გავრცელებული შეხედულებისამებრ, არჩევნები ისრაელის პრეზიდენტისა, რომლის უფლებამოსილებანი ძალზე შეზღუდულია, პოლიტიკის წესებს არ ემორჩილება და მთავარ როლს აქ კანდიდატების პიროვნული თვისებები თამაშობს. მაგრამ ახლანდელი არჩევნები უკიდურესად პოლიტიზირებული იყო: კენჭს უყრიდნენ არა კაცავს, არამედ ამჟამინდელი პრემიერის ეჰუდ ბარაქის გადადგომას, რომელსაც, როგორც ოპონენტები აღნიშნავენ, ძვირად დაუჯდა პალესტინელებთან მშვიდობის დამყარება. კაცავის გამარჯვება შეფასდა, როგორც „პირველი ნაბიჯი ახალი ხელისუფლების ფორმირებისათვის“. როგორც ჩანს, პალესტინა-ისრაელის შეთანხმების წარმატების შანსი დაკარგულია. არც ერთი მხარე არ უშვებს არანაირ კომპრომისს. აშშ-ის პრეზიდენტის ამასწინანდელმა განცხადებამ ისრაელში აშშ-ის საელჩოს იერუსალიმში გადატანის შესახებ, კიდევ უფრო გაამძაფრა არაბეთ-ისრაელს შორის ვნებათაღელვანი. იასირ არაფატმა მხარდაჭერის მიზნით, მუსლიმან ლიდერებს მიმართა. ამასთან დაკავშირებით, საუდის არაბეთის ხელისუფლებამაც კი (აშშ-ის მთავარმა პარტნიორმა ამ რეგიონში) განაცხადა, რომ აღმოსავლეთ იერუსალიმზე პალესტინის სუვერენიტეტის გარეშე მშვიდობა შეუძლებელიაო. ერთ-ერთი ისრაელელი დიპლომატის ცნობით, „ისრაელში უკვე არ სურთ ლაპარაკი დროებითი სტატუსის შესახებ“. ორივე მხარე ელოდება პალესტინა-ისრაელის ახალ სამიტს, რომელიც ამ რამდენიმე დღეში ჩატარდება. თუკი 13 სექტემბრამდე ვერ მიაღწევენ სრულმასშტაბიან სამშვიდობო შეთანხმებას, პალესტინის ადმინისტრაცია დამოუკიდებლობას გამოაცხადებს ცალმხრივად. ისრაელის ხელისუფლება, თავის მხრივ, ისრაელელებს უსაფრთხოებას ჰპირდება, თუნდაც იარაღით ხელში.



*სეგოდნია №167*

# ბოშებს ახლა თავიანთი გაერო აქვთ

ბოშების საერთაშორისო კავშირი შეიქმნა 1971 წელს, პრაღაში, 21 ქვეყნიდან ჩამოსული ბოშების კონგრესზე. 1993 წელს გაერომ ამ კავშირს მეორე კატეგორიის საერთაშორისო ორგანიზაციის სტატუსი მიანიჭა, რის შემდეგაც იგი გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოსთან არსებულ სათათბირო კომიტეტად იქცა.

ახლანდელი კავშირის პრეზიდენტის რაიკო ჯურაჩის გადადგომასთან ერთად, ოსლოში გამართულ ბოშათა კავშირის სესიაზე გადაწყდა, რომ ახალი ლიდერის ასარჩევი კონგრესი პრაღაში გაიმართებოდა. ხარჯების დიდი ნაწილი ჯორჯ სოროსმა იკისრა. ბოშებს დიდად დაეხმარება მსოფლიო ბანკი და ჩეხეთის მთავრობა, აგრეთვე შეძლებული ბოშები.

კონგრესზე წარმოდგენილი იყო 64 ორგანიზაცია 39 ქვეყნიდან. მათ შორის ალბანეთიდან, ბელორუსიიდან, ბელგიიდან, რუსეთიდან, მოლდოვადან, ავსტრალიიდან და ა.შ.

ბოშათა საერთაშორისო ემბლემაა თეთრ-წითელი ბორბალი, რომელიც მწვანე დედამიწასა და ლურჯ ცას შორის მიგორავს. კონგრესის დასაწყისში და დამთავრებისას შესრულდა ბოშათა ჰიმნი, სადაც ნათქვამია, რომ ყველა ბოშა ერთმანეთის ძმაა.

ახალი პრეზიდენტი გახდა ემილო შჩულა, ჩეხეთიდან, ვიცე-პრეზიდენტი — ვიქტორ ფამულსონი შვედეთიდან. ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი ქალია, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომელი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ნადეჟდა დემეტრი.

ბოშათა საერთაშორისო კავშირის შტაბბინა იქნება ბრიუსელში, სადაც განლაგებულია ევროკავშირის სტრუქტურები. ახლა ევროპაში 12-15 მლნ ბოშა ცხოვრობს. პრაღის კონგრესზე პირველად ითქვა, რომ ბოშები ეროვნულ უმცირესობას კი არ წარმოადგენენ, არამედ ევროპულ ერს.

*კომერსანტი № 245*

# კაზანცევი ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის კონსტიტუციას შეცვლის



იუჟნის ფედერალური ოკრუგის რუსეთის პრეზიდენტის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ვიქტორ კაზანცევმა გადაწყვიტა ყარაჩაელებსა და ჩერქეზებს შორის შარშან დაწყებულ კონფლიქტს ბოლო მოუღოს. ამისათვის კაზანცევს ადგილობრივი კონსტიტუციისა და ხელისუფლების სტრუქტურის შეცვლა მოუხდება.

ჩერქესკის დრამატულ თეატრში მოეწყო კაზანცევთან შეხვედრა, სადაც სამართალდამცავი ორგანოები კონფლიქტის ერთი მხარის წარმომადგენლებს, კერძოდ, ჩერქეზი სტანისლავ დერევის მომხრეებს დარბაზში არ უშვებდნენ. აღშფოთებული ჩერქეზები გაიძახოდნენ, — ჩვენ არ გვინდა სემიონოვიო (იგი ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის ამჟამინდელი მეთაური და ყარაჩაელთა ლიდერია). კაზანცევმა აბობოქრებული ქალები შეძლებისამებრ დააშოშმინა და სამაგიეროდ ერთ-ერთი მანდილოსნის კოცნაც დაიმსახურა. მან მოწინააღმდეგე მხარეების მორიგება სცადა და თავისი თავი ამის გარანტად წარადგინა. კაზანცევი კონფლიქტის მიზეზად ყარაჩაეთ-ჩერქეზეთის სუსტ ხელმძღვანელობას, ოპოზიციის ზედმეტ რადიკალიზმსა და უკომპრომისობას მიიჩნევს. მისი აზრით, მთავარი მარტო კონფლიქტის მოგვარება როდია, აქ ეროვნული საკადრო პოლიტიკის კორექტირებაა საჭირო. შემოღებული იქნება რესპუბლიკის მეთაურის პირველი მოადგილის პოსტი, რომელზეც მხოლოდ რუსს დანიშნავენ (რაც, რასაკვირველია, კონსტიტუციის შეცვლას მოითხოვს). ხოლო ამჟამინდელი პრემიერის პოსტი, რომელიც რუსს უჭირავს, ჩერქეზს გადაეცემა და არა დერევს, რომელმაც მიაღწია ხელისუფლების მეთაურის თანამდებობის შემოღებას. დერევი, კაზანცევის აზრით, დროებით იმუშავებს წარმომადგენლობის აპარატში და შემდეგ კი რუსეთის ხელისუფლებაში მიიღებს პოსტს. რესპუბლიკაში წესრიგის დასამყარებლად სემიონოვს ორი თვე მიეცა. კაზანცევმა ბრძანა, — მე გავაკონტროლებ მოლაპარაკების მსვლელობას და წინააღმდეგ შემთხვევაში მკაცრ ზომებს მივიღებო. თუ რაში მდგომარეობს ეს მკაცრი ზომები, არ დაუფიქსირებია. კაზანცევის დაჟინებით დერევმა და სემიონოვმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. დერევმა შენიშნა, — უკანასკნელადო... მოპირისპირე მხარეები კმაყოფილნი დარჩნენ: დერევმა მიაღწია პრემიერის პოსტის შემოღებას ჩერქეზებისთვის, სემიონოვმა კი მთავარი ოპონენტი ჩამოიშორა.

აგვისტოს ბოლოს კაზანცევი ჩავა თავისი აპარატის თანამშრომელთა ჯგუფის თანხლებით და ადგილზე გააკონტროლებს მოლაპარაკების მსვლელობას.

*კომერსანტი №139*

# ვის მხარეზე იყო საფრანგეთი?

ბრიტანეთის პრესაში დაიბეჭდა სტატია, სადაც ნათქვამია, რომ მშიშარა საფრანგეთი მეორე მსოფლიო ომის დროს სინამდვილეში გერმანიის მოწინააღმდეგე კი არა, მოკავშირე იყო და მისი ჯარი, რომელიც რიცხობრივად და ტანკების რაოდენობით აღემატებოდა გერმანელებისას, უბრძოლველად დანებდა ფაშისტებსო.

ბრიტანელი ისტორიკოსების თქმით, წინააღმდეგობის ორგანიზების ნაცვლად, ფრანგები აქტიურად შეუდგნენ ახალი წესრიგის დამყარებას გერმანულად და ფაშისტების დაუხმარებლად ათიათასობით ებრაელი სიკვდილის ბანაკებში გაგზავნეს.

გერმანელების ზედამხედველობით შექმნილი საფრანგეთის ხელისუფლების ვიცე-პრემიერმა პიერ ლავალმა გერმანელებს ომში მონაწილეობის უფლებაც კი სთხოვა, მაგრამ ფაშისტებმა უარი განუცხადეს, — მათ აღარ სჭირდებოდათ მოკავშირეები, განსაკუთრებით საფრანგეთის მსგავსი. „პარიზის რესტორნები და ღამის კლუბები დღედაღამ სავსე იყო ფრანგი ქალებით, რომელთაც გალანტური გერმანელი ოფიცრები ახლდნენ. ქალიშვილების პატრონი მამები წარმატებულ ბიზნესს ეწეოდნენ დამპყრობელ ჯართან, — წერდა ინგლისელი ისტორიკოსი ენტონი ტორენსი. პირველი გერმანელი ჯარისკაცი საფრანგეთში მოკლეს ოკუპაციიდან 15 თვის შემდეგ. მთელ ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად გერმანელებს 6.500 პოლიციელი ეყოთ“.

იგივე ხდებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, აქ ფრანგებმა იაპონელებს თავიანთ კოლონიებში არსებული ავიაბაზები უბრძოლველად გადასცეს ამერიკელებსა და მის მოკავშირეებზე შეტევისათვის. ამიტომაც არის, რომ ახლა ინგლისელები თითქმის ოფიციალურად მოითხოვენ საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკისაგან ბოდიშის მოხდას, სამხედრო დანაშაულებებში მონაწილეობისა და 75.000 ფრანგი ებრაელის განადგურებისათვის.

მაგრამ საფრანგეთმა საპასუხო დარტყმა მიაყენა ინგლისს და დიდი ბრიტანეთი დაადანაშაულა ამერიკელ ჯაშუშებთან აქტიურ თანამშრომლობაში. საფრანგეთის დაზვერვა აცხადებს, რომ აშშ-ში იყენებენ მოსმენის ბრიტანულ სადგურს (იორკშირში) დიდი ფრანგული კომპანიების სათვალთვალოდ. „საერთოდ არ არის მიღებული ჯაშუშობაში მოკავშირეთა დადანაშაულება, მაგრამ საფრთხე ემუქრებოდა საფრანგეთსა და მისი ეკონომიკური ინტერესების საიდუმლოებებს, — განაცხადა პარიზის პროკურორმა ჟან დინტილიაკმა, — ამერიკელები და ბრიტანელები ჩვენს ეკონომიკას ანადგურებენ.“

ბრიტანეთის სათვალთვალო სადგურში საფრანგეთს თვალყურს ადევნებს 1.400 ინჟინერი, ლინგვისტი და კომპიუტერის მცოდნე, რომლებიც გამოიყენებენ ყველაზე თანამედროვე თანამგზავრულ მოწყობილობებს.

*უიქლ უორლდ ნიუზი*
*პოსლედნიე ნოვოსტი №29*

# კორუფცია ჩინეთის არმიაში

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ჩინეთის სახალხო არმია ყველაზე ნაკლებკორუმპირებული იყო, მაგრამ ჩინური გაზეთის „ეკონომიკური ინფორმაციის“ გამოძიებით, ამ მოსაზრებას „წყალი შეუდგა“. გაზეთის ცნობით, სამხედრო დაზვერვის თავკაცი გენერალი ჯი შენგდე მრავალმილიარდიან კონტრაბანდულ მაქინაციებში იყო გახვეული. ხშირად მფარველიც კი გახლდათ კონტრაბანდისტებისა. გარდა ამისა, მას 10 მილიონ დოლარზე მეტი თანხის ქრთამად აღება და სახელმწიფო სახსრების მითვისება ედება ბრალად. პრეზიდენტი ძიან ძემინი პირადად არის დაინტერსებული ობიექტური გამოძიებით. როგორც განაცხადა, იგი არ დაუშვებს კორუფციის საცეცების გავრცელებას ისეთ მნიშვნელოვან სახელმწიფო ინსტიტუტში, როგორიც ჩინეთის სახალხო არმიაა. დიდჩინოსნის კორუმპირებულობის შესახებ პირველად მიმდინარე წლის თებერვალში შეიტყვეს, როდესაც მამამისი ჯი ფენგფეი გარდაიცვალა. ეს უკანასკნელი ქვეყანაში კარგად ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და ერთ-ერთი პირველი „კომუნისტი გვარდიელი“ გახლდათ. დიდი ხნის მანძილზე მისი სახელი იფარავდა დაზვერვის თავკაცს. დღეს კი ძლევამოსილი მფარველი გარდაცვლილია და ჯის გამომძიებლების წინაშე მოუწევს პასუხისგება.

*ნიუზუიქ, 31 ივლისი*

# პრეზიდენტის ქვრივის ვერნისაჟი



პარიზის გარეუბანში გაიმართა ჩეჩნეთის პრეზიდენტის ქვრივის, ალა დუდაევას ვერნისაჟი. საფრანგეთში დუდაევამ ჩაიტანა 36 სურათი — ეს არის ჯოჰარ დუდაევის, ჩეჩენი ბავშვების პორტრეტები, დანგრეული გროზნოს სცენები, იჩქერიის მთიანი პეიზაჟები. პარიზში ჩავიდა აგრეთვე მისი ვაჟი დეგუ, რომელიც დედასთან ერთად სტამბოლში ცხოვრობს. უფროსი ოვდური ახლა ესტონეთში იმყოფება, ქალიშვილი დიანა კი — ინგუშეთში, ლტოლვილთა ბანაკში. საფრანგეთში პრეზიდენტის ქვრივი ეროვნული კრების მიწვევით ჩავიდა. ალა დუდაევას ელიან ბაქოშიც.

*იტოგი №31*

# მოკლედ

ხანძარი მძვინვარებს **კანარის კუნძულებზე**. არნახულმა გვალვამ გამოიწვია საშინელი ხანძარი, რომელმაც 3 ჰა ტყე შეიწირა. ვერტმფრენები ტონობით წყალს უშვებდნენ ზევიდან, მაგრამ სტიქიას არაფერი აჩერებს. საბედნიეროდ, ადამიანთა მსხვერპლი არ არის.

თითქმის სამი კვირაა **რუსეთის** ყველაზე მაღალმთიანი ქალაქ ყირნიზაუს 10 მლნ კუბური მეტრზე მეტი ღვარცოფი დაატყდა თავს. დაიღუპა ათი ადამიანი, 16 უგზო-უკვლოდაა დაკარგული.

თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე მსოფლიოში ცნობილმა ქირურგმა-კარდიოლოგმა, აორტაკორონარული შუნტირების გამომგონებელმა, **არგენტინელმა** ექიმმა რენე ფავალორომ.

**პროპაკისტანელი** ტერორისტების თავდასხმებმა გაამწვავა მდგომარეობა ქაშმირში. მუსულმანი ექსტრემისტების შვიდი შეტევის შემდეგ ინდოეთში 84 ადამიანი დაიღუპა. ეს მასობრივი მკვლელობა მას შემდეგ მოხდა, რაც ინდოეთის უშიშროების სამსახურებსა და სეპარატისტებს შორის დიდი შეხლა-შემოხლის შედეგად 29 ადამიანი დაიღუპა.

# ქლორიანი წყალი საზიანოა



ქლორი, თუნდაც მცირე დოზით, შეიძლება გახდეს უკურნებელი ბრონქიტის მიზეზი. განსაკუთრებით საშიშია გამუდმებული კონტაქტი ქლორის გამომყოფ ნივთიერებებთან. ისინი იჭრებიან ჩვენს ორგანიზმში მათეთრებლის, სარეცხი და დეზინფექციური საშუალებების გზით. ტიპური მაგალითია ქლორის კირი (ქლორი), რომელსაც ხმარობდნენ სანიტარული კვანძების და საყოფაცხოვრებო მოხმარების ადგილების დასამუშავებლად. ადამიანი, რომელიც მოხვდება ასეთ დაწესებულებაში, ხდება მსხვერპლი ქლორის გაზისმაგვარი გამონაყოფისა. იქ ხანგრძლივი ყოფნა, განსაკუთრებით მგრძნობიარე ადამიანისთვის შეიძლება საბედისწერო გახდეს. ქლორის მაღალი კონცენტრაცია იწვევს სასუნთქი ორგანოების დამბლას და კვდომას. დაზარალებული იწყებს ხშირ სუნთქვას, ულურჯდება სახე, ეცემა და კარგავს გონებას.

მსუბუქი მოწამვლის დროს დამახასიათებელია ქოშინი, ხროტინი, ღებინება, ფაღარათი. ეს სიმპტომები ხშირად აღინიშნება დაწყებითი კლასის ბავშვებთან, რომლებიც ყოველდღე ბანაობენ ქლორიან წყალში. ხშირი კონტაქტის შემდეგ ბავშვებს ცვივათ წამწამები, ეფშვნებათ კბილები, ეწყებათ კუჭ-ნაწლავის მოშლილობა. თავბრუს ხვევა და ხველა ჩვეულებრივ აღინიშნება უფრო გაცივებისას. ქლორით დაზიანებულები უმეტესად ვერც კი ხვდებიან უგუნებობის ნამდვილ მიზეზს.

***მეგაპოლის-ექსპრესი №25***

# ჯარა-ექიმის რჩევანი

— კუნთის დაჭიმულობის დროს მტკივან ადგილზე დაიდეთ ძმარში გახსნილი თიხის კვერი. თუ თიხა არ გაქვთ, შეიძლება გამოიყენოთ ცხელი რძის კომპრესი.

— კუჭის წვას (გულძმარვა) შველის 1-2 კოვზი თიხიანი წყალი. თუ თიხა ხელთ არ გაქვთ, დალიეთ 0,25-0,5 ჩ/კ დაფქული ცარცი.

— ცხიმიან და ქერტლიან კანს შველის სპირტიანი ნარევი, რომელშიც შედის 10 წილი გულყვითელას ნაყენი და 1 წილი აბუსალათინის ზეთი, 10 წილი სამედიცინო სპირტი. ნარევი კარგად შეიზილეთ თმის ძირებში. მკურნალობა გრძელდება ერთი თვე.

— თუ მშრალი კანი გაქვთ, მაშინ ზემოთ მოტანილი ინგრედიენტები უნდა იყოს თანაბარი რაოდენობის (1X1). ნარევი წაისვით თავზე და გაიჩერეთ მთელი ღამის განმავლობაში. თავი დილით ჩამოიბანეთ. ეს პროცედურა გაიმეორეთ კვირაში ერთხელ მანამ, სანამ ქერტლი არ გაქრება. ეს თერაპია ამაგრებს თმის ძირებს.

— სახსრების ტკივილს შველის წიწაკის ნაყენი. ხორცსაკეპ მანქანაში გატარებულ 10-15 ცალ წითელ (ჭოტოსანი) წიწაკას დაასხით 250 გ მზესუმზირის ზეთი და 250 გ ნავთი. დადგით თბილ ადგილას 9 დღე. ყოველდღიურად კარგად შეანჯღრიეთ. დილით და საღამოთი შეიზილეთ მტკივნეულ ადგილზე, შემდეგ ჩაიცვით წინდა ან შეიხვიეთ თბილი შალის ქსოვილით. იგი გამოიყენება წელის ტკივილისა და რევმატიზმის დროსაც.

— ჟოლო ასთმას შველის. 2ს/კ დაქუცმაცებულ ჟოლოს ფოთლებს დაასხით 2ჩ/ჭ წყალი და ადუღეთ 10 წუთი. გაწურეთ და მიიღეთ ცხლად ნება-ნება.

შეიძლება ასეთი რეცეპტიც გამოიყენოთ: შეურიეთ ერთმანეთს თანაბარი რაოდენობის (1X1) ჟოლოს ნაყოფი, ოსუნელას ბალახი, ფარსმანდუკი. ნარევიდან აიღეთ 1 ს/კოვზი, დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი და ადუღეთ ცოტა ხანს. მიიღეთ, როგორც ჩაი (თბილი).

# ხასიათმოქმედი მუმიო

„ასილი" ანუ „სითბოს შემნახველი" — ასე მოიხსენიებენ მუმიოს ძველ აღმოსავლურ ხელნაწერებში. მას შორეული წარსულიდანვე მოიპოვებენ მაღალმთიან გამოქვაბულებსა და ნაპრალებში. მუმიო მიიჩნევა ძლიერმოქმედ წამლად, რომელიც ძალიან ბევრ დაავადებას კურნავს (კუჭ-ნაწლავის, სასუნთქი გზების, შარდ-კენჭოვანს, ბრონქიალურ ასთმას, ტუბერკულოზს, კანისა და სხვ.).

მუმიო შეიცავს ბევრ ორგანულ ნაერთსა და ელემენტს, როგორიცაა: კალიუმი, მაგნიუმი, ფოსფორი, რკინა... ეს არის ორგანიზმის საუკეთესო გამაძლიერებელი საშუალება, არ გააჩნია არანაირი უკუჩვენება. მუმიო დადებითად მოქმედებს ორგანიზმის ყველა ფუნქციაზე. მისი რეგულარულად მიღება (1 ჭიქა რძეში, წყალში, წვენსა თუ ჩაიში გახსნილი 1,5-2 გ მუმიოს მიღება დღეში 1-2-ჯერ) აჩქარებს დაზიანებული ქსოვილების აღდგენას, ამაგრებს ნერვულ და სისხლძარღვთა სისტემას, ამაღლებს იმუნიტეტს, აუმჯობესებს კუჭის მოქმედებას, ნივთიერებათა ცვლას, ძილს, ხსნის დაღლილობას.

გთავაზობთ რამდენიმე რეცეპტს:

შუა ყურის ანთება (ყურის ჩირქოვანი ანთება):

მუმიო შეურიეთ ქაფურის ზეთს პროპორციით 1:19 და ჩაიწვეთეთ ყურში 2-3 წვეთი დილასა და საღამოს. ამავე დროს სვით თაფლიან რძეში გახსნილი მუმიო (0,2 გ მუმიო 1/2 ჭიქა რძეზე).

კუჭის წყლულის, საჭმლის მომნელებელი ორგანოებისა და შარდის ბუშტის დაავადება — 25-28 დღის განმავლობაში სვით მუმიო. დღეში 2-ჯერ, დილით უზმოზე და საღამოს ძილის წინ. 10 დღის შესვენების შემდეგ გაიმეორეთ კურსი.

წამლის რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს თქვენს წონას. თუ თქვენ იწონით 70 კგ-ს — 0,2გ , 90 კგ-მდე — 0,3გ, 90 კგ-ის ზევით — 0,4 გ.

სასურველია, მუმიო გახსნათ რძეში (1/4 ჩ/ჭიქა), დაუმატოთ თაფლი გემოვნებით.


**SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი**

**SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა**

**SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები**

**SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია**

**SGS - აბსოლუტური ანონიმურობა**

**ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!**

**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის:

„პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.

2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

**ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS**

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეიკემმინატი"), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


# გაუფრთხილდით! საკმაოდ სერიოზული დაავადებებია

*ამ ბოლო ხანებში თბილისში დიდი მითქმა-მოთქმის საბაბი შეიქნა ორი ინფექციური დაავადების გარცელების თითქოსდა ეპიდემიური ხასიათი. ვგულისხმობთ ლეიშმანიოზსა და მალარიას, რომლებიც საკმაოდ სერიოზულ დაავადებათა რიცხვს მიეკუთვნება. დღევანდელი მონაცემებით (ბოლო 7 თვის განმავლობაში), ჩვენში აღრიცხულია ლეიშმანიოზის 53 შემთხვევა, აქედან 31 — თბილისში, ხოლო მალარიისა — 51. აქედან 47 შემთხვევა შარშან გამოვლენილი დაავადების რეციდივია. პათოლოგიათა ასეთი სიხშირე გავრცელების ეპიდემიურ ხასიათს გამორიცხავს. მაგრამ ბუნებრივია, ეს დამშვიდების საბაბს სულაც არ იძლევა. დაავადებები შესაძლოა ნებისმიერ ჩვენგანს დაემუქროს და სერიოზული უსიამოვნებებისა და დისკომფორტის მიზეზი გახდეს.*

*მკითხველთა თხოვნით, გაწვდით ინფორმაციას ამ ვერაგი დაავადებების შესახებ.*

**ლეიშმანიოზი** — სისხლის მეშვეობით გადამდებ დაავადებებს მიეკუთვნება.

ბუნებაში ინფექციის რეზერვუარი ტურა და მელაა. ჩვენს პირობებში კი მაწანწალა ძაღლები. მათგან ინფექციის გადატანა ადამიანზე მოსკიტის საშუალებით ხდება. იგი სოროებში, ნაგვისა და ფოთლების გროვაში, ნაპრალებში ბუდობს, საიდანაც ლეიშმანიოზით დაავადებული ძაღლის სხეულზე ხვდება და ინფიცირდება. უკვე „დასაჩუქრებული" ადამიანისაკენ მიიჩქარის, კანზე ასკუპდება და კბენს. ამის შემდეგ ინფექციის გამომწვევი უკვე ადამიანის ორგანიზმშია.



ჩვენში მოსკიტი აქტიური ივნის — სექტემბერშია, ამიტომაც დაინფიცირების თვალსაზრისით ეს პერიოდია საფრთხილო. დაავადების გავრცელებისათვის ყველაზე საშიში ზონა თბილისში — თრიალეთის ქედი — ბაგებიდან კრწანისამდეა. როგორც ამბობენ, მაწანწალა ძაღლები ყველაზე მეტად თავს სწორედ აქ იყრიან. .

**ჩივილები, სიმპტომები.** კბენის შემდეგ რამდენიმე დღესა თუ კვირაში კანზე პირველადი აფექტი — გამკვრივებული, ოდნავ პიგმენტირებული კვანძი ვითარდება, რომელიც ქერცლით არის დაფარული. იგი, ჩვეულებრივ, შეუმჩნეველი რჩება ხოლმე. პათოლოგიური პროცესი, როგორც წესი, პროგრესირებს და ინფექცია გენერალიზებულ ხასიათს იძენს. თავდაპირველად ადამიანს აღენიშნება — ზოგადი სისუსტე, ცუდი გუნება-განწყობა, უმადობა. კანი ფერმკრთალდება. დიდდება ელენთა, იწყება ცხელება, რომელიც თანდათანობით მატულობს. გამოხატულია სხეულის შეშუპება, ზოგჯერ სიყვითლე. შესაძლოა ფილტვების ანთების, ნაწლავთა აშლილობის განვითარება. დიდდება ღვიძლი და ლიმფური კვანძები. ვითარდება ანემია. დაავადებული ადამიანი მკვეთრად იკლებს წონაში.

**დაავადების თავისებურებანი.** ყველა ასაკის ადამიანს ემუქრება, მაგრამ ძირითადად 5 წლამდე ასაკის ბავშვები ავადდებიან. ეს მათი იმუნური სისტემის თავისებურებებით აიხსნება. ადრეული ასაკის ბავშვებში უმეტესად ლეიშმანიოზის მწვავე ფორმა ვითარდება, რაც მათ სიცოცხლეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის!

**დიაგნოზი, მკურნალობა.** .თანამედროვე პირობებში დაავადების დიაგნოზის დადგენა ანალიზების საფუძველზე დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. პათოლოგია მკურნალობასაც კარგად ემორჩილება, ოღონდ ***ძალზე მნიშვნელოვანია დაავადების დროულად გამოვლინება***. მკურნალობის გარეშე გამოსავალი — ლეტალურია (სასიკვდილო)!

**პროფილაქტიკა.** ამ მიზნით საჭიროა: მოერიდოთ მაწანწალა ცხოველებთან კონტაქტს; ყველანაირი საშუალებით დაიცავით თავი მწერებისაგან, განსაკუთრებით, შებინდებისას, როდესაც ისინი მაქსიმალურად აქტიურდებიან. მწერებს მყვირალა ფერის ტანსაცმელი და, წარმოიდგინეთ, ზოგიერთი სახის სუნამო იზიდავს.

## მალარია — ჭაობის ცხელება.

ამჟამად ჩვენში ადგილობრივი მალარია, პრაქტიკულად ლიკვიდირებულია. დაავადებულთა რიცხვი კი შემოტანილი ინფექციის წყალობაა. საქმე ის გახლავთ, რომ მალარიის კერად დღესაც აზერბაიჯანის რესპუბლიკა ითვლება.

ჩვენში აღწერილი დაავადების შემთხვევებიც სწორედ აზერბაიჯანის მომიჯნავე ნაწილში, სამხრეთ საქართველოშია (გარდაბანი, დედოფლისწყარო, სიღნაღი) აღრიცხული.

**როგორ ვითარდება.** მალარიის გადამტანი კოღოა. როდესაც ინფიცირებული კოღო ადამიანს უკბენს, გამომწვევები სისხლსა და ლიმფაში შეიჭრებიან, იქიდან ღვიძლის უჯრედებს აღწევენ, სადაც აქტიურად მრავლდებიან. ღვიძლში დაბუდებული პარაზიტი შემდეგ ერითროციტში — ჟანგბადის გადამტან სისხლის უჯრედში გადაინაცვლებს, სადაც განვითარების რამდენიმე სტადიას გაივლის. შედეგად სისხლის უჯრედის მოცულობის ნახევარს იკავებს, გაარღვევს მას, თავისუფლდება და ახალი „მსხვერპლისკენ" — გადაინაცვლებს.

ერითროციტების მასობრივი დაშლისა და სისხლში გამომწვევების გადასვლის შედეგად ვითარდება ცხელების შეტევა, რაც სისხლში გამოთავისუფლებული ტოქსიკური ნივთიერებების წყალობაა.

ასეთ ადამიანს დაავადების დაწყებიდან 10-12 დღეში უკვე სხვა კოღოს დასნებოვნება შეუძლია. კოღო პლაზმოდიუმებს სანერწყვე ჯირკვლებში აგროვებს და ჯანმრთელ ადამიანს საფრთხეს უქმნის.

**დამახასიათებელი ნიშნები.** მალარიით დასნებოვნებისთვის ხელსაყრელი ტემპერატურული პირობებია (16-30$^0$ჩ) საჭირო. ჩვენი კლიმატის პირობებში სეზონად ზაფხულის თვეებია მიჩნეული. მალარიით დაავადება მოსალოდნელია ავადმყოფი, პარაზიტმატარებელი დონორის სისხლის გადასხმით და ინფიცირებული შპრიცებით მანიპულაციების დროს.

მალარიის მიმართ მგრძნობიარეა ყველა ასაკის ადამიანი, განსაკუთრებით, ბავშვები.

დაავადება ციკლურია. მას ახასიათებს ცხელების და ე.წ. არაცხელების პერიოდული მონაცვლეობა და რეციდიული (განმეორება) მიმდინარეობა. ციკლურად მეორდება — შემცივნება, სიცხე და ოფლის დენის პერიოდები.

საერთო ნიშნები — ზოგადი ინტოქსიკაცია, ღვიძლისა და ელენთის გადიდება, ანემია, კანის და თვალის ლორწოვანი სიყვითლე, წონაში დაკლება და სახეზე მიწისფერი.

*ადრეული ასაკის ბავშვებში* დაავადება თავისებურად მიმდინარეობს. შეიძლება ტიპური, ციკლური შეტევები არც კი იყოს. შემცივნებისას — კიდურებს სილურჯე გადაჰკრავს, ვითარდება კრუნჩხვები, ღებინება და ა.შ.

ძალზე მნიშვნელოვანია დაავადების დროული დიაგნოსტირება. ამ შემთხვევაში მკურნალობა საკმაოდ ეფექტურია.

გაითვალისწინეთ: ყოველწლიურად მსოფლიოში მალარიით 1-1,5 მლნ ბავშვი იღუპება.

საეჭვო შემთხვევებში მიმართეთ პარაზიტოლოგიის ინსტიტუტს!

***მაია მუხიგული***

# გაუფრთხილდეთ კბილებს

კბილებს ბავშვობიდანვე რომ უნდა გავუფრთხილდეთ, ეს თითოეულმა ჩვენგანმა იცის. მიუხედავად ამისა, კბილები მაინც გვიზიანდება. ვერც ის გვშველის, რომ ბოლო დროს ტელევიზიით თავგამოდებით გვარწმუნებენ, ესა და ეს კბილის პასტა, ჯაგრისი ან საღეჭი რეზინი პირდაპირ მისწრებაა კბილებისთვისო. ჯერ ერთი — ყველა მათგანი არცთუ ისე იაფია, მეორეც — არც ისე საიმედოდ იცავს ამ ავადსახსენებელ კარიესს, რომ არაფერი ვთქვათ ღრძილების ანთებაზე, პარადონტოზსა თუ პულპიტზე. ალარაფერს ვამბობთ ფლუსზე.

ხალხურ მედიცინაში ბევრი პროფილაქტიკური რეკომენდაციაა, რომლებიც კბილის დაზიანებას აგვაცილებს თავიდან. კბილების გასამაგრებელი ყველზე იაფი და ხელმისაწვდომია ახალგამოწურული კომბოსტოს წვენი, რომელიც რეგულარულად უნდა ვსვათ ჭამამდე 10-15 წუთით ადრე. ყველაზე იაფი და სამკურნალო საღეჭი რეზინი კი კომბოსტოს ფოთოლია. ეს ორი კარიესსაწინააღმდეგო საშუალება უფრო გემრიელი რომ იყოს, თაფლი დაამატეთ.

მეტად სასარგებლოა ზაფხულობით ყოველდღე კიტრის, მწვანე ხახვის, კამის, ოხრახუშის, ნიახურის, ახალი თალგამისა და ლობიოს ჭამა, განსაკუთრებით ბავშვებისთვის. შემოდგომაზე საზამთროსა და ნესვს მიეძალეთ. ზამთრობით ხშირ-ხშირად შესთავაზეთ ბავშვს სტაფილო, მაგარი ვაშლი ან თალგამი.

ტკბილეული შეზღუდეთ, თანაც დესერტად, სადილის შემდეგ ნუ მიირთმევთ, მოგვიანებით ჩაიკოკლოზინეთ ყელი. სანამ ბავშვს კანფეტს მისცემდეთ, წვენი დაალევინეთ — რაც უფრო მეტს დალევს, მით უკეთესი.

თუ ამ საშუალებებით ვერაფერს გახდით და ბავშვს ან თქვენ კბილი მაინც გტკივათ, საუკუნეების მანძილზე გამოცდილი რეცეპტები სცადეთ:

აიღეთ ღორის ახალი ან დამარილებული ღორის ნაჭერი (თუ ღორი მარილიანია, გაწმინდეთ) და მტკივან ადგილას მიიდეთ ლოყასა და ღრძილს შორის 15-20წთ. ტკივილი დაგიცხრებათ და რამდენიმე დღე აღარ შეგაწუხებთ.

კბილის ტკივილის დასაამებლად მოხარშეთ სალბის ნაყენი. გამოივლეთ ნელთბილი, დიდხანს გააჩერეთ იმ მხარეს, საითაც კბილი გტკივათ. გაიმეორეთ ეს პროცედურა 3-4-ჯერ დღეში ნახევარი საათის განმავლობაში.

არის კიდევ ერთი ტკივილგამაყუჩებელი საშუალება. წვრილად დაჭერით, დააქუცმაცეთ მწვანე ხახვი, გაახვიეთ მარლის ნაჭერში ისე, რომ ფანქრის სისქის ცილინდრის ფორმა მიიღოს. ამ ტამპონს მტკივანი კბილის საპირისპირო ყურში თუ ჩაიდებთ 15-20 წუთით, ტკივილი ჩაცხრება.



ერთი ბუნებრივი ანალგეტიკიც დაგეხმარებათ — წვრილად დაჭრილი ნიორი მარლაში გაახვიეთ და მიიდეთ მარცხენა ხელზე პულსის ცემის ადგილას, იმ შემთხვევაში, თუ კბილი მარჯვენა მხარეს გტკივათ. შემდეგ ეს ადგილი გადაიხვიეთ. თუ მარცხენა მხარეს გტკივათ კბილი, ეს პროცედურა მარჯვენა მხარეს ჩაიტარეთ. ნიორი 10-20 წთ-ით გაიჩერეთ, ხანგრძლივად დაუშვებელია, თორემ შეიძლება ხორცი ამოჭამოს.

***ტაინაია ვლასტ №5***

# უჩვეულო ტესტირება

თუ გსურთ გაიგოთ, რამდენი წლისა ხართ, არა პასპორტის მიხედვით, არამედ ბიოლოგიურად, საჭიროა ჩაიტაროთ ასეთი ტესტები:

1. დახუჭეთ თვალები და ასწიეთ მუხლში მოუხრელად შიშველი ფეხი იატაკიდან 10 სმ-ის სიმაღლეზე. რამდენ ხანს შეძლებთ ასე დგომას? თუ 30 წუთი — ე.ი. 20 წლისა ხართ, 28 წუთი — თქვენი ორგანიზმი 30 წლისაა, 22 წუთი — 40-ის, 18 წუთი — 50-ის, 10 წუთი — 60 წლის. 70 წლის ორგანიზმი კი 4 წუთზე მეტხანს ვერ გაჩერდება ცალ ფეხზე.

2. დაიხარეთ წინ, შეეცადეთ, შეეხოთ იატაკს ხელისგულებით — ე.ი. 20-30 წლისა ხართ, თუ თითის წვერებით შეეხებით იატაკს — 40 წლის, თუ წვივებს — 50-ის, თუ მუხლებს — 60-ის.

გოდერძი ჩოხელი

# გუდამაყრის მატარებელი

ალბათ არ დამიჯერებთ და იტყვით, აბა გუდამაყარში მატარებელს რა უნდოდა, როცა საცალფეხო ბილიკებზე ძლივს დადიან ცხენებით, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა გაზაფხულზე ჭიუხებში ჩაწოლილი თოვლი დნობას იწყებს და ისე მოარღვევს აბობოქრებული შავი არაგვი ამ ვიწრო ხეობას, ბილიკებსაც აღარა სტოვებს, რომ ერთი სოფლიდან მეორეში გადავიდეს კაცი.

ეს ამბავი კი მაშინ მოხდა, როცა ფშავ-ხევსურეთის ხეობაზე რკინიგზის მშენებლობა დაიწყეს და ბარისახოს ზემოთ მთის გახვრეტა დაიწყეს ორ ადგილას; ერთი გვირაბით აქედან მიმავალი მატარებელი უნდა შესულიყო იმ უზარმაზარი მთის სიღრმეში, მეორე გვირაბიდან კი რუსეთიდან მომავალი მატარებელი უნდა გამოსულიყო და ფშავ-ხევსურეთის ხეობას ჩაჰყოლოდა თბილისისაკენ.

ეროვნული მოძრაობა მაშინ ახალი დაწყებული იყო, ნელ-ნელა ძალას იკრებდა და მატარებლის გზის მშენებლობამ ლამის ერთმანეთს წაჰკიდა ხალხი. იყვნენ მთის გახვრეტის მომხრეები, რომლებიც დიდ სიკეთეს ხედავდნენ საქართველოს მომავლისათვის, თუ მთა გაიხვრიტებოდა და რაღა თქმა უნდა იყვნენ მოწინაალმდეგენი, რომელთაც არათუ მთის გახვრეტა, სიტყვა რუსეთის გაგონებაც კი არ უნდოდათ.

როგორც იქნა შეაჩერეს გვირაბის მშენებლობა ეროვნულმა ძალებმა და სწორედ ამ დროს გუდამაყარში მატყუარა კაცი მოვიდა, თან ორი თუ სამი სატვირთო მანქანა მოჰყვა, რომელთაგან ერთ-ერთი სამხიდიანი ავტობუსი იყო და ოცამდე მუშა იჯდა შიგ. ერთ-ერთი სატვირთოს ძარა რკინის სოლებით იყო დატვირთული. ის კაცი, რომელიც ამათ ხელმძღვანელობდა, შუახანს გადაცილებული, გამხდარი, მაღალი კაცი იყო. სახეზე ძალიან სერიოზული გამომეტყველება ეწერა და ასეთივე სერიოზულობით შეუდგა საქმეს. ამ კაცმა კოლმეურნეობის კანტორაში თავი მატარებლის გზის მშენებლად გამოაცხადა, სამუშაო ოთახი მოითხოვა, მაგიდაზე „პროექტი“ გაშალა და მთელი ხეობის გასწვრივ გზის დაპროექტებას შეუდგა.

— აკი ფშავ-ხევსურეთზე უნდა გაეყვანათ რკინიგზა? — იკითხა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

— არ გაამართლა — უკმაყოფილო სახით თქვა მშენებელთა უფროსმა.

— რატო, მთის გახვრეტა ხო უკვე დაიწყეს, იქეთიდანაც და აქეთიდანაც.

— მთის შუა ქანები არ აღმოჩნდა მყარი და დააკონსერვეს, ასე ვთქვათ, ის მარშრუტი დაკეტეს — თქვა მშენებელთა უფროსმა.

— ჰო, სენი წირიმე, დაკეტეს, მაშ! — ოსურ კილოზე დაუდასტურა სატვირთო მანქანის მძღოლმა, რომელსაც ჩერმენას ეძახდნენ. ჩერმენა ერთი ჩია კაცი იყო, სულ უფროსს შესციცინებდა ეშმაკურად და ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

— დაკეტეს მაშ!

— მართლა, კაცო?!

— მასა, სენი წირიმე.

— რაო, რა არ მოეწონათო?

— რაო და, მთას იქეთიდან ოსები ხვრეტავენო და სწორედა ხვრეტავენო და კარქათა ხვრეტავენო; აქეთიდან ქართველები ხვრეტავენ და მრუდათა ხვრეტავენ და ფინთადა ხვრეტავენო. ასცდა.

— რა ასცდა?

— გახვრეტილები ასცდა და ამიტომ დაკეტეს, ფაფუ, მორჩა, ფშავ-ხევსურეთზე რკინიგზა აღარ იქნება. ეხლა აქ უნდა დავაპროექტოთ, გუდამაყარზე გაივლის მატარებელი.

— აქაც რო ასცდეს.

— ქართველებს აღარ გაახვრეტინებენ აქეთიდანა, იქედან გამოხვრეტენ სწორეთა, მაშ! — თქვა ჩერმენამ და რკინის სოლები გადმოყარა ძარიდან.

გუდამაყარი მწირი ადგილია სახნავ-სათესად და ამ ხალხმა სწორედ ბოსტნებზე და სათიბ მამულებზე დაიწყო გზის დაპროექტება, რამაც ხალხის უკმაყოფილება გამოიწვია. გამოდიოდა, რომ მატარებლის გზა აღარც სათიბს დაუტოვებდა მათ და აღარც ბოსტნებს, თანაც მუშები აცხადებდნენ, რომ გზის იქით-აქეთაც არ ექნებოდათ ოც-ოცი მეტრის სიახლოვეს რაიმეს დათესვა, ან ბალახის მოთიბვა.

შეწუხდნენ გუდამაყრელები და სთხოვდნენ გზის მშენებლობის უფროსს, ისე დაეგეგმა გზა, რომ მათ ბოსტნებში არ ჩაერჭოთ მუშებს ის რკინის სოლები, რომლებზედაც ნომრები ეწერა და რაღაც ჟურნალში ინიშნავდნენ კიდეც:

ჩოხელი ნიკოს ბოსტანი — სოლი №526

ჩოხელი ბერის ბოსტანი — სოლი №527

ჩოხელი ჯღუნას ბოსტანი — სოლი №528

და ასე შემდეგ.

რაკი ასეთ მნიშვნელობასაც ანიჭებდნენ მშენებლები თუ დამპროექტებლები სოლებს, ნომრებს და ბოსტნებს, ვის ბოსტანში რა ნომერი სოლია ჩარჭობილი, თვითონ ვერ ბედავდნენ ღამით ჩუმად ამოეძროთ ბოსტნიდან ნომრიანი სოლი და ან გადაედოთ, ანდა სულაც სხვა ადგილას ჩაერჭოთ. ქრთამის აღება დაიწყო მშენებლობის უფროსმა სოლების გადაადგილება-გადმოადგილებაში და ორ კვირაში ერთი ფარა ცხვარი შეკრიბა.

ბალღებს ძალიან უხაროდათ, რომ გუდამაყარში გამოივლიდა მატარებელი და სულ თან დაჰყვებოდნენ მუშებს, ეხმარებოდნენ სოლების ზიდვაში, ერთი სული ჰქონდათ, რაც შეიძლება მალე გაეხვრიტათ მთა და გაეყვანათ რკინიგზა, რომ ენახათ ის უჩვეულო მატარებელი, რომლის შესახებაც ზაფხულობით ქალაქიდან დასასვენებლად ამოსული ბიჭები უყვებოდნენ მათ: გრძელი სახლია, ერთმანეთზე გადაბმული ოთახებით, რკინის ფეხებზე დგას, რკინის გზაზეა შემდგარი, ღამღამობით ვაგონებში შუქი ანთია და მიჰრის-მოჰქრის აქეთ-იქით, თან ყვირის.

— დევივით ხმამაღლა ყვირის? — კითხულობს ბუბა.

— დევზე უფრო მაგარი ხმა აქვს — იძახის ქალაქელი ბიჭი.

ბუბას წარმოდგენილი აქვს ეს რკინის ფეხებზე შემდგარი გრძელი სახლი, რომელიც გუდამაყრის ვიწრო ხეობაში მოდის და დევივით ყვირის. უხარია ბუბას და თვალები უბრწყინავს, მაგრამ სიხარულს მაინც მოსდევს სევდა და მწუხარება — იმის გამო, რომ მათი ეზოდან ნომრიანი რკინის პალო ამოეძროთ და სხვაგან გადაეტანათ, მისი საყვარელი ერთი წლის მოზვერი, რომელსაც ბუბა ნიკორას ეძახდა, პალოს გადაადგილების სანაცვლოდ წაიყვანეს მშენებლებმა. ბუბას ძალიან დასწყდა გული, მაგრამ დარდი ჩაიკლა, ყელში მობჯენილი სიმწრის ბურთი უკანვე ჩაყლაპა



მატარებლის ხათრით და რომ მიჰყავდათ, ორივე თვალზე აკოცა ნიკორას.

მუშები პალოების ჩასობას მორჩნენ, ცხვარ-ძროხა გაირეკეს და წავიდნენ.

— ორ კვირაში მოვბრუნდებით და გზის მშენებლობას შევუდგებით — თქვა მათმა უფროსმა.

— მთას აქეთიდანაც გახვრეტთ? — იკითხა გამიხარდამ.

— გახვრეტა მარტო იქედან იქნება, აქედან ფინთად გამოდის, ქართველები მრუდათა ხვრეტავენ და ისევ ასცდება! — თქვა ჩერმენამ და თავისი სატვირთო დაქოქა.

— ისე, კარგი კი არის, რო იქით დაუწუნებიათ გზა და გუდამაყარზე გადაწყვიტეს, ცხვარსაც მატარებლებით ვამგზავრებთ ყიზლარის ზამთრის საძოვრებისაკენ — კმაყოფილი სახით თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

— თანაც კარგი ხალხია, ბოსტნებსაც ააცილეს და სათიბებსაც — დაუდასტურა ბრიგადირმა.

— ეგრე თქვეს, გაჩერება ჩოხში იქნება და მატარებელს გუდამაყრის მატარებელი ეწერებაო — თქვა სებამ.

— რას მოვესწარით, კაცოო, აღარ მოგვიხდება მარხილებით ჩანჩალი! — თქვა კოფიამ.

— კაი ცხვარ-ძროხა კი გარეკეს, მე და ჩემმა ღმერთმა!

— აბა, როგორ გინდა, ეგრე იოლი კი არ არის მთავრობისაგან დადგენილი „პროექტის“ შეცვლა — ამ ლაპარაკით ნელ-ნელა იშლებოდა მშენებლების გასაცილებლად გამოსული ხალხი.

გავიდა ორი კვირა, მაგრამ არავინ გამოჩენილა. თვალები დააწყდათ იმათ მოლოდინში ბალღებს.

მიიწურა შემოდგომა.

საზამთროდ წავიდა ცხვარ-მეცხვარე.

სოფლებში დარჩნენ მოხუცები, ქალები და ბალღები, რომლებიც წამდაუწუმ გზას გაჰყურებენ.

არავინ არ ჩანს.

ზეცამ თანდათან მიწისაკენ ჩამოიწია საზამთროდ.

ჩამოთბა.

ჩამოთოვა.

კარგა ხანს თოვდა. ხეობის სიღრმეში ლურჯ ზოლად მიიკლაკნებოდა თოვლში არაგვი.

აცივდა.

ბუბა და იმის ტოლი ბიჭები ყოველ ღამე იმ იმედით იძინებდნენ, რომ მეორე დილით მაინც მოვიდოდნენ მატარებლის გზის მშენებლები და სიზმარში ხშირად ხედავდნენ რკინის ფეხებზე შემდგარ სახლს, რომლის ოთახებიც ერთმანეთზეა გადაბმული და სინათლითაა განათებული ფანჯრები.

და ერთხელაც,

უცნაურმა ხმამ გამოაღვიძა ბუბა.

ლოგინიდან წამოხტა და ფანჯრიდან გაიხედა გარეთ.

ხეობაში მატარებელი მოდიოდა.

ბუბა გარეთ გამოვიდა.

ვიწრო, თოვლით გალესილ ხეობაში, რომელსაც ლურჯ ზოლად მიუყვებოდა გაყინული არაგვი, მართლა მოდიოდა მატარებელი, ოღონდ რაკი რკინის გზა არ იყო, გაყინულ არაგვზე მოდიოდა. ფანჯრებიდან შუქი გამოდიოდა და წინა ვაგონზე მართლა ეწერა: გუდამაყრის მატარებელი.

მატარებელმა სულ ახლოს ჩაუარა და ბუბამ იმის განათებულ ფანჯრებში ის ხალხი დაინახა, ვინც მატარებლის გზის მშენებლობას შეჰპირდა.

ერთ-ერთ ფანჯარაში თავის ნიკორასაც მოჰკრა თვალი. ნაღვლიანად იყურებოდა ფანჯრიდან ნიკორა.

მატარებელმა ბუსარჭილის ფერდობზე ჩამომდინარე გაყინულ არაგვზე აიარა, სადღაც მთის მწვერვალებთან ცას შეერთო და ვარსკვლავებში გაუჩინარდა.

ბუბა დიდხანს იდგა სიცივეში და იქით იყურებოდა, სადაც გუდამაყრის მატარებელი მიეფარა თვალს, მერე თითქოს ჩერმენას ნაცნობი შორეული ხმაც მოისმა საიდანღაც:

— ფაფუ, მორჩა!

სიცივისაგან აკანკალებული ბუბა სახლში შევიდა, ლოგინში ჩაწვა და ძილშიც ესიზმრა: თვითონაც იმ მატარებელში იჯდა, შუბლსა და ქოჩორს თავისი ნიკორა ულოკავდა, მატარებელი ვარსკვლავებს შორის მიჰქროდა და ღმერთის სამფლობელოსაკენ მიჩუქჩუქებდა ბრდღვიალა შუქით განათებული ფანჯრებით.

— გუდამაყრის მატარებელი მოდის! გუდამაყრის მატარებელი! — ანგელოზების ასეთი გალობით ნათქვამი ჩაესმოდა ძილში ბუბას და ტკბილად იღიმებოდა.

# კესანე ბორბალოს მთაზე

კესანე ფშაველი გოგოა.

თექვსმეტი წლის ახლადაკოკრებული მინდვრის ყვავილი.

შოლტივით ტან-ფეხი. ხელის თითებს შორის ჩასატევი წელი, ჩალისფერი თმები. თვალები ლურჯი, ცის კამარასავით გაბრწყინებული და ვნებიანად ოდნავ მიბნედილი. სიარული? — ხოხბის გოგმანი მწვანე მდელოზე. კესანეს წაწალი ჰყავს. ეს აქაური წესია, ქალს რომ სიყვარული აუფეთქდება გულში გაზაფხულის კვირტივით და მკერდზე ვაშლისხელა კოკრები გამოუვა, წაწალი უნდა გაიჩინოს. ფშავლებში ამით თავის წილ პატივს მიაგებენ სიყვარულის ღმერთს.

კესანეს წაწალს ჩალხია ჰქვია, მასაც ახლად წამოჰკოკრვია ულვაშები. ჩალხიას გულში მთის მდინარესავით ქუხს და გულის კედლებს ეხლება კესანეს სიყვარული.

ღამღამობით ერთად წვებიან ქალ-ვაჟი. მარტო წელს ზემოთ მოფერების უფლება აქვს ჩალხიას.

წაწალმა-წაწალს ნამუსი უნდა შეუნახოსო.

წაწალი-წაწალს ცოლად ვერ გაჰყვება.

უმანკოდ უნდა ჩაბარდეს თავის მომავალ ქმარს კესანე. უღელში შებმულ ქალს სიყვარულისთვის აღარვინ მოაცდენს — შრომა და ჯაფა, ვაი და უი. ასეთი არის მთაში ქმრიანი, ოჯახსმოკიდებული ქალის ცხოვრება. ფშავლებმა იციან ეს და ბრძენ წინაპრებს სიჯეელეში, როცა გულში აყვავებას იწყებს სიყვარულის კვირტი, მაშინ დაურთავთ ქალვაჟისთვის წაწლობის ნება.

ხანდახან შირაქში მიდის იანვარ-თებერვალში ჩალხია თავისიანებთან დოლში მისახმარებლად. დოლი, ცხვრები რომ ბატკნების გაჩენას იწყებენ, იმას ჰქვია მეცხვარულ ენაზე.

ილევა მაშინ კესანეს გული.

ილევა,

ილევა,

ილევა

და მოლოდინით გულდალეული, ჩალხიასთვის წინდებსა და ხელთათმანებსა ქსოვს, სადაც ფშავის მთების სილამაზეს აქარგავს, ყვავილებით აჭრელებს და აგვირისტებს.

თან თვალით გზა-ჭალას გაჰყურებს წამდაუწუმ. და ერთხელაც ამ ვიწრო ხეობაში შემოაჭენებს თავის ლურჯა ცხენს ჩალხია.

ღამე, რა თქმა უნდა, ერთად წვებიან.

ბორბალოს მთაზე გადმოდგება გაზაფხულის გავსილი მთვარე. მისი მკრთომარე შუქი მიეფინება ერთმანეთს ჩახუტებულ ქალ-ვაჟს.

ჩალხია ჯერ ყურისძირთან, იქ, სადაც ძარღვი უფეთქს ყელგადაგდებულ კესანეს, ფრთხილად აკოცებს. კესანე კრთის, კანკალებს ამ ალერსიან კოცნაზე, მერე ჩალხიაც ხელის კანკალით უხსნის საკინძის ღილებს და ფრთხილად შეუცურებს მკერდში ხელს. ვაშლისტოლა ძუძუ მთლიანად ეტევა მის ხელისგულში და უფრო ანათებს ბორბალოზე გადმომდგარი მთვარე — ახლა უკვე ბაგეებით დასწაფებია ბროლივით მკერდს ჩალხია.



ვნება!

ოხვრა!

ცხროვა და კანკალი!

მხოლოდ წელს ზემოთ! მხოლოდ წელს ზემოთ! — აფრთხილებენ მთვარის სხივები ჩალხიას.

ადათის და წინაპართა პატივისმცემელია ჩალხია.

სამ წელიწადს იყვავილა სიყვარულის გაზაფხულმა და დადგა ის დრო, როცა კესანეს სახლის კარს მისი მომავალი საქმრო მოადგა.

დანიშნეს.

მოუტანეს ბელგა. და სამწუხაროდ, დადგა კესანესა და ჩალხიას გაყრის დღე.

სამი დღის მერე ქორწილი უნდა გადაუხადონ კესანეს.

შემოდგომის სევდაა ფშავის მთებში ჩამოწოლილი.

ნისლი მიმოქრის კესანეს გულ-გონებაში.

ჯანღი ჩაწოლილა ჩალხიას გულშიც.

კესანეს ოჯახი ქორწილის სამზადისშია.

და როცა ბორბალოს მთიდან მთვარისნალევმა გადმოყო ყური, სახლიდან ჩუმად გამოვიდა კესანე, ფეხაკრეფით გაიარა სოფლის ორღობე, აუყვა მთებს.

ფეხს აუჩქარა.

გაურბის აქაურობას.

გაურბის წართმეულ სიყვარულს.

მიდის ანგარიშმიუცემლად, არც ნადირისა ეშინია, არც ჭოტის ჩხავილის.

არც თავის მოკვლაზე ფიქრობს. მას ხომ უმანკოება შეუნახა ჩალხიამ და თავი რომ მოიკლას, ჩალხიას არაკაცობას დაჰბრალდება მისი სიკვდილი. აქ ხშირად ხდება, როცა წაწალი წაწალთან შესცდება და მერე ნამუსახდილი ქალი თავს იკლავს.

კესანეს არაფერი სჭირს საამისო.

არც ფიქრობს ამაზე.

ფშავის შემოდგომის ნისლებით ჩახუთულ ხეობაში სული ეხუთება და მთის წვერისაკენ მიდის, რომ იქნებ იქ მაინც ამოისუნთქოს თავისუფლად.

თოვს.

თოვს.

უფრო და უფრო თოვს.

თოვლის ფიფქები ეფინება მის ჩალისფერ თმებს.

მას სიამოვნებს სახეზე შეყრილი თოვლის ფიფქების სილბო. გახელებით მიუყვება აღმა ბორბალოს მთას, სადაც სრულად შემომდგარა მთვარის ნალევი.

უკვე მუხლებამდე ეფლობა თოვლში.

მერე წელამდე.

მაინც ადის მთის წვერზე და იქიდან გადმოჰყურებს გალეული მთვარისაგან ოდნავ განათებულ ქვეყანას, სადაც მან სიყვარული დატოვა.

ბორბალოს მთაზე ძლიერი ნისლი ჩამოწვა და კესანე აღარ ჩანს.

მთელი ზამთარი დაეძებდა ფშავის ხევხუვებში ჩალხია კესანეს.

არც კვალი, არც იმედი:

კესანე მთის წვერზე თოვლში გაიყინა და გაზაფხულზე, მთლიანად როგორც მხოლოდ ყინულის ქალი, ბორბალოს მთის წვერზე ჩალღვა მიწაში.

გალაღდა მზე და გალაღდა დედამიწა.

ამობიბინდა ბალახი.

ამოვიდნენ ყვავილები და ამოვიდა კესანეც ყვავილად.

ახლა უფრო გახელებით დაეძებდა ჩალხია კესანეს. ერთხელაც, როცა ბორბალოს მთის წვერზედ ავიდა და დაღლილი ჩამოჯდა, ერთმა უცნურად ლამაზმა ყვავილმა მიიპყრო მისი მზერა. მივიდა, გვერდით ჩამოუჯდა და დიდხანს უყურა. კესანეს თმების სურნელს აფრქვევდა რატომღაც ეს ყვავილი.

ესიამოვნა ამ ყვავილის გვერდით ყოფნა ჩალხიას.

იმ დღიდან აღარ მოშორებია, სულ გვერდით ეჯდა იმ ყვავილს და უსმელ-უჭმელად ილეოდა.

დიდია ღმერთის სამართალი. შეეცოდა ჩალხია და ერთხელაც ყვავილი ისევ ქალად გადააქცია. მზესაც უხაროდა და ფშავის მთებსაც ერთმანეთს სიყვარულით ჩაკონებულ ქალ-ვაჟის ცქერა.

ფშავში ვერ დაბრუნდებოდნენ.

წინაპართა ადათი სხვანაირად სჯიდა, სხვანაირად სჭრიდა და კერავდა წაწალთა ბედიღბალს.

ქისტეთისაკენ მიმავალ ბილიკს გაუყვა ქალ-ვაჟი. ლამაზები იყვნენ და ლამაზად მიდიოდნენ აყვავებულ მთებს შორის.

დიდი რუსი მწერალი დოსტოევსკი გვაიმედებს, რომ „კრასატა სპასიოტ მირ“. რა ლამაზია ეს ნათქვამი, ისევე ლამაზი, როგორც აყვავებულ მთებს შორის მიმავალი კესანე და ჩალხია.

მჯერა, რომ მართლა გადაარჩენს სილამაზე ქვეყნიერებას, მაგრამ დროდადრო, ქვეყნის ავან-ჩავანის შემხედვარეს, რაღაც იდუმალი ხმა ჩამძახებს ხოლმე: — სიყვარული და უპირველესად სიყვარული გადაარჩენს ამ ქვეყანას! და მიხარია, რომ დედამიწაზე ჯერ კიდევ მძლავრად ფეთქავს ეს გრძნობა.

# სასჯელი



ეს ამბავი იმერეთში მოხდა.

მოგეხსენებათ, დიდმა ოქტომბერმა ღვთის გმობა და ეკლესიების ნგრევა მოიტანა... ჩემს პაპისეულ სოფელში იდგა ორი მშვენიერი ტაძარი. ერთი მათგანის თეთრი კედლები გორაკიდან ახლაც საყვედურით იყურება, მეორე, გაენათად წოდებული, საძირკვლიანად ამოთხარეს. ეს უძველესი ეკლესია დიდი გელათის მეტოქი ყოფილა.

ჩემს ბავშვობას ახსოვს გაენათის კამარები. მისი ზარების წკრიალი რიონგამოლმა სოფლებში ისმოდა. მახსოვს იქ გადახდილი წირვა-ლოცვა, მშვენიერი, სათნო ფრესკები და ხატები.

ბოროტს და მავნეს რა გამოლევს ქვეყანაზე. ერთმა პარტუჯრედის მდივანმა კომკავშირელები შეიამხანაგა და გაენათი ერთ დღე-ღამეში დაანგრია. იმ ქვით მერე სკოლა ააშენეს. შემდეგ იქ კოლმეურნეობის კანტორა თუ საბჭო იყო. მთელი სოფელი თითქოს გააშიშვლეს. აღარავის უნდოდა ნასაყდრალისაკენ გახედვა. ობლად დარჩნენ ეკლესიის ირგვლივ ცაცხვები...

იტყვით, ხალხმა ხმა რატომ არ ამოიღოო...

ვერ ამოიღო, იმიტომ, რომ ძალა იმ კაცისა და მისთანების ხელში იყო...

ავი საქმე ვის შერჩენია?

არც იმ კაცს შერჩა!

წლისთავზე ხალხის მტრის ბრალდებით გააციმბირეს, დის ქმარი დაუხვრიტეს, და, ექვსი შვილით შუა აზიაში გადაუსახლეს. თვითონ ორი ქალიშვილი და ორი ვაჟი ჰყავდა. უფროსი უშვილძიროდ გადაეგო — ომში დაიღუპა, ქალიშვილები ათწლედის დამთავრების შემდეგ აჭარაში მასწავლებლობდნენ. ერთ ღამეს სკოლას ცეცხლი გაუჩნდა და ორივე შიგ გამოიბუგა. უმცროსი ვაჟი წესიერი კაცი იყო, მშრომელი, მაგრამ ოჯახი ვერ მოიწყო. პირველ ცოლს გაეყარა, მეორე და მესამე — მშობიარობას გადაჰყვნენ. მეოთხე ცოლთან გოგო და ბიჭი შეეძინა. ჯერ უმცროსი ვაჟი დაეღუპა საბჭოთა ჯარში, მერე უფროსი — პირველ ცოლთან შეძენილი — იმსხვერპლა ავარიამ და თოთო გოგონა დარჩა.

მძიმე ავადმყოფობები არ დაჰკლებია მის ოჯახს. თვითონ კი ამ რამდენიმე ხნის წინ წყალმანკით მომკვდარა...

ამ ამბავს იმიტომ გწერთ, რომ კიდევ ერთხელ შეგახსენოთ — ღვთის გარეგანი საქმე არ უნდა ქნას კაცმა და თუ უფალი სჯის ცოდვილს, ეს სხვამ მაგალითად უნდა მიიღოს.

***მარგალიტა ჯოჯუა***

# თვითგვემის დღესასწაული



საყოველთაო მუსულმანური ტრადიციისამებრ, შიიტები (სუნიტების შემდეგ რიცხობრივად მეორე მიმართულებაა ისლამში) აღნიშნავენ მუსულმანური ახალი წლის — თვე მუჰარამისა და მისი მე-10 დღის, აშურას დადგომას. ადრე შიიტები ამ დღეს აღნიშნავდნენ, როგორც „დიადსა და კურთხეულ“ დღესასწაულს, მაგრამ 680 წლის 10 ოქტომბერს, სწორედ დღესასწაულის დღეს მოკლეს ალ-ჰუსეინი, წინასწარმეტყველ მუჰამედის შვილიშვილი. მის მომხრეებსაც სასტიკად გაუსწორდნენ. ამის შემდეგ აშურამ ტრაგიკული ხასიათი მიიღო. შიიტები თვის პირველ ათ დღეს ჰუსეინის სიკვდილს გლოვობენ, მთელი თვის მანძილზე მარხულობენ, რელიგიურ წესებს ასრულებენ, რომლის დროსაც თეატრალურად წარმოადგენენ იმ სისხლიანი დღეების ქრონიკას. პაკისტანის ქალაქ ყარაჩიში აშურას დღეებში ხალხმრავლობაა, ისმის მათრახის ზუზუნი და ჯაჭვების ჟღარუნი, რომელთაც შიიტები დაუზოგავად იტყლაშუნებენ ზურგზე, ჭრილობებზე მარილს იყრიან და სისხლმდინარე სხეულს მცხუნვარე მზეს მიუშვერენ. ისმის მამაკაცების გმინვა და ქალების მოთქმა. ჰაერში სისხლისა და ოფლის სუნი დგას.

— ტკივილი და ტანჯვა ცოდვების გამოსყიდვაში მეხმარება. წინასწარმეტყველებიც ხომ ასე იტანჯებოდნენ! — ამბობს ერთი სისხლით მოთხვრილი შიიტი. მის სიტყვებში იმხელა რწმენა იგრძნობა, რომ შეკამათება უაზრობაა. ქალები ცრემლებს პატარა ფიალებში აგროვებენ.

— ამ დღეს დაღვრილი ცრემლი კურთხეულია და ბევრ დაავადებას კურნავს, — მიაჩნიათ შიიტებს.

***ვოტ ტაკ №31***

# კვაზიმოდოს ნაშიერნი

დიდ ბრიტანეთში გამოვიდა 95 წლის კაცილეგენდის, ჰარი ლუისტონის მოგონებები, რომელიც უმალ ბესტსელერად იქცა. ჰარი ლუისტონს ეკუთვნოდა ევროპაში უკანასკნელი „მონსტრების მოძრავი თეატრი“, რომლის წარმოდგენებზე მაყურებელი გრძნობას კარგავდა ხოლმე. თეატრი აკრძალეს 60-იან წლებში, როცა წარმოდგენის დროს ერთ ფეხმძიმე ქალს იქვე, დარბაზში მოეშალა მუცელი.

მსოფლიოში ყველაზე დიდი ამერიკული მონსტრების შოუს შემქმნელი პიტერ ბარნუმი მთელ მსოფლიოში ყიდულობდა მახინჯ ადამიანებს. ბარნუმის თეატრის ვარსკვლავი იყო ცნობილი პრინცი რონდიანი, რომელიც 1879 წელს დაიბადა ბრიტანეთის გვინეაში. მას არც ერთი კიდური არ ჰქონდა, მუცლის კუნთების საშუალებით დახოხავდა და ამიტომ ადამიანი-მუხლუხო შეარქვეს. ლუისტონი პრინც რონდიანს იხსენებს, როგორც ძალიან მხიარულ და იუმორით სავსე ადამიანს. ადამიანი-მუხლუხო 5 ჯანმრთელი ბავშვის მამა გახდა. მათი დედა — ცირკის შავკანიანი დამლაგებელი, საკმაოდ მოსული და მომხიბვლელი ქალი ყოფილა. მას ქმარი თურმე ხელში აყვანილი დაჰყავდა.

ბარნუმის ყველა ექსპონატი როდი იყო მუხლუხოსავით ხალისიანი. ადამიანი-კიბორჩხალა ბრედი სტაილზი შოუდან ლოთობისათვის გააგდეს. დადიოდა ხმები, რომ სტაილზმა თავისი ორივე შვილი დაახრჩო, ვინაიდან ისინი ნორმალურები დაიბადნენო. ელექტროსკამისაგან ის იხსნა მემკვიდრეობითმა სიმახინჯემ.

ბარნუმის სიამაყე იყო ლუჩია ზარატე, მსოფლიოში ყველაზე პატარა ქალი. ახალშობილი ლუჩია 12 სმ იყო, ხოლო ზრდასრული 45 სმ. მიუხედავად ამისა, საკმაოდ მომხიბვლელი და ჭკვიანი გახლდათ. თავის სიმაღლესთან შედარებით საოცრად დიდი მკერდიც ჰქონია. ამბობდნენ, პირველი ცოლის სიკვდილის შემდეგ პიტერს რომანი ჰქონდა ლუჩიასთანო. როცა ბარნუმმა მეორე ცოლი შეირთო, ლუჩია დეპრესიაში ჩავარდა და მალე ტრაგიკულად დაიღუპა — ბარნუმის ცირკი მატარებლით გასტროლებზე მიემგზავრებოდა, ამ დროს ქარიშხალი ამოვარდა. ლუჩიამ ვაგონის კარი გააღო და დასის წევრების თვალწინ ქარბორბალამ იგი ცაში აიტაცა...

როცა ბარნუმის სიკვდილის შემდეგ ჰარი



ლუისტონმა საკუთარი შოუ შექმნა, მისი პირველი და საკმაოდ წარმატებული აღმოჩენა იყო იტალიური წარმოშობის ამერიკელი ფრენკ ლენტონი, რომელსაც ხერხემლიდან მესამე ფეხი ეზრდებოდა, ჰქონდა 2 სასქესო ორგანო, 16 თითი, ერთი თითი მესამე ფეხის მუხლზე გამოზრდოდა. შოუში მონაწილეობით გამდიდრებული ფრენკი თავისუფალ დროს თევზაობდა და მოხერხებულად იყენებდა მესამე ფეხს. ის ამტკიცებდა, მასზე ისე ვზივარ, როგორც სკამზეო.

რა თქმა უნდა, ჰარი საშინელ შოუს წარმოუდგენდა მაყურებელს, მაგრამ იგი ბევრ მახინჯს არსებობის საშუალებას აძლევდა.

***ვოკრუგ სვეტა №!***

## ტესტი „სპონსორი“

**ლიტერატურული ტესტი დაგეხმარებათ თქვენი ლექსიკური მარაგის სიმდიდრის გარკვევაში. ქვემოთ ჩამოთვლილ სიტყვათა რიგს შეურჩიეთ ერთი, საერთო ზედსართავი სახელი. სწორი პასუხი ფასდება ერთი ქულით.**

1. ბაირაღები, ქარავანი, სიკვდილი, ყვავი;
2. კონცხი, ოქრო, ჩაი, პარტია;
3. პრესა, რასა, ქვიშა;
4. აპრილი, წინდა, მელია, ცხენები;
5. ტიტა, ზღვა, სია, დღე;
6. ჯვარი, არმია, პარასკევი, კვერცხი;
7. მთები, სისხლი, მამაკაცი, ეკრანი;
8. ამბები, ათონი, თაობა, სეზონი;
9. თოფი, ბიჭი, თბილისი, ჰანგები;
10. წერტილი, ამბავი, კერძი, კონტინენტი;
11. სიდედრი, გონება, შამპანური, წყალი;
12. ფეხი, ავტომობილი, ყოფაქცევა, მრეწველობა;
13. წონა, ტვირთი, არტილერია, ხასიათი, ინდუსტრია;
14. ავტორიტეტი, გეთსბი, მოსავალი, მანევრები;
15. დიასახლისი, რძალი, კუთხე, უფლისწული;
16. კბილი, გასაღები, თევზი, ქორწილი;
17. ხასიათი, ოკეანე, დონი, ჭაობი;
18. ზღვა, საათი, სეზონი, ქალაქი;
19. მოდა, ჩინი, ფასი, ფენა;
20. თარიღი, მაგიდა, ბაღი, პირ...
21. საქმე, ცხოვრება, გრძნობა, მდივანი;
22. ჩრდილოეთი, გაჭირვება, ზომები, შემთხვევა;
23. კარი, კრება, პირი, თვალ...
24. მოსასხამი, მასშტაბი, შუბლი, ქუჩა;
25. ენა, კუთხე, მზერა, გონება;
26. ბიუჯეტი, პერანგი, საქმე, ფსკერი;
27. ხე, სახელმწიფო, ორი...
28. თვალი, სიტყვა, კაცი, გზა;
29. ჭკუა, შარვალი, ვადა, ტარი;
30. ოჯახი, სახელმწიფო, გრძნობა, ხელი.

**სწორი პასუხების თანამიმდევრობა შეგნებულად არის არეული**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *19. მაღალი* | *25. მახვილი* | *7. ცისფერი* | *11. ცივი* | *30. ძლიერი* |
| *10. ცხელი* | *5. შავი* | *15. პატარა* | *12. მსუბუქი* | *20. მრგვალი* |
| *1. თეთრი* | *18. მკვდარი* | *8. ახალი* | *21. პირადი* | *3. ყვითელი* |
| *2. მწვანე* | *6. წითელი* | *28. პატიოსანი* | *14. დიდი* | *23. ღია* |
| *13. მძიმე* | *26. გამჭვირვალე* | *9. ძველი* | *29. მოკლე* | *24. ფართო* |
| *17. წყნარი* | *16. ოქროს* | *22. უკიდურესი* | *4. ლურჯი* | *27. ჯუჯა* |

**შედეგები**

**21–30 ქულა: თქვენ მდიდარი ფანტაზია და ლექსიკური მარაგი გაქვთ.**

**11–20 ქულა: მახვილგონიერებისა და ფანტაზიის საშუალო შესაძლებლობები გაგაჩნიათ.**

**0–10 — ზარმაც გონებას ხანდახან ვარჯიში უხდება.**

## „საზალდო–სალაღო“ გვერდის პასუხები

**I კროსვორდი**

**შვეულად:** 1. მუნჯი; 2. მარაო; 3. სახელოვანი; 4. დათვი; 5. კარლო; 6. რუკა; 8. ლურჯა; 10. ქვა; 13. რკო.

**თარაზულად:** 4. დაკარგულია; 7. სირაქლემა; 9. ჯუჯა; 10. ქვევრი; 11. ვულკანი; 12. ჯადოქარი; 14. ალიონი.

**II რებუსი**

„სამი კაკალი კონკიასათვის“.

**III** ა) ტელეფონი;
ბ) ჩურჩხელა.

**IV** ა) „სალ“; ბ) „ონი“

# რას გვეუბნება სიზმარი?..

***სიზმარი არს დავიწყებადი, ნუ გრწამან მისი***
***მამათა სწავლანი, XIს***

ანტიკური მედიცინის ფუძემდებელი ჰიპოკრატე თვლიდა, რომ სიზმარი ხშირად მიმანიშნებელია ავადმყოფობისა.

მეცნიერების მიერ უკანასკნელ ხანს ჩატარებული კვლევის შედეგად მართლაც დადასტურდა „სიმპტომატური“ სიზმრების დამახასიათებელი ტიპები:



**გულის დაავადება.** ადამიანი ხედავს სიზმარში, რომ ის მიწის ქვეშაა, ან გულში დაჭრეს, ქვა ესროლეს და ა.შ. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ სიზმარში განცდილი შიშის გრძნობა გაღვიძების შემდეგაც რჩება.

**ფილტვების დაავადება.** ამ შემთხვევაში ესიზმრებათ, რომ წყალში იძირებიან, ჰაერი არ ჰყოფნით გულზე დაწოლილი სიმძიმის გამო ან ვიწრო გვირაბში მიხოხავენ და იჩხირებიან, ან აცვიათ ტანსაცმელი, რომელიც ვიწროა მხრებში.

**სისხლის მიმოქცევის დარღვევა.** სიზმარი ყოველთვის სხეულის იმ ნაწილთანაა დაკავშირებული, სადაც ეს დარღვევა მიმდინარეობს. თუ სისხლის მიმოქცევის ციკლი ფეხებშია დარღვეული, ესიზმრებათ, რომ დადიან ტალახში, წყალში, თოვლში დახეული ფეხსაცმლით ან ფეხშიშველა; თუ ხელებშია — ხელის თითები აქვთ დალურჯებული და დასივებული; ხერხემლის ართრიტის დროს ხშირად ეზმანებათ, რომ ტვირთს ზურგით ეზიდებიან.

**თავის ტვინის სისხლძარღვების სკლეროზი.** ამაზე მიანიშნებს სიზმარში ნანახი ვიწრო თავსაბურავი, დახეული ქუდი, წვეტიანი ჩაჩები, ასევე, დიდი, მოუხერხებელი ვარცხნილობა. სისხლძარღვების სპაზმებისა და თავბრუხვევების დროს ესიზმრებათ, თითქოს ნაპრალის პირას დგანან ან შიგ ვარდებიან.

**კანის დაავადებები.** ესიზმრებათ მწერები, რომლებიც ტანზე დაცოცავენ, ღია ფერები, უცნაური ფერის თვალები, მთელი ღამე კითხულობენ წიგნს.

**ხელის თითების დაავადებისას** — თითქოს ვიღაცის მისამართის ჩაწერა უნდათ და ვერ ახერხებენ, ან არ შეუძლიათ, ჯიბიდან ამოიღონ რამე.

**ანგინის დროს** — თითქოს, ყელზე აბჯენენ დანას ან ხანჯალს; ყელიდან უღებენ სისხლიან ნაჭერს.

**გრიპის წინ** ესიზმრებათ, თითქოს ბანაობენ ცივ წყალში, იძირებიან ჭაობში, ცივ შხაპს იღებენ, შიშველი დადიან თოვლზე;

ავადმყოფობის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე ადამიანი უსიამოვნო სიზმრებს ნახულობს. იგი ხედავს სისხლს, უმ ხორცს, გაფუჭებულ პროდუქტს... მაგრამ უამური სიზმარი ყოველთვის არ არის ნიშანი ავადმყოფობისა. ის შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით. ავადმყოფობის მაუწყებელი სიზმარი მეორდება და ყოველთვის ერთსა და იმავე ორგანოსთანაა დაკავშირებული.

***ჩასტნაია ჟიზნ №14***


**ფირმა „მოდინახე“**



**ასრულებს ბრტყელი სახურავების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს. გადარიცხვით, აგრეთვე ნაღდი ანგარიშსწორებით, ტოლით — 4 ლარი, მინაქსოვილით — 5 ლარი, ჰიდრომინაიზოლით (ბიკროსტი) — 8 ლარი. გარანტია 3-12 წლამდე.**

**დაგიმზადებთ რკინის კარებს, გისოსებს, მოაჯირებსა და სხვა რკინის ნაკეთობებს.**

**მის: ფოცხვერაშვილის ქ. №3**
**☎ 96-80-99; 22-08-58; 899-54-52-60**

**თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები“**

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ ფაკულტეტებზე:

**იურიდიული; ფილოლოგიის, ეკონომიკის, ისტორიის, მათემატიკის, პედაგოგიური, ჟურნალისტიკის, უცხო ენების.**

წარმოებს სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ.

9 კლასდამთავრებულთათვის ფუნქციონირებს ლიცეუმი

მის: დავით აღმაშენებლის 178 („დინამოს“ სტადიონთან), მე-18 სკოლა, III-IV სართ.
☎ 35-27-00; 38-00-83; 52-67-67; 62-05-07; 38-87-26

# დოღი და შლაპა



სამეფო დოღი, რომელიც ყოველწლიურად, ივნისში ტარდება ესკოტში, — ყველაზე ხალისიანი დღესასწაულია ბრიტანეთში. იმის გამო, რომ ამ ზეიმს მეფის ოჯახი ესწრება, ყველა ვალდებულია დაიცვას ჩაცმულობის ეტიკეტი. თანაც ესკოტის გარდა სად ნახავს ადამიანი ამდენ ნამდვილ ჯენლტმენს, რომელთაც ფრაკის ღილ-კილოში მიხაკი ჩაუბნევიათ და თავს ცილინდრი უმშვენებთ. ისინი სისუფთავით ბზინავენ, ფეხსაცმელებიც კი სარკესავით უკრიალებთ.

ფეხსაცმლის გაპრიალება მიღებულია აქვე, დოღის წინ. ამ საპატიო მოვალეობას ახორციელებს ვიქტორიანული ტრადიციების მქონე კომპანია სახელწოდებით „კრიალა ფეხსაცმელი“.

მესამე დღე ტრადიციულად ეთმობა ინგლისელ ლედის.

ამ დღეს ქალბატონები საგანგებო და მეტად ორიგინალური შლაპებით ირთავენ თავს. წელს საოცარი სანახავი იყო ლედი ლუსი ფრენჯის თავზე წამოდგმული სოფა, რომელიც წვიმისაგანაც დაიცავს ადამიანს.

მაგრამ მთავარი მაინც დოღია.

პირველი ფინიშთან მივიდა არაბეთის საამიროს შეიხის მოჰამედ ბენ რაშიდის კუთვნილი ბედაური.

***შტერნი***



# ენსიერო — კორიდა არ არის

წმინდა ფერმინის დღესასწაულზე დასწრება პირინეის ყველა სტუმარს სურს და პამპლონში ივლისის ფიესტაზე მოხვედრას ნამდვილად უნდა იღბალი.

მართალია, ფერმინი საფრანგეთის ქალაქ ამიენის პირველი ეპისკოპოსი იყო. მაგრამ ნავარის ცენტრში — პამპლონში დაიბადა. განცდილი ტანჯვა-გვემის გამო იგი წმინდანად შერაცხეს და მოგვიანებით მისი ნეშტი ამიენიდან პამპლონში გადაასვენეს. ფერმინი ქალაქის მფარველად ითვლება და დღესასწაულსაც მის პატივსაცემად აწყობენ.

ზეიმი ზუსტად 6 ივლისის დილით იწყება და ერთხელ და სამუდამოდ დაწესებულ წესს მისდევს, თუმცა ესპანელები დიდი წესრიგიანობით არასდროს გამოირჩეოდნენ. შუადღისას მერიის აივნიდან შეკრებილთ სიტყვით მიმართავს მერი. მისი გამოსვლა მთავრდება ტრადიციული შეძახილით, — ვივა სან-ფერმინ! რასაც ზარბაზნის ბათქი მოჰყვება. მერე მოედანზე მყოფი ორკესტრი ასრულებს მელოდიას, რომელიც წმინდა ფერმინის ჰიმნად ითვლება. შეკრებილთა უმრავლესობას ნავარელთა ტრადიციული კოსტიუმი აცვია — თეთრი შარვალი ან ქვედატანი, წითელი ბერეტი და წითელი ლენტებით დამშვენებული ბლუზა. ჰიმნის დასრულების შემდეგ დღესასწაულში მთელი ქალაქი ერთვება. ყველგან ჟღერს ნავარაში ყველაზე პოპულარული მელოდია — რიაუ-რიაუ, ცეკვავს ყველა, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი. როცა მელოდია წამით წყდება, მოცეკვავეებიც სულ ერთი წამით ითქვამენ სულს, მერე ისევ ცეკვას იწყებენ. მაგრამ ეს ყველაფერი ნამდვილი დღესასწაულის პრელუდიაა. როგორც აქაურები ამბობენ, სან-ფერმინის დღეებში პამპლონი მსოფლიოს ყველაზე თავისუფალ ქალაქად იქცევა ხოლმე, რომელშიც აღარ არსებობს არანაირი შეზღუდვა, სადაც ღვინო მდინარედ მიედინება და ყველას შეუძლია აკეთოს ის, რაც სურს (რა თქმა უნდა, თუ სხვას ამით ზიანს არ მიაყენებს). 8 დღის განმავლობაში — 6-დან 14 ივლისის შუაღამემდე ცეკვავს და ქეიფობს ათასობით ადამიანი. პამპლონში შეხვდებით ტოკიოდან, მეხიკოდან, ლუსაკიდან, პარიზიდან თუ მსოფლიოს ნებისმიერი ქალაქიდან ჩამოსულს. კარნავალებიც და ათასნაირი სადღესასწაულო მსვლელობები მსოფლიოში სახელგანთქმული ენსიეროს ერთგვარი დამატებაა. ყველაზე მეტად სწორედ ეს იზიდავს ნავარაში ათიათასობით ტურისტს.

ენსიეროს სიტყვით აღწერა საკმაოდ ძნელი საქმეა. ეს უნდა ნახო, უფრო სწორად, მისი მონაწილე უნდა იყო.

ენსიერო — ეს არის ვიწრო ქუჩაში გამართული რბოლა, რომელშიც მონაწილეობენ ადამიანები და ხარები. ცხოველები ადამიანებს მისდევენ, უფრო სწორად, გაბედულები ერეკებიან ხარებს პლასა დე ტოროსისაკენ, სადაც ენსიეროს შემდეგ იმართება კორიდა. ერთადერთი „იარაღი“, რომლის გამოყენების უფლება ხარის რქების ასაცილებლად აქვს ენსიეროს მონაწილეს, დახვეული გაზეთია. ასე რომ, ეს რბოლა ძალიან სახიფათოა. შარშან, მაგალითად, რამდენიმე ესპანელი დაიჭრა. სამწუხაროდ, ენსიერო კაცის სიკვდილითაც არაერთხელ დამთავრებულა.

ბევრ უცხოელს არ ესმის ამ რბოლა-რიტუალის არსი, მაგრამ მაინც ინტერესით ადევნებს თვალს. მათ მიაჩნიათ, რომ ესპანელებს იმდენად კლავთ თავის გამოჩენის სურვილი, რომ უაზრო ხიფათში ეხვევიან. თავად ესპანელებს კი მიაჩნიათ, რომ წმინდა ფერმინის დღეს ყმაწვილი — მამაკაცი ხდება, სწორედ ყმაწვილები არიან ენსიეროს ძირითადი მონაწილეები. „როცა ესპანელი ხარის წინ მირბის, იგი თავის გულში თრგუნავს შიშს, სიმხდალეს და ვაჟკაცდება“, — წერდა ერნსტ ჰემინგუეი, რომელსაც კარგად ესმოდა ამ რიტუალის არსი და ძალიანაც მოსწონდა.

ენსიერო დილის 8 საათზე იწყება, ხარებს ბოსლის კარებს გაუღებენ, 6 გაგიჟებული ცხოველი იქიდან გამოვარდება და პატარა ქუჩაზე გარბის, მისი სიგრძე კილომეტრიც არ არის. ხარი საათში 14 კილომეტრი სიჩქარით მირბის, ასე რომ, რბოლა საშუალოდ 4 წუთს გრძელდება. სწორედ ამ 4 წუთში ვლინდება ესპანელთა წარმოუდგენელი სიჩქარე. მორბენალმა ხარის ფსიქოლოგიაც კარგად უნდა იცოდეს. ყოველი „მარათონელი“ მხოლოდ გზის ნაწილს გაირბენს, დაახლოებით 200 მეტრს ისე, რომ წუთზე ცოტა მეტ ხანსაა დისტანციაზე.

მერე მაყურებლები და მონაწილეებიც პამპლონის კაფეებში ისვენებენ, ჰყვებიან ენსიეროს ამბებს, ტრაბახობენ...

ენსიერო ესპანეთის სხვა ქალაქებშიც იმართება, მაგრამ ისეთი პომპეზური არ არის, როგორიც პამპლონში.

სან-ფერმინის დღესასწაულის დახურვის ღამეს მონაწილეები მღერიან — ყოველი დღე, ყოველი წუთი სან-ფერმინის მომავალ დღესასწაულთან გვაახლოებსო.

***ეხო პლანეტი №29***

ძნელად თუ მოიძებნება პიროვნება, რომელსაც მოგზაურობა არ უყვარდეს და ფიჯის კუნძულების მონახულებაზე არ ოცნებობდეს. ქართველებისათვის ეს სიამოვნება (ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობისთვის) ფუფუნების საგანია, მაგრამ არსებობს გამონაკლისი შემთხვევები. ახლახან საქართველოში ჩამოვიდა ბატონი **ზურაბ მამნიაშვილი**, რომელიც ორი წლის მანძილზე ფიჯის დედაქალაქ სუვაში ცხოვრობდა და თავის ჩინელ მეუღლესთან ერთად ადგილობრივ მოსახლეობას ჩინურს ასწავლიდა. ზურაბი ათი წელია ცხოვრობს ჩინეთში ამ ქვეყნის ენისა და კულტურის უკეთ გასაცნობად.

— 1989 წელს საბჭოთა კავშირის სპეციალურ ჯგუფთან ერთად პეკინში გავემგზავრე. ამ დროს უკვე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი ჩემი ცხოვრება ჩინეთთან დამეკავშირებინა. დღემდე იქ ვცხოვრობ ჩემს მეუღლესთან ერთად.

ჩინელი და ქართველი ხალხი ერთმანეთისგან ძლიერ არ განსხვავდება. ჩემი ჩინელი მეგობარი, პროფესიით ჟურნალისტი, ქართველებს ასე ახასიათებდა: „ნატიფი ევროპული გარეგნობის ხალხია, თვალებიდან კი აზიელისათვის დამახასიათებელი სითბო გამოსჭვივის“. ჩინელების დამოკიდებულება ახლობლების, სტუმრების და ოჯახის მიმართ თითქმის ისეთივეა, როგორიც ქართველების. უფროსებსა და უმცროსებს შორის ურთიერთობა კი განსაკუთრებით ზრდილობიანი. განსხვავებაც დიდია: სახლში სტუმრების მოსვლისას, ცოლები საუბრით თავს ირთობენ, ქმრები კი სამზარეულოში ტრიალებენ. მე ამ მხრივ გამიმართლა. ჩემი მეუღლის აღზრდა ქართულ სტილს შეესატყვისება. ჩინეთში ასეთი წესი არსებობს. როდესაც ოჯახის წევრები ერთ ქალაქში ცხოვრობენ, კვირის ბოლოს შვილები მშობლებთან მიდიან. ამას „სახლში დაბრუნება“ ეწოდება. მშობლები შვილებს განსაკუთრებული სადილით ხვდებიან. სადილის დროს სხვადასხვა საკითხზე მსჯელობენ. ჰყვებიან განვლილი კვირის შესახებ, საუბრობენ პოლიტიკაზე, ჩინეთის ისტორიასა და კულტურაზე. პირველად ჩემმა მეუღლემ მშობლებთან სტუმრობის შესახებ რომ მითხრა, არ მესიამოვნა. ვიფიქრე, ერთი-ორჯერ გავყვები, შემდეგ კი თვეში ერთხელაც საკმარისი იქნება. თავს კი იმით გავიმართლებდი, რომ ჩინელი არ ვარ. მაგრამ, სტუმრად მისვლისას ისეთი სითბო და ყურადღება დამხვდა, რომ დღეს შაბათ-კვირას მოუთმენლად ველი.

რაც შეეხება ფიჯის კუნძულებს, აქ ცხოვრების ძალიან ნელი ტემპია. ფიჯიელები დინჯი ხალხია. ეს ალბათ ბუნებრივი პირობების ბრალია, რადგან საკმარისია ცოტა ხელს აუჩქარო, ოფლი ღვარად ჩამოგდის. ფიჯის მოსახლეობას შეადგენენ ფიჯიელები, ინდოელები და ჩინელები, მცირე ნაწილი ევროპელია. მიუხედავად იმისა, რომ კუნძულს მრავალი უცხოელი სტუმარი ჰყავს, ცხოვრების სტილი ნელა იცვლება. ალბათ, ეს არქაული ცხოვრება უფრო იზიდავს უცხოელებს და კიდევ ეგზოტიკური ბუნება. კუნძულზე ჩასულს პირველად თვალში სიმწვანე მოგხვდება, თვალს ვერ მოწყვეტ კოხტად გაკრეჭილ ხავერდივით მდელოზე, ცისკენ აზიდულ პალმებსა და ქოქოსებს. ფიჯიელები სტუმართმოყვარე ხალხია, სიმდიდრის მოხვეჭას არ ესწრაფიან. ფიჯიელს ხელფასს ვერავინ დააზოგვინებს, კარგს ჭამს, კარგსაც სვამს, განცხრომასა და დროსტარებას არ მოიკლებს. თავისი ისტორიის საჩოთირო მომენტებს ხუმრობით და ერთგვარი ექსტაზითაც კი ჰყვებიან. სუვას მუზეუმში დღესაცაა დაცული ერთ-ერთი ინგლისელი მისიონერის ნივთები, რომელიც კანიბალთა ლუკმა გამხდარა. მისიონერი ჯერ მდინარეში ჩაუხრჩვიათ, შემდეგ ცეცხლზე მოუხარშავთ, მერე კი ბელადისთვის მიურთმევიათ.

— ჩვენს ბელადს ძალიან მოსწონებია კერძი, — პირის წკლაპუნით გვიყვებოდა სქელ-სქელი ფიჯიელი გიდი ქალი, — ნეტავ ვისი ხორცია ასეთი გემრიელიო, — უკითხავს. ჩვენი მისიონერის, ბატონო, პატარა „სიურპრიზი“ მოგიწყვეთო, მოუხსენებიათ ქვეშევრდომებს. ღიმილით დაამთავრა მან და დაგვაკვირდა. ჩვენი გამომეტყველებით კმაყოფილი რომ დარჩა, შემდეგი ამბავიც გვიამბო:

ინგლისისაკენ მიმავალ ერთ-ერთ ფიჯიელს, რომელიც გემის კაპიტნის წვეულებაზე იყო მიპატიჟებული, ძლიერ გაუფუჭეს გუნება გაუთავებელი კითხვებით ფიჯიელთა კანიბალური წარსულის შესახებ. სადილის დროს, იგი ოფიციანტს მიუბრუნდა, მენიუ უკან დაუბრუნა და ყველას გასაგონად უთხრა: „იცით აქ არაფერია ჩემთვის საინტერესო, გეთაყვა, მგზავრების სია მომიტანეთო“.

დღეს ფიჯიზე კაციჭამიობა კი არა, სიკვდილით დასჯაც დიდი ხნის გაუქმებულია. მუზეუმებში და ბაზრობებზე სუვენირებად გამოფენილი კანიბალთა ხის ჩანგლები და თავის გასაჩეჩქვი კომბლები ახლა მხოლოდ ტურისტთა გამხიარულებას ემსახურება. ერთ-ერთი ასეთი საბრძოლო კომბალი, როგორც ფიჯიური კულტურის ერთგვარი სიმბოლო, ადგილობრივ ათცენტიან მონეტაზეცაა გამოსახული.

# ქართველი „ჩინელი“ ფიჯის კუნძულებიდან...



ფიჯიზე ძირითადი რელიგია ქრისტიანული მეთოდიზმია. შაბათ-კვირას ყველა მოუთმენლად ელის. ამ დროს მაღაზიები იკეტება. ხალხი ეკლესიებში წირვა-ლოცვას ესწრება (ფიჯიზე ყველა სოფელშია ეკლესია). წირვის დამთავრების შემდეგ, ეზოში დიდ სუფრას შლიან და ერთად ტრაპეზობენ. აქ ქრისტიანობა ინგლისელმა მისიონერებმა იქადაგეს. 1871 წელს კი ერთ-ერთი ქრისტიანი ბელადი მეფედ აკურთხეს. 1874 წელს ფიჯის ბელადთა საბჭომ, ქვეყანა საპატრონოდ დიდ ბრიტანეთს გადასცა.

ფიჯის კუნძულებზე დიდ ყურადღებას უთმობენ ჩაცმას. ტანსაცმელი ძალზე იაფია. სოფლებში შესვლისას, უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, გიდები ტურისტებს სთხოვენ მოკრძალებით ჩაცმას და მრავალფეროვან სამოსს სთავაზობენ. ფიჯიზე ასეთი ხუმრობაც არის:

„დაიფარეთ სიშიშვლე!“ — მოუწოდებდა XX საუკუნის ევროპელი სტუმარი მკერდშიშველა ფიჯიელ ქალებს.

„დაიფარეთ სიშიშვლე!“ — მიმართავს დღეს კოსტიუმში გამოწკეპილი ფიჯიელი ბიკინებიან ევროპელ ტურისტებს.

***ანა ჩხეიძე***

# ნანგრევთა სილამაზე

პოეტი ფედერიკო გარსია ლორკა კუბას „შავგვრემან მადონას“ უწოდებდა. როცა ჰავანის 50-იანი წლების ფოტოებს ათვალიერებ და მერე ჰავანის ქუჩებში გამოდიხარ, უცნაური გრძნობა გეუფლება. ყველაფერი თითქოს იგივეა, რაც ფოტოზეა ასახული. მაგრამ ამავე დროს სულ სხვაა. იმავე შენობებს უყურებ, მაგრამ ისინი გამოხუნებულია, ნირწაშლილი.

ძველ ჰავანაში — ქალაქის ისტორიულ ცენტრში, რევოლუციის წინა პერიოდის შემდეგ თითქმის არც არაფერი დაუნგრევიათ, არც აუშენებიათ და არც შეუკეთებიათ. სან-რაფაელის ქუჩაზე რა რეკლამაც იყო გამოკრული 50 წლის წინ, ისევ ისაა, ოღონდ ისეა გაცრეცილი, რომ ძნელი სათქმელია, რა წერია, ან რა ხატია ზედ.

ბოლო 2-3 წელიწადია, თითქოს რაღაც კეთდება ამ უნიკალური ქალაქის შესანარჩუნებლად.

90-იანი წლების დამდეგს კუბაში გამოაცხადეს — ქვეყანას ტურიზმი გადაარჩენსო. რამდენიმე წლის განმავლობაში ესპანელი და კანადელი ინვესტორების დახმარებით ააგეს პირველი კლასის სასტუმროები, ახალი აეროპორტი, ძველ ჰავანაში მოაწესრიგეს ტურისტული ობიექტები.

დღეს კუბის გული — საკათედრო მოედანი, მისი მიმდებარე ქუჩები, შენობები ასე თუ ისე შეაკეთეს და ტურისტს აღარ ეშინია, თავზე რამე დამეცემაო.

დედაქალაქის თანამედროვე ცენტრი — ვედადო XX საუკუნეშია აგებული და ამერიკული მიზანდასახულობის ნიშანს ატარებს. პარალელურმა და პერპენდიკულარულმა ქუჩებმა მკაცრად განსაზღვრულ კვადრატებად დაყო ვედადო, მაგრამ არქიტექტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, მოდერნის სტილის შენობები მშვენივრად ეხამება კონსტრუქტივიზმის შესანიშნავ ნიმუშებს. ვედადოს მირამარი მოსდევს. მდიდარ კუბელთა სააგარაკო ადგილი, სადაც არც ერთი შენობა ერთმანეთს არ ჰგავს. ძველ ჰავანაში სიცოცხლე ჩქეფს, კოლონიური სტილის სახლებში აუარება ხალხი ცხოვრობს, დიდი ოთახი ზოგჯერ მარტო ჰორიზონტალურად კი არა, ვერტიკალურადაცაა გაყოფილი, რადგან ჭერის სიმაღლე 5-6 მეტრია. ჰავანაში კარ-ფანჯარა დღისით არ იკეტება, კუბელთა აქტიური ბუნება და საშინელი სიცხე მათ ოთხ კედელში გამომწყვდევის ნებას არ აძლევს. ზოგიერთის აზრით, ჰავანის მთავარი ფასეულობები — მულატი ქალი, რომი და სიგარაა. არამწეველი და არამსმელი ტურისტები მეორე ადგილს — მულატი ქალის შემდეგ — ქალაქის სილამაზეს აკუთვნებენ, მესამეს — 40-50-იანი წლების ავტომობილებს, რომლებიც დღემდე დაქრიან ქალაქში. ეს მანქანები კუბელებს ჰგვანან, რომლებმაც უმძიმეს პირობებშიც არ დაკარგეს თავიანთი სახე.

ჰავანა ყოველთვის იყო დროის გასატარებელი ქალაქი. რევოლუციის შემდეგ ახალი მთავრობა შეეცადა ქალაქის რეპუტაცია გაეკეთილშობილებინა და პროსტიტუცია აკრძალა. ჩე გევარას იდეით, ღამის ლამაზმანებს მძღოლობა ასწავლეს და ტაქსიზე დასვეს. მათ კი ჭკუით აჯობეს რევოლუციურ ხელისუფლებას — ტაქსისტობას მშვენივრად უთავსებენ ძველ პროფესიას. ამბობენ, როცა გევარამ გაიგო, როგორ გააცურეს, ბევრი იცინაო. მაგრამ ასე იყო თუ ისე, თანდათანობით ჰავანამ დაკარგა „დიდი საროსკიპო სახლის“ ტიტული, რომლითაც რევოლუციამდე ძალიან მოსწონდა თავი.

კაპიტალისტური ქვეყნებიდან ტურისტები აღარ ჩამოდიოდნენ და „სოციალისტებს“ შიშით გული უსკდებოდათ — კუბელ ქალებთან არავინ გვნახოს, თორემ პარტიიდან გაგვრიცხავენო.

90-იანი წლებიდან ფიდელ კასტრომ ბრძანება გასცა — ტურიზმი აღვადგინოთო და დაიძრნენ ესპანელი, იტალიელი, გერმანელი, ლათინო ამერიკელი ტურისტები — მოკლედ, ნელ-ნელა ჰავანა ღამის ცხოვრების ჩვეულ წესს უბრუნდება.

ქალაქი დეგრადაციას განიცდის. ღარიბმა, მაგრამ ამაყმა კუბელმა ისევ ისწავლა საკუთარი სხეულის გაყიდვა და მათხოვრობა. იგი დოლარის მოლოდინით ცხოვრობს — სად იშოვოს, ვის გამოსტყუოს, ვის მოპაროს. ამერიკის შეერთებული შტატების სასტიკ მოწინააღმდეგეს — ფიდელ კასტროს ბედმა სასტიკად დასცინა, მისი მმართველობის პერიოდში დოლარი კუბელი მოქალაქეების ფეტიშად იქცა.

***იტოგი №30***

**ანეკდოტი**

**— როდის ჩამოვარდება მსოფლიოში დიდი შიმშილობა?**
**— როცა ჩინელები ჩანგლით ჭამას ისწავლიან.**



# ფო — ვიეტნამელთა საყვარელი წვნიანი

ვიეტნამელებისთვის დილის საუზმე უბრალოდ წახემსება კი არ არის, არამედ მთელი დღის სამყოფი საკვებია, ამიტომაც საუზმე ცხელი და ნოყიერი უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით, საუკუნეების მანძილზე გამოცდილი „ფო“ ვიეტნამელების მთავარი საუზმეა. ფოს სადამოთიც შეექცევიან, მაგრამ ამას მოხუცები არამც და არამც არ აკეთებენ, რადგან ტრადიციას ერთგულად იცავენ. ატრიის წვნიანი დილის საუზმეა.

ფოს ოჯახებში ამზადებენ, ჰანოის ცენტრში მდებარე დუქნებში მხოლოდ ერთი და იმავე ოჯახის წევრები შრომობენ. ამიტომაც ამბობენ — სიუს ფო, ე.ი. ოჯახის თავს სიუ ჰქვია: ფოს დასამზადებლად საჭიროა ატრია, ხორცი, მწვანილი და სუნელები. გარეგნული სიმარტივის მიუხედავად, ფოს მომზადებას დიდი კულინარული ნიჭი სჭირდება. ათასგვარი სუნელიდან სწორედ ის უნდა აირჩიო, რომელიც ფოს უხდება, არც ატრიას სახეობის დავიწყება შეიძლება. ატრია 12-ზე მეტი სახეობის არის, მაგრამ ფოს მხოლოდ ერთი უხდება. ბულიონი 5-6 საათს იხარშება, ხორცი შერეული უნდა იყოს, ძროხისა და ღორის. ყველა ოჯახს ფოს მომზადების საკუთარი წესი აქვს და საიდუმლოდაც ინახავს. სხვათა შორის, როცა ვიეტნამელს სურს ქალს სიყვარული აუხსნას, ასე ეუბნება — უშენოდ სიცოცხლე ჩემთვის იგივეა, რაც ფო ბულიონის გარეშეო. ჰანოელებს სჯერათ, რომ მათნაირ ფოს ვიეტნამის არც ერთ კუთხეში არ ამზადებენ.

ჰანოის ცენტრი 36 ქუჩისგან შედგება. ყოველ მათგანს თავისი შესაბამისი სახელი აქვს — აბრეშუმის, მქარგავთა, რკინის, ატმის, ვერმიშელის და სხვ. ერთ-ერთი ქუჩა „ფოს ბაზრად“ იწოდება. ეს იმას ნიშნავს რომ დილაადრიან პირდაპირ ქუჩაში მოგართმევენ ქაფქაფა ფოს, რა თქმა უნდა, არც მაგიდაა აქ და არც სკამი. უბრალოდ, მოგაწოდებენ პატარა სკამს და ფოთი სავსე ფიალას. აქ რაიმე სანიტარული წესების დაცვაზე ლაპარაკიც ზედმეტია, სამაგიეროდ, სწორედ ქუჩაში მორთმეული ფო გაგრძნობინებთ ვიეტნამის განუმეორებელ სურნელს.

***ნიუზუიქი***

# „სიზმარასა“ და „კომბლეს“ ნიღაბმორგებული „პროვინციელი“ პოლიტიკოსი

მთიელ კაცს არ უყვარს ბევრი ლაპარაკი, მით უმეტეს, თუ საკითხი მის პირად ცხოვრებას ეხება. შალვა ნათელაშვილიც მთიელი კაცისთვის დამახასიათებელი სიდინჯით იწყებს საკუთარ თავზე ლაპარაკს. ვცდილობ დიალოგი „ცოცხლად“ წავიყვანო. ვხედავ, პოლიტიკური თემა პაუზების გარეშე მიმდინარეობს, ამიტომ შიგადაშიგ პოლიტიკურ კითხვებსაც „ვაგდებ“, რათა ჩემმა რესპონდენტმა მოკლე პასუხებით არ მომიგერიოს.

**— ბატონო შალვა, ნათქვამია: ყველანი ბავშვობიდან მოვდივართო. ამ „სვლაში“ მოგონებებით ვივსებით. თქვენ რას გაიხსენებთ ბავშვობის წლებიდან?**

— ასე მგონია, დიდი ხანი არ გასულა ბავშვობიდან. ამას წინათ სკოლის დამთავრებიდან 25 წელი აღვნიშნეთ თანაკლასელებმა და თითოეულ ჩვენგანს გვეგონა, რომ ეს-ესაა, გამოვიხურეთ სკოლის კარი.

**— გენატრებათ წარსული?**

— მონატრებას ვერ დავარქმევ ამ გრძნობას... უბრალოდ, ყოველთვის განსაკუთრებული სითბოთი ვიგონებ ბავშვობას და მოსწავლეობას.

**— ცელქი იყავით? გაკვეთილებს არასოდეს აცდენდით?**

— აუტანელი ცელქი არ მერქვა. დღეს რომ არიან ბავშვები უფროსებთან შეთამამებულნი, ასეთი „უკომპლექსო“ არც მე და არც ჩემი მეგობრები არ ვყოფილვართ. ყოველთვის გვქონდა უფროსისადმი რიდისა და მოწიწების გრძნობა. თუმცა ხანდახან „შატალოებს“ ვაწყობდით ხოლმე. ახლაც გულიანად მეცინება ჩემს თავზე: ყოველდღე ბაზალეთიდან დუშეთში დავდიოდი სკოლაში, მანძილი 10 კილომეტრია. დილაუთენია ავდგებოდი, რათა სკოლაში დროზე მივსულიყავი. ამხანაგები შეთქმულთა სახეებით დამხვდებოდნენ. რაღა მექნა? მეგობრებს ხომ არ გამოვაკლდებოდი? ამიტომ მეც მივდიოდი „შატალოზე“. ერთხელ, მახსოვს, ერთი თანაკლასელი გამოგვეთიშა ამ „ერთსულოვნებიდან“ და სკოლის დამთავრების მერეც ვახსენებდით ამ „სამარცხვინო“ საქციელს. არადა რა ჭკუა გვყოფნიდა, არ მესმის: გალეღუნებული, გამთბარი და ლამაზი შენობიდან ზამთარში ტყეში გავრბოდით. თუმცა, ბავშვობა სწორედ იმითაა ლამაზი, წინასწარ რომ არ გეგმავ ყველაფერს და სულელურ ოცნებასაც კი გააცხადებ.

**— დუშელებს საკმაოდ კარგად ვიცნობ... თქვენებურ კაცს უჭირს სიყვარულზე ლაპარაკი, მაგრამ იქნებ სკოლის დროინდელი რომანი მაინც გაიხსენოთ...**

— ოო... მართალს ბრძანებთ. ჩვენ სიყვარულზე უსასრულოდ ლაქლაქს, მისი საქმით დამტკიცება გვირჩევნია, მაგრამ რახან შემეკითხეთ, მეც გიპასუხებთ, რომ ჩემი პირველი სიყვარული კრახით დამთავრდა. ძალიან მომწონდა ჩემი სკოლელი გოგონა (ჩემზე უმცროსი იყო). ვწერდი სასიყვარულო ბარათებს. ამაოდ ველოდი პასუხს. გვიან გავიგე, რომ მიჯნური ჩემს თითოეულ წერილზე სიცილით იგუდებოდა. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი და... გადავიყვარე.

**— ბავშვობის რომელი ოცნება აგისრულდათ?**

— მოსწავლეობის დროს პოლიტიკაზე ვოცნებობდი. როგორც ხედავთ, ოცნება მწარე რეალობად მექცა. ბავშვობაში სულ მაინტერესებდა, რატომ არ იყო საქართველო დამოუკიდებელი. ეს აზრი ჩემს თანაკლასელსაც გავუზიარე და იცით, რა მითხრა? ჩვენს ქვეყანას პური არა აქვს და იმიტომ არ შეგვიძლია დამოუკიდებლად ყოფნაო. იმდენად მოულოდნელი არგუმენტი იყო ეს ჩემთვის, რომ კარგა ხანს გაოგნებული დავდიოდი. არადა, როგორც ხალიბები არიან ფოლადის გამომდნობებად ცნობილნი, ასევე ვიყავით მიწათმოქმედებით განთქმულნი. ქართული ხორბლის რამდენიმე ცნობილი ჯიში არსებობდა. მეგობრის პასუხმა უკმაყოფილების გრძნობა დამიტოვა. სამწუხაროდ, ბევრს დღესაც ჰგონია, რომ პრეზიდენტი „გვაჭმევს“ პურს და რომ არა იგი, შიმშილით დავიხოცებოდით. ჩვენ იმდენი ხორბალი შეგვიძლია მოვიწიოთ, თანაც საუკეთესო ჯიშის, რომ ჩვენც გვეყოფა და მეზობლებსაც, მაგრამ ათასნაირ ბარიერს და ხელის შემშლელ პირობებს შეგნებულად ქმნიან „ზედა ეშელონებში“, რათა „იმედიანი“ და „მადლიერი“ თვალი არ მოვაშოროთ ჩვენს „კეთილის მოსურნეებს“. ზედა კლასებში, როცა საკუთარი მსოფლმხედველობა ჩამომიყალიბდა, დავინახე, რომ რაიკომის მდივანი უგვარო თავადად გვექცა, ცეკას მდივანი კი ვეზირად. ეს სისტემა დიდხანს ვერ გაძლებდა, მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ დღესაც იგივე სახეები ბატონობენ, ოღონდ ამჯერად დასავლურ-ლიბერალური ნიღბებით დამშვენებულნი.

**— რახან ზემოთ სიყვარულს შევეხეთ, მეუღლეც უნდა ვახსენოთ უთუოდ...**

— ჩემი მეუღლე გახლავთ ბელა ალანია, განათლებით ეკონომისტი. გავიცანი მოსკოვში. გვყავს ქალ-ვაჟი — 6 წლის ზუკა და 5 წლის დარეჯანი.

**— ლიხთიქეთელებს ცოტა უჭირს ლიხთაქეთელებთან ურთიერთობა. დუშელი და მეგრელი როგორ ეგუებით ერთმანეთს?**

— ბრწყინვალედ. ერთია მხოლოდ, იგი უმუშევარია, ჩემი „შემოსავლით“ კი მთლად კმაყოფილი არ არის. არ მსურს ჩემი პოლიტიკოსობით სპეკულაცია. შემეძლო მისთვის „კარგი“ სამსახურის შოვნა, მაგრამ მე იმ პოლიტიკოსების რიცხვს არ ვეკუთვნი, კორუფციას ხმამაღლა რომ ებრძვიან, ოჯახის წევრები და ნათესავები კი საბაჟოზე, საგადასახადოში, უცხოურ გრანტებზე და სხვა მსუყე ადგილებზე ჰყავთ ჩამორიგებული.

**— თქვენმა მეუღლემ ადვილად აითვისა დუშელების სამზარეულო? იქნებ მეგრულმა ელარჯმა „იმარჯვა“ და გადაუსწრო თქვენებურ ხინკალს?**

— არა, ხინკალი კვლავ ლიდერობს, მაგრამ რა თქმა უნდა, მეგრულ სამზარეულოს კანონიერი ადგილი უჭირავს.

**— რას ვერ აპატიებთ ქალს?**

— მიუხედავად მოქალაქეების „გაევროპელებისა“, დღემდე „უკიდურეს აზიატად“ და, როგორც მეძახიან, პროვინციელად ვრჩები — ქალს ყველაფერს ვაპატიებ, ღალატის გარდა.

**— ბოლო 10 წელიწადში ჩვენმა ელიტამ ასეთი ტერმინი დაამკვიდრა: პროვინციული ფაშიზმი, პროვინციული პატრიოტიზმი, პროვინციელი პოლიტიკოსი და ა.შ. თქვენც ე.წ. „პროვინციელთა“ რიგებში მოხვდით. იქნებ აგვიხსნათ, რა მნიშვნელოვანი აზრი იმალება ერთი შეხედვით პრიმიტიულ სიტყვაში „პროვინციელობა“.**

— პროვინციული ფაშიზმი არ არსებობს. ფაშიზმი ფაშიზმია. „წითელმა ელიტამ“ ზვიად გამსახურდიას პროვინციელი ფაშისტი თავისი ქვეყნისადმი უზომო სიყვარულისა და ეროვნულობის გამო უწოდა. სასაცილოა პოლიტიკოსების ამგვარ კატეგორიებად დაყოფა: პროვინციელი, ქალაქელი ან უფრო ღრმა ქალაქელი — ვაკელი პოლიტიკოსი. ასეთი ტერმინი არც ერთი ქვეყნის პოლიტიკაში არ არსებობს, მაგრამ არსებობენ პოლიტიკაში შემთხვევით მოხვედრილი პიროვნებები, რომლებიც თავის გონებრივ დანაკლისს ანაზღაურებენ იმით, რომ სატრაბახოდ აქვთ ასფალტზე გაზრდა და პოლიტიკით მოპოვებული პრივილეგიები. ასეთ პოლიტიკოსებს მხოლოდ მაშინ „უყვარდებათ“ პროვინცია და პროვინციელები, როცა არჩევნების წინ ხმები სჭირდებათ. „გამარჯვების“ და დაწინაურების შემდეგ კი კვლავ უკიდურესად გამოხატავენ „პროვინციალების“ მიმართ სიძულვილს. ეს თავიანთი არასრულფასოვნებით მოსდით. მაშინ, ილია, აკაკი და ვაჟაც პროვინციელები ყოფილან. ერთი ყვარელში დაიბადა, მეორე — სხვიტორში და მესამე — ჩარგალში (ამას შეგნებულად შევახსენებ მათ, რომლებსაც პროვინციელობა საქილიკოდ გაუხდიათ). რაც შეეხება ბარამიძისაგან ჩემს „პროვინციელ პოლიტიკოსად“ მონათვლას, როგორც ჩანს, ამ სუბიექტზე ამერიკაში სასწავლებლად დახარჯულმა თანხებმა კვლავ უქმად ჩაიარა. ნებისმიერი დაყოფა ქალაქელებად და პროვინციელებად ორმხრივი დანაშაულია, რაც ყველანაირ სეპარატიზმზე უფრო საშიში და დამანგრეველია საქართველოსთვის. ასე ქვეყანა შეიძლება მარტივ მამრავლებად დაიშალოს, წაერთვას მას სახელმწიფოებრივი ერთიანობა, ენა და რელიგია.



ბაზალეთში...

**— მაინც რატომ დარჩით პარლამენტის გარეთ?**

— მოქალაქეებმა არ შეგვიშვეს პარლამენტში და იმიტომ, ამას უკვე მთელი ევროპა ლაპარაკობს.

**— როგორია თქვენი პოლიტიკური გეგმები?**

— მე, როგორც ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა, ასეთი ეროვნული მისია დავისახე მიზნად: ქვეყნის მმართველობიდან გამოვაძევო „მოქალაქეთა კავშირი“. თავისი განვითარების კულმინაციური წერტილიდან იმპერიები წამოსულან დაღმა, ბოლოს კი დამხობილან და მოქალაქეები ასეთი რა ძალაა, რომ მუდმივად იყვნენ სათავეში? კატეგორიულად და ხმამაღლა ვაცხადებ, რომ ისინი დროზე უნდა მოვიშოროთ, სანამ მათი მმართველობა პოლიტიკურ შიდსში გადაიზრდება. უნდა ვიბრძოლოთ (მშვიდობიანი გზით, რა თქმა უნდა!) ვადამდელ არჩევნებზე. სათავეში უნდა მოვიდნენ ეროვნული ძალები და ეროვნული თანხმობის მთავრობა, რომლებიც ნამდვილად იზრუნებენ ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისათვის.

**— და თუ მოქალაქეებმა არ დათმეს თავიანთი პოზიციები?**

— მათ ძალადობითა და ტყუილი დაპირებებით მიაღწიეს „პოსტებს“. არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს მათი ბოგინი. ისინი ყაჩაღურად სხედან სავარძლებში და უმეტესობა ისეთი საშინელი კატეგორიაა, რომ პიროვნულადაც კი შეუძლებელია მათთან ურთიერთობა.

**— ნუთუ არც ერთი მათგანი არ იმსახურებს თქვენს პატივისცემას?**

— ძალიან ცოტა. გული მწყდება ზოგიერთებზე, რადგან ისინი გაცილებით მეტს მიაღწევდნენ, „ცუდ წრეში“ რომ არ მოხვედრილიყვნენ.

**— კულუარებში ამბობენ, შემოდგომაზე სოციალური აფეთქებაა მოსალოდნელიო...**

— როდემდე შეიძლება დამშეულმა მოსახლეობამ რამდენიმე კაცის გამძღარ სახეს უყუროს? ვიცი, რომ მოქალაქეების უმეტესობას კულმინაციური მომენტისათვის ჩემოდნები აქვს გასაქცევად გამზადებული. მათი ოცნების ქალაქი პარიზია. მე ბევრ ქართველზე გამიგია, რომ ემიგრაციაში ყოფნის დროს საქართველოზე ფიქრობდნენ, დარდობდნენ და მისთვის ზრუნავდნენ. ესენი პირიქით — საქართველოში ცხოვრობენ, ჯიბეს ისქელებენ და პარიზზე ოცნებობენ.

**— დღეს ქართველი ემიგრანტების ადგილ-მამულის ლევილის საქართველოს კუთვნილებაში გადმოცემაზე ბევრს ლაპარაკობენ. შესაძლებელია, რომ დღევანდელ პოლიტიკოსებს „ემიგრაციაში“ ყოფნისას ლევილში ცხოვრების სურვილი აღეძრათ? ან იქნებ ახალი „ლევილი“ აქვთ ჩაფიქრებული?**

— არა. მათ რაში აწყობთ ლევილში ცხოვრება? ურჩევნიათ, პარიზის პრესტიჟულ უბნებში კარგი ბინების ყიდვა და სიდედრ-სიმამრის სახელზე გადაფორმება. ამ ხელისუფლების დიდი სირცხვილი ის არის, რომ თბილისსა და სააგარაკე ადგილებში სრა-სასახლეებს იშენებენ, მაშინ, როცა კოლხური კოშკი გაძარცული და გაპარტახებული. საკუთარი თავისთვის არაფერს იშურებენ, საგურამოში კი ილიას სახლ-მუზეუმს დაცვას უხსნიან იმ მოტივით, რომ ხელფასს ვერ გადაგიხდითო. ასეთი რამ თვით რუსეთის იმპერიის დროსაც არ მომხდარა. რაც შეეხება პარიზს, საქართველოდან გასაქცევად გამზადებულებს იგი კრიმინალურ თავშესაფრად სჭირდებათ.



მეუღლე — ბელა ალანია

**— ბატონო შალვა, ზოგჯერ ხომ არ გეჩვენებათ, რომ თქვენი ხმა „უდაბნოსა შინა მღაღადებლის“ ხმას წააგავს?**

— არა, რატომ? ამ დაქცეულ ქვეყანაში, 100 პრობლემიდან 3 მაინც რომ გადავჭრათ, ეგეც საქმეა. ჩემს პარტიას რომ არ ებრძოლა, საბავშვო ბაღებს გააუქმებდნენ, ყველა სკოლაში ფასიანი სწავლება იქნებოდა და ონკოლოგიურ ავადმყოფს უფასოდ არ მოემსახურებოდნენ. (დღეიდან, ალბათ, სასიკვდილოდ განწირულ ავადმყოფებსაც უფულოდ აღარ მოემსახურებიან, მაგრამ წარსულში ამის გამო ხომ ვიბრძოლეთ და ჩვენსას მივაღწიეთ?!) მთავრობა დღეს სეკვესტრებზეა გადასული, არადა, მე თუ მკითხავთ, თავად ხელისუფლებაა სეკვესტრირებელი.



შვილები: ზუკა და დარეჯანი

**— ჩვენი გაზეთი წელიწადში ერთხელ, საახალწლო დღეებში კარნავალს „აწყობს“, ანუ ერთ გვერდზე ათავსებს ზღაპრის გმირებს. მკითხველებმა კი მათი ნიღაბი უნდა მოარგონ დღევანდელ პოლიტიკოსებს. ქართული ზღაპრის გმირების — სიზმარასა და კომბლეს ნიღბები თქვენ რომ გერგოთ, ალბათ იცით.**

— (გულიანად იცინის) ვიცი, ვიცი... ამისათვის დიდი მადლობა მკითხველებს. სხვებს რაც შეხვდათ, ისიც ვიცი. ჟვანიას — ბაყბაყდევისა და სანჩო პანსას ნიღაბი ერგო, არა? ისე, სანჩო პანსას ნამდვილად ვერ გავიმეტებდი მისთვის. სანჩო ხომ ფილოსოფიური ფიგურაა, ალბათ ხალხმა პრეზიდენტისადმი მისი ერთგულების გამო გააიგივა სანჩო პანსასთან... თქვენ წარმოიდგინეთ, ბაყბაყდევიც კი მენანება ზურაბ ჟვანიასთვის. მიუხედავად დიდი ფიზიკური ძალისა, ჩვენებური დევი ხომ სიბრიყვემდე მისული გულუბრყვილო გოლიათია?! მგონი, იგი თანამედროვე ეპოქაში არჩევნების ისეთ გაყალბებას არ იკადრებდა, რაც პარლამენტის თავმჯდომარემ ასე იოლად შეძლო, ანუ „გააიმასქნა“.

**— თქვენს შვილებს ხომ არ უკრძალავთ „დიდების ზღაპრის“ ყურებას?**

— არა. ზუკას და დარეჯანს ჯერ კიდევ აინტერესებთ თოჯინების „ცხოვრება“. თუმცა ბოლოს მაინც მე მთხოვენ მის ახსნას.

**— როგორ ფიქრობთ, მალე გამოჩნდება „გვირაბის ბოლოს შუქი“?**

— მე ოპტიმისტი კაცი ვარ და მიუხედავად იმისა, რომ პოსტსაბჭოურ ტერიტორიაზე ყველაზე უკიდურესი მდგომარეობა ჩვენთანაა, იოლად ვერ ვირწმუნებ, რომ საქართველო დაიღუპება. ჩვენს ქვეყანას და ერს შესწევს უნარი, დაძლიოს ეს გაჭირვება და ღირსეული ქართველების მეშვეობით კვლავ გაძლიერდეს. ასე რომ, მალე აკიაფდება გვირაბის ბოლოს შუქი...

***მარინა ბაბუნაშვილი***

# მოხდება პრივატიზაციის შედეგების გადახედვა?

**(დასაწყისი იხ. გვ. 8)**

თუკი ჩავთვლით, რომ პრეზიდენტმა რეალურად დაისახა მიზნად კორუფციასთან ბრძოლა, მაშინ დადგება საკითხი — მტკივნეულად განხორციელდეს ეს პროცესი თუ შედარებით უმტკივნეულოდ?! მტკივნეულში, კანონის მიხედვით, კორუმპირებულთა დასჯა იგულისხმება, რაც თავისი მასშტაბით რეპრესიებს გაუტოლდება. ამ გზით პრეზიდენტი ნამდვილად ვერ წავა, რადგან ასეთ აქციას შეიძლება საკმაოდ უმართავი პროცესები მოჰყვეს ქვეყანაში, რაც ჩვენი დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. შედეგად, გამორიცხული არ არის სამოქალაქო ომის პროვოცირებაც. ამასთან დაკავშირებით, საკმაოდ დამაფიქრებელია მოსალოდნელი დესტაბილიზაციის შესახებ გაუთავებელი ლაპარაკი, რომელიც ვითომ სექტემბერში უნდა დაიწყოს საქართველოში. ანუ მაშინ, როცა ანტიკორუფციული პროგრამა მაგიდაზე უნდა ედოს პრეზიდენტს. მოსალოდნელ დესტაბილიზაციასთან დაკავშირებული განცხადებების მიღმა, არ ჩანს კონკრეტული მიზეზი, რამაც აღნიშნული დესტაბილიზაცია შეიძლება გამოიწვიოს. იქნებ ნამდვილი მიზეზი, სწორედ ანტიკორუფციული კამპანიის დაწყებასთანაა დაკავშირებული და მოსალოდნელი დესტაბილიზაციის შესახებ აგორებული ტალღა კონკრეტული ადრესატისთვის გამაფრთხილებელ სვლას წარმოადგენს? ამ მხრივ ელიავას ბურუსით მოცული მკვლელობაც კიდევ ერთი, სრულიად განსხვავებული ასპექტით წარმოგვიდგება. კონკრეტულ ადრესატად ამ შემთხვევაში ქვეყნის პრეზიდენტი უნდა ვიგულისხმოთ.

თუ პრეზიდენტი კორუფციასთან ბრძოლის ამ სახიფათო მეთოდზე უარს იტყვის, მაშინ ალტერნატიულ მეთოდზე უნდა გაკეთდეს აქცენტი, რის შესახებაც მინიშნებები უკვე გაისმის, ანუ უნდა გაივლოს სადემარკაციო ხაზი გუშინდელსა და ხვალინდელს შორის, რაც არსებითად ნიშნავს წარსულ უკანონობაზე თვალის დახუჭვას, მომავალში კანონიერი მოღვაწეობის სანაცვლოდ. რამდენად გაამართლებს ეს სისტემა და აღიკვეთება თუ არა ამით კორუფცია, ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ ამ აზრს სერიოზულად განიხილავენ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში. ფაქტობრივად, საქმე სახელმწიფოებრივი დონის გარიგებასთან გვექნება, რის შედეგადაც ხელისუფლებამ უნდა დაარღვიოს კორუფციულ სისტემასთან ტანდემი ისე, რომ სიტუაციაც არ დაძაბოს ქვეყანაში და თავისი თავის რეაბილიტაციაც მოახდინოს. მაგრამ საკითხავი ის არის, დათანხმდება თუ არა ასეთ გარიგებას კორუფციული სისტემა? და თუ არა, რა ბერკეტები აღმოჩნდება პრეზიდენტის ხელში, რომელთა საშუალებითაც იგი აიძულებს სისტემას, დაემორჩილოს შეთავაზებულ ვარიანტს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამგვარი ვითარება მარტო ქართული სინამდვილისათვის არ არის დამახასიათებელი: სულ ახლახან, რუსეთში შედგა პრეზიდენტ პუტინისა და ოლიგარქების შეხვედრა. ამ შეხვედრაზე ოლიგარქები, პრივატიზაციის შედეგების გადაუსინჯველობის სანაცვლოდ, მომავალში გადასახადების სრულად გადახდის პირობას დებდნენ და აქედან გამომდინარე, უარს ამბობდნენ ჩინოვნიკთა ქრთამის საშუალებით „პრივატიზებაზეც“. მიუხედავად იმისა, რომ შეთავაზებულ პირობებზე პუტინს ოფიციალურად თანხმობა არ განუცხადებია, შეხვედრით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა. ოლიგარქთა ამგვარ ნაბიჯს ალბათ იმანაც შეუწყო ხელი, რომ ყველაფერ ამას წინ უსწრებდა რუსეთში საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლა, რის შედეგადაც ჯამური გადასახადი 40%-მდე შემცირდა.

როგორც ეტყობა, პრივატიზაციის შედეგების გადახედვის იდეა ჩვენთანაც გაუჩნდათ. ამაზე ლაპარაკი ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზებისა და საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერალიზაციის პარალელურად დაიწყო. საინტერესოა, რომ მიხეილ ჭკუასელის ფინანსთა მინისტრობის პერიოდში, მისი იდეა იყო ჩრდილოვან ეკონომიკაში არსებული ფულის ლეგალიზაცია, რომელიც წარსული უკანონობის ამნისტირების გზით უნდა მომხდარიყო. სწორედ ამ იდეას შეეწირა მაშინ ახალგაზრდა მინისტრი. ამჟამად კი ამ იდეაზე ლაპარაკი აშკარად მიმდინარეობს. თუმცა, ანტიკორუფციული კომისიის თავმჯდომარე, ლადო ჭანტურია კატეგორიული წინააღმდეგია ამგვარი უკანონობის დაკანონებისა; ხოლო, რაც შეეხება პრივატიზაციის შედეგების გადახედვას, ბატონი ლადო აცხადებს, რომ ქონების ხელახალი გაყიდვა არ მოხდება, თუმცა, უამისოდ კანონიერების აღდგენა შეუძლებელიაო. როგორც ჩანს, ჩატარებული პრივატიზაციის გამოქექვა ძალზე მძიმე შედეგებს მოიტანს და საკმაოდ გავლენიან პირთა ბევრ სკანდალურ საქმესაც ამოატივტივებს. აშკარაა, რომ ჩატარებული პრივატიზაციის საკითხი კორუფციასთან მებრძოლებისთვის აქილევსის ქუსლად გადაიქცევა. ყველა სიახლესთან ერთად, ბოლო ანტიკორუფციულ მოძრაობას საინტერესო მახასიათებელი ახლავს თან — მასში სრულებით უგულებელყოფილია სამართალდამცავ უწყებათა როლი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ მიმართ სრულებით დაკარგულია ნდობა, ან კორუფციის მასშტაბი მათ კომპეტენციასა და შესაძლებლობებს საკმაოდ სცილდება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს კორუფციულ სისტემასთან ხელისუფლების მჭიდრო კავშირს. საინტერესოა, რა ძალას დაეყრდნობა პრეზიდენტი შევარდნაძე, თუ ხელთ სრულყოფილი ანტიკორუფციული პროგრამა ექნება? ყოველ შემთხვევაში, ასეთი ძალა დღესდღეობით არ ჩანს.

***მამუკა გიორგაძე***

# რატომ დაინტერესდა მოსკოვის „სპარტაკი“ ქართველებით?

ვლადიკავკაზის „ალანია“, სამარის „კრილია სოვეტოვი“ და ტერნოპოლის „ნივა“ — ეს ის გუნდები გახლავთ, რომლებიც ბოლო წლებში ქართულ საძმოებად მონათლეს. უკრაინულ „ნივაში“ წელს ცხრა (!) ქართველი თამაშობს. მისმა პრეზიდენტმა (ისიც ქართველია — ავთო მდინარაძე), იცის, რომ იაფად (ზოგჯერ უფასოდაც) ქართველების ყიდვა პრობლემა არ არის. ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, ახლახან „ნივა“ კიევის „დინამოს“ „დაუმეგობრდა“ და ისეთივე პარტნიორული ურთიერთობა დაამყარა, როგორიც „ლაციოსა“ და „ლეჩეს“, „მილანსა“ და „აუდინეზეს“ აქვთ. ასეთ გუნდში ქართველების გადასვლა ურიგო არ უნდა იყოს, მაგრამ თითოეულ თქვენგანს გულს უღრღნის ფიქრი, რომ „დინამო“, „ტორპედო“, თუ სხვა ქართული გუნდები ფეხბურთელებს ამ, არაფრით გამორჩეულ გუნდებს უზრდიან.

მოულოდნელად აღნიშნულ გუნდთა სიას რუსეთის ყველაზე პოპულარული გუნდი, მოსკოვის „სპარტაკი“ შეემატა. გუნდი, რომელიც ჩვენში რატომღაც რუსული შოვინიზმის ერთ-ერთ ცენტრად იყო მონათლული, უცებ ჩვენსკენ წყალობის თვალით იყურება; ამ დროს ისიც ირკვევა, რომ „სპარტაკს“ აინტერესებს არა პოლიტიკა, არამედ კარგი ფეხბურთელები და და ზანგი იქნება, უკრაინელი თუ ქართველი, სიამოვნებით აიყვანს... ის კი არა და, ქართული „ლეგენდის“ შესახებაც სცოდნია — „სპარტაკი“ ქართველებს არ წყალობსო...


ოთარ ხიზანეიშვილი

„დინამოს“ ყოფილი მცველის, ბოლო დროს უკრაინულ „კრივბასში“ განათხოვრებული ოთარ ხიზანეიშვილის „სპარტაკში“ გადასვლამ ამ ეჭვს საფუძვლიანი პასუხი გასცა. მაგრამ, მოსკოვში ქართველთა ლეგიონი კიდევ უფრო გაიზრდება. ამაზე საქართველოს 16 წლამდელთა ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, 35-ე საფეხბურთო სკოლის სპეციალისტი ოთარ შენგელია გვესაუბრება, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა აღნიშნულ ტრანსფერში.

**— „სპარტაკთან“ მისასვლელი გზა ვერც ერთმა ქართველმა ვერ იპოვა. თქვენ როგორ დაუახლოვდით მოსკოველებს?**

— მეგობარი მყავს მოსკოვში, გოგი წერეთელი, რომელიც „სპარტაკის“ ხელმძღვანელობასთან ახლობლობს. მისი დახმარებით „სპარტაკს“ ოთარ ხიზანეიშვილზე ჩამოვუგდე საუბარი. აღმოჩნდა, რომ მოსკოველები თავადაც ინფორმირებულნი ყოფილან ოთარის შესახებ. გასინჯეს და მეორე ვარჯიშის შემდეგ გადაწყდა — ხიზანეიშვილი აუცილებლად უნდა ავიყვანოთო. ძალიან მოეწონათ.

ოთარი 35-ე სკოლაში ცხრა წლის წინ ბაღდათიდან ჩამოვიყვანეთ. მას გოჩა ავსაჯანიშვილი წვრთნიდა. ოთარი ხელმოკლე ოჯახიდან იყო და მატერიალურად ვეხმარებოდით. ამ უნიჭიერესი ბავშვის მოვლა ჩვენი ვალიც გახლდათ, ხომ იცით, გაჭირვებულ ბავშვებს ხშირად გზას ულობავენ, ოთარის დაკარგვა კი საცოდაობა იქნებოდა. 16 წლისა „დინამოში“ მივიყვანეთ. ერთი წლის შემდეგ მამამისმა ბუნდესლიგის გუნდში, „კიოლნში“ წაიყვანა გასასინჯად, მაგრამ იქ ისე „მოინდომა“, რომ ძირითადი შემადგენლობის ორი მოთამაშე ვარჯიშზე დაამტვრია. მწვრთნელი გადაირია და გუნდიდან გამოაგდო. აი, ასეთი კურიოზული შეხვედრა ჰქონდა დიდ ფეხბურთთან.

სხვა რა გზა იყო, დაბრუნდა „დინამოში“ და მალე ბოსკამპმა ნაკრებში მიიწვია. ოთარით ისევ დაინტერესდნენ სხვადასხვა გუნდები. ამას „დინამოს“ კრიზისიც დაემატა. ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა და ფული სჭირდებოდა. ადგა და „დინამოდან“ გაიქცა, როცა სხვა გამოსავალი ვერ იპოვა.

**— ეს უხერხული საქციელი არ იყო? რაც არ უნდა ვთქვათ, ნაკრებში გზა „დინამომ“ გაუხსნა. „დინამოს“ კი „სპარტაკიდან“ ჯერ კაპიკიც არ აუღია.**

— „დინამო“ კომპენსაციას აუცილებლად მიიღებს.

**— რა თანხაზეა საუბარი?**

— რა თანხასაც წარმოგვიდგენენ.

**— როგორი პირადი კონტრაქტი გაუფორმეს?**

— პირდაპირ ვიტყვი — ბრწყინვალე, მაგრამ უფრო კონკრეტული ინფორმაცია საიდუმლოა. საერთოდ, „სპარტაკი“ იცით, რა პრინციპის გუნდია? — კონტრაქტზე მეტად სიტყვასა და წესიერებას აფასებს. ამაში დავრწმუნდი. ამას ფეხბურთელები ამბობენ. ახლა „სპარტაკი“ ხიზანიშვილითაც დაინტერესდა. ჩემი იქ ყოფნისას ზურიკოზე ინფორმაციას ამზადებდნენ. ისიც კი თქვეს, ხიზანეიშვილი და ხიზანიშვილი წყვილში უნდა ვათამაშოთო. მაგრამ, მერე გავიგე, რომ ზურიკოს სხვა აგენტი ჰყოლია და სხვა გზა აირჩია. ფაქტობრივად, ისე გამოვიდა, რომ ოთარმა „სპარტაკში“ ქართველებს გზა გაუხსნა.

**— ამდენი ტრანსფერის შემდეგ თქვენც „სპარტაკელი“ ხომ არ გახდით?**

— ასეა, „სპარტაკის“ წარმომადგენლობა შემომთავაზეს, მაგრამ ამ საკითხზე საბოლოოდ აგვისტოს ბოლოს მოვრიგდებით. იმასაც გეტყვით, რომ „სპარტაკს“ კიდევ ერთი ქართველის ტერნოპოლის „ნივას“ ნახევარმცველის, შოთა ჩომახიძის წაყვანაც სურს.

საერთოდ, ბოლო პერიოდში დსთ-ს საფეხბურთო ბაზრისთვის კიევის „დინამოსა“ და „სპარტაკს“ შორის დიდი ომია. ხიზანეიშვილი კიევსაც აინტერესებდა, მაგრამ იქ უცნაური ამბავი მოხდა. კიეველებისგან ვიცი, რომ გუცაევს ჰკითხეს ოთარის შესახებ. ვოვას კი უთქვამს, ასეთი ბევრი გვყავს საქართველოშიო. კიეველებმაც თავი შეიკავეს მის ჩაყვანაზე.

**— თქვენ გინდათ თქვათ, რომ ტრანსფერი გუცაევმა ჩაშალა?**

— მე ვამბობ იმას, რაც კიეველთა პრეზიდენტთან, სურკისთან დაახლოებულმა პირმა მითხრა... „სპარტაკთან“ ურთიერთობას დავუბრუნდები. მე პირადად შემომთავაზეს, რომ 35-ე სკოლისა და „სპარტაკის“ თანამშრომლობა აგვეწყო. გამომკითხეს ყველაფერი, მწვრთნელთა ხელფასებიდან დაწყებული, სავარჯიშო პირობებით დამთავრებული. თანაც, გაიგეს, რომ ჩვენი სკოლის აღზრდილები არიან არველაძეები, ჯამარაული, თეთრაძე, ყაველაშვილი და ლაპარაკი შეწყდა — ჩვენ მზად ვართ დაგაფინანსოთო. თუმცა, 35-ე სკოლა სახელმწიფო სკოლაა და ამ საკითხს მე ვერ გადავწყვეტ. „სპარტაკის“ მენეჯერმა ხუმრობით მითხრა, — ვატყობ, მალე გუნდს სახელს გადავარქმევთ და საქართველოს ნაკრებს დავარქმევთო.

***ლაშა ნიშნიანიძე***

# ჟინოლა „ასტონ ვილაში“



ახალი სეზონიდან დევიდ ჟინოლა პრემიერლიგის „ასტონ ვილას“ ღირსებას დაიცავს. ბირმინგემის კლუბმა 33 წლის ფორვარდის საფასურად 4,5 მლნ ფუნტი სტერლინგი გადაიხადა. კონტრაქტი სამ წელიწადზეა გათვალისწინებული. „ასტონ ვილას“ გულშემატკივრებმა არცთუ თბილი დახვედრა მოუწყვეს ახალწვეულს. მათ მიაჩნიათ, რომ ამხელა თანხის გადახდა 33 წლის თავდამსხმელში სისულელეა, თავად ჟინოლა კი ცდილობს, ყველა დაარწმუნოს, რომ ბრწყინვალე ფორმაშია და მისი ჩამოწერა ჯერ ნაადრევია. ვნახოთ, როგორ წარიმართება ფრანგის კარიერა ახალ კლუბში. „ტოტენჰემში“ იგი გულშემატკივართა კერპი იყო, ბირმინგემში კი ჯერჯერობით საამისო პირი არ ჩანს.

# კიუელი „ლიდსს“ ორი თვით გამოაკლდება

როგორც ჩანს, „ლიდსს“ ინგლისის ჩემპიონატის პირველი თორმეტი მატჩის ჩატარება თავისი საუკეთესო მოთამაშის გარი კიუელის გარეშე მოუწევს. შვედეთში „ლიდსის“ საწვრთნელი ტურნეს დროს კიუელმა მცირე ტრავმა მიიღო და ექიმებმა გადაწყვიტეს, რომ ავსტრალიელისთვის უმჯობესია, უახლოესი დროს მანძილზე ვარჯიშისგან თავი შეიკავოს. ახლა კიუელი სპეციალური პროგრამით ემზადება და ალბათ ვერ მოასწრებს პრემიერლიგის პირველი მატჩებისათვის ძალების აღდგენას. შემდეგ მას ავსტრალიაში, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე უწევს გამგზავრება, რომელიც ოქტომბრამდე გაგრძელდება. რადგან ოლიმპიადა კიუელის სამშობლოში იმართება, „ლიდსი“ ხვდება, რომ ფეხბურთელს ვერ დააკავებს და „არსენალის“ და „ჩელსისგან“ განსხვავებით, ფიფასთან კონფლიქტს ერიდება.

სხვათა შორის, კიუელთან ერთად სიდნეიში მისი თანაკლუბელი, თავდამსხმელი მარკ ვიდუკაც გაემგზავრება, რომელიც ოლიმპიადაზე ასევე ავსტრალიის ნაკრების შემადგენლობაში იასპარეზებს.

# ბოსნიჩი მანჩესტერში რჩება

ავსტრალიის ნაკრების მეკარემ მარკ ბოსნიჩმა გადაწყვიტა, უარი ეთქვა შოტლანდიური „სელტიკის“ წინადადებაზე, რომელსაც ერთი წლით, იჯარის წესით სურდა მისი გადაყვანა. „მანჩესტერ იუნაიტედი“ მზად იყო, შოტლანდიაში გაეშვა მარკ ბოსნიჩი და ალექს ფერგიუსონმაც დაუფარავად განაცხადა, რომ მის გუნდში ავსტრალიელს მხოლოდ ფრანგი ფაბიენ ბარტეზის დუბლიორობის იმედი უნდა ჰქონოდა. მაგრამ ბოსნიჩმა, რომელმაც მოსაფიქრებლად ერთი კვირა ითხოვა, მაინც ინგლისში დარჩენა და კლუბის ძირითადი მეკარის პოსტის მოსაპოვებლად ბარტეზთან პაექრობა გადაწყვიტა. ყოველ შემთხვევაში, ბოსნიჩს სჯერა, რომ იგი მსოფლიო ჩემპიონთა მეკარეს ინგლისის ჩემპიონთა ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდებს.

# ჩემპიონთა ლიგა

## მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე მატჩები

პირველ წრეში იუგოსლავიის ჩემპიონ „ცრვენა ზვეზდასთან“ სამარცხვინო წაგების შემდეგ ქუთაისის „ტორპედოს“ ბევრი მეორე მატჩშიც თავლაფის დასხმას უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოდ, ასე არ მოხდა. ცხადია, ოთხბურთიანი სხვაობის „ამოქაჩვა“ წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ქუთათურებმა მატჩი მოიგეს, თანაც საკმაოდ დამაჯერებელი ანგარიშით — 2:0, გულშემატკივრებსაც გამოუკეთეს გუნება და ჟურნალისტებსა და მეტოქეებსაც მოუსპეს საქილიკო. ორივე ტაიმის ბოლოს თითო გოლი გაიტანა „ტორპედომ“ და ჩემპიონთა ლიგის კარი გაიჯახუნა.

ახლა ქართული ფეხბურთი თბილისური გუნდების — „ლოკომოტივისა“ და „ვიტ-ჯორჯიას“ იმედადღა დარჩა. როგორც იცით, ისინი 10 აგვისტოს ჩაებმებიან უეფას თასის გათამაშებაში. რკინიგზელები პირველ მატჩს ბრატისლავაში გამართავენ სლოვაკურ „სლოვანთან“, ხოლო ვეტერინარები ისრაელის „ბეითარს“ უმასპინძლებენ. ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებში ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს კიდევ ერთი წყვილი — „სლავია“ - „შამქირი“ იწვევდა. აზერბაიჯანის ჩემპიონის უდავო ლიდერი ხომ საქართველოს აწ უკვე ყოფილი მოქალაქე ბადრი კვარაცხელიაა, რომლის გოლებითაც დაამარცხა მისმა გუნდმა პირველ წრეში ასევე „ქართული“ გუნდი — რიგის „სკონტო“. აზერბაიჯანელები ჩეხეთის ჩემპიონებთან პირველი მატჩის შემდეგაც ინარჩუნებდნენ მესამე ეტაპზე გაღწევის რეალურ შანსს, ისინი ხომ მხოლოდ მინიმალური ანგარიშით (0:1) დამარცხდნენ. მაგრამ მეორე მატჩში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა — გამოცდილმა ჩეხურმა გუნდმა მიწასთან გაასწორა ჩვენი მეზობლები — 4:1. თუმცა, ბადრი კვარაცხელიამ თავისი „ტრადიციული“ გოლის გარეშე მაინც არ დატოვა მოედანი.

### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის სხვა მატჩები ასეთი შედეგებით დასრულდა:

„ჟალგირისი“ (ლიტვა) 0:0 *„რეინჯერსი“ (შოტლანდია)* (პირველი მატჩი 1:4)

„ლევადია“ (ესტონეთი) 1:5 *„შახტიორი“ (უკრაინა)* (1:4)

„ლევსკი“ (ბულგარეთი) 1:1 *„ბეშიქთაში“ (თურქეთი)* (0:1)

„რეიკიავიკი“ (ისლანდია) 0:0 *„ბრონდბიუ“ (დანია)* (1:3)

*„ინტერი“ (სლოვაკეთი)* 1:0 (დ.დ. 0:0) „ჰაკა“ (ფინეთი) (0:0)

„ბატე“ (ბელორუსი) 0:3 *„ჰელსინგბორგი“ (შვედეთი)* (0:0)

„ჰაპოელი“ (ისრაელი) 1:2 *„შტურმი“ (ავსტრია)* (0:3)

*„პოლონია“ (პოლონეთი)* 3:1 „დინამო“ (რუმინეთი) (4:3)

„მარიბორი“ (სლოვენია) 1:0 *„ზიმბრუ“ (მოლდოვა)* (0:2)

„ანართოსისი“ (კვიპროსი) 0:0 *„ანდერლეხტი“ (ბელგია)* (2:4)

*„დუნაფერი“ (უნგრეთი)* 2:2 „ჰაიდუკი“ (ხორვატია) (2:0)

*„რუსენბორგი“ (ნორვეგია)* 1:1 „შელბურნი“ (ირლანდია) (3:1)

*(დახრილი შრიფტით გამოყოფილია შემდეგ ეტაპზე გასული გუნდები).*

**პარასკევს უეფას შტაბ-ბინაში ჩატარდა მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა. ამ წყვილებს შორის გამარჯვებულები ევროფეხბურთის „გრანდებთან“ ერთად გაერთიანდებიან ჩემპიონთა ლიგის ქვეჯგუფებში:**

„ბეშიქთაში“ (თურქეთი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი, რუსეთი)

„ტიროლი“ (ავსტრია) — „ვალენსია“ (ესპანეთი)

„ზიმბრუ“ — „სპარტა“ (ჩეხეთი)

„ბრონდბიუ“ — „ჰამბურგი“ (გერმანია)

„ინტერი“ (იტალია) — „ჰელსინგბორგი“

„ინტერი“ (სლოვაკეთი) — „ლიონი“ (საფრანგეთი)

„ანდერლეხტი“ — „პორტუ“ (პორტუგალია)

„ჰერფოლგე“ (დანია) — „რეინჯერსი“

„დინამო“ (უკრაინა) — „ცრვენა ზვეზდა“

„პოლონია“ — „პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი)

„ლიდსი“ (ინგლისი) — „მიუნხენ 1860“ (გერმანია)

„შტურმი“ — „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია)

„დუნაფერი“ — „რუსენბორგი“

„სენტ გალენი“ (შვეიცარია) — „გალათასარაი“ (თურქეთი)

„მილანი“ (იტალია) — „დინამო“ (ხორვატია)

„შახტიორი“ — „სლავია“

**პირველი თამაშები 8 და 9 აგვისტოს გაიმართება, პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე. საპასუხო კი — 22 და 23 აგვისტოს.**

# ქეცბაიამ „ნიუკასლი“ დატოვა



როგორც იქნა, საშველი დაადგა თემურ ქეცბაიას კლუბის გამოცვლას. მოგეხსენებათ, „ნიუკასლის“ მწვრთნელი ბობი რობსონი არცთუ ხშირად ენდობოდა თემურს, რის გამოც ქართველ ფორვარდს უმეტესად სათადარიგო სკამზე უწევდა ჯდომა. სამიოდე კვირის წინ რობსონმა საბოლოოდ გადაწყვიტა ქეცბაიას გაყიდვა. საუბარი პრემიერლიგის რამდენიმე გუნდზე იყო. თუმცა საბოლოოდ ქართველი თავმდამსხმელი ინგლისის პირველ დივიზიონში აღმოჩნდა. ქეცბაიამ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა პირველი დივიზიონის კლუბ „ვულვერჰემპტონთან“. სატრანსფერო თანხამ 900.000 გირვანქა შეადგინა. ამრიგად, პრემიერლიგის ქართულ ტრიოს ერთი წევრი მოაკლდა, თუმცა თავად ქეცბაიას იმედი აქვს, რომ „ვულვერჰემპტონი“ გაისად უძლიერესთა ლიგაში იასპარეზებს და ამ მიზნის მიღწევაში თავადაც დაეხმარება ახალ კლუბს.

# „არსენალი“ ნედვედს „უმიზნებს“

არაოფიციალური, მაგრამ, სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ ლონდონის „არსენალი“ ჩეხეთის ნაკრების ნახევარმცველის — პაველ ნედვედის ყიდვას გეგმავს. ამჟამად ნედვედი იტალიის ჩემპიონ „ლაციოს“ შემადგენლობაში ირიცხება, რომელიც ნახევარი არგენტინის ნაკრების ყიდვის შემდეგ აშკარად განიცდის ვარსკვლავთა სიჭარბეს. „არსენალს“ კი პირიქით — ემანუელ პეტისა და მარკ ოვერმარსის „ბარსელონასთვის“ მიყიდვის შემდეგ ძალიან სჭირდება ძლიერი ნახევარმცველები. როგორც ამბობენ, „ლაციო“ და „არსენალი“ უკვე შეთანხმდნენ სატანსფერო თანხაზე — 15 მილიონ გირვანქა სტერლინგზე და ინგლისელთა წარმომადგენლები ახლა უშუალოდ ნედვედთან აწარმოებენ მოლაპარაკებას ხელფასის თაობაზე.

# „ქოვენთრის“ გულშემატკივართა პრობლემები

ირლანდიელი რობი კინის ინგლისური „ქოვენთრიდან“ მილანის „ინტერში“ გადასვლამ საყოველთაო აჟიოტაჟი გამოიწვია. სენსაციური ტრანსფერი იტალიელებს 6 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდათ.

როგორც აღმოჩნდა, ინგლისური გუნდის გულშემატკივრებს, გარდა იმისა, რომ კინს თავისი გუნდისთვის აუცილებელ ფეხბურთელად თვლიდნენ, კიდევ ერთი პრობლემა გასჩენიათ: საქმე ისაა, რომ საფეხბურთო ატრიბუტიკით მოვაჭრე მაღაზიებს უკვე ათასი მაისური გაუყიდიათ, რომლებზეც №10 და კინის გვარი ეწერა. გულშემატკივრებმა ახლა ამ მაისურების უკან დაბრუნება მოსთხოვეს მოვაჭრეებს. მათაც სხვა რა გზა ჰქონდათ — მაისურები დაიბრუნეს და ახლა 50%-იანი ფასდაკლებით ჰყიდიან. „ქოვენთრის“ ახლადგამომცხვარმა კაპიტანმა, მაროკოელმა მუსტაფა ჰაჯიმ კი განაცხადა, რომ რადგან 10 ნომრიანი მაისური გათავისუფლდა, თავისი №11 „ამუნიციის“ გადაცვლა სურს მასში. აქაც იგივე პრობლემა გაჩნდა — 400 გულშემატკივარს ჰქონია ნაყიდი მაისური №11, წარწერით „ჰაჯი“. თუმცა ეს საკითხი მაროკოელმა უფრო იოლად გადაწყვიტა — მან თავის თავზე აიღო გულშემატკივრებისათვის იმ თერთმეტი ათასი გირვანქა სტერლინგის გადახდა, რომელიც მათ მაისურებში დახარჯეს.

# საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

**შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).**

**წინა ამოცანის ამოხსნა: 1. b7-b8მ!**

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მატს ორ სვლაში.



## რივალდო ახალ რეკორდს ამყარებს



ლუიშ ფიგუს ხმაურიანმა ტრანსფერმა ერთგვარად ჩრდილში მოაქცია 1999 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი რივალდო. ჯერ იყო და, თითქმის გადაწყვეტილად ჩათვალეს, რომ იგი „ბარსელონადან" „ლაციოში" უნდა გადასულიყო, სატრანსფერო თანხაც კი დაასახელეს — 50 მლნ დოლარი, შემდეგ „მილანზე" ალაპარაკდნენ. სილვიო ბერლუსკონიმ ოფიციალურად განაცხადა, — რივალდოს საფასურად 45 მილიონს გავიღებო და „ბარსას" ახალ არჩეული პრეზიდენტი ხუან გასპარიც თითქოს წამოეგო ანკესს. მაგრამ გარიგება კვლავ ჩაიშალა. კატალონიელ ფანებს ჯერ ფიგუს დაკარგვა არ ჰქონდათ მონელებული და რივალდოსა და „ბარსელონას" გაყრა გასპარისთვის შესაძლოა საბედისწერო აღმოჩენილიყო. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ბრაზილიელი უახლოეს სამ წელიწადსაც კატალონიის დედაქალაქში გაატარებს. თუმცა ერთი უმნიშვნელოვანესი რამ მაინც მოხდა: ამიერიდან მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი პლანეტის ყველაზე მაღალანაზღაურებად მოთამაშედაც იქცა. ხელფასის სახით რივალდო წელიწადში 6 მილიონ დოლარს მიიღებს. ბრაზილიელი თითქმის ერთი წლის განმავლობაში ითხოვდა ხელფასის მომატებას. კლუბის ძველი პრეზიდენტი ხოსეპ ნუნიესი კი დაჟინებით იმეორებდა — ამაზე კონტრაქტის დამთავრების შემდეგ ვისაუბროთო — ხუან გასპარი უფრო გულუხვი აღმოჩნდა და უმალ დასთანხმდა რივალდოს ულტიმატუმს ექვსმილიონიანი ხელფასის შესახებ.

გასულ ხუთშაბათს რივალდო თანაგუნდელებს შეუერთდა, რომლებიც დამდეგი სეზონისათვის ჰოლანდიის პატარა ქალაქ ჰენდერლოში ემზადებიან. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა კმაყოფილება გამოთქვა „ბარსელონასთან" კონფლიქტის მოგვარების გამო და აღნიშნა, რომ იმედი აქვს, „ბარსა" წელს მაინც მოიპოვებს ესპანეთის ჩემპიონობას და ღირსეულად იასპარეზებს ჩემპიონთა ლიგაში.

## მარადონა – ყველაზე შემოსავლიანი... მწერალი

ლეგენდარული დიეგო არმანდო მარადონა ყველაზე მაღალანაზღაურებად... მწერლად იქცა არგენტინის ისტორიაში. ოქტომბრის დასაწყისში გაყიდვაში გამოვა ფეხბურთელის ავტობიოგრაფიული წიგნი — „მე — დიეგო". „დიდი არგენტინელი" ჰონორარის სახით მილიონ დოლარს მიიღებს.



წიგნის გამოცემის იდეა მარადონას ჰავანაში, სარეაბილიტაციო ცენტრში მოუვიდა, სადაც 6 თვეზე მეტია ნარკომანიისაგან მკურნალობს. დიეგომ ერთ დროს დადებული ფიცი — „ჟურნალისტებთან ურთიერთობას აღარასოდეს დავამყარებო" გატეხა და დასახმარებლად ორ არგენტინელ ავტორს — ერნესტო ბიალოს და დანიელ არკუჩის უხმო.

არგენტინულმა ტრიომ თავად მარადონას მეთაურობით ბევრი იშრომა და 320 გვერდიანი ნაშრომი შექმნა. მსოფლიოს არც ერთ სპორტსმენს არ დაუწერია ამხელა ავტობიოგრაფია. 2 ოქტომბერს წიგნი ერთდროულად გამოჩნდება არგენტინის, კოლუმბიის, მექსიკისა და ესპანეთის მაღაზიებში, ცოტა მოგვიანებით კი მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის გულშემატკივარი შეძლებს გაეცნოს ლეგენდარული ფეხბურთელის ავტობიოგრაფიას. ავტორები ამტკიცებენ, რომ წიგნი „ერთი ამოსუნთქვით" იკითხება და გამოსვლისთანავე ბესტსელერად იქცევა მთელ მსოფლიოში, რასაკვირველია, არა ლიტერატურული ღირებულების გამო — ჯერ ერთი, მარადონას პოპულარობა მთელ მსოფლიოში განუსაზღვრელია და მეორეც: ავტორი არაფერს მალავს, დაწვრილებით იხსენებს ყველა პიკანტურ ისტორიას, რომლებმაც მარადონა პლანეტის ყველა დროის ყველაზე სკანდალურ სპორტსმენად აქცია, არც ნარკოტიკებისადმი ტრფობას უარყოფს და არც ცნობილ პოლიტიკოსებთან ურთიერთობას. როდესაც დიეგოს ჰკითხეს — გამოიგონა თუ არა რაიმე ამბავი წიგნის ტირაჟის ასაწევად — მარადონამ შვილები დაიფიცა და განაცხადა, — ჩემს ნაშრომში არც ერთი სიტყვა არ არის მოგონილიო.

## «ბაიერნის» პრიზი «ბაიერნს»

მიუნხენში შაბათს დასრულდა ოთხთა ტურნირი, რომელიც „ბაიერნის" დაარსებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა. მასპინძლების — „ბაიერნის" გარდა გერმანულ ტურნირში მონაწილეობა მიიღეს ჩემპიონთა თასის ახლანდელმა და შარშანდელმა მფლობელებმა — შესაბამისად მადრიდის „რეალმა" და „მანჩესტერ იუნაიტედმა", აგრეთვე უეფას თასის გათამაშების გამარჯვებულმა თურქულმა „გალათასარაიმ". პირველ ნახევარფინალში „ბაიერნმა" საკმაოდ იოლად სძლია „გალათასარაის" — 3:1. ის ერთადერთი გოლიც თურქებმა თამაშის მიწურულს გაიტანეს ჰაჯის სოლო რეიდის შედეგად. მეორე ნახევარფინალი უფრო საინტერესო იყო. „მანჩესტერმა" სოლსკიაერის მიერ ბოლო წუთზე გატანილი გოლის წყალობით 1:0 მოუგო ლუიშ ფიგუს გარეშე მოთამაშე მადრიდის „რეალს". მესამე ადგილისათვის მატჩი „სამეფო კლუბმა" „გალას" 3:2 მოუგო. ფინალში კი „ბაიერნმა" იმავე ანგარიშით იმარჯვა, როგორითაც „გალათასარაისთან". მიუნხენელთაგან გოლები შოლმა და ციკლერმა (2) გაიტანეს. პრესტიჟის გოლი კი დუაიტ იორკის ანგარიშზეა. „ბაიერნის" დღეობისათვის დაწესებული პრიზი ამავე კლუბმა მოიგო.

## მზადდება საფეხბურთო ხულიგანთა "შავი სია„

ჰოლანდიისა და ბელგიის მთავრობამ გადაწყვიტა შეადგინოს ევროპელ საფეხბურთო ხულიგანთა „შავი სია", რათა ამ სიის წევრები არ იქნან დაშვებული საფეხბურთო მატჩებზე, პოლიციამ კი განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს. პროექტი მიიღეს და მოიწონეს ისეთი საფეხბურთო ქვეყნების პოლიტიკოსებმა, როგორებიც ინგლისი და გერმანიაა.



ჩამსხვრეული ვიტრინები, დამწვარი ავტომობილები, შეიარაღებული თუ შეუიარაღებელი შეტაკებები პოლიციასთან, დაჭრილები და დაღუპულებიც კი... სამწუხაროდ, ასეთია დღევანდელი რეალობა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემოქმედნი კი ვაიგულშემატკივრები არიან. ჰოლანდიის იუსტიციის მინისტრმა მოუწოდა ევროსაბჭოს ქვეყნებს შეადგინონ ე.წ. „შავი სია". ხულიგნობით გამორჩეულ გულშემატკივრებს აეკრძალებათ იმ ქვეყნებში მოგზაურობა, სადაც ესა თუ ის ტურნირი ტარდება. სავარაუდოა, რომ ამ სიაში ათასობით ადამიანი მოხვდება, მათგან დიდი უმრავლესობა კი ინგლისელი, გერმანელი და ჰოლანდიელი იქნება.

## რობერტო ბაჯო "ბარსელონაში"?



რობერტო ბაჯო ორი წელი ვერ ხვდებოდა მილანის „ინტერის" ძირითად შემადგენლობაში, ამიტომ კლუბის დატოვება კარგა ხანია გადაწყვეტილი აქვს. უკანასკნელი ათწლეულის ერთ-ერთი საუკეთესო იტალიელი ფეხბურთელი ერთხანს სერია „A"-ში აღზევებულ „ნაპოლიში" აპირებდა გადასვლას.

თუმცა უკანასკნელ ხანს დაირხა ხმები, რომ ბაჯოს „ბარსელონა" ეპატიჟება, რომელიც ლუიშ ფიგუს ღირსეულ შემცვლელს ეძებს. ფეხბურთელის აგენტმა არ უარყო ეს ხმები და დაამატა, რომ ბაჯოს „ბარსელონას" გარდა, ესპანეთის ჩემპიონი „დეპორტივოც" იწვევს და იტალიური „უდინეზეც". რომელ კლუბს აირჩევს ვეტერანი ფეხბურთელი, უახლოეს ათ დღეში გაირკვევა. შეგახსენებთ, რომ რობერტო ბაჯოს დებიუტი „სერია A"-ში ფლორენციის „ფიორენტინაში" შედგა, ყველაზე დიდ წარმატებას „იუვენტუსში" მიაღწია, რის შემდეგაც მილანის ორივე კლუბში — „მილანსა" და „ინტერში" მოსინჯა ძალები, „მილანიდან" „ინტერში" გადასვლამდე კი ერთი სეზონი „ბოლონიაში" გაატარა.

## მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატი ესპანეთში გაიმართება

მსოფლიოს მეორე ჩემპიონატი კლუბებს შორის 2001 წლის 1-დან 12 აგვისტომდე ჩატარდება ესპანეთში. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ფიფამ ციურიხში გამართულ კონგრესზე. მოგეხსენებათ, ეს ტურნირი პირველად შარშან გაიმართა ბრაზილიაში და იქაური „კორინთიანსის" გამარჯვებით დასრულდა. მეორე ჩემპიონატში მონაწილეთა რაოდენობა გაიზრდება. მსოფლიოს 12 კლუბი შეეცდება პლანეტის უძლიერესი გუნდის სახელის მოპოვებას — მათგან 2 ესპანეთს წარმოადგენს. კონგრესზე გარკვევით ითქვა ისიც, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ნამდვილად გერმანიაში გაიმართება და სამხრეთ აფრიკის პროტესტი არ განიხილება, ამის შესახებ ოფიციალურად განაცხადა ფიფას გენერალურმა მდივანმა ზეპ ბლატერმა.

## პორტუგალიას ახალი მწვრთნელი ჰყავს.

მას შემდეგ, რაც პორტუგალიის ნაკრები ევრო 2000-ზე ნახევარფინალში დამარცხდა ფრანგებთან, გუნდის მთავარი მწვრთნელი უმბერტო კოელიუ თანამდებობიდან გადადგა. გასულ კვირას პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციამ ამ პოსტზე ახალი კანდიდატურა დაამტკიცა. ეს გახლავთ ცნობილი ანტონიო ოლივეირა, რომლის ხელმძღვანელობითაც „პორტუმ" ორჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული.

## სპორტული სამყარო ოლიმპიადის მოლოდინშია

სიდნეის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე დაახლოებით ერთი თვე დარჩა. ავსტრალიელები გამალებით ემზადებიან მსოფლიოს საუკეთესო ათლეტთა მისაღებად. „მწვანე კონტინენტზე" ოლიმპიადისათვის მილიონობით დოლარი დაიხარჯა. აგებულია და სპორტსმენთა მისაღებად მზად არის ათობით სპეციალურად აგებული სპორტული კომპლექსი, ველოტრეკი, საცურაო აუზები.

დამდეგი ოლიმპიური თამაშები ტელემაყურებელთა რეკორდულ რაოდენობას მოუყრის თავს. სპეციალისტთა გაანგარიშებით ოლიმპიადას მსოფლიოს ყველა კონტინენტის 3,7 მილიარდი ტელემაყურებელი ადევნებს თვალს. გაირკვა ისიც, რომ ყველაზე დიდ ინტერესს ამ სანახაობის მიმართ იაპონელები იჩენენ. ქვეყნის მოსახლეობის 88% მოუთმენლად ელის შეჯიბრებების დაწყებას, იგივე შეიძლება ითქვას ირლანდიელებზე, სამხრეთ კორეელებზე, ფინელებსა და ლატვიელებზე. რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს, თავად ავსტრალიელები ოლიმპიადის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს არ იჩენენ და ზოგიერთმა არც კი იცის, რომ „მწვანე კონტინენტი" მსოფლიოს უპირველეს სპორტულ დღესასწაულს მასპინძლობს. ტელერეპორტაჟების გაყიდვიდან შემოსული თანხა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს დაახლოებით 1,3 მილიარდი დოლარით გაამდიდრებს. მხოლოდ აშშ-ში 442 საათის განმავლობაში გადაიცემა სიდნეიში მომხდარი მოვლენები, მაშინ, როდესაც ამერიკელებმა ატლანტის ოლიმპიადას მხოლოდ 169 საათი უყურეს.

ოლიმპიადის მომსახურე პერსონალის ეკიპირება უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონათ, ბევრად უფრო რთული, ვიდრე ავსტრალიელ ჯარისკაცთა შემოსვა მეორე მსოფლიო ომის დროს. დაახლოებით მილიონი ერთეული ტანსაცმელი განაწილდება მომსახურე პერსონალზე. მათგან 400. 000 მაისურია, 90. 000 მოსასხამი, 258. 000 შარვალი და 242. 000 წინდა.

მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიადის ორგანიზატორები ყოველ ღონეს ხმარობენ დოპინგის წინააღმდეგ საბრძოლველად,



სპორტსმენები და მათი მესვეურები მაინც ეცდებიან აკრძალული პრეპარატების გამოყენებას. ავსტრალიის ქალაქ ელის-სპრინგსის ცენტრალური ჰოსპიტლიდან მოპარულია დაახლოებით 1000 ნემსი, რომელთა შესაძენადაც, შესაძლოა, სპორტსმენებმა და მათმა ხელმძღვანელებმა მილიონები არ დაიშურონ. ამ საქმის გამომძიებლებმა ჟურნალისტებს აუწყეს, რომ მოპარული წამალი შეიცავს ერიტროპოეტინსა და სტეროიდებს. აღნიშნული წამალი მკვეთრად ააქტიურებს ადამიანის ორგანიზმს და მიუხედავად იმისა, რომ ლეგალურად გამოიყენება მედიცინაში და მხოლოდ დანიშნულებისამებრ გაიცემა, სასტიკად იკრძალება სპორტსმენებისათვის და შეტანილია აკრძალულ სტიმულატორთა სიაში. საქმე ის გახლავთ, რომ აღნიშნულ წამალზე არ რეაგირებს ჩვეულებრივი დოპინგ-კონტროლი. ოლიმპიადის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე მედიკოსები ცდილობენ რაიმე მეთოდით დააფიქსირონ არის თუ არა სპორტსმენის სისხლში ზემოთ აღნიშნული პრეპარატები.

# ჭრელ-ჭრელი ამბები



— 50-60-იანი წლების სექს-სიმბოლო **ბრიჟიტ ბარდო** დიდი ხნის შესვენების შემდეგ კვლავ გამოჩნდება კინოეკრანებზე, თანაც მისი პარტნიორი სსრკ ყოფილი პრეზიდენტი მიხაილ გორბაჩოვი იქნება.

ნაკლებად ცნობილმა რეჟისორმა ფრანკ ტარკიშმა განაცხადა, რომ სწორედ მან დაითანხმა სუპერვარსკვლავი სიკვდილის ბანაკ ოსვენციმზე გადაღებულ ფილმში სათამაშოდ. მიხაილ გორბაჩოვიც დააინტერესა საბჭოთა გენერლის როლმა.

ფრანგმა კინოვარსკვლავმა ეკრანი 1973 წელს დატოვა, მაშინ, როცა მიხვდა, რომ ძველებურად პოპულარული აღარ იყო. მას შემდეგ უამრავ წინადადებაზე თქვა უარი. ამიტომ ახლა ყველას უკვირს, რომ ფრანკ ტარკიშს დათანხმდა. თუმცა ბარდო მას ჯერ კიდევ იმ დროიდან იცნობს, როცა ფილმში „ბაბეტა მიდის ომში“ მთავარი როლი ითამაშა.

ბარდოსა და გორბაჩოვის გარდა, ფილმში ჩეხეთის პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველიც ითამაშებს. მისმა ადმინისტრაციამ უკვე თანხმობა განაცხადა. გადაღებები გაისად დაიწყება იმ ადგილებში, სადაც ნაცისტური ბანაკები ჰქონდათ გერმანელებს.

— ევროპელ მონარქთა საზოგადოებაში ცხელ-ცხელი ამბავია. რამდენიმე ხნის წინ გაზეთმა „Sandai- Exspres“-მა გამოაქვეყნა ცნობა, რომ ინგლისის დედოფალმა პირველობა თავის ჰოლანდიელ კოლეგას — დედოფალ ბეატრიქსს დაუთმო. **ბეატრიქსმა 2,09 მილიარდი ფუნტი დააგროვა**, ხოლო ელისაბედ -ს მხოლოდ 1,9 მილიარდი აქვს. ბეატრიქსი ერთადერთი დედოფალია ევროპაში, რომელიც თავისუფალია გადასახადებისაგან. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ელემენტარულ კაპიტალდაბანდებას ჰოლანდიელი მონარქისათვის კოლოსალური მოგება მოაქვს.

— **ბასტილიის** აღების დღე ფრანგების ეროვნული დღესასწაულია. წელს ამ დღეს საჭმლის ფესტივალიც დაამთხვიეს. ოთხ მილიონზე მეტი ადამიანი მიუჯდა პარიზიდან ესპანეთის საზღვრამდე გაშლილ სუფრას და პიკნიკზე ტრადიციული, ფრანგული დელიკატესები — მაგუეტი, ღვინო და ძროხის შემწვარი ხორცი მიირთვა.

— უფის ავიაციის უნივერსიტეტის ინჟინრებმა დაამზადეს გაზის ამორტიზატორებიანი, **სწრაფმავალი ფეხსაცმელები**. ქალაქის მთავარ პარკში ჩატარებულმა გამოცდამ ფანტასტიკური შედეგი უჩვენა. 12 დიუმის ფეხსაცმელებით, რომლებიც წვივებზე მაგრდება, შესაძლებელია დიდი სიჩქარის განვითარება. მორბენალმა, რომელმაც გამოცდაში მიიღო მონაწილეობა, საათში 25 მილი სიჩქარე განავითარა. ფეხსაცმლის გამომგონებელთა ჯგუფის თავკაცის ბორის რუდოის თქმით, — იგი შეიძლება გამოიყენოს ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანმა, გამოდგება დამნაშავეთა გამოსადევნებლად. თუმცა ალბათ გამოჩნდება ისეთიც, ვინც 700 დოლარად (ესაა ერთი წყვილის ფასი) გასართობად იყიდის „გაზის ფეხსაცმელებს“.

— ნიუ-იორკის პლასტიკური თერაპიის ცენტრის ექიმი, დოქტორი დერიკ ანტელი აცხადებს, რომ ახალ ხუთ და ათდოლარიან ბანკნოტებზე გამოსახულმა ლინკოლნმა და ჰამილტონმა სერიოზული **პლასტიკური ჩარევა** განიცადეს. მან დაიანგარიშა, თუ რა დაჯდებოდა ასეთი სახის ოპერაციები და შედეგები გამოაქვეყნა, რომელთა მიხედვითაც ძველ ბანკნოტებზე გამოსახულ ლინკოლნთან შედარებით „ახალს“ — წარბთაშუა ნაოჭის, თვალის ჭრილის, თმის გადანერგვის და ცხვირის კორექციის პლასტიკური ოპერაცია „ჩაუტარდა“, რაც უბრალო მოკვდავს ნიუ-იორკის პლასტიკური თერაპიის ცენტრში 14.100 დოლარი დაუჯდებოდა. „ახალ“ ჰამილტონს კი, წარბთაშორისი ნაოჭის, ღაბაბის, სახის კანის გადაჭიმვის, თმის გადანერგვის, ტუჩების დათხელების და თვალის უპის ნაოჭების კორექციის პლასტიკური ოპერაცია ჩაუტარდა, რაც უბრალო მოკვდავს „სულ“ 28.600 დოლარი დაუჯდებოდა.



— **კრისტინა აგილერამ** მიატოვა ენრიკე იგლესიასი ქორეოგრაფ ხორხე სანტოსონის გულისთვის. ხორხე, — უთხრა კრისტინამ ჟურნალისტებს, — იუმორის გრძნობით არის დაჯილდოებული, ენრიკე კი ძალიან ერთფეროვანი და მოსაწყენი პიროვნებაა. მასთან შეიძლება მხოლოდ მუსიკასა და ჭინჭებზე ისაუბრო.

— დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ათ წელზე მეტხანს ელოდა სახელგანთქმული მომღერალი და მექალთანე **ხულიო იგლესიასი** მირანდა რინსბრგერისგან თანხმობას ცოლობაზე. ჯიუტი მანდილოსანი გადაჭრით უარობდა, მაგრამ ამ რამდენიმე ხნის წინ დაჰყვა ვარსკვლავის დაჟინებულ ნებას. ქორწილი ამა წლის 19 დეკემბერს გაიმართება მაიამიში.

— პაპარაცებმა **ელისაბედ პერლის** და მისი ბოლო ფილმის რეჟისორს, ლაუტერს ნიუ-იორკის ერთ-ერთ ქუჩაში კოცნისას ჩაავლეს. როცა ელისაბედს ჰკითხეს, მათი ურთიერთობების შესახებ, ქალმა წარბშეუხრელად განაცხადა, ჩვენ მხოლოდ სამსახური გვაკავშირებსო.

— კომპოზიტორმა **რეზე ელისონდომ** აღძრა ჯანეტ ჯექსონთან განქორწინების საქმე. მაგრამ კომპოზიტორი ვერ მოიგებს პროცესს, ვინაიდან მისმა ყოფილმა მეორე ნახევარმა მოახერხა საბუთების შოვნა, რომ ის არასოდეს ყოფილა ელისონდოს მეუღლე.

— **ჯოდი ფოსტერმა** თავისი პრესმდივნის საშუალებით შეატყობინა მასმედიის წარმომადგენლებს, რომ ჯერჯერობით, არ არის ფეხმძიმედ, ვინაიდან ვერ „იშოვა შესაფერისი მწარმოებელი“.

— **ანჯელინა ჯოლი** მექსიკაშია, სადაც ანტონიო ბანდერასთან ერთად მთავარ როლს თამაშობს ფილმში „ცეკვა სიბნელეში“. ისინი შეყვარებულებს განასახიერებენ და ისე შევიდნენ როლში, რომ ერთმანეთს სამუშაო საათების შემდეგაც ესიყვარულებიან. ეს რომ მელანი გრიფიტმა შეიტყო, თვალისდახამხამებაში გაჩნდა მექსიკაში და ისეთი სკანდალი მოუწყო „გვრიტებს“, რომ საშვილიშვილოდ დაამახსოვრდებათ.

— ჩვენი მერკანტილური დროებისთვის მეტად გასაოცარი ნაბიჯის გადადგმას აპირებს ჰოლივუდის ვარსკვლავი **დრიუ ბერიმორი**. მსახიობმა განაცხადა, რომ ცოლად მიჰყვება ვიჯეი ტომ გრინს. ერთი შეხედვით გასაოცარი არაფერია, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ტომი კიბოთია დაავადებული და ამის შესახებ რამდენიმე ხნის წინ საქვეყნოდ განაცხადა. ავადმყოფობამ, ეტყობა, ოდნავადაც ვერ შეაშინა ვარსკვლავი. წინა ქორწინებისგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ სამი თვე გაგრძელდა, მსახიობის აზრით, მისი მომავალი ქორწინება მყარი და მტკიცე იქნება.



— თოფ-მოდელი **მილა იოვოვიჩი** თავის ახალ თაყვანისმცემელთან, გიტარისტ ჯონ ფრუშიანთან ერთად 24 საათი რესტორანში ზის. როცა ჟურნალისტები დაინტერესდნენ, თუ რით მოხიბლა მილა მუსიკოსმა, ქალმა უპასუხა: — ისე ლამაზად მიირთმევს, რომ მისი ყურება ესთეტიკურ სიამოვნებას მანიჭებსო.

— **ჯორჯ კლუნიმ** თავის მეგობარ ქალთან, ტრეილორი ჰოუარდთან ერთად ლოს-ანჯელესში მგზავრობის დროს ნათელმხილველს შეუარა და ჰკითხა, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება მათი რომანი. ნათელმხილველმა კლუნი შეათვალიერა და უთხრა, — პირველ და უკანასკნელ ნამდვილ სიყვარულს მხოლოდ 60 წლის ასაკში შეხვდებიო.

— **რიკი მარტინმა** გადაწყვიტა, მწერლობას მოჰკიდოს ხელი. მან გამოსცა წიგნი, რომლითაც მკითხველი გაეცნობა პუერტორიკული სამზარეულოს უძველეს რეცეპტებს.

— მექსიკის ერთ-ერთი სოფლის **რეალ-დე-კატორსეს** მოსახლეობა აღშფოთებულია, ვინაიდან სოფელში მიმდინარეობს ფილმის „მექსიკელის“ გადაღება ჯულია რობერთსისა და ბრედ პიტის მონაწილეობით. „ისინი ექსპლოატაციას გვიწევენ, როგორც მონებს, — ჩივის მოსახლეობა, — დეკორაციების მონტაჟის უმძიმეს სამუშაოებში საათში მხოლოდ 90 ცენტს გვიხდიან“. ყველაზე მეტად აბორიგენები იმან გააცოფა, რომ რობერთსი და პიტი ყოველდღიურად იღებენ შხაპს და არ ითვალისწინებენ იმას, რომ რეალ-დე-კატორსეში წყლის თითოეული წვეთი ოქროს ფასი ღირს.



— **ერნსტ-ავგუსტ ჰანოვერმა** თავის ერთ-ერთ ფეშენებელურ ციხე-სიმაგრეში გრანდიოზული მეჯლისი მოაწყო. მასპინძელმა სტუმრების სია ელ მაქფერსონითა და კარლ ლაგერფილდით დაიწყო, მაგრამ ულამაზეს დარბაზში შესვლამდე, სტუმრებს ფეხით ეკლიანი მავთულის ღობის გასწვრივ რამდენიმე კილომეტრის გავლა მოუხდათ, ჩაუარეს უზარმაზარი გერმანული ნაგაზების კორდონს და დაცვას თავიანთი ჩანთები და ჯიბეები გააჩხრეკინეს.

— აშშ-ში გასუქების პრობლემამ ნაციონალური მნიშვნელობა მიიღო. სასწრაფოდ იქმნება ზაფხულის ბანაკები ზომაზე მეტად **ფუნჩულა ბავშვებისათვის**, სადაც მათ შედარებით ნორმალურ ფორმაში ჩააყენებენ წონის დაკლების სამეცნიერო პროგრამის დახმარებით. ამ სახის ბანაკებში ბავშვებს აშიმშილებენ, ავარჯიშებენ. ზოგი ბავშვი დიდი გაჭირვებით მოძრაობს, თამაშებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.



ამ დროს კი, ნიუ-იორკში ტარდება შეჯიბრება სოსისის ჭამაში. ერთმა იაპონელმა ბავშვმა 12 წუთში 25 სოსისი შესანსლა.

*უცხოური პრესის მიხედვით*

# გაცოცხლებული მარმარილო



მსოფლიოში პირველად გაკეთდა მიქელანჯელოს ქმნილების, დავითის ქანდაკების აბსოლუტურად ზუსტი ასლი. სტენფორდის უნივერსიტეტში, გრაფიკის ლაბორატორიაში კომპიუტერზე ლაზერული სკანერის მეშვეობით მიღწეულია ისეთი სიზუსტე, რომ ასლი, შეიძლება ითქვას, შეესატყვისება ორიგინალს. ეს სამუშაოები შარშან დაიწყო. შეწყდებოდა თუ არა ტურისტთა ნაკადი, იწყებოდა ხუთმეტრიანი „დავითის“ ირგვლივ კიბერ-ამწეების დაყენება. ლაზერის სხივს მილიმეტრობით შეჰქონდა კომპიუტერში ყოველი დეტალის სამგანზომილებიანი კოორდინატები. აპარატურამ დააფიქსირა არა მარტო დიდი ოსტატის ხელი მარმარილოზე, არამედ მიკრობზარებიც კი. სკანირების დროს ჩნდებოდა ვენებისა და კაპილარების რთული ხლართი, კანის ნაოჭები თუ დაკუნთული სხეული. მაყურებელი ვერ აღიქვამს ყველაფერ ამას და არც ფოტოებზე ჩანს. ეტყობა, ამიტომ ცოცხლდება მარმარილო.

კომპიუტერულმა გამოსახულებამ გვიჩვენა ის, რის ჩვენებასაც არ აპირებდა მიქელანჯელო. თურმე, დავითს სერიოზული ფიზიკური ნაკლი აქვს, იგი ელამია, რაც არ ჩანს მის ტრადიციულ გამოხედვაში. სპეციალისტების აზრით, მიქელანჯელომ სწორედ ნაკლის დასაფარავად აუწია ხელი.

მეცნიერები აპირებენ კომპიუტერის მეშვეობით აღადგინონ ძველი რომის რუკა, რომელიც მარმარილოს ფილებზეა ამოკვეთილი საუკუნეში ჩვ.წ.აღ-მდე. უძველესი რელიკვია ათას ნაწილად არის დამსხვრეული და არქეოლოგებმა ვერ მოახერხეს მისი შეერთება. ნამსხვრევების სკანირების შემდეგ კომპიუტერი რამდენიმე წუთში გადაწყვეტს ურთულეს ამოცანას.

*იზვესტია №117*

# სკოტლენდ-იარდს დიდი საქმე გამოუჩნდა

კატას ანტონიო ბ. პინარდანი ჰქვია, მისი წყალობით პატრონი 250.000 ფუნტი სტერლინგით გამდიდრდა. ამას წინათ, ეს ძვირფასი კატა მოიპარეს და ბრიტანული პოლიცია ქანცის გაწყვეტამდე ეძებს „შინიდან გასულს და არდაბრუნებულს“.



საგრაფო სუფოლკის პოლიციამ ეს ფაქტი დაუყოვნებლივ აცნობა ყველა აეროპორტსა და ინტერპოლს. დაკარგული ფისოს უნუგეშო პატრონმა პიტერ კოლინზმა განაცხადა, რომ მისი კატა ვიღაც ქალს მწვანე „პეჟოთი“ გაუტაცნია, მანქანას თურმე უცხოური ნომერი ჰქონდა.

კატების მოყვარულთა ბრიტანული საზოგადოების ექსპერტებმა „გაანათლეს“ პოლიციელები და აუხსნეს, დაკარგული მეტად ძვირფასი და იშვიათი ჯიშიაო. თურქული ანგორის კატები ჯიშიანებად მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლებიან, თუ მათი საგვარეულო სწორედ თურქეთიდან იქნება.

!998 წელს კოლინზმა 1000 ფუნტი (დაახლოებით 1.500 დოლარი) გადაუხადა ანგორის კატების მიუნხენელ მფლობელს კნუტისთვის, რომელიც ჯერ კიდევ არ დაბადებულიყო. ჯიშიანი კატების თითოეულ ნაყარზე მფლობელი კატების პატრონებისაგან დაახლოებით 800 ფუნტს იღებდა და სულ ამ ჯიშიანმა ფისომ პატრონის ბიუჯეტს დაახლოებით მეოთხედი მლნ ფუნტი სტერლინგი შემატა (დაახლოებით 370. 000 დოლარი) „ჩემს ტონის ფასი არ აქვს. იგი ჩემი უძვირფასესი მეგობარია“ — ჩივის პიტერ კოლინზი, — ანტონიო ოჯახის წევრია. ჩემი მეუღლე ამ დანაკარგს ვერ გადაიტანს...

მისტერ კოლინზის კატები რომ არა, რომელთაც აუტანელი ჩხავილი მორთეს, ვერავინ გაიგებდა და დაინახავდა, მუქსათვალიანმა ქალმა როგორ ჩატენა საბრალო ტონი სამგზავრო ჩანთაში, მერე მანქანაში ჩახტა და გაუჩინარდა. „დარწმუნებული ვარ, გამტაცებლები უცხოელები არიან, — ამბობს კოლინზი — თითქოს ისიც მომესმა, გერმანულად ლაპარაკობდნენ“.

სკოტლენდ-იარდი და ინტერპოლი ერთად ეძებენ კატას, რომელიც მსხვერპლად თავის „არისტოკრატიულ წარმოშობას“ შეეწირა.

*კალეიდოსკოპი №29*



**თარაზულად**:5. ეკლესია, ასკეტი; 6. კალიგულა, კოსა; 9. იარლიყი, ქცევა; 10. რეკეტი, კომპრომატი; 11. კლინტონი, ჰიროსიმა; 15. უფლება, საჩივარი; 17. მგოსანი, ხე; 18. იარაღი, ჯოგი; 19. დუგლასი, გლადიატორი; 20. დესანტი, ქოლგა; 24. ოჯახი, სინდიკატი; 25. ფშატი, ფინიკი; 26. პიანინო, რადიატორი; 29. ალექსანდრე დიუმა, ყვავილი; 32. პანდა, მთა; 33. მაფია, ღიმილი; 34. ცა, მისანი; 35. დირიჟორი, სცენარი;

**შვეულად**: 1. ვენახი, აეროდრომი; 2. კუნძული, ტყუილი; 3. არშია, ფილოსოფია; 4. კუთხე, ჩრდილოეთი; 5. პესტალოცი, უშინსკი; 7. შიდსი, დეფიციტი; 8. გუაში, პასტელი; 12. ფონეტიკა, სინტაქსი; 13. როინიში, პეტროფი; 14. მოლიერი, ოინი; 16. იღბალი, წიფურია; 21. ტეილორი, ვივიენ ლი; 22. ჩერნობილი, რენტგენი; 23. ლატარია, ფული; 27. ათლეტი, ზრდილობა; 28. შექსპირი, აჩრდილი; 30. ტაისონი, ტატამი; 31. კრედიტი, ლომბარდი;

**წინა კროსვორდის პასუხები**:

**თარაზულად**: 1. ფანჯარა; 4. სანგარი; 7. რთველი; 9. ბილეთი; 10. ზარაფხანა; 11. არბიტრი; 13. ოჯალეში; 15. სიმინდი; 17. სიმბა; 18. ანოდი; 19. ბრონეული; 20. ბრაზილია; 22. ნავთი; 23. კრაზი; 24. არაბიკა; 25. გრაფიკა; 27. პლანეტა; 29. ტრაპიზონი; 32. ალემაო; 33. ენძელა; 34. ისტორია; 35. ორქიდეა.

**შვეულად**: 1. ფაბრიკა; 2. ჯართი; 3. ანალიზი; 4. საჭიდაო; 5. გოეთე; 6. იალბუზი; 8. ნეფრიტი; 12. ტრიკოტაჟი; 14. ანდალუზია; 15. სამუშია; 16. იამაიკა; 21. ჯიბგირი; 25. გომბორი; 26. ატლანტა; 27. პიანინო; 28. ალგებრა; 30. ელიბო; 31. ალიბი.

## №31 (200) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 616 მკითხველი გამოეხმაურა. 2 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 216-მა ქალმა და 398-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რაში ხარჯავენ ყველაზე მეტ ფულს ახალი ქართველები?“**

რესპონდენტთა 48-ის აზრით, ახალი ქართველები ყველაზე მეტ ფულს უძრავი კაპიტალის დაგროვებისთვის ხარჯავენ, **6,27** საშუალო ქულით „უძრავი კაპიტალი“ პირველ ადგილზეა, მხოლოდ ხუთმა მკითხველმა (1,21) დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა. მკითხველთა 11 კი თვლის, რომ ყველაზე მეტ ფულს ახალი ქართველები უცხოური ავტომობილების შესაძენად ხარჯავენ. 6,17 საშუალო ქულით „უცხოური ავტომობილები“ მეორე ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ საერთო ქულების რაოდენობის მიხედვით „კაზინო“ მესამე ადგილზეა, საშუალო ქულაა 5,95, მაქსიმალური ქულების მიხედვით კი იგი წინ უსწრებს „უცხოურ ავტომობილებს“. მკითხველთა 25-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 8 ქულა. ყველაზე ცოტა მინიმალური ქულა წილად ხვდა „რესტორანსა“ და „ქალებს“ — მხოლოდ ერთმა მკითხველმა დაუწერა მათ 1 ქულა.

ჩვენი მკითხველების აზრით, ახალი ქართველები შედარებით ნაკლებ ფულს ხარჯავენ მოგზაურობაში, განათლებასა და ქველმოქმედებაში, მათგან ყველაზე უფრო ნაკლებს კი — ქველმოქმედებაში. რესპონდენტთა 84-მა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა. მაქსიმალური — 8 ქულით კი იგი ხუთმა მკითხველმა შეაფასა. რაოდენ გასაოცრადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, „ქალებსაც“ ზუსტად 5-მა რესპონდენტმა დაუწერა მაქსიმალური ქულა.




საპრიზოს ზუსტად 27 ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები: 17 წლის **მირანდა ჟოჟიკაიშვილი,** 31 წლის **მანანა ღოღობერიძე,** 44 წლის **მარინა დუდაური,** 59 წლის **ციალა რამიშვილი,** 38 წლის **ინესა ვაწაძე,** 59 წლის **დალილა მარტაშვილი,** 69 წლის **ნუგზარ ყანჩაშვილი,** 48 წლის **თამაზ დუნდუა,** 50 წლის **ნუგზარ ქარქაშაძე,** 47 წლის **გია ბუცხრიკიძე,** 44 წლის **ვანო რთველაძე,** 42 წლის **რამაზ გორდაძე,** 59 წლის **ომარ მიქაძე,** 66 წლის **გურამ შველიძე,** 36 წლის **ზვიად გოგოლაძე,** 47 წლის **მერაბ სახვაძე,** 77 წლის **ლევან ბარბაქაძე,** 40 წლის **გელა ოზაშვილი,** 67 წლის **ოთარ მამაცაშვილი,** 60 წლის **კუკური ბუხრაშვილი,** 32 წლის **არჩილ ჯგერენაია,** 47 წლის **ბადრი ხინთიბიძე,** 42 წლის **პაატა ჩიქოვანი,** 58 წლის **ომარ შველიძე;** 33 წლის სამტრედიელი **პაატა გოგაძე** და საგარეჯოელები — 28 წლის **გურამ ქიაბერაშვილი** და 11 წლის **დათო მარხვაშვილი.**

***რეიტინგის ეს ნომერი საიუბილეოა — მე-200. „კვირის პალიტრამ“ თავის ერთგულ მკითხველებს მოუმზადა სიურპრიზი — ამ ჯერზე საპრიზო ფონდი 200 ლარია, რომელიც თანაბრად განაწილდება 27 გამარჯვებულზე.***

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში, სამშაბათს, 8 აგვისტოს, 17 საათზე.

## №32 (201) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის ლოტერეაში.*

**№32 (201) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 9 აგვისტოს 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 10 აგვისტოს 13 საათამდე.**

© თბილისი, 1997

**თემა №32 (201) — ქართველი მეფეები**

**თქვენი აზრით, ვინ არის ქართველი ერის წინაშე ყველაზე ვალმოხდილი მეფე** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№32(201) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | მეფეები | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ერეკლე II | |
| 2 | ფარნავაზი | |
| 3 | თამარი | |
| 4 | დემეტრე თავდადებული | |
| 5 | დავით აღმაშენებელი | |
| 6 | ვახტანგ VI | |
| 7 | გიორგი ბრწყინვალე | |
| 8 | ვახტანგ გორგასალი | |
| 9 | მირიანი | |

*მკითხველის ლოტერეა* *

**„კვირის პალიტრის“ რომელ რუბრიკას (გვერდს) კითხულობთ პირველ რიგში?**

✓ ______________________

______________________
თქვენი სახელი, გვარი

______________________
ქალაქი (რაიონი)

________ ________
ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

## დამატებითი კითხვის შედეგები

დამატებით კითხვას — **„გჯერათ თუ არა, რომ ახლო მომავალში დაიწყება საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღების პროცესი?“** — 612-მა მკითხველმა უპასუხა. რესპონდენტთა 14-ს გაუჭირდა კითხვაზე კონკრეტული პასუხის გაცემა; 17 დარწმუნებულია, რომ ახლო მომავალში დაიწყება საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღების პროცესი; მკითხველთა 69 კი თვლის, რომ ქართულ ეკონომიკას უახლოეს მომავალში გაჯანსაღება არ ელოდება.




## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

***გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.***

რას დაარქმევდით?

______________________

______________________

______________________

______________________

______________________

თქვენი სახელი, გვარი ______________________

ქალაქი (რაიონი) ______________________



ედუარდ შევარდნაძე

**ა.ბ.** — აქ რას აკეთებ, სოსო?
**ს.ა.** — შევარდნაძეს უბრძანებია, „ძალოვნებმა“ მეტროთი იარონო და ვნახე. აქ „მერსედესით“ ვერ ვივლი, „ჯიპის“ ყიდვა მომიწევს.

***მევლუდ თევდორაშვილი, რუსთავი***

**ა.ბ.** — სოსო, ბიძიკო, მომკალი და ვერ ავიტან უმანქანობას, ეს რა მოიგონა ღლაპმა ნოღაიდელმა.

**რეფორმატორები ზევიდან** — აბა, აბა, ეგეთები არ იყოს!

***სოსო ცირგაია, თბილისი***

**ს.ა.** — აქ ვის ელოდებით, ბატონო ანზორ?
**ა.ბ.** — რა ვიცი, ამბობენ, მიწიდან ხალხი ამოდისო და იქნებ პაპაჩემიც ამოვიდეს.

***მათე სულწაძე, წყალტუბო***

**ს.ა.** — ანზორ, უკან არ მიიხედო, მგონი გვითვალთვალებენ.
**ა.ბ.** — არ მეშინია, ჩემო სოსო, ვერ მიცნობენ, თმები სხვანაირად მაქვს დავარცხნილი.

***დათო, თბილისი***

**ს.ა.** — თმა სულ გაგითეთრდა, ანზორ, ასეთი რა ნახე გვირაბში?
**ა.ბ.** — რა ბედი მაქვს, კაცო, გარეთ სააკაშვილი მაშინებს, შიგნით კიდევ ჟვამპირი ზურა.

***გიორგი გონგაძე, თბილისი***

**ა.ბ.** — ა, სოსო, ხომ დავამტკიცეთ, რომ ჟურნალისტები თვითონ ერჩიან თავის თავს. ჩვენ რატომ არ გვცემა მილიციამ???

***ოთარ კელენჯერიძე, ხაშური***



სოსო ალავიძე და ანზორ ბალუაშვილი

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 155 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**ს.ა.** — საირმის გორაზე სახლი, წყნეთში სახლი, ზღვაზე სახლი, მთაში სახლი, ლაგოდეხშიც...
მეტროში, შიგნით ადგილი შევისყიდე და ახლა აქ ვიწყებ სახლის შენებას, ჩემო ანზორ!

***ნ. კუპრეიშვილი, თბილისი***

**ს.ა. ა.ბ.**-ს — ბიჭოს, შენ ჯიბგირობაც შეგძლებია, რა მარჯვედ ამოაცალე ფული მეტროში იმ კაცს.
**ა.ბ.** — არც შენა ხარ ნაკლები, აბა, კორუფცია თუ მართლა დამარცხდა, თავი ხო უნდა ვირჩინოთ რაიმეთი?

***მურმან გიგანი, თბილისი***

**ს.ა.** — ბატონო ანზორ, თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ისეთი გრძნობა მაქვს, რომ თითქოს მთელი საქართველო ახლა ჩვენ გვიყურებს.
**ა.ბ.** — თუ აბდალაძეა აქ სადმე, ჩათვალე, რომ ეგრეა.

***ვაჟა ახალკაციშვილი, თბილისი***

**ს.ა.** — ბატონო ანზორ, ხომ არ წაგვესადილა?
**ა.ბ.** — ვინ გადაიხდის?
**ს.ა.** — ვისაც ბევრი ფული აქვს.
**ა.ბ.** — მაშინ არ მინდა.

***მირზა, თბილისი***

ანტიკორუფციული კომისიის მოღვაწეობის შედეგად საშობაო სიზმარი: ალავიძე და ბალუაშვილი სამსახურიდან სახლში მეტროთი ბრუნდებიან — როგორც ჩვენს ხალხს უჭირს, ჩვენც ისე უნდა გაგვიჭირდეს!

***გიორგი კასპელი***

კორუფციასთან „მებრძოლი“ ძალოვნების რეიდი მეტროში.
**ს.ა.** — მივაგენით! ბატონო ანზორ, მივაგენით! კორუფციის სათავეს!
**ა.ბ.** — აბა, როგორ ეგონათ! ამდენი ხალხი რომ მგზავრობს ამ მეტროთი ამ უხელფასო და უპენსიო ქვეყანაში, საიდან 20 თეთრი, თუ კორუმპირებულები არ არიან?

***თამაზ დუნდუა, თბილისი***

**ს.ა.** — მომბეზრდა სამმართველოს უფროსობა, ჩემო ანზორ. მეც მინდა მინისტრობა. ვისზე ნაკლები ვარ?
**ა.ბ.** — ჩუმად, ყმაწვილო, კახამ არ გაიგოს, თორემ საგზაო პოლიციელის ჯოხს დაგანატრებს.

***გურამ რამაული, თბილისი***

## ფოტო განწყობისათვის



— დედა, სურათზე მარჯვნივ მე ვარ... შენი ვოვოჩკა...



— როდის შეირთე ცოლი?
— 21 ივნისს.
— ყველაზე მოკლე ღამე რომაა?
— ჰო!
— მშიშარა ყოფილხარ...

**მაგნიტური დღეები**
**10/VIII 20-22 სთ**
**7/VIII პირველი მეოთხედი**

## წინა სკანვორდის პასუხები





ციებ-ცხელების გადამტანი კოღო

- დისტანცია 42 კმ 195 მ
- სერიალი „კასანდრა" (პერსონაჟი)
- იესოს პირვ. მნახველი აღდგომის შემდგომ
- შთამომავლობის საფეხური
- ზამთრის ბოლო ოლიმპ. თამაშების დედაქალაქი
- პირველი მეტროპოლიტ. (ქალაქი)
- დამუხტული ნაწილაკი
- ქირურგის დანა
- კორდის შემქმნელი ბალახი
- სპარსული პროვინციის მმართველი ძველად
- დიდი, მდიდრული ბინა
- გამოგონების დამადასტ. მოწმობა
- კორეის დედაქალაქი
- პოეტ ალ. ქურიძეს ფსევდონიმი
- ლიტერ. 1958 წ. ნობელის პრ. ლაურეატი
- წლის საუკეთესო გიტარისტი
- განსაზღვრ. ადგილი
- პირველი ქართველი კურაპალატი
- გრანელი
- მტკვრის მარჯვენა შენაკადი
- იტალ. მხატვარი და მოქანდაკე
- განჯგალაძე
- ძვირფასი ქვა
- იმპორტი
- სიხარულის გამოხატვა
- „ოქროს ვაშლი" (იტალიურად)
- დამიანეს მოხატულობა (მონასტერი)
- სახელმწიფო დახმარება
- ძვ. ეგვიპტის ღმერთი
- ჰვას ქურუმი და მოქიშპე
- არჩევანში მეორე
- ასო-ნახატი
- სახელდახელოდ თქმული ლექსი
- ჭავჭავაძე
- მსახური ბიჭი სასტუმროში
- საფოსტო გზავნილი
- საფრენი ორგანო
- სფერულზედაპირებიანი მინა
- ელექტრო განმუხტვა ცაში
- სტალონეს გმირი
- თუშების სოფელი კახეთში
- მსხვილად დაგრეხილი კანაფი
- „სადღაც, სხვა ადგილას" ლათ.

შეადგინა რამაზ ალანიამ



საგამოცდო ატრიბუტი


## წამალი „სალხინო" — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

**ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირმა „სალხინო"**


„კვირის პალიტრის" **უფასო განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში **„სიტყვა და საქმე"** (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია). **„კვირის პალიტრაში"** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში.* ***ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან.*** *მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში:იოანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ, მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ნაძალადევში კ/თ „საქართველოსთან", წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბეში, „სამთო ქიმიის" გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. მილიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".*

***ქალაქებში და რაიონებში:*** *მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური; სურამი; ზესტაფონი; ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი; აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი; ქობულეთი, ბათუმი; ოზურგეთი, ლანჩხუთი; რუსთავი, საგარეჯო, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი; ბორჯომი, ახალციხე; დუშეთი, ჟინვალი;* ***არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.*** *ბოლნისსა და ახმეტაში* ***ყუთები დაიცლება ყოველი თვის I და III კვირას, ოთხშაბათს 10 სთ.-დან.***

**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## (32) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ____________________

სიტყვა და საქმე

***გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება***

№32 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 10 აგვისტოს (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.

### იცით თუ არა, რომ...

...ქიშმიში გაცილებით მავნეა კბილებისათვის, ვიდრე შოკოლადი.

...XV საუკუნის დასაწყისამდე არ არსებობდა სასვენი ნიშნები.

...ყოველ წამში ადამიანის ორგანიზმში წარმოიქმნება და იშლება 15 მილიონი სისხლუჯრედი.

...კამერა „კოდაკის" გამომგონებელი ჯორჯ ისტმანი არავის აძლევდა თავისი თავის ფოტოგრაფირების უფლებას.

...ზვიგენი ერთადერთი თევზია, რომელსაც შეუძლია ორივე თვალის ხამხამი.



— ცოლ-ქმარი ბარში ზის. მოცქრიალდა უცნობი ქალიშვილი, ქმარს გრძნობით აკოცა და გაუჩინარდა.
— ვინ არის? — გაიკვირვა ცოლმა.
— კარგი, თუ ღმერთი გწამს... ისიც მეყოფა, იმას რომ უნდა ავუხსნა, შენ ვინ ხარ...


## პირველად საქართველოში!

**გიწვევთ სასწავლებლად „ოჯახის ადვოკატის" ინსტიტუტში,**

**რომლის იურიდიულ ფაკულტეტზე სამართალმცოდნეობის სპეციალობით**

**ჩამოყალიბდებით პროფესიონალ იურისტად და სწავლის პერიოდში დამატებით გაივლით საადვოკატო პრაქტიკას ინსტიტუტთან არსებულ ადვოკატურაში.**

**თქვენი სურვილის შემთხვევაში უფასოდ შეისწავლით: კომპიუტერთან მუშაობას, მეორე უცხო ენას, ავტომობილის მართვას, აღმოსავლურ ორთაბრძოლებს.**

**ჩვენი მისამართია:**
**ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის 65**
**☎ 74-26-97**



გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი.**

**სარედაქციო კოლეგია.**

მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა:** 98-74-44

palitra@access.sanet.ge
palitra@geo.net.ge

**სარეგისტრაციო ნომერი 1518**

**„კვირის პალიტრა"**
**გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".


შავი ყვითელი ლურჯი წითელი